# კვირის პალიტრა

36 გვ

№ 8 (358) ◆ 25 თებერვალი – 3 მარტი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## რისი თქმის უფლებაც წინა ორშაბათს არ გვქონდა...



გვ.5

**ახლა უკვე თავისუფლად შეგვიძლია გითხრათ ის, რისი თქმაც წინა ნომერში, არ შეგვეძლო.**

„ძველი ნაცნობი“ ტყუილად არ გვიწოდებია მისთვის — ამ პიროვნებამ, ამას წინათ, იანვრის ბოლოსაც დარეკა რედაქციაში და გვითხრა...

მართლაც, იმ კვირას, 3 თებერვალს, კავკასიაში არა, მაგრამ...

აი, ეს მაგალითი გვქონდა თვალწინ და შევშინდით...

**ახლა ადგილს, დროსა და რიცხვს პირდაპირ ასახელებდა...**

### ჩვენ გვწერენ

...7 წლის მანძილზე ბრმად მოგყვებოდით და თქვენს გაზეთს ვკითხულობდი. ახლა საბოლოოდ მჯერა, რომ თქვენც ედიკაზე მუშაობთ. ხალხის განსამუხტად ამაზე კარგი ვერაფერი მოიფიქრეთ?..

...მე რელიგიის მასწავლებელი ვარ და იმ დღეებში არაერთმა ბავშვმა მთხოვა, მეპასუხა კითხვაზე, რომელი ლოცვით უნდა მიმართონ უფალს განსაცდელის ჟამს. დანამდვილებით ვიცი, რომ ამდენი ერთდროული მლოცველი ჩვენს დროში ჯერ არ ჰყოლია საქართველოს!..

### კომენტარი საპატრიარქოდან

...სანუგეშოა, რომ 20 თებერვალს, ნებსით თუ უნებლიეთ, ყველამ ერთად შევღაღადეთ „მამაო ჩვენო“. ლოცვას კი უდიდესი ძალა გააჩნია... იონა წინასწარმეტყველისა და ნინევიის ბიბლიური მაგალითს შეგახსენებთ — ღმერთმა იონას პირით აუწყა ნინევიელებს, რომ სოდომ-გომორივით დაქცევით ემუქრებოდა მათ...

...მაგრამ მოხდა საოცრება — ღმერთმა ნინევია აღთქმისაებრ, არ გაწირა, რამეთუ ნაცარზე მსხდომებმა შეინანეს, მარხვა გამოაცხადეს.

**იქნებ, დროა, დავფიქრდეთ, რა ძალაა, რასაც ლოცვის ძალა ჰქვია და ისიც დააფიქსირეთ, ზოგიერთმა პირველად რომ აანთეთ სანთელი...**

## ციხიდან გამოსული გენერალ-მაიორი გალის ღალატში თარგამაძესა და ქუთათელაძეს ადებს ხელს...

გვ.6

— მე გამწირა უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ქუთათელაძემ, შს ყოფილმა მინისტრმა თარგამაძემ, შენგელი ფიცხელაურმა, სალაყაიამ და მაზმიშვილმა.

— პირდაპირ ტელეფონში ეუბნებოდნენ მეგრულად პარტიზანებს, ყურაშვილს არ დაემორჩილოთო.

— გალი რომ შეგვენარჩუნებინა, სად რა იარაღი და რა რაოდენობის საბრძოლო ტექნიკა იყო გამოყენებული, ყველაფერი გაიშიფრებოდა.

## „გარწმუნებთ, ქვანია-სააკაშვილის დაპირისპირება ჩვენი მტრების აუხდენელ ოცნებად დარჩება“...



— ვფიქრობ, პრეზიდენტსაც არ აქვს ზუსტი წარმოდგენა იმაზე, თუ რა ილაპარაკა ასლან აბაშიძემ მოსკოვში... ჩვენ შუა საუკუნეებში არ ვცხოვრობთ, რომ ვიღაცა თავს აძლევდეს უფლებას გაასაიდუმლოოს ასეთ თემებზე საუბრის ზოგადი შინაარსიც კი. გვ.3

— როდესაც ოთხი წლის წინ პარლამენტის თავმჯდომარეს აბსურდული ბრალდებები წაუყენეს და ტერორისტად გამოაცხადეს, ქართული სპეცსამსახურები ისხდნენ და თავისთვის ქირქილებდნენ. არავინაა დაზღვეული, რომ შემდეგ ეს სიბინძურე მას არ მიუბრუნდება.

## ვინ დაასწრებს ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებას პანკისში — რუსეთი თუ ამერიკა?



პანკისის ხეობაზე მალე ერთგვარი კონკურსი თუ ტენდერი გაიმართება — ვინ დაეხმარება თბილისს ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებაში.

საკითხავია, რომელს აირჩევს ამერიკა — საქართველოს უშიშროების, თავდაცვისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს? გვ.8

ხომ არ აჯობებდა, ოფიციალური თბილისი დათანხმებოდა აზრს, რომ პანკისში მართლაც იმყოფება თვით ბინ ლადენი და გვეთხოვა აშშ-ისა თუ დიდი ბრიტანეთისთვის, დაგვხმარებოდა მის გაუვნებელყოფაში?

## გოგიჩაიშვილი დაპატიმრებას ელოდება?!



— ალბათ დაგვაპატიმრებენ, მეტი რაღა უნდა გააკეთონ. არც ისე ძნელია კონკრეტული სასამართლო საქმე გამოგიჩხრიკონ... გვ.6

## „ბიჩოკი“ პირდაპირ გამოჭიმულ ინსპექტორს გაარტყა სახეში...

მანქანით გამოვედევნე, გავაჩერე და აღშფოთებული ვეკითხები — შვილო, ან მამა არა გყავს, ან დედა, ზრდილობას არსად გასწავლიდნენ-მეთქი? — შენ ვინ ხარო, უტიფრად მეკითხება. ქალაქის საგზაო პოლიციის უფროსი ვარ-მეთქი. — მერე, ჭკუას რომ მასწავლი, იცი, მე ვისი საყვარელი ვარო?! გვ.13,33

## სპექტაკლზე სერგო ზაქარიაძე ნამდვილი ტყვიით დატენილი თოფი ესროლა მამაჩემს

გვ.20

***ირაკლი ტრიპოლსკი***

თურმე ფასანაურიდან თბილისისკენ მოდიოდა იაშას მამა ველოსიპედით. გაღმა, ტყეში, ვიღაც თოფიანი კაცი ყოფილა. სულ არაფრის გულისათვის გამოუშვერია თოფი — მოვარტყამ თუ არ მოვარტყამო და ასე უბრალოდ მოუკლავს... 19 წლისა დაქვრივდა ბებო ირინე...


**Computron**

IBM - Compaq - HP - Dell - Unisys-Toshiba

**99 $ -დან**

კომპლექტი

**კომპიუტერები**

მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23

☎94-28-33


### სპორტი:

გვ.32

სოლტ ლეიკ სიტიში დასრულდა ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომელიც სკანდალების ოლიმპიადის სახელით შევა ისტორიაში. თუმცა, მტყუან-მართალს მომავალი გაარკვევს

## ვერსია

## გიორგაძის ხელებზე დადებულ ბორკილებს რომ დავხედე, დავრწმუნდი, მას სახუმაროდ არ ჰქონდა საქმე...

გვ.10

იმხანად აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო დავით მამულაძე. მისი კაბინეტის ფანჯრები ქუჩის მეორე მხარეს მის საცხოვრებელ ბინას უყურებდა. სადარბაზოს, როგორც წესი, მუდმივად დარაჯობდა ორი მილიციელი, მაგრამ ამ კაცის ბინა მაინც გატეხეს დღისით, მზისით, სამუშაო საათებში. როგორც გვითხრეს, ბინაში ყველაფერი თავდაყირა ყოფილა. ეტყობოდა, ქურდები ოქროსა და ძვირფასეულობას ეძებდნენ. სახლის პატრონები კი აცხადებდნენ, წაღებული არაფერიაო. ბინის დასათვალიერებლად აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და საგამოძიებო ჯგუფის უფროსი შევიდნენ. ჩვენ, ვისაც საქმე უნდა გვეკეთებინა, შიგაც არ შეგვახედეს. მოგვცეს მხოლოდ დამლაგებელი ქალის მიერ მონათხრობი — ქურდების არაფრისმაქნისი გარეგნული აღწერილობა. ეს იყო და ეს.

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## პატრუშევი ნიადაგს სინჯავს

თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის შეფი ნიკოლაი პატრუშევი, რომელმაც დახურულ კარს მიღმა გამართა მოლაპარაკება პრეზიდენტ შევარდნაძესა და უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიასთან. კულუარებში უკვე ალაპარაკდნენ, რომ პატრუშევმა თბილისში ნიადაგი მოსინჯა პანკისის ხეობაში ერთობლივი რუსულ-ქართული ოპერაციის განხორციელების შესახებ შეთანხმების მისაღწევად, თუმცა მთლიანობაში ამ საკითხს ნათელი მას შემდეგ მოეფინება, როცა მარტში ვალერი ხაბურძანია აშშ-ში ჩავა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობასთან გამართავს კონსულტაციებს... თბილისში ვიზიტისას კი პატრუშევმა კონკრეტულად მხოლოდ ის განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით ბინ ლადენი არ იმყოფება პანკისის ხეობაში(!) და პანკისის საკითხზე დსთ-ის სპეცსამსახურების შეფები მარტში დაგეგმილ შეხვედრაზე ისაუბრებენ!

## ერთ ნარკობარონში ოთხი პოლიციელი(!)

პანკისის ხეობაში ქართველ სამართალდამცველებს ბანდიტებმა მორიგი სილა გააწნეს, როცა ბლოკპოსტებზე მდგარი ოთხი შეიარაღებული პოლიციელი გაიტაცეს და წინა დღით დაკავებული ნარკობარონის გათავისუფლება მოითხოვეს. შინაგან საქმეთა მინისტრი შინაგანი ჯარითურთ უმალ იქ გაჩნდა და ყველა მოელოდა, რომ ბოლოს და ბოლოს ქართველი სამართალდამცველები დაიწყებდნენ ოპერაციას კრიმინალთა წინააღმდეგ. ამ ფაქტით აღშფოთებული ახმეტის რაიონის მოსახლეობა კვლავ ფეხზე დადგა. სამართალდამცველთა მხარდამჭერი აქციები გამართეს ქისტებმაც. მოლაპარაკებების შედეგად ბანდიტებმა (ისინი დაპატიმრებული ნარკობარონის ნათესავები არიან) გაათავისუფლეს პოლიციელები... (ვრცლად იხ. გვ. 8).

## „სანახაობასა“ და „ცირკს“ მინისტრი არ დაესწრო

თბილისის ფილარმონიასა და ოპერის თეატრში ერთდროულად ჩატარდა ორად გაყოფილი მასწავლებელთა კორპუსის ორი ყრილობა. ფილარმონიაში განათლების მინისტრ ალეკო კარტოზიას მხარდამჭერი სკოლის დირექტორები და პედაგოგები შეიკრიბნენ, ოპერის თეატრში კი საგანმანათლებლო სისტემაში შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილო სკოლის დირექტორები და მასწავლებლები. თუ ფილარმონიაში განათლების მინისტრი ტრიბუნიდან დიდი ხნის მანძილზე ესაუბრებოდა დამსწრე საზოგადოებას განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებისა და წარმატებების შესახებ, ოპერის თეატრში გამომსვლელები ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ არც ამ რეფორმებისა და არც კარტოზიასაგან და მინისტრის გადადგომას მოითხოვდნენ. სხვათა შორის, ანალოგიური მოთხოვნა წაუყენა ფილარმონიაში კარტოზიას სამგორის რაიონის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგმა, რომელმაც დარბაზში დიდი ბრძოლისა და აყალმაყალის შემდეგ შეძლო შეღწევა. კარტოზიამ ოპერის თეატრში მიმდინარე ყრილობას „სანახაობა“ და „ცირკი“ უწოდა(!). ოპერაში თავშეყრილ მასწავლებლებს სოლიდარობას უცხადებდნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები და მიშა სააკაშვილი, რომლებმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს კარტოზიას რეფორმებიც და მთავრობის საქმიანობაც! საგულისხმოა, რომ პედაგოგთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა და არც ერთ ყრილობას არ დასწრებია!

## გენპროკურატურა ბასაევს ბრალს წაუყენებს

საქართველოს გენერალური პროკურორის, ნუგზარ გაბრიჩიძის განცხადებით, გენპროკურატურა მზად არის ბრალი წაუყენოს შამილ ბასაევს 1992-1993 წლებში აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების გამო. გაბრიჩიძის თქმით, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ბასაევის დაკავების შემთხვევაში ქართული მხარე თხოვნით მიმართავს მოსკოვს მისი საქართველოში ექსტრადიციისთვის! დასავლეთის მასმედიამ კი გაავრცელა ჩეჩნეთში გადაღებული კადრები, სადაც მასხადოვის ბოევიკთა რაზმები ტყეში გადიან წვრთნას. ბოევიკთა მეთაურთა განცხადებით, ისინი ემზადებიან გაზაფხულზე რუსეთის ჯარების წინააღმდეგ აქტიური საბრძოლო მოქმედებისთვის და რომ ამჯერად რუსები მძიმე დარტყმას მიიღებენ ჩეჩნებისგანო!

## ვინ დგას კაკუბავას უკან?

კოდორის ხეობაში გაეროს დამკვირვებლებმა ქართულ და აფხაზურ მხარეებთან ერთად დაიწყეს მზადება ხეობის ერთობლივი ინსპექტირებისთვის. დიტერ ბოდენის განცხადებით, ინსპექტირება თებერვლის ბოლოს დაიწყება. ამ პროცესში მონაწილეობას არ მიიღებს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში ასლან აბაშიძე, რომელსაც ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია მის მიერ ახლახან მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების შესახებ. ამბობენ, აბაშიძეს არაფერი უთქვამს არც პრეზიდენტისთვის და არც ირაკლი მენაღარიშვილისთვისო(!). მეტიც, დევნილთა ყრილობაზე გაკეთებული სკანდალური განცხადებების შემდეგ, ბორის კაკუბავამ დაზვერვის დეპარტამენტის შეფი ავთანდილ იოსელიანი უკვე არა მხოლოდ აჭარის ლიდერის წინააღმდეგ ტერაქტის მომზადებაში დაადანაშაულა, არამედ ნუგზარ საჯაიასთან ერთად საქართველოში ბოლო 10 წლის მანძილზე მომხდარი ყველა პოლიტიკური მკვლელობის (მათ შორის ზვიად გამსახურდიასი) ორგანიზატორადაც გამოაცხადა(!). იოსელიანმა უკვე შეიტანა გენპროკურატურაში შესაბამისი განცხადება და, როგორც ჩანს, დაიწყება ძიება. იმავდროულად ნუგზარ საჯაიამაც მოითხოვა ყველა ამ ბრალდების გამოძიება და თავის მხრივ დაემუქრა კაკუბავას, რომ ცილისწამებისთვის კანონის წინაშე ვაგებინებ პასუხსო! ერთი სიტყვით, დიდი ხნის „იძულებითი“ შესვენების შემდეგ კაკუბავა კვლავ გააქტიურდა და როგორც მისი ოპონენტები აცხადებენ, ბოლომდე გაიშიფრა, ანუ კაკუბავას ზურგს უკან, მათი თქმით, აშკარად იკვეთება რუსეთის სპეცსამსახურების ხელი!

## გასროლა ენგურზე

შაბათს დიდი სროლის ხმა ისმოდა მდინარე ენგურთან. ზუგდიდის რაიონის პოლიციის პუტრულმა გზა გადაუკეტა ენგურის ხიდისკენ მიმავალ მიკროავტობუსს და გაჩერება მოსთხოვა. პასუხად ტყვია მიიღეს. საპასუხო სროლით პოლიციელებმა მიკროავტობუსში მყოფთაგან ერთი მოკლეს, რამდენიმე დაიჭრა, თუმცა მათ მოახერხეს გალის რაიონში გადასვლა და მიმალვა... გაირკვა, რომ მიკროავტობუსი აფხაზეთიდან დევნილ ბადრი ხარებავას ეკუთვნოდა, რომლის ოჯახიც დააყაჩაღეს. ბანდიტები ექვსნი იყვნენ. მათ ხარებავა და მისი ოჯახის წევრები სკამებზე დააბეს, ნაძარცვი საოჯახო ნივთებით და 600 კილოგრამი თხილით მიკროავტობუსი გაავსეს და გაიქცნენ. სროლისას დაღუპული აღმოჩნდა ეროვნული შერიგების მანიფესტის საფუძველზე ციხიდან სამი თვის წინ გათავისუფლებული ზაზა უროტაძე...

## ვალი გადაგვივადეს!

მოსკოვში საქართველოს ფინანსთა მინისტრმა და რუსეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას რუსეთისადმი საქართველოს სახელმწიფო ვალის (158 მილიონი დოლარი) რესტრუქტურიზაციის შესახებ და ვალის გადახდა15 წლით გადავადდა! ეს გადაწყვეტილება რუსეთმა „პარიზის კლუბის“ რეკომენდაციის შედეგად მიიღო. ხელშეკრულება ძალაში საქართველოს პარლამენტის მიერ დოკუმენტის რატიფიკაციის შემდეგ შევა.

## მფლობელი უცნობია, ხალხი კი იწამლება(!)

ფოთში ისევ მძვინვარებს A ჰეპატიტი, რაც საკანალიზაციო სისტემის დაზიანებამ და სასმელი წყლის დაბინძურებამ გამოიწვია. საქმე პროკურატურას გადაეცა. 107 დაავადებული ბავშვი და მოზრდილი მკურნალობის კურსს გადის, დახურულია სკოლები და საბავშვო ბაღები! გარდა ამისა, ფოთის პორტის დოკერებს რამდენჯერმე დაემუქრა სასიკვდილო საფრთხე, რადგან პორტში სიცოცხლისთვის უკიდურესად საშიში ქიმიური ნივთიერების ალუმინის ოქსიდი არაერთხელ გადმოტვირთეს. ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ფირმას ტრანზიტით თურქმენეთში გადააქვს. ხალხმა კატეგორიულად მოსთხოვა სახელმწიფო სტრუქტურებს ამ ნივთიერება ტრანზიტის აკრძალვა, მაგრამ ამაოდ. ფოთში არ არსებობს დახურული კონტეინერი, რომლითაც ამ ნივთიერების გადატვირთვა უნდა ხდებოდეს. ტვირთის მფლობელის ვინაობაც... უცნობია(!), ხალხი კი იწამლება... 29 თებერვალს ამ შხამით დატვირთულ მორიგ ხომალდს ელიან ფოთში!

## არველაძის აგარაკს 43 ფიჭვი შეეწირა

მთავრობის მორიგ სხდომაზე გამოსვლისას გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ წყნეთში და მიმდებარე ტერიტორიაზე ტყეების უკანონო გაჩეხისა და მიწათსარგებლობაში დაშვებული დარღვევების შესახებ ისაუბრა. გენპროკურორმა კანონის დარღვევაში ამხილა მიწის მართვის დეპარტამენტის მაღალჩინოსნები, თბილისის სატყეო მეურნეობის თანამშრომლები, ასევე მარნეულის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს ხელმძღვანელები (ამ სამმართველოს ორ ჩინოვნიკს 4-4 წლით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა). ნუგზარ გაბრიჩიძის მოხსენებას და დასახელებულ გვარებს სრული სიმშვიდით შეხვდნენ მთავრობის წევრები, მხოლოდ თბილისის მერმა ზოდელავამ ამოიღო ხმა, რომლის თქმითაც, გაბრიჩიძის მიერ წარმოდგენილ მასალებში ახალი არაფერია და საქმე გვაქვს ძველ ფაქტებთან! პრეზიდენტმა ერთი თვის ვადა მისცა სამართალდამცველებს ჩამოთვლილ პირთა საქმიანობის გამოსაკვლევად. შევარდნაძემ კიდევ ერთხელ შეახსენა ხელქვეითებს, რომ „ტყე საქართველოს სიმდიდრეა და მისი გაჩეხა მომავალი თაობებისადმი ღალატია!“ საინტერესოა, რომ გაბრიჩიძის მიერ დასახელებულთა შორის პარლამენტარი რევაზ არველაძეც მოხვდა. გენპროკურორის თქმით, არველაძის აგარაკის მშენებლობას წყნეთში 43 ძირი ფიჭვი შეეწირა...

## კოკოითს საკადრო წმენდა არ აპატიეს

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ახალი ე.წ. პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ცხინვალში სცემეს! ინციდენტის მიზეზი გახდა ცხინვალის ხელისუფლებაში არსებული დაპირისპირება. საინტერესო ის არის, რომ კოკოითს დაუპირისპირდნენ ის ძალები, რომლებმაც მას ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში გაამარჯვებინეს. კოკოითი „გაპრეზიდენტების“ შემდეგ მთელი ორი თვის მანძილზე რუსეთში იმყოფებოდა და მხოლოდ ახლახან ჩამობრძანდა ცხინვალში და შეუდგა საკადრო წმენდას! სწორედ ეს ვერ აიტანეს ცხინვალელმა ჩინოვნიკებმა და კოკოითი მიბეგვეს, მეტიც, მოკვლითაც დაემუქრნენ, თუ ის რომელიმე სახელმწიფო პირს თანამდებობიდან მოხსნის...

## მიიღებენ თუ არა კანონპროექტს?

პარლამენტში დიდი აყალმაყალი მოჰყვა გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარებების შესახებ კანონპროექტის განხილვას. პროექტის წინაშე გაილაშქრა ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტმა. მისი თავმჯდომარის ვანო მერაბიშვილის თქმით, ამ კანონპროექტის მიღება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობის შეზღუდვას გამოიწვევს. კანონპროექტის ავტორია ფინანსთა სამინისტრო, რომლის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარებების სფეროში კონტროლის არსებობა ადგილობრივ ბაზარს პრობლემებს უქმნის და საჭიროა ამ სფეროში კონტროლის მექანიზმების შემუშავება! პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის აზრით კი, გრანტების მიზნობრივი ხარჯვა თავად გრანტის მომცემმა ორგანიზაციამ უნდა გააკონტროლოს და ამ თანხების კონტროლის უფლება მთავრობას არა აქვს!

## კატასტროფა თავიდან აიცილეს

ძირულას სარკინიგზო მონაკვეთთან კინაღამ სარკინიგზო კატასტროფა მოხდა. „შევრონის“ საწვავით დატვირთული მატარებლის მემანქანემ ღამის 12 საათზე ერთ-ერთ სარკინიგზო გადასარბენზე დაბრკოლება შენიშნა და მოასწრო შემადგენლობის დროულად შეჩერება. სამართალდამცველებმა მომხდარს დივერსიის მცდელობის კვალიფიკაცია მისცეს და განაცხადეს, რომ შეჯახების შემთხვევაში საწვავით სავსე მატარებლის შემადგენლობა გადავარდებოდა ლიანდაგიდან. აქედან გამომდინარე, უმძიმესი შედეგები გარდაუვალი იქნებოდაო.

## გადაწყვეტილება პრეზიდენტმა უნდა მიიღოს

დიდი ხმაური დაიწყო პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის ირგვლივ, რომელიც საწარმოების დაგროვილი ვალების 15 წლით რესტრუქტურიზაციას ითვალისწინებს და რასაც მოითხოვს გადამხდელთა კავშირიც. გადამხდელთა კავშირის თანათავმჯდომარემ ვანო ჩხარტიშვილმა კანონპროქტის დაბრკოლებაში ბრალი სააკაშვილი-მერაბიშვილის ჯგუფს დასდო. კანონპროექტის მიღებას ეწინააღმდეგება ანტიკორუფციული საბჭო და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, რომლებიც კანონპროექტს კორუფციულს უწოდებენ და მოითხოვენ ყველა იმ საწარმოს წინააღმდეგ გაკოტრების კანონის ამოქმედებას, რომლებსაც არა აქვთ ვალების გადახდის უნარი.

## კანონპროექტი ავტოპარკს გააახალგაზრდავებს

ცნობილია, რომ საქართველოში მოქმედი საბაჟო კოდექსით, უცხოური მარკის ახალი ავტომობილების იმპორტი დისტრიბუტორებისთვის და შესაბამისად, მომხმარებლისთვის არახელსაყრელია. ფრაქცია „მრეწველებმა“ და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ექსპერტებმა შეიმუშავეს ახალი ნორმატიული აქტი, რომლის ამოქმედების შემთხვევაში ქვეყნის საავტომობილო პარკი გაახალგაზრდავდება. საქმე ის არის, რომ 1999 წლის აგვისტოში უცხოური ავტომობილების იმპორტზე დამატებითი ღირებულების განაკვეთი 5%-დან 20%-მდე გაიზარდა. მაგალითად, დღეს 2002 წელს გამოშვებული „ნივის“ განბაჟება მის მფლობელს 2000 ლარამდე უჯდება, მაშინ როცა 5-7 წლის წინ გამოშვებული მანქანების განბაჟება 50%-ით ნაკლები ღირს. ამიტომაცაა, რომ თბილისში უამრავი ძველი და ნახმარი უცხოური ავტომობილია. ახალ კანონპროექტში დამატებითი ღირებულების 20%-იანი გადასახადი ნულამდე დავა და მანქანების განბაჟება მოხდება ძრავის ლიტრაჟის მიხედვით. 1500 კუბურ სანტიმეტრამდე მოცულობის ძრავა ერთ სანტიმეტრზე 50 თეთრით დაიბეგრება; 2000-3000 კუბურსანტიმეტრიანი ძრავები ერთ სანტიმეტრზე 1 ლარით, 3000 კუბურ სანტიმეტრზე ზევით კი ერთ სანტიმეტრზე 2 ლარით განბაჟდება. ცვლილებები განბაჟებისას ავტომობილის ხნოვანებასაც შეეხება... კანონპროექტი მალე შევა პარლამენტში განსახილველად!

## გარევაჭრობა აიკრძალება

1-ელი აპრილიდან თბილისის ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე გარევაჭრობა აიკრძალება. 1-ელი მაისიდან კი ვაჭრობა აიკრძალება მტკვრის ორივე სანაპიროზე. 1-ელი ივნისიდან კი იგივე ბედი ეწევა სარაჯიშვილის და ვარკეთილის მეტროს სადგურებთან, „დინამოს“ სტადიონისა და ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ გარევაჭრობებს. გარემოვაჭრეებს განათავსებენ ბაზრობებსა და ბაზრებში აღრიცხულ თავისუფალ სავაჭრო ადგილებში, თუმცა საეჭვოა ყველა გარემოვაჭრეს შეხვდეს ადგილი! ეს დადგენილება თბილისის მერიამ მიიღო! ნავთლუღის ბაზრის შიდა მოვაჭრეებმა კი უკვე ამთავითვე დაიჭირეს „თადარიგი“ და გარემოვაჭრეების გარეკვის მოთხოვნით ქუჩაც გადაკეტეს. შედეგად ცემა-ტყეპა გაიმართა: „საქმეში“ მუშტებთან ერთად „გაუშვეს“ მაწვნის ქილები, თევზის კასრები...

## პროტესტის ნიშნად — მაღაროში

ჭიათურის ერთ-ერთ მაღაროში 40-მდე მეშახტე ჩაიკეტა პროტესტის ნიშნად, რომლებმაც შიმშილობა გამოაცხადეს და მანამ არ აპირებდნენ გარეთ გამოსვლას, სანამ ხელფასებს არ მიიღებდნენ. მათ სოლიდარობა გამოუცხადა 1000-მდე ჭიათურელმა. მოლაპარაკება ჩაკეტილ მეშახტეებთან მთელი ღამის მანძილზე მიმდინარეობდა, მაგრამ ამაოდ. მეშახტეებთან შესახვედრად იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილიც ჩავიდა და სცადა მეშახტეთა დაყოლიება, შეეწყვიტათ აქცია და ხელფასების დაუყოვნებლივ მიცემასაც დაჰპირდა. მეშახტეები დაიმუქრნენ, რომ ხელფასების გაუცემლობის შემთხვევაში კვლავ ჩაიკეტებიან მაღაროებში...

## გიორგი სანაია 27 წლის გახდებოდა

24 თებერვალს გიორგი სანაიას 27 წელი უნდა შესრულებოდა. ჟურნალისტის საფლავზე მისი ახლობლები და მეგობრები შეიკრიბნენ...

რა თქმა უნდა, ყველა ველით, რომ ამ გასაიდუმლოებულ მკვლელობას ბოლოს და ბოლოს აეხდება ფარდა და შევიტყობთ, თუ რატომ, რა მიზეზით და საბაბით ესროლეს ტყვია ჟურნალისტს, ვინ იყო მკვლელობის ნამდვილი ორგანიზატორი! სანამ ამ კითხვებზე არ მივიღებთ ობიექტურ და ამომწურავ პასუხს, მანამდე არავის შეუმსუბუქდება ის დიდი ტკივილი, რაც გიორგის უდროოდ წასვლამ მოგვიტანა!

## მოსალოდნელია დიდი სკანდალი




რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმად დადგენილია ჟურნალისტ ვლადისლავ ლისტევის მკვლელების ვინაობა. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ეს პირები მხოლოდ შემსრულებლები, ანუ ქილერები არიან და 1998 წელს მათივე მოკლულია რუსეთის დუმის დეპუტატი გალინა სტაროვოიტოვა. ქილერებზე გამოცხადებულია ფედერალური და საერთაშორისო ძებნა. საქმეში ჩართულია ინტერპოლი. რუსეთის პოლიტიკურ წრეებში უკვე ლაპარაკობენ, რომ ქილერების დაჭერის შემთხვევაში დიდი სკანდალი გარდაუვალი გახდება, რადგან ლისტევისა და სტაროვოიტოვას მკვლელობების კვალი პირდაპირ წავა ბორის ელცინის უახლესი გარემოცვის ყოფილი წევრებისკენ და უწინარესად ბორის ბერეზოვსკის და ყოფილი ძალოვანი მინისტრებისკენ!

## აშშ ერაყთან ომს დაიწყებს

დასავლეთის მასმედიაში სულ უფრო ინტენსიურად ფიგურირებს ინფორმაცია, რომ აშშ-ის სპეცდანიშნულების რაზმები უკვე ერაყის ტერიტორიაზე, ე.წ. აკრძალულ ზონაში იმყოფებიან, რომელიც ძირითადად სადამ ჰუსეინის მოწინააღმდეგე ქურთთა ტომებითაა დასახლებული. იმავდროულად, ქუვეითში ამერიკელების საწვრთნელ ბაზებში დღედაღამ ავარჯიშებენ სადამ ჰუსეინის ოპოზიციურ ძალთა სამხედრო ფორმირებებს. რაც შეეხება ამერიკელთა გეგმას, გაჟონა ინფორმაციამ, რომ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად პენტაგონი 200 ათასი ჯარისკაცის გაგზავნას აპირებს ქუვეითში, საიდანაც განხორციელდება კიდეც შეტევა ბაღდადზე! სავარაუდოდ, ომი ერაყის წინააღმდეგ მარტის ბოლოს დაიწყება!

## ჟურნალისტს ყელი გამოსჭრეს

ამერიკული „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ კორესპონდენტი 38 წლის დენიელ ჰერლი, რომელიც პაკისტანელ ფუნდამენტალისტ-ტერორისტებს ჰყავდათ დატყვევებული, სიკვდილით დასაჯეს. მას ყელი გამოჭრეს და ამ ამაზრზენი ანგარიშსწორების ამსახველი ვიდეოკადრები ამერიკის საელჩოს გაუგზავნეს. ჩინეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პრეზიდენტმა ბუშმა ოფიციალურად მიუსამძიმრა ჟურნალისტის ოჯახს და დაიმუქრა, რომ ამერიკელები მკვლელებს მიწიდანაც ამოიღებენ და სასტიკად აგებინებენ პასუხს. ამ ტერორისტული ორგანიზაციის წევრებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დღედაღამ ეძებენ პაკისტანის სპეცსამსახურები, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ სამი ეჭვმიტანილი დააკავეს. მკვლელებს არც დაღუპული ჟურნალისტის ცხედარი გამოუჩენიათ! დენიელ ჰერლის ფეხმძიმე ცოლი ელოდა შინ... ათასობით ამერიკელმა ჟურნალისტმა გაზეთ „უოლ სტრიტ ჯორნელის“ ოფისის წინ მდუმარე აქცია გამართა კოლეგის ხსოვნის პატივსაცემად.

# „უკვე ბევრ კითხვის ნიშანს სვამენ ამერიკელები შევარდნაძის მოღვაწეობასთან დაკავშირებით...“

ფრიად „უცნაური“ ამბები ხდება საქართველოს შიგნით და მის ირგვლივაც. ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში უკვე მეორე კვირაა, იზრდება „ტერორისტთა“ რიცხვი პარლამენტარ ბორის კაკუბავას წყალობით. რუსეთის მასმედიაში კი ვრცელდება გერმანიის დაზვერვის სამსახურის შეფის განცხადება. თითქოს მას ჟურნალ „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უთქვამს, — ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით საქართველოს ხელისუფლებასა და „ალ-ქაიდას“ შორის ნამდვილად არის კავშირი. შესაბამისად, გერმანია იძულებული გახდება, საქართველოსთან გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა, თუ „ალ-ქაიდასა“ და შევარდნაძის მთავრობას შორის კავშირი გაგრძელდებაო(!). მართალია, მოგვიანებით გაირკვა, რომ ჟურნალ „შპიგელში“ მსგავსი არაფერი დაბეჭდილა, მაგრამ ჩვენ რა?! იგორ ივანოვის განცხადება პანკისში ბინ ლადენის ყოფნის შესახებ ობივატელის თვალში გამყარდა შევარდნაძე-„ალ-ქაიდას“ კავშირით... ამასთან, იმავე რუსულ და დასავლეთის სოლიდურ გამოცემებში სულ უფრო მუსირებს „კონფიდენციალური ინფორმაცია“ — პანკისის ხეობაში ამერიკისა და ბრიტანეთის დესანტის გადასხმის შესახებ კონტრტერორისტული ოპერაციის განსახორციელებლად. საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს უარყოფს, თუმცა ადასტურებს, რომ ამერიკელთა დახმარებით მზადდება კონტრტერორისტული ქვედანაყოფი. მოკლედ, იქმნება მოჯადოებული წრე და ძნელია გარკვევა, რა აქვთ ჩაფიქრებული თბილისში, მოსკოვში ან ვაშინგტონში.

ამჟამინდელი საინფორმაციო ომის დინამიკა კი გვიჩვენებს, რომ ყოველივე ეს მოსკოვიდან მოდის კვლავაც, მაგრამ საინტერესოა ერთი გარემოებაც: გასულ კვირას ბუშის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ იქმნება ახალი პროპაგანდისტული სტრუქტურა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პენტაგონის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და სხვა უწყებების საჯარო განცხადებებს. ამავე სტრუქტურას დაექვემდებარება რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ სარედაქციო პოლიტიკაც. მართალია, ამერიკელი ჟურნალისტები უკვე ალაპარაკდნენ, ეს სტრუქტურა დეზინფორმაციის გავრცელების წყაროც იქნებაო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ანტიტერორისტული კამპანიის მეორე ეტაპს ვაშინგტონი მძლავრი საინფორმაციო მომზადებით იწყებს... ამ ფონზეც აქტიურად ფიგურირებს პანკისის ხეობის თემა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციებით და საქართველოშიც უკვე შეგნებულად „ელანდებათ“ ამერიკელი საზღვაო ქვეითები, რომლებიც, შუა აზიის ქვეყნების მსგავსად, დიდი ხნით დაივანებენ აქ და რუსეთის ზრახვებსაც წერტილს დაუსვამენ. ვესაუბრები პარლამენტარ **ზურაბ ჟვანიას,** რომელიც ახლახან დაბრუნდა ვაშინგტონიდან, სადაც თანამოაზრეებთან ერთად შეხვდა ბუშის ადმინისტრაციის წევრებს, კონგრესმენებს, ისტებლიშმენტის წარმომადგენლებს.

— ყველა შეხვედრაზე ცხადი იყო, რომ საქართველო მუდმივი ყურადღების ქვეშაა. კონდოლიზა რაისის და რამსფელდის მოადგილეებმა, ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში ბატონმა ეიდელმანმა, კონგრესის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მნიშვნელოვანმა მოღვაწეებმა უმცირესი დეტალებიც კი იციან საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ვაშინგტონი ნებისმიერი სამხედრო ოპერაციისას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სათანადო საინფორმაციო უზრუნველყოფას, რისი პირველი მაგალითიც მსოფლიომ ნახა სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციისას. დღესაც, როდესაც აშშ-ში ყველა დონეზე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საომარ მოქმედებაში იქნებიან მანამ, სანამ საერთაშორისო ტერორიზმს არ აღგვიან პირისაგან მიწისა. აქ უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება ამ ბრძოლის საინფორმაციო ასპექტებს. არა მგონია, აშშ-ის მთავრობამ რაიმე ცენზურა დააწესოს, რადგან საკმაოდ დახვეწილად მუშაობს ამერიკული მასმედია. ანტიტერორისტული კამპანიის დროსაც ადმინისტრაციის პრინციპია, ჟურნალისტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს გაცილებით მეტი ინფორმაცია და ამით მასმედია გაიხადონ მოკავშირედ. შესაძლოა, ანტიტერორისტული კამპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული დოზით დეზინფორმაციასაც უშვებდნენ. რაც შეეხება ამერიკელების მონაწილეობით სამხედრო ოპერაციის ჩატარებას პანკისის ხეობაში, ვაშინგტონში შევხვდი ყველა იმ ხელმძღვანელ პირს, ვინც უნდა იღებდეს ამ გადაწყვეტილებებს, ყოველ შემთხვევაში, ამზადებდეს შესაბამის წინადადებებს პრეზიდენტ ბუშისთვის. ვესაუბრე რამსფელდის პირველ მოადგილეს პოლ ვულფოვიცს, რომელიც ბუშის ადმინისტრაციაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირია ჩვენი რეგიონის მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკის ჩამოყალიბების სფეროში. გეტყვით, რომ სრულიად გამორიცხულია აშშ-ისა და ნატოს ქვეყნების სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობა პანკისის ხეობის ოპერაციაში. იმავდროულად, საქართველო დაინტერესებულია აშშ-დან მიიღოს მეტი დახმარება, რათა ჩვენმა სპეცდანაყოფებმა თავად გადაწყვიტონ ეს პრობლემები. ვფიქრობ, შექმნილ ვითარებაში უფრო ინტენსიური გახდება აშშ-საქართველოს თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში, რადგან აშკარაა, საქართველოს შეუძლია სერიოზული როლის შესრულება ანტიტერორისტულ კოალიციაში და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს არის არა მხოლოდ აშშ-ის ინტერესი, არამედ უწინარესად საქართველოსი. სამწუხაროდ, კარგად ვერ ვაცნობიერებთ, რაოდენ საფუძვლიანი და სერიოზული ცვლილებები ხდება ჩვენ გარშემო. შუა აზია ჩვენი რეგიონის ნაწილია, ყირგიზეთსა და უზბეკეთში შეიქმნა აშშ-ის მძლავრი სამხედრო პლაცდარმი და როგორც ჩანს, სხვა ქვეყნებშიც შეიქმნება. ბედნიერი ვიქნები, თუ საქართველოშიც იქნება ამგვარი პლაცდარმი, მაგრამ უახლოეს მომავალში ეს არარეალურია.

— **თქვენი აზრით, რას მივაწეროთ რუსულ და განსაკუთრებით დასავლეთის პრესაში ამტყდარი აჟიოტაჟი საქართველოში ამერიკის და მისი მოკავშირეების სამხედრო ქვედანაყოფების შესაძლო გადმოსხმის შესახებ?**

— როგორც პანკისის ხეობაში ბინ ლადენის ყოფნაზე გაკეთდა სასაცილო განცხადებები, ამ შემთხვევაშიც ცარიელ ადგილზეა შექმნილი აჟიოტაჟი. რუსებს ფართოდ აეხილათ თვალი მას შემდეგ, რაც შუა აზიაში დაფუძნდა ამერიკული სამხედრო ბაზები და ეტყობა, ძალიან ნერვიულობენ, იგივე არ მოხდეს საქართველოში. გასაგებია, რომ კრემლი შეშფოთებულია პანკისის ხეობაში და რუსეთის სამხრეთ საზღვრის ამ მონაკვეთზე შექმნილი ვითარებით, მაგრამ ყველას უნდა გვესმოდეს და უწინარესად რუს კოლეგებს, რომ პანკისის პრობლემა არ არის საქართველოს მიერ შექმნილი. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზოგიერთი დაჯგუფება რუსეთის სპეცსამსახურების ძალისხმევით შემოვიდა პანკისის ხეობაში ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება სერიოზულად არ მოეკიდოს ამ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას. გამოვდივარ არა რუსეთის პრობლემებიდან, არამედ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან, რათა საერთაშორისო შეხვედრების დღის წესრიგიდან სიტყვა პანკისის ხეობა საერთოდ ამოვარდეს. მისასალმებელია რუსეთთან თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით ისევე, როგორც ტექნიკური თანამშრომლობა აშშ-სა და ნატოს სხვა ქვეყნებთან, მაგრამ საქმე ქართველმა სამართალდამცავებმა უნდა გადაწყვიტონ. იმავე რუსეთში ყველას კარგად ესმის, რომ არც საქართველოს ხელისუფლება, არც ხელისუფლების გარეთ მყოფი პოლიტიკური ძალები და არც საქართველოს მეგობარი ქვეყნები არ დაუშვებენ რუსეთის მონაწილეობას რაიმე სამხედრო ოპერაციაში საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ტოლფასი იქნება იმისა, რომ საქართველო საბოლოოდ ჩათრეული აღმოჩნდება ჩეჩნეთის ომში, ამ შემთხვევაში, რუსების მხარეზე...



**რას წარმოადგენს კაკუბავა, ვფიქრობ, საზოგადოებისთვის ნათელი უნდა იყოს და არც სურვილი მაქვს მასზე ლაპარაკისა. ტერორისტობის იარლიყების მიწებებაზე კი ვიტყვი, რომ, როდესაც ოთხი წლის წინ პარლამენტის თავმჯდომარეს ეს აბსურდული ბრალდება წაუყენეს, უნდა ექტიურა არა არასამთავრობო სექტორს, არამედ ხელისუფლებას და სპეცსამსახურებს. მაგრამ მაშინ სპეცსამსახურებში ისხდნენ და თავისთვის ქირქილებდნენ.**

**აფხაზეთის კონფლიქტი არ არის ის პრობლემა, რომელიც შეიძლება გადაწყვიტოს ერთმა პიროვნებამ. ვწუხვარ, რომ არანაირი ინფორმაცია და კომენტარი, განცხადება არ გაკეთებულა ასლან აბაშიძის მოსკოვური შეხვედრა-საუბრების შესახებ. შესაბამისად, როგორ შეიძლება მხარი ვუჭერდე მის მოქმედებებს ამ სფეროში, როცა უცნობია, რა დაპირებებს, რა პრინციპებს ეფუძნებოდა ეს მისია.**

— **როდესაც თბილისში ვაშინგტონიდან მოვიდა ინფორმაცია, რომ ამერიკელებთან შეხვედრებისას საუბარი იყო ამერიკელთა დახმარებაზე პანკისის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, პრეზიდენტს თითქოს არ ესიამოვნა ეს და ცოტა უცნაური „მადლობაც“ გადაგიხადათ... საერთოდ, თუ გაქვთ პრეზიდენტთან კონტაქტები?**

— ვფიქრობ, რა დონეზედაც ვაშინგტონში მიგვიღეს, ნამდვილად ბევრს არ გაახარებდა თბილისში... გადადგომის შემდეგ რამდენჯერმე შევხვდი პრეზიდენტს. ალბათ მომავალშიც შევხვდები. მიმაჩნია, რომ მაქვს გავლენა და სიტყვაც ქართულ პოლიტიკაში და მოსწონს თუ არ მოსწონს ვინმეს, ეს გავლენა დიდხანს მექნება. რა თქმა უნდა, ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გავმართავ კონსულტაციებს პრეზიდენტთანაც და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ლიდერებთან.

— **თავად საქართველოს პრეზიდენტის ავტორიტეტი კვლავაც ისე სჭრის აშშ-ში, როგორც უწინ?**

— შევარდნაძეს უამრავი პირადი მეგობარი ჰყავს ამერიკაში. ზბიგნევ ბჟეზინსკიმ გვითხრა, რომ აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ლიდერებს შორის დარჩნენ მხოლოდ ვაცლავ ჰაველი და ედუარდ შევარდნაძე, რომელთა სახელებსაც იცნობენ აშშ-ის ფართო მასებიო. მაგრამ საკმაოდ ბევრ კითხვის ნიშანს სვამენ ამერიკელები შევარდნაძის მოღვაწეობასთან დაკავშირებით და კრიტიკაც ბევრია, უწინარესად ხელისუფლებაში არსებულ კორუფციასთან და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. ამიტომ ვერ გეტყვით, რომ ბოლო პერიოდში შევარდნაძის ავტორიტეტი გაიზარდა აშშ-ში, თუმცა მის აზრს დიდ ანგარიშს უწევენ. ვაშინგტონს სურს, რომ შევარდნაძემ შეძლოს საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნება, უზრუნველყოს მშვიდობიანი ტრანსფორმაცია პოსტშევარდნაძისეული პერიოდისთვის. ერთ-ერთი „რეცეპტი“, რომელიც ბჟეზინსკიმ მოგვცა, მარტივია — ქართველებმა უნდა ისწავლოთ გაერთიანება. თქვენი მუდმივი პრობლემა არის გაუთავებელი დაქსაქსულობა და ურთიერთდაპირისპირება, რაც ხშირად დიდ საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოსო!

— **აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისადმი როგორია ამ ეტაპზე ვაშინგტონის პოზიცია?**

— გაეროს უშიშროების საბჭოსგან საქართველომ მიიღო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ თვითონ არა გვაქვს კარგად წარმოდგენილი, რა გზით ვაპირებთ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას. საკმაოდ გაორებულია საკუთრივ ჩვენი ხელისუფლების პოზიცია. ხან ერთ განცხადებას აკეთებენ, ხან მეორეს — ერთმანეთის გამომრიცხავს და საპირისპიროს, რაც ნამდვილად არ უქმნის ჩვენზე კარგ შთაბეჭდილებას საქართველოს პარტნიორებს. ამის მიზეზია სუსტი მმართველობა და გაუაზრებელი პოლიტიკა. გარწმუნებთ, რომ არც ამერიკელი და არც გერმანელი ჩვენს გასაკეთებელ საქმეს არ გააკეთებს. რაც შეეხება პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის მისიას, წარმოდგენა არა მაქვს, რა წინადადებები ჩაიტანა ასლან აბაშიძემ მოსკოვში, რაზე იყო საუბარი და რა ჩამოიტანა იქიდან. დღეს პირველად ვიტყვი თქვენთან ინტერვიუში ერთი ფაქტის შესახებ: 1998 წელს პრაქტიკულად მომზადებული იყო საქართველოსა და აფხაზეთს შორის ე.წ. სამოკავშირეო სახელმწიფოზე შეთანხმების ვარიანტი, რათა დაძრულიყო სამშვიდობო პროცესი. ამ შეთანხმებაში უნდა დაფიქსირებულიყო, რომ საქართველოს აქვს თავისი კონსტიტუცია, აფხაზეთს თავისი და მათ შორის იდება ე.წ. კონსტიტუციური შეთანხმება და ეს სამოკავშირეო სახელწიფო ხდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ვიმეორებ, ლაპარაკი იყო ერთობლივ სამოკავშირეო სახელმწიფოზე, ერთგვარ კონფედერაციულ ვარიანტზე, რომელიც შემუშავდა რუსეთში და ბორის პასტუხოვი უწევდა ლობირებას! ასეთი მოდელი შესთავაზეს მოლდოვას დნესტრისპირეთთან და აზერბაიჯანს — ყარაბაღთან დაკავშირებით. მოლდოვამ დაუშვა უდიდესი შეცდომა, მიიღო ეს ვარიანტი, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა... როდესაც ხელისუფლების ძალიან ვიწრო წრეში ვიხილავდით ამ მოდელს, კატეგორიულად გავილაშქრე მის წინააღმდეგ და ვთქვი, რომ აბსოლუტურად მიუღებელი და დამღუპველია ჩვენთვის კონფედერაციულ ვარიანტებზე ლაპარაკიმეთქი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ აფხაზეთის კონფლიქტი არ არის ის პრობლემა, რომელიც შეიძლება გადაწყვიტოს ერთმა პიროვნებამ. ვწუხვარ, რომ არანაირი ინფორმაცია და კომენტარი, განცხადება არ გაკეთებულა ასლან აბაშიძის მოსკოვური შეხვედრა-საუბრების შესახებ. შესაბამისად, როგორ შეიძლება მხარს ვუჭერდე მის მოქმედებებს ამ სფეროში, როცა უცნობია, რა დაპირებებს, რა პრინციპებს ეფუძნებოდა ეს მისია.

— **აფხაზეთიდან დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, იგივე თამაზ ნადარეიშვილს, მოძრაობა „დაბრუნებას“ და სხვებსაც, ეჭვი აქვთ, რომ ამჯერადაც ე.წ. სამოკავშირეო სახელმწიფოზეა ლაპარაკი. საინტერესოა, ეს ე.წ. სამოკავშირეო სახელმწიფოს მოდელი 1998 წლის მაისში გალის რაიონის ტრაგიკულ მოვლენებამდე განიხილეთ?**

— დიახ. სხვათა შორის, პრეზიდენტიც წინააღმდეგი წავიდა და საქართველოს მხრიდან დაფიქსირდა, რომ ეს ვარიანტი ჩვენთვის მიუღებელია. მომხრეები კი ამ ვარიანტს ჰყავდა საქართველოს ხელისუფლებაში... ამიტომ ნადარეიშვილსაც და სხვებსაც ეჭვის საფუძველი ნამდვილად გააჩნიათ. ეს ის თემა არ არის, რომ ღრმად გასაიდუმლოებული იყოს საზოგადოებისთვის. ვფიქრობ, პრეზიდენტსაც არა აქვს მთლად ზუსტი წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რა ილაპარაკა ასლან აბაშიძემ მოსკოვში... ჩვენ შუა საუკუნეებში არ ვცხოვრობთ, რომ ვილაცა თავს აძლევდეს უფლებას, გაასაიდუმლოოს ასეთ თემებზე საუბრის ზოგადი შინაარსიც კი... საერთოდ, აფხაზეთის პრობლემა ის თემა არ არის, სადაც ცალკეული გუბერნატორი თუ მოღვაწე უნდა გამოდიოდეს პირადი ინიციატივებით. ინიციატივა უნდა იყოს ხელისუფლების ხელში... თუ ძალისმიერი გზით გვინდა დავბრუნდეთ აფხაზეთში, საამისოდ უნდა მოემზადოს ხელისუფლება და არა მხოლოდ რომელიმე რეგიონი. ამაზე უფრო უხეში და უაზრო პოპულიზმი ვერც კი წარმომიდგენია.

— **ამ პროცესების ფონზე უცნაურად არ მოჩანს კაკუბავას მიერ ლამის მთელი უმაღლესი ხელისუფლების ტერორისტებად გამოცხადება?**

— რას წარმოადგენს კაკუბავა, ვფიქრობ, საზოგადოებისთვის ნათელი უნდა იყოს და არც სურვილი მაქვს მასზე ლაპარაკისა. ტერორისტობის იარლიყების მიწებებაზე კი ვიტყვი, რომ, როდესაც ოთხი წლის წინ პარლამენტის თავმჯდომარეს ეს აბსურდული ბრალდება წაუყენეს, უნდა ექტიურა არა არასამთავრობო სექტორს, არამედ ხელისუფლებას და სპეცსამსახურებს. მაგრამ მაშინ სპეცსამსახურებში ისხდნენ და თავისთვის ქირქილებდნენ. მეტიც, თავად პრეზიდენტმაც არ მოახდინა ამ ბრალდებებზე შესაბამისი რეაგირება, რაც ჩემთვის საკმაოდ უცნაური იყო. როდესაც პოლიტიკაში ასეთი ბინძური მეთოდების დანერგვა ხდება, არავინ იქნება დაზღვეული, რომ შემდეგ ეს სიბინძურე მას არ მიუბრუნდება. დღეს ამას ყოველგვარი ნიშნისმოგების გარეშე ვამბობ და ვერც კი წარმომიდგენია, რომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ღირსეულ პიროვნებას, ბატონ ნუგზარ საჯაიას გულში გაევლოს მსგავსი „ტერორისტული“ მოსაზრებები. სპეცსამსახურებს შესწევთ უნარი, პასუხი გასცენ „ბრალმდებლებს“ და ერთხელ და სამუდამოდ ამ მარაზმს წერტილი დაესვას!

— **ედპ-მ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იწყებს ბრძოლას ფსევდონაციონალისტების, უწარსულო, ურელიგიო ორგანიზაციებისა და პოლიტკოსების წინააღმდეგ, რომელშიც თქვენ და მიშა სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა მოიაზრებით. პრეზიდენტმა გადააყენა თქვენი თანამოაზრე გუბერნატორი და კიდევ რამდენიმე გამგებელი. ამასთან, ბოლო დროს კვლავ „აქტიური“ გახდა პრესაში პრეზიდენტის ე.წ. მემკვიდრის საკითხზე მსჯელობა...**

— ვთქვი, რომ არაფერს ვიტყოდი კაკუბავაზე და იმავე მოსაზრებას გავაგრძელებ სარიშვილი-ჭანტურიაზე, რადგან ნამდვილად არ ვაპირებ საპასუხო განცხადებების კეთებას. რაც შეეხება მემკვიდრეს, ჩემი საქმე არ არის ყავის ჭიქით ან ბანქოს ქაღალდით მკითხაობა. დამითმია სარიშვილისთვის და სხვა მოღვაწეებისთვის, რომლებიც მსგავსი პროგნოზებით ირთობენ თავს. არავის შევეცილები იმაში, რომ თავი იგრძნონ შევარდნაძის მემკვიდრეებად. გადაწყვეტილების მიმღები იქნება ხალხი და საქართველოში ვერავინ დანიშნავს თავის ე.წ. მემკვიდრეს. რაც შეეხება ბუჩუკურის გადაყენებას, ეს ერთმნიშვნელოვნად პოლიტიკური ანგარიშსწორებაა იმის გამო, რომ მისმა მეუღლემ მარინე მოლოდინმა არ დატოვა ჩემი ფრაქცია, არ დატოვა მოქალაქეთა კავშირი. მთავრობის აქტივის იმ სხდომაზე ბუჩუკურის გვერდით ისხდნენ ნასუქი მოღვაწეები, რომლებსაც უზარმაზარი თანხები აქვთ მითვისებული და ამ საქმეს წარმატებით აგრძელებენ. ხოლო ფასი იმისა, რომ მათ ამ კორუფციაში „ვერავინ ამჩნევს“, გახლავთ ამ ხალხის პოლიტიკური ლოიალობა პრეზიდენტ შევარდნაძისა და მისი ადმინისტრაციისადმი. ყველაზე სახიფათო ის არის, რომ კორუფციასთან ბრძოლა გადადის წვრილმან პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში, რაც ცუდის მანიშნებელია საზოგადოებისთვის... გამგებლებთან დაკავშირებით კი პარლამენტში შაყირობდნენ — თუკი ჟვანიამ ვინმეს ჩამოართვა ხელი, უკლებლივ ყველას ხსნიან თანამდებობიდანო! დიახ, რამდენიმე გამგებელი კვლავაც სიმპათიას გამოხატავდა ჩვენ მიმართ და სწორედ ამის გამო დაისაჯნენ. მაგრამ ვინც ჩემ გვერდით დგას, მათთვის თანამდებობების დაკავება არ არის თვითმიზანი. ხოლო ის ხალხი, რომელიც წლების მანძილზე გვებრძვის, თავს იკლავს, რათა როგორღაც აბობღდეს იმ სავარძლებამდე, რომლებიც ჩვენ რამდენიმე წუთში დავთმეთ.

— **როდის გააფორმებთ ალიანსს მიშა სააკაშვილის ნაციონალურ მოძრაობასთან და საერთოდ, როგორ გესახებათ მომავალში თქვენი და სააკაშვილის ურთიერთობა, სადაც ამთავითვე გიწინასწარმეტყველებენ დაპირისპირებას და ბრძოლას უმაღლესი ხელისუფლებისათვის.**

— გავაგრძელებთ კონსულტაციებს სხვადასხვა პარტიასთან და იმედი მაქვს, მალე მკაფიო კონტურები გამოჩნდება ამ ახალი ალიანსისა. არც ჩემთვის, არც მიშასთვის, არანაირი თვითმიზანი არ არის რომელიმე სკამზე შემოჯდომა. ბევრ საკითხში ჩვენი პოზიციები და სტრატეგია საქართველოს განვითარებასთან დაკავშირებით ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ არის აზრთა სხვაობაც. არის საკითხები, რომლებიც აღიზიანებს სააკაშვილს და მის მომხრეებს, ჩვენთვისაც ბევრი რამ არის გამაღიზიანებელი მათ მოქმედებებში და ზოგჯერ მათი ზედმეტი რადიკალიზმიც არ არის მისაღები. ვფიქრობ, დავძლევთ ამ წინააღმდეგობებს. რაც შეეხება ჟვანია-სააკაშვილს შორის დაპირისპირებას, გარწმუნებთ, ეს ჩვენი მტრების აუხდენელ ოცნებად დარჩება!

*ზურაბ მჭედლიშვილი*

25 თებერვალს აღინიშნება მართლმადიდებელი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდის — ივერიის ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული.

ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის არაერთხელ გვიამბნია იმ საკვირველებათა შესახებ, რომლებსაც ახდენს არა მარტო ივერთა სავანის კარიბჭეში დაბრძანებული ხატი, არამედ ამ ხატის ასლებიც, რომელსაც უდიდესი კრძალვით მიეახლებიან სხვადასხვა ქვეყნის მომლოცველები.



შეგახსენებთ, რომ იმ ადგილას, სადაც წმინდა გაბრიელმა, ტომით ქართველმა, ხატი ზღვიდან ამოასვენა, ამოსჩქეფა საკვირველთმოქმედმა წყარომ, რომელიც დღემდე მოედინება და ყოველგვარ ხორციელ და სულიერ სნეულებათა მკურნალია.

არსებობს გადმოცემა, რომ სანამ კარიბჭის საკვირველთმოქმედი ხატი ივერთა სავანეში იმყოფება, ათონის მთა მთელ ქვეყანას მოჰფენს მართლმადიდებლობის წმინდა ნათელს, მაგრამ დადგება დრო და ხატი გაუჩინარდება ისეთივე იდუმალი გზით, როგორითაც მოვიდა. მაშინ ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ წმინდა მთა. სოფლის აღსასრულისა და უფლის მეორედ მოსვლის ერთ-ერთი ნიშანი სწორედ ეს იქნება.

გადმოცემის თანახმად, ივერიის ღმრთისმშობელი ლუკა მახარებლის მიერ არის დაწერილი. ხატი სიგრძეში 1,37 მეტრია, ხოლო სიგანეში — 0,9 მეტრი. ხატზე ჭარბობს მოშავო-მონაცრისფრო ტონები და სახეზე დღემდე ამჩნევია სისხლიანი ჭრილობა. საკვირველთმოქმედი ხატი მთლიანად მოჭედილია ოქროცურვილი ვერცხლით და შემკულია სხვადასხვა მეფეთა, დიდებულთა და მადლიერ თაყვანისმცემელთა მიერ შეწირული ოქროს მონეტებით, ძვირფასი ქვებითა და სამკაულებით. ხატის წინ ჰკიდია 12 უქრობი კანდელი.

ივერიის ღმრთისმშობლის ხატი ქაიხოსრო ჯუღელის შემოწირულობითა და სამცხის ეპისკოპოს ამბროსის ღვაწლით მოუჭედავს ქართველ ოსტატს, რასაც ადასტურებს წარწერა ხატის პერანგის ქვედა ნაწილზე.

საუკუნეებმა ვერ შეარყია ივერიის ხატის პატივისცემა. დღესაც დღესასწაულზე ათასობით მორწმუნე ავსებს მონასტერსა და მის ეზოს, ნავმისადგომსა და მთელ სანაპიროს. აურაცხელია სახიერი მეკარის ხატიდან მომდინარე კურნებანი და საკვირველებანი.

ამჯერად გიამბობთ ივერთა მონასტრის საკვირველთმოქმედ კანდელზე, რომელიც ბენედიქტე ჭყონდიდელს შეუწირავს 1834 წელს. ეს დიდი, უძველესი ვერცხლის კანდელი წარმოადგენს უცნაურ და საიდუმლოებით მოცულ მოვლენას, ხილულ საოცრებას, ვინაიდან არ ემორჩილება სიმძიმის ძირითად კანონს და მოძრაობს თავისთავად, უხილავი ძალით, რითმულად და ჰორიზონტალურად.

ეს სასწაული ხდება დიდ დღესასწაულებზე წირვისა და ლოცვის დროს, ხოლო ჩვეულებრივ დღეებში — მოულოდნელად და უეცრად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა წირვა.

უძველესი გადმოცემის მიხედვით, დღესასწაულებზე კანდელის თავისთავადი მოძრაობა აღიქმება, როგორც თვალხილული ნიშანი და დასტური იმისა, რომ ღმრთისმშობელი იმ დროს თავის ტაძარში იმყოფება და ანუგეშებს იქ მყოფთ.

რაც შეეხება კანდელის მოძრაობას ჩვეულებრივ დღეებში, ამით ღმრთისმშობელი გვაფრთხილებს, რათა ლოცვითა და სინანულით გამოვისყიდოთ ჩვენი შეცოდებანი ღმრთის წინაშე და შეძლებისდაგვარად ავიცდინოთ მომავალი განსაცდელი.

ათონელთა მოწმობით, თურქეთის ჯარების კვიპროსზე თავდასხმის წინა დღეებში კანდელი ისე ძლიერად მოძრაობდა, რომ ზეთი ძირს იღვრებოდა. კანდელი მოძრაობდა სომხეთის თავს დამტყდარი მიწისძვრის დროსაც. და, როგორც ამბობენ, 9 აპრილის ცნობილი მოვლენების წინა დღეებშიც.

ივერთა მონასტრის მამები ყურადღებით ადევნებენ თვალს საკვირველთმოქმედ კანდელს და როცა იგი ძლიერად იწყებს მოძრაობას დაუყოვნებლივ აცნობებენ ხოლმე ათონის მთის ყველა მონასტერს და განდეგილ მამებს, რის შემდეგაც აღევლინება ერთობლივი ლოცვა.

ეს კანდელი დიდებული მოწმობაა იმისა, რომ ღმრთისმშობელი მუდამ ჩვენ გვერდით იმყოფება.

რამდენიმე თვეში კანონშემოქმედებითი მუშაობით ან კიდევ სხდომებზე მუშტი-კრივით დაღლილ-დაქანცულ დეპუტატებს საშუალება მიეცემათ პარლამენტის შენობაშივე განთავსებულ პატარა სამლოცველოს მიაშურონ, სანთელი დაანთონ და ღმერთს საქართველოს გადარჩენა შესთხოვონ... იქნებ ამან მაინც გვიშველოს!!! ეს ახალი ინიციატივა პარლამენტის ახალ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ეკუთვნის...



პარლამენტის შენობის მიწისქვეშა სართულზე ძველი ეკლესიის თაღებია შემორჩენილი.

ეს იყო ალექსანდრე ნეველის სახელობის კავკასიის სამხედრო ტაძარი, რომელიც თბილისში 1896 წელს აუშენებიათ, როგორც რუსეთის კავკასიაში გამარჯვების სიმბოლო (არქიტექტორი ყოფილა გარუსებული გერმანელი გრიმი). ტაძრის მოედანს ღუნიბის მოედანი ერქვა. ღუნიბი შამილის ბოლო გამაგრებული ადგილი იყო დაღესტანში, რომელიც რუსებს 1859 წელს აუღიათ...

სამხედრო ტაძარში, ბუნებრივია, რუსი სამხედროები სტუმრობდნენ. მას თბილისელები მაშინაც და დღესაც „სობოროდ“ მოიხსენიებენ. ეკლესიის უკან ბერების სენაკები (კელიები) და წმინდა საფლავები იყო, მოედანზე სამხედრო აღლუმები იმართებოდა...

მე-11 არმიის შემოსვლისას ტაბახმელის ცნობილ ბრძოლებში დაღუპული ახალგაზრდა იუნკრები „სობოროს“ ეზოში დაკრძალეს. აქვე ყოფილა საქართველოს დამოუკიდებლობას შეწირული მოწყალების დის, მშვენიერი მარო მაყაშვილის საფლავი.

30-იან წლებში თბილისში მთავრობის სახლის მშენებლობა დაიწყეს და, ბუნებრივია, ათეისტ მთავრობას არც ეკლესია სჭირდებოდა და არც წმინდა საფლავები. „სობორო“, ისევე როგორც არაერთი ეკლესია საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლებას გადაჰყვა.

1996 წელს, როცა დღის წესრიგში სამოქალაქო ომის დროს დანგრეული პარლამენტის შენობის აღდგენა-რეკონსტრუქციის საკითხი დადგა, პროექტში ზემოთ ნახსენები სამლოცველოც შეუტანიათ. პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია -მ აკურთხა, ხოლო სამლოცველოს ესკიზის შექმნაში მონაწილეობა მეუფე დანიელმა მიიღო. პროექტი კარგა ხნის დამტკიცებულია, თუმცა ამ მადლიან საქმეს თავი ბოლომდე ვერ მოება.

**სოფიო გვალია** — პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში:

— იდეა დიდი ხანია, რაც არსებობს, მაგრამ უფულობის გამო მისი ხორცშესხმა ვერ მოხერხდა. ქალბატონი ნინო ძალიან მონდომებულია. იმედია, ეს კარგი საქმე ახლა მაინც გაკეთდება.

— *ამჯერად გაქვთ ფინანსები?*

— ამ წუთში არ გვაქვს, მაგრამ მალე საინიციატივო ჯგუფი შეიქმნება, რომელიც თანხების შეგროვებაზე იზრუნებს. ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დაიხარჯება. ძირითადად შემოწირულობების იმედი გვაქვს. თითქმის ყველა ფრაქციას ვესაუბრეთ და ამ საკითხთან დაკავშირებით „ოპოზიციური“ მოსაზრება არავის გამოუთქვამს. ყველა თანახმაა. რაღაცნაირად თითქოს დაწყევლილია ეს ადგილი და სამლოცველოს გახსნით იქნებ უფლის მადლი გადმოვიდეს.

— *სულ რა რაოდენობის თანხაა საჭირო?*

— რომ დაიანგარიშეს, 55 ათასი ლარი გამოვიდა. მე მგონი, ამ თანხის მოგროვება პარლამენტში არ გაჭირდება.

— *სავარაუდოდ, როდის დასრულდება სამლოცველოს მშენებლობა?*

— მაქსიმუმ პირველი სექტემბრისთვის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველანაირად ვეცდებით.

ერთი სიტყვით, საზაფხულო არდადეგებიდან მობრუნებულ დეპუტატებს პატარა სამლოცველო ალბათ უკვე დამთავრებული დახვდებათ.

ქრისტიან კაცს იმის გაფიქრებაც კი ზარავს, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შინდისფერ ფარდაგდაგებული დერეფნებისა და ტალანების ქვეშ ძველი ეკლესიის ნანგრევებია მოქცეული...

***ხათუნა ყვირალაშვილი***

ჩვენს საზოგადოებას იმდენი რამ დაეყარა თავზე, პირის გაღების თავიც აღარ აქვს და უდრტვინველად იღებს ყველაფერს... თუ ვინმემ მაინც რაიმეზე პროტესტის გამოთქმა დააპირა — ვაი მისი ბრალი, თავისუფლების სახელით მაშინვე ჩავჩრით ბურთს — ყველას აქვს უფლება ისე იცხოვროს, როგორც უნდაო... კი, ბატონო — ჰომოსექსუალისტებმა და ლესბოსელებმა ღამის ოფიციალური კლუბები გახსნეს, პოლიტიკოსები ერთმანეთს სცემენ, ინტელიგენცია ტელეეკრანზე ილანძღება, წამოჩიტული გოგონები ღამით ქუჩაში ელოდებიან ფულიან „კლიენტებს“ და ა.შ.... ყველაფერს თვალი და ყური შევაჩვიეთ... ასეა, მაგრამ მაინც მემწარა, ერთ დილით ნავთლუღის ბაზარში შემთხვევით მოხვედრილმა, ერთი საათის მანძილზე, ხალხის ყაყანში ნარკოტიკებზე შეთხზული სიმღერები რომ ვისმინე, მაგალითად, ასეთი: „ყველაფერს რომ დაიკიდებ, გულზე მოგეშვება... სამოთხეა, როცა კაცი პლანით კაიფობს... ეს ცხოვრება კაიფია, ძამია, დაიკიდე ყველაფერი — სჯობს“... პარალელურად დახლებთან შეგროვილი 18-20 წლის ბიჭებს ვათვალიერებდი და ჩემდა უნებურად, ჭირისუფალივით გულში ვიმეორებდი: „ვაი, საცოდავო საქართველო, რა გზით მიდიხარ?..“

რეპერტუარი თუ გაინტერესებთ, გეტყვით — ბოშური კაბრიოლეტის ჰანგებით დაწყებული, ქართული „შემოქმედებით“ დამთავრებული. რა გინდა, სულო და გულო — კანაფის, პლანის, მორფინის ქება-დიდება ისმოდა ყველგან.

ნარკომანს ნამდვილად არ ვგავარ და ცოტა შევფიქრიანდი, ამ ბიზნესით რომ დავინტერესდე, გამყიდველები არაფერს გამომიჩენენ-მეთქი, მაგრამ არ გეტკინოთ არაფერი — ოღონდ რაიმე იყიდე და თან გადაგყვებიან. საკმარისი იყო „ქურდული სიმღერები“ მომეთხოვა, რომ ნაირ-ნაირი გადმომილაგეს — ესენი თუ არ მოგწონთ, უკეთესებსაც გიშოვითო, — შემპირდნენ, — ყველა ორიგინალია და თან ფასიც დიდი არაფერი აქვს — 2-3 ლარი ღირსო.

ისე, იმდენ ხანს ვათვალიერე ეს ავლადიდება, ერთს მაინც შეეპარა ეჭვი — რა კითხვებს იძლევი, „ორგანოს“ თანამშრომელი ხომ არ ხარო... დავამშვიდე: ჩემს ახლობელს აინტერესებს (ღმერთმა დაიფაროს!) „ბლატნოი“ სიმღერები და მინდა ვაჩუქო-მეთქი...

თან შევთავაზე: ის ჩემი ახლობელი რაიონში ცხოვრობს, დამაკავშირეთ მომმარაგებელს, პროდუქციას იქ გავუსაღებ, იმასაც ფულს ვაშოვნინებ და მეც ვიშოვი-მეთქი... რას ამბობ, ქალბატონოო, მითხრეს, — ამდენი ხალხი რაიონებზე ვმუშაობთ, დღეში 50-60 კასეტას ვყიდით და მაგ ბიზნესს ვინ დაგითმობსო... ერთხელ კიდევ ვცადე და ჩამწერი სტუდიის მისამართიც გამოვიკითხე... მაგრამ ისეთი კონსპირაციული ნიჭი გამოიჩინეს, ვერაფერს გავხდი... ისე, მაინც წამოცდათ, — „მთავარ მომღერალს“ გია ჰქვია და ჩამწერი სტუდია გლდანშიაო... მიდი, ახლა და ეძებე ეს „საიდუმლო“ სტუდია... რომც ვიპოვო, მერე რა?

სახსოვრად „ქურდული“ სიმღერების ერთი კრებული შევიძინე და ბაზრის დირექტორს ვესტუმრე.

ვუთხარი — იმ ასაკის ბრძანდებით, შვილებიც გეყოლებათ და შვილიშვილებიც, ნუთუ არ გეშინიათ ამ თემის პროპაგანდის მსხვერპლნი ისინიც რომ გახდნენ-მეთქი... მეო, — მითხრა, — ეგ არ მეხება, იმიტომ რომ ეგ პროდუქცია ბაზრის გარეთა ტერიტორიაზე იყიდება, იქაურობას კი მაფია აკონტროლებსო... შევახსენე — მსგავსი ვაჭრობა ბაზრის შიგა ტერიტორიაზეც ყოფილა-მეთქი. — დამამშვიდა, — ავკრძალავ, ნეტა მაგის მეტი არაფერი იყოს ასაკრძალიო...



იქიდან გამოსულმა, წესრიგის დამცველების ძებნა დავიწყე. „შტაბი“ ბაზრის ბოლოს ვიპოვე, მაგრამ იქაურობას უზარმაზარი ბოქლომი ედო. იქვე მდგომმა მოვაჭრემ მითხრა, შვილო, მანქანაში რომ ჩასხდნენ და წავიდნენ, იმის მერე თვალით არც ერთი არ მინახავსო. ესეც ასე... დიდხანს ვიარე ჭუჭყსა და ტალახში, მაგრამ წამლად ერთი პოლიციელი არ შემხვედრია... დავდიოდი და თან ვფიქრობდი — ეს გამწარებულ-გაბეზრებული ხალხი ერთმანეთს რომ დაერიოს (მე შენ გეტყვი და, არ ხდება!), ვინ გააშველებს-მეთქი... მაგრამ მალევე გამახსენდა, რომ თუ თაფლია, ბუზი ბაღდადიდანაც მოვა...

ერთი სიტყვით, დიდხანს ვიმოგზაურე ახალშეძენილი „ნადავლით“ და როგორც იქნა, ერთ სოლიდური გარეგნობის წესრიგის დამცველსაც წავაწყდი, მაგრამ რად გინდა — არ ვიცი, რა ბზიკს ჰქონდა ნაკბენი, შეკითხვა რომ დავაპირე, მაშინვე შემაწყვეტინა — აქაური არ ვარ, სხვა რაიონიდან მოვედიო (თუმცა სარწმუნო წყაროთი შევიტყვე, ცრუობდა), თან მომაძახა, — ამ სიცივეში რა წერა-კითხვა აგიტყდაო...

კიდევ კარგი, წამოსვლისას ერთ ღვთისნიერ პოლიციელს გადავეყარე, ადამიანურად კი დამელაპარაკა, მაგრამ ისეთი ამბავი მიამბო, კინაღამ ენა ჩამივარდა, — აბა, რა გიკვირს, შვილო, გუშინ ამ ხნის კაცი ისეთ რამეს გადავაწყდი, კინაღამ ინფარქტი მომივიდა — შუა ბაზარში ქალი და კაცი პირდაპირ მიწაზე „გორავდნენ“, ხალხმა დამიძახა და მივედი, კაცმა, ვითომც არაფერიო, მითხრა, — ისეთს რას ვშვრებით, თუ არ გსიამოვნებთ, იქით გაიხედეთო... ამ გაჭირვებულ ხალხს რომ უყურებთ, რკინის დახლებზე ათენებენ საცოდავები, ხარახურით თბებიან... ღამე აქ ისეთი ბოლია, ღია სივრცე რომ არ იყოს, ყველანი ამოვიხრჩობოდით... სად გინდა იჩივლო, სად არის სამართალიო...

მართლაც სად არის სამართალი?

დავყურებ ამ ავადსახსენებელ „ქურდული“ სიმღერების „საგანძურს“ და ამ საქმის „შემოქმედებს“ ვეკითხები, — თუ თავი არ გეცოდებათ, რა დააშავეს სხვისმა შვილებმა, ძმებმა, ნათესავებმა, იმ თაობამ, რომელმაც თვალი გაახილა თუ არა, თქვენისთანებისგან მოზელილ წუმპეში ამოყო თავი, საშრობივით ისრუტავს ამ საშინელ პროპაგანდას და — არა მხოლოდ ნავთლუღის ბაზრიდან...

მართლაც, რა გზით მივდივართ?

***ეთერ ერაძე***






# რისი თქმის უფლებაც წინა ორშაბათს არ გვქონდა...

*ალბათ დადგა კვლავ ის დრო-ჟამი, როცა ჩვენ („კვირის პალიტრა“) უნდა გავესაუბროთ ჩვენთან საუბარს შეჩვეულ მკითხველს...*

*ახლა უკვე თავისუფლად შეგვიძლია გითხრათ ის, რისი თქმაც წინა ნომერში, არ შეგვეძლო. აქ კიდევ ერთხელ მიგაბრუნებთ იმ წერილთან, გასულ ნომერში 31-ე გვერდზე რომ შემოგთავაზეთ და რომელმაც ქალაქში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია:*

რედაქციას ერთი ძველი ნაცნობი ეწვია, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, სიზმრად ხედავს იმ საშიშროებას, რაც მოსახდენია და რაც, კვლავ მისივე თქმით, უცილობლად სრულდება (ამის დასამტკიცებლად რამდენიმე უკვე მომხდარ ფაქტს ასახელებს... სხვათა შორის, ერთ-ერთი – ადრე რედაქციას ტელეფონით ამცნო და ის ნაწილობრივ ასრულდა), ამიტომ ახლა დროა, ფინალისკენ წავიდეთ...

გურამ ალოევი ამბობს, რომ სიზმრად ნახა დანგრეული ქალაქი... მან იცოდა – ეს თბილისი იყო... შემხვედრ კაცს ჰკითხა, – როდის მოხდა ესო. 20 თებერვალს, – იყო პასუხი... რომელ საათზე? – 8 სთ-სა და 20 წუთზე...

გურამი სთხოვს ყველას – იყავით ფხიზლად! შეხვდით ამ დილას გარეთ, ნუ იქნებით შენობებში...

ჩვენი მხრივ დავძენთ – მოგვიტევეთ, თუ აგაფორიაქეთ... მაგრამ განა გვქონდა უფლება, არ გაგვენდო მკითხველისთვის ასეთი დაჟინებითი თხოვნა?..

ერთი ადამიანის სიცოცხლესაც კი რომ საფრთხე შეექმნეს ამ უთქმელობით, სინდისი შეგვაწუხებს... ღმერთმა დაგვიფაროს და გვიხსნას განსაცდელისაგან... ისე, დრო სულ კატაკლიზმებით დაიხუნძლა...

რა გითხრათ? არ არსებობს განსაცდელი, რომელიც ღვთის ნებით არ აგვშორდება... მხოლოდ ჩვენი დაუცხრომელი ლოცვით შეისმენს უფალი ვედრებას... შეგვეწევა დედაღვთისმშობელი.

დაიძინეთ პირჯვრით და „უფალო, შეგვიწყალენ“ სამჯერ წარმოთქვით მაინც...

ინებოს უფალმა მშვიდობით მივეგებოთ 20 თებერვლის დილას. ა მ ი ნ!

...სხვათა შორის, ამ დღეებში ძლიერმა ქარებმა დედაქალაქის სხვადასხვა უბანში სახლები დააზიანა. იქნებ სწორედ ამას ნიშნავს გურამის სიზმარი.

***„კვირის პალიტრა“ №7; 18 თებერვალი***

## რისი თქმის უფლებაც წინა ორშაბათს არ გვქონდა...

გადაწყვეტილება ნაუცბადევი არ იყო... დიდხანს ვფიქრობდით, გვეთქვა თუ არა, და თუ კი – როგორ გვეთქვა თქვენთვის ის სათქმელი, რისი უთქმელობაც, ჩვენი აზრით, არ შეიძლებოდა. ვიცოდით, აფორიაქდებოდით, ვიცოდით, ზოგი მადლობელი დაგვრჩებოდა, ზოგი პირიქით – თავის აღშფოთებას ვერ დამალავდა; მაგრამ გვქონდა კი უფლება, გავჩუმებულიყავით და ხელის ერთი აქნევით მოგვეშორებინა კაცი, რომლის ნათქვამი (სიზმრად ნანახი), ადრე ნაწილობრივ აცხადდა და ჩვენ ამის შემსწრენი გავხდით... მაინც რას ვგულისხმობთ?

„ძველი ნაცნობი“ ტყუილად არ გვიწოდებია მისთვის – ამ პიროვნებამ, წელს, იანვრის ბოლო იყო, როცა რედაქციაში დარეკა და გვითხრა – ადგილი არ ვიცი, მაგრამ კავკასიაში მიწისძვრა მოხდება და ხალხი დაიღუპებაო... ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ პროგნოზის გამოქვეყნება არც გვიფიქრია, „წინასწარმეტყველები“ მრავლად მოდიან ხოლმე რედაქციაში... იმ კვირას, 3 თებერვალს, კავკასიაში არა, მაგრამ ჩვენს მეზობლად, თურქეთში მართლაც ძლიერად იძრა მიწა, რასაც დიდი ნგრევა და მსხვერპლი მოჰყვა... აი, ეს მაგალითი გვქონდა თვალწინ და შევშინდით – ახლა ადგილს, დროსა და რიცხვს პირდაპირ ასახელებდა იგი... თავად განსაჯეთ და შეაფასეთ, სწორი იყო თუ არა რედაქციის ნაბიჯი... თუნდ საშიშროების მისხალი არსებულიყო (ხომ გაგიგიათ, ეშმაკს არ სძინავსო), თუნდ ერთი კაცი დაშავებულიყო ამ ჩვენი უთქმელობის გამო, საკუთარი სინდისი ხომ დაგვტანჯავდა და არც თქვენ დაგვიყვავებდით, – როგორ, იცოდით და დუმდითო?

ნურავის ეგონება, რედაქციამ არ იცოდეს, ვისი რა პრეროგატივაა. არ იცოდეს, ვის რისი ტირაჟირების უფლება აქვს... ისიც იცის, ხალხი მასობრივი ფსიქოზისგან უნდა დაიცვას... იცის და სწორედ ამიტომ არ გავამჟღავნეთ ბოლომდე ყველა ეს ნიუანსი, რომელსაც ახლა გატყობინებთ – რომელიც ვიცოდით და გაზეთის წინა ნომერში შეგნებულად არ ვთქვით. ამ ძველი დამთხვევის თუ წინასწარმეტყველების დაბეჭდვა, მაშინ, როცა ზემოთ ნახსენები „20 თებერვალი“ ჯერ კიდევ წინ იყო, დაგვერწმუნეთ, მართლა სრულ ფსიქოზს გამოიწვევდა...



ერთი სიტყვით, დიდი ფიქრის შემდეგ, ძალიან დიდი ემოციური დატვირთვა რომ არ მიგვეცა, წერილი მოვათავსეთ 31-ე გვერდზე, რუბრიკაში „წისქვილმა კი ფქვასო“ (ანდაზის წინა ნაწილსაც შეგახსენებთ: „ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“. ახლა იმის განმარტებას აღარ შემოგთავაზებთ, რა იგულისხმება ანდაზაში...). ალბათ, ჩვენი სატელევიზიო გამოსვლაც მოისმინეთ. მაგრამ კვლავ დავძენთ – განა ახლობელს არ გააფრთხილებდით? ასე ჩავთვალეთ ჩვენც.

მადლობა ყველას, ვინც ჩვენთან ერთად ილოცა... მადლობა ყველას, ვინც თბილისის თბილ დილას შეეგება და მშვიდობიანი საათების შემდეგ ბედნიერი, სიცოცხლეზე შეყვარებული დარჩა.

იქნებ, დროა, დავფიქრდეთ, რა ძალაა, რასაც ლოცვის ძალა ჰქვია და ისიც დააფიქსირეთ, ზოგიერთმა პირველად რომ აანთეთ სანთელი...

## ჩვენ გვწერენ

ძვირფასო რედაქციავ!

თქვენი გაზეთის ბოლო ნომერში დაბეჭდილი იყო წინასწარმეტყველური მისნობანი, რომელთაც საკუთარი სიზმრების საფუძველზე ადგენს მავანი გურამ ალოევი და თურმე აუცილებლად უსრულდება. ამჯერად მას სიზმრად უნახავს 20 თებერვალს დასანგრევი ქალაქი და მასში თბილისი შეუცვნია.

ამ „წინასწარმეტყველებამ“ 19 თებერვლის ღამით გვარიანად ააფორიაქა ჩვენი დედაქალაქი და მის მცხოვრებლებს მღელვარების ღამე არგუნა. ამიტომ, მე ვვარაუდობ, რომ რედაქციაში მოვლენათა კვალზე გადამეტებული სიმკაცრით და საყვედურებით ავსილ არაერთ წერილს მიიღებდით. ჩემი წერილი კი სხვაგვარი განწყობილების ნიადაგზე გახლავთ შექმნილი.

მე რელიგიის მასწავლებელი ვარ და იმ დღეებში არაერთმა ბავშვმა მთხოვა, მეპასუხა კითხვაზე, რომელი ლოცვით უნდა მიმართონ უფალს განსაცდელის ჟამს. დანამდვილებით ვიცი, რომ სამშაბათ ღამეს ასეულობით და ათასეულობით პატარა ლოცულობდა უფროსებთან ერთად სამშობლო ქვეყნის გადარჩენისათვის. ღმერთისადმი ამდენი ერთდროული მლოცველი ჩვენს დროში ალბათ ჯერ არ ჰყოლია საქართველოს!

მე არც ის ვიცი, რომელი აღმსარებლობის წარმომადგენელია გურამ ალოევი და არც ის – მისი სიზმრები ავადმყოფური ფანტაზიებია, თუ ეშმაკისეული საცდური, მაგრამ ერთს მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ: ამდენი ერთდროული მლოცველის ვედრებას ბოროტი სულების გაუვნებლობაც შეეძლო (თუ ეს მათგან იყო), უფლის რისხვის დაცხრომაც (თუ უფალი გვირისხდებოდა) და თუ არც ერთი იყო და არც მეორე და ხალხი ყალბი განგაშით შეიძრა, მაშინაც კი მომავლისათვის ზენაარისგან კეთილგანწყობის საწინდარი მაინც შეიქმნებოდა, რადგან უფალმა აწ უკვე იცის, თუ რამდენი მლოცველი ჰყავს საქართველოში!

***ნინო მელქაძე, თბილისი***

## კომენტარი საპატრიარქოდან

*ამ ჩავლილი მღელვარე დღეების შემდეგ, რედაქციამ კითხვით მიმართა მამა დავითს (შარაშენიძეს), საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელს:*

**– მამა დავით, თბილისმა მძიმე დღეები გადაიტანა, ხალხი დაიძაბა, აღელდა, სხვადასხვაგვარად გამოხატა ემოციები... დღეს ვნებები ჩაცხრა. მაგრამ კვალი ალბათ კიდევ დიდხანს გაგვყვება. საინტერესოა თქვენეული შეფასება ამ მოვლენისა, თავისი თანამდევი შედეგებით...**

– აქ ერთადერთი შეიძლება ვთქვათ, ამ ბოლო ჟამს, განდგომილების ეპოქაში, ყველაზე უფრო ძნელია მორწმუნემ სულიერი სიფხიზლე შეინარჩუნოს, არ ენდოს და არ მიიღოს ცრუ სასწაულნი, რომლებიც, როგორც ნაწინასწარმეტყველებია, იმდენად უხვად იქნება, რომ შეიძლება მართლებიც აცდუნოსო. მაგრამ ღმერთი მაინც მოწყალეა. ეკლესიის წმ. მამები გვასწავლიან – ღმერთი იმდენად ყოვლადბრძენია, რომ ეშმაკის მანქანებსაც ღმრთის სასიკეთოდ მოაქცევსო. როგორც ყოველთვის, ერთხელ კიდევ დაგვანახა უფალმა, რომ მძიმე განსაცდელის ჟამს არავინაა ჩვენი მეოხი, გარდა უფლისა.

სანუგეშოა, რომ 20 თებერვალს, ნებსით თუ უნებლიეთ, მოხდა ამის გაცნობიერება და ყველამ ერთად შევღაღადეთ „მამაო ჩვენო“. ლოცვას კი უდიდესი ძალა გააჩნია. ამისათვის იონა წინასწარმეტყველისა და ნინევიის ბიბლიური მაგალითიც კმარა. ღმერთმა იონას პირით აუწყა ნინევიელებს, რომ სოდომ-გომორივით დაქცევით ემუქრებოდა მათ. ნინევიელები თავისი სიფიცხით და ცოდვისადმი მიდრეკილებით იყვნენ ცნობილნი. იონასაც არ ეჯერა, რომ აზრი ჰქონდა მათთან ღმრთის სიტყვის მიტანას. დათქმულ ჟამს იჯდა იონა და ელოდა ღმერთის რისხვის დადგომას. მაგრამ მოხდა საოცრება – ღმერთმა ნინევია აღთქმისაებრ, არ გასწირა, რამეთუ ნაცარზე მსხდომებმა შეინანეს, მარხვა გამოაცხადეს: არცა კაცმა, არცა პირუტყვმა არ ჭამოს, არ მოძოვოს, არცა წყალი დალიოს; ჯვალოთი შეიმოსნენ და ილოცვიდნენ.

ღმერთმა მოგვმადლოს ნინევიელთა სინანული. სწორედ ამ სინანულის სიღრმეზეა დამოკიდებული ჩვენი ლოცვების ძალაც.

გაგახსენებთ ერთ ცნობილ ეპიზოდსაც „ქართლის ცხოვრებიდან“, როდესაც ჩალატა ნოინის მკვლელობით განრისხებულმა მონგოლებმა უსამართლოდ მოინდომეს მთლიანად საქართველოს მოსვრა. მხნე გრიგოლ სურამელის მოწოდებით, ქართველობამ ერთობლივი ლოცვით მიმართა ღვთისმშობელს შემწეობისთვის. სწორედ ამ ერთიანი ლოცვის წყალობით გადაურჩა მრისხანე დარბევას ჩვენი ერი, – გვაუწყებს მემატიანე.



რაც შეეხება თბილისელთა მღელვარებას, ვინ იცის, იქნებ მაშინ აღესრულა სწორედ ის უდიდესი, ჭეშმარიტი სასწაული, რასაც პიროვნებისა და ღმერთის ლოცვის გზით პირისპირ შეხვედრა ჰქვია.

## ჩვენ გვწერენ

...უბრალოდ, ძალიან მრცხვენია, რომ ამ 7 წლის მანძილზე ბრმად მოგყვებოდით და თქვენს გაზეთს ვკითხულობდი. ახლა საბოლოოდ მჯერა, რომ თქვენც ედიკაზე მუშაობთ. ხალხის განსამუხტად ამაზე კარგი ვერაფერი მოიფიქრეთ? რახან ცოცხლები გადავრჩით და მიწისძვრამ არ წაგვლეკა, ქუჩებს აღარ გადავკეტავთ და მშვიდად ვიქნებით. ასე გინდოდათ ხალხს ეფიქრა? სიგიჟე მკლავს და იმ 357 ეგზემპლარს ცეცხლში დავწვავ... ამ გათახსირებულ ხელისუფლებას მსახურებდით და არა დაბეჩავებულ ხალხს, რომელთათვისაც ორშაბათი დილა „კვირის პალიტრასთან“ ასოცირდებოდა!

***დ. სიჭინავა***

...„პალიტრელებო“, 18 თებერვალს დაგვიანებით თქვენს გაზეთში ამოვიკითხე იმ დღისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დავფიქრდი...

იმთავითვე ლოცვანი ავიღე ხელში, – ქვემო ბეთლემის ეკლესიის წინამძღვრის ნაბოძები ლოცვანი. სანთლები დავანთე და დავდექი ლოცვად. 150-ჯერ აღვავლინე ღმრთისმშობელი მარიამის ტროპარი... ბოლოს „მამაო ჩვენო“ ვთქვი. გულზე მომეშვა, რაღაც ისეთი დამემართა, რომ მიჭირს გადმოგცეთ: მე უკვე აღარ მეშინოდა. თუ კადნიერებაში არ ჩამომართმევთ, იმ ლოცვას გეტყვით, „მამაო ჩვენოს“ შემდგომ რომ ვთქვი: „მამაო ჩვენო, ღვთისმშობელო ქალწულო, უფალო იესო ქრისტევ, ჩემი ქვეყნის სალოცავებო, დიდო სვეტიცხოველო, ალავერდო ჩემო, სიონო დიდებულო, შეეწიეთ ჩემს ერს, დაიფარეთ იგი, მოეცით მას სიმშვიდე და მოდგმის მატება, სიხარული და სიყვარული ჭეშმარიტი მართლმადიდებლების ერთგულების შეფასებით მოგვეც ჩვენ. მოგვეხმარე, რომ მეტი სიყვარულით და პატივისცემით მოვეპყრათ ერთურთს, რამეთუ ამით შენს დიდებას განვადიდებთ.

უფალო შეგვიწყალენ! უფალო შეგვიწყალენ! უფალო შეგვიწყალენ!“

თქვენი რესპონდენტის ხილვები ჩვენმა ლოცვებმა გააუვნებელყო. იმ დღეს, და დღესაც კი, უამრავი ხალხი მიაწყდა ეკლესიებს. ძალიან ბევრმა გაიღო შესაწირი მოწყალების მთხოვნელებზე.

დიახ! დავიზაფრენით! ვალიდოლები, წვეთები, კარდიოლოგიური შეტევები და უამრავი რამ, მაგრამ უპირველესი ის იყო, რომ ერის უმრავლესობა ლოცვად დადგა. დაუბრებული ადამიანები შერიგდნენ, მდიდრებმა ჯიბეში ჩაიყვეს ხელი...

თქვენი გაზეთის ეგ „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“ რომ არა, საკითხავია, ვიპოვიდით კი ძალას იმისათვის, რომ უამრავ სხვადასხვა გზით მიმავალ ერს ერთი აზრით გვევლო მთელი ორი დღე?!

*პატივისცემით* ***მ. გ.***

...როცა თქვენს გაზეთში ის წერილი გამოქვეყნდა მიწისძვრის თაობაზე, ბევრი ადამიანის მსგავსად, მეც ძალიან შემეშინდა. ჩვენს ქვეყანას იმდენი პრობლემა აქვს, ესღა აკლია „სრული ბედნიერებისთვის“-მეთქი. ვიცი, ხალხის პანიკაში ჩაგდება არ გინდოდათ, ეს თქვენი სტილი არ არის და ამ ამბის გამო დაუმსახურებლად აღმოჩნდით უხერხულ მდგომარეობაში. თქვენი გაზეთიდან ხომ ყოველთვის დადებითი ემოციები და სიმშვიდე მოდის. ცუდისა და უარყოფითისაც კი ზომიერების ფარგლებში წარმოჩენას ცდილობთ. 20 თებერვლის დილას გადავურჩით, ღმერთმა ქნას, მომავალიც მშვიდობიანი იყოს და ყოველთვის სასიხარულო ინფორმაცია გქონდეთ მკითხველისთვის, რომელიც უამრავი გყავთ.

ძალიან მიყვარხართ, ყოველთვის სიხარულს და დიდ სიკეთეს გისურვებთ.

***ქეთინო***

P.S. *(რედაქციისაგან) ზოგიერთმა ჩვენმა „კოლეგამ“ თვალებს არ დაუჯერა, იმ დილით უამრავი ხალხი რომ დაინახა ქუჩაში... „წისქვილში“ დაბეჭდილ ინფორმაციას თუ ამდენმა ხალხმა დაუჯერა, წინა გვერდების მასალებზე რაღა მოხდებოდაო. მაგრამ ჩვენ დიდსულოვნად მივუტევებთ ბოღმას და იმასაც, რომ წერენ, გადაუმოწმებელი ინფორმაცია რატომ დაბეჭდეთ და თუ იმ კაცმა მართლა ნახა სიზმარი, რატომ არ ახდაო... უკაცრავად, მაგრამ სად უნდა გადაგვემოწმებინა? ალბათ, თქვენ იცით და არ გვეუბნებით (ცნობისათვის: მიწისძვრის პროგნოზირება მეცნიერულად ჯერჯერობით შეუძლებელია)... ჩვენი მხრივ კი გეტყვით – გვაპატიეთ, რომ „გაგაწბილეთ“, მაგრამ კიდევ კარგი, რომ „გაგაწბილეთ“ და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.*

*რომ მომხდარიყო რამე, ალბათ ამ „კოლეგებს“ ეწყინებოდათ, მაგრამ ალბათ, უფრო იმიტომ რომ – ნახე, რა გაუმართლათ, დაწერეს და ახდაო...*

*მაგრამ ჩვენ გვიხარია, გვიხარია, რომ ჩვენი ამდენ ხალხს სჯერა და გვიგებენ, თუ რას ნიშნავდა ეს მოკრძალებული „გადაუმოწმებელი“ ინფორმაცია. გმადლობთ.*

# გოგიჩაიშვილი დაპატიმრებას ელოდება?!

*„60 წუთის“ ავტორის, აკაკი გოგიჩაიშვილის სამუშაო ოთახში გასულ კვირას ნასროლი ტყვიის შემთხვევითობას ექსპერტები პირად საუბარში უკვე გამორიცხავენ. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა გოგიჩაიშვილის კაბინეტიდან ამოღებული, ფრაგმენტებად დაშლილი ტყვიის ნაწილების მიუხედავად, უკვე დაადგინეს, რომ ტყვია ლუგერის ტიპისაა და სავარაუდოდ, გასროლა პისტოლეტიდან მოხდა. ამ კვირას უკვე საბოლოოდ გაირკვევა სროლის მანძილიც, თუმცა დღევანდელი მონაცემებით — ტყვია „რუსთავი 2“-ის ოფისის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ხუთსართულიანი სახლის სახურავიდან უნდა იყოს ნასროლი. საგულისხმოა, რომ გიორგი სანაიაც ლუგერის ტიპის ტყვიით მოკლეს. აკაკი გოგიჩაიშვილი მიიჩნევს, რომ ეს იყო გამაფრთხილებელი მესიჯი. პრინციპში, ამ ვერსიას იზიარებს ქალაქის პროკურატურაც, რომელმაც შესაძლოა, მომხდარ ფაქტზე ხულიგნობით აღძრული მუხლი ამ კვირას მუქარის ბრალდებებით შეცვალოს. თუმცა, ქართული კრიმინალისტური გამოცდილებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ ეს საქმეც გაუხსნელი საქმეების მტვერდადებულ კიდობანში აღმოჩნდება. „კვირის პალიტრა“ აკაკი გოგიჩაიშვილს ესაუბრა:*

**— თქვენი სამუშაო ოთახის ფანჯარას, რომელიც მე-16 სართულზე მდებარეობს, ტყვია ესროლეს. როგორ ფიქრობთ, ეს იყო შემთხვევითი გასროლა თუ მიზანმიმართული ქმედება?**

— ჩვენ ეჭვი აღარ გვაქვს, რომ ეს იყო გაფრთხილება, მაგრამ გაუგებარია, კონკრეტულად საიდან მოდის ნიშანი. სავარაუდოა, ამის ჩამდენს მიაჩნია, რომ მასთან დაკავშირებულ თემაზე ვმუშაობთ. არადა, ამ პერიოდში ისეთი მასალა არა გვაქვს, რომ იფიქრო, აჰა, ამიტომ გვესროლეს. ამდენად ცოტა დაბნეულები ვართ.

**— შემთხვევითობა გამოირიცხა?**

— შემთხვევითობას ჩემ გარდა ყველა ექსპერტი გამორიცხავს. მათ მითხრეს, რომ შემთხვევით, ან რიკოშეტით აქ, მე-16 სართულზე ტყვია არ ამოვარდებოდა.

**— ხომ არ გიფიქრიათ, რომ გასროლა მოხდა არა გასაფრთხილებლად ან დასაშინებლად, არამედ ეს იყო საცდელი გასროლა, რომელიც შეიძლება განმეორდეს?**

— თქვენი ვერსია სულაც არ არის გამორიცხული. მით უფრო, რომ ადრე სულ ღია მქონდა ხოლმე ფანჯრები. ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ მე-16 სართულზე შეიძლებოდა ვინმეს ესროლა.

**— დღევანდელი მონაცემებით რას გეუბნებათ ექსპერტიზა?**

— სხვათა შორის, თქვენს მოსვლამდე იყვნენ მოსულები. მანძილი გაზომეს და სავარაუდოდ, ჩვენს მოპირდაპირედ მდებარე ხუთსართულიანი შენობის სახურავიდან არის ნასროლი. საბოლოო პასუხი ამ კვირას იქნება.

**— ოთახის შეცვლას ხომ არ აპირებთ?**

— ვერ ვაპირებთ. ესეც დიდი ბრძოლით მოვიპოვეთ. მოგეხსენებათ, ყველა ტელევიზიაშია ბრძოლა არსებობისათვის. თავიდან მე-18 სართულზე, ძალიან პატარა ოთახში ვიყავით. რამდენიმე თვეა, რაც აქ გადმოვედით.

**— როგორ, ბრძოლა არსებობისათვის?**

— ყველაფერი ცოტაა. არც კამერა გვყოფნის, არც მიკროფონი და ასე შემდეგ.



გამოძიება შემთხვევითობას გამორიცხავს

სურათები მოგვაწოდა გადაცემა „60-მა წუთმა“

**— ამ ცოტა ხნის წინ თემურ ხაჩიშვილმა „კვირის პალიტრაში“ სკანდალური განცხადება გააკეთა გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ისმინებოდა თქვენი, სანაიას, ტაბატაძის და კიწმარიშვილის ტელეფონები და ვინც იმ პერიოდში დარჩა მარტო, ის მოკლეს. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით და თუ შეგიმჩნევიათ, რომ თქვენი ტელეფონი ისმინება?**

— ჩემი ტელეფონი რომ ისმინება, ეს ვიცი დანამდვილებით. ყოველ შემთხვევაში, 3-4 თვის წინ რომ ისმინებოდა, ეს ჩემმა წყარომაც მითხრა.

**— თქვენ თუ ამჩნევდით?**

— კი. ვთქვათ, წავიდა გადამღები ჯგუფი და ვიცით მხოლოდ სამმა. ამ დროს აღმოჩნდებოდა, რომ იქ ყველაფერი იციან, მზად არიან და შესაბამისი ზომებიცაა უკვე მიღებული, რათა ვერ გადაგვეღო.

**— ეს პოლიციას ეხებოდა?**

— პოლიციას, უშიშროებას, საერთოდ ძალოვან სტრუქტურებს. მართალი გითხრათ, ჯერ ეჭვი მქონდა, რომ შიგნიდან ხდებოდა ინფორმაციის გაჟონვა, მაგრამ როგორც გავიგეთ, მოსმენის წყალობით გადიოდა ინფორმაცია.

**— დღესაც გრძელდება?**

— დღეს — უკვე არ ვიცი. ნოემბრის ამბების შემდეგ, რაც სახალხო მღელვარებამ გადაიარა, ერთბაშად მოიხსნა ყოველგვარი პოლიტიკური წნეხი. გახსოვთ ალბათ, გამოდიოდა გაზეთების არმია, რომელიც ჩვენი ლანძღვით იყო დაკავებული, ისიც მიჩუმდა. ინფორმაციას გვიბლოკავდნენ აგრესიულად, — ესეც აღარ არის. პოლიტიკური განცხადებები კეთდებოდა, რომ გასაგებია ვის შეკვეთასაც ვასრულებდით და ათასგვარი სისულელე... ეს ყველაფერი შეწყდა და შეიძლება ითქვას, ვმუშაობთ.

**— სამსახურში გისმენდნენ მხოლოდ?**

— არა, ყველგან.

**— მუქარის ზარები თუ იყო ბოლო პერიოდში?**

— არა. ასეთი ზარებიც შეწყდა. ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ჩვენს წინააღმდეგ სტრატეგიას ცვლის, ანუ დახვედრებმა, მუქარებმა არ გაამართლა... შემდეგ არხის დასახურად მოვიდნენ, არ გამოვიდა. აღმოჩნდა, რომ ხალხი უკვე არჩევს თეთრს და შავს. ვფიქრობ, ამჟამად სწორედ ახალ სტრატეგიაზე მუშაობენ, რათა კისერი მოგვიგრიხონ, თორემ იმის ილუზია არ მაქვს, რომ მთავრობის შეცვლის შემდეგ დემოკრატიული პრინციპებით ცხოვრება გადაწყვიტეს. ასე რომ, მეც ვფიქრობ, რომ ეს არის სახიფათო სიჩუმე გრიგალის მოლოდინში.

**— ახალ სტრატეგიაში რას გულისხმობთ?**

— ალბათ, დაგვაპატიმრებენ... მეტი რაღა უნდა გააკეთონ. არც ისე ძნელია კონკრეტული სასამართლო საქმე გამოგიჩხრიკონ...

**— ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, ამ ინციდენტს ობიექტურად გამოიძიებენ?**

— არა, ამას რა შედეგი უნდა მოჰყვეს. ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში, სადაც კრიმინალისტიკა საერთოდ გაურკვეველი ცნებაა და იგი დიდ როლს არასდროს თამაშობდა გამოძიებაში. კუთხე და სროლის მანძილის დადგენა, ვფიქრობ, მაქსიმუმია ჩვენი ექსპერტებისგან.

**— როგორ ფიქრობთ, ეს გასროლა უფრო ძალოვანი სტრუქტურებიდან განხორციელდა თუ ჩვეულებრივი, თქვენ მიმართ განაწყენებული მოქალაქის მიერ?**

— ძნელი წარმოსადგენია, ჩვეულებრივ ადამიანს გააჩნდეს ასეთი იარაღი და შეეძლოს ღამით მიზანში მოხვედრა. ამდენად, პიროვნება, რომელმაც ისროლა, იმ უწყების წარმომადგენელია, რომელსაც შეუძლია იარაღის უშიშრად ტარება და შეუძლია სნაიპერული სიზუსტით ისროლოს. აქვე გეტყვით, რომ იმ დღეს, ღამის 12 სთ-მდე ოფისში იყო ჩვენი ჯგუფის წევრი ვახო კომახიძე. როდესაც სახლში დაბრუნდა, სადარბაზოსთან ორი მანქანა დახვდა, მისი თქმით, ფარები ორივეს ჩამქრალი ჰქონდა. როგორც კი ვახო სადარბაზოსთან მივიდა, ორივე მანქანა დაიძრა და წავიდა. არც არავინ ჩამჯდარა, არც არავინ გადმოსულა...

**— რა მარკის მანქანები იყო?**

— ჟიგული. თითოეულში ოთხ-ოთხი მამაკაცი მჯდარა. თუ ვიტყვით, რომ ეს დამთხვევა არ იყო, მაშინ გამოდის, რომ ისინი დარწმუნდნენ, რომ ოფისში აღარავინ დარჩა და ეს იყო გაფრთხილების მესიჯი.

**— თუ მიხვედით გამოძიების მიერ მინიშნებულ შენობაში, საიდანაც შესაძლოა გასროლა მოხდა?**

— კი ვიყავით, მაგრამ ვერაფერი გავარკვიეთ.

**— არ შემიძლია არ გკითხოთ, აწარმოებთ თუ არა ჟურნალისტურ გამოძიებას გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით და ხედავთ თუ არა რაიმე საერთოს ამ ორ ფაქტს შორის?**

— საერთო ის არის, რომ ორივე შემთხვევაში ლუგერის ტიპის ტყვიაა ნასროლი. რაც შეეხება მკვლელობას, ველოდებით გამოძიების დასკვნას. იქნებ ისინიც დაადგენენ რაღაც სწორ კვალს და სიმართლე თქვან. არ გვინდა, რომ წინ გავუსწროთ. თუ დაადგენენ, რომ ეს იყო საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარი მკვლელობა, მერე უკვე საფუძვლიანად დავინტერესდებით. ჩვენ არ გვჯერა, მკვლელობა ამის გამო მომხდარიყო.

# ციხიდან გამოსული გენერალ-მაიორი გალის ღალატში თარგამაძესა და ქუთათელაძეს ადებს ხელს...

გასული კვირის ბოლოს ციხიდან გაათავისუფლეს თავის დროზე არშემდგარ ტერაქტში დადანაშაულებული გენერალ-მაიორი **გუჯარ ყურაშვილი**. მას სამშობლოს ღალატი და უკანონო შეიარაღებული ფორმირების ჩამოყალიბების



ბრალდება სასამართლო ძიებაშივე მოეხსნა. აღსანიშნავია, რომ არშემდგარი ტერაქტის საქმეში სულ თერთმეტი პირი იყო ეჭვმიტანილი. მათ შორის, ბორის კაკუბავაც, რომელზეც ძებნა იყო გამოცხადებული. გარდა ამისა, ეს იყო ის სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოძიების პროცესში უშიშროების იზოლატორში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ერთ-ერთი ეჭვმიტანილი — თემურ პაპუაშვილი. არადა, გამორიცხული არ არის, მისთვისაც მოეხსნათ ძიების პროცესში მძიმე ბრალდებები და დღეს უკვე გათავისუფლებული იყო. უდავოა, რომ სახეზე გვაქვს ტრაგიკომიკური სიტუაცია, როდესაც უმძიმესი ბრალდებებით იჭერენ ხალხს და არცთუ ცოტა ხნის შემდეგ თითქმის რეაბილიტირებულებს ათავისუფლებენ. ვის, რომელ სახელმწიფო მოხელეს აქვს უფლება უკანონოდ, უსამართლოდ დააპატიმროს ადამიანები რამდენიმე წლის განმავლობაში ან სიცოცხლე წაართვას. და საერთოდ, ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ შეგნებულად თუ საქმისადმი არაპროფესიონალური მიდგომით ნორმალური ცხოვრების უფლება წაართვეს ადამიანებს.

**— ბატონო გუჯარ, ბოლო პერიოდში უზენაეს სასამართლოში რამდენჯერმე დააყენეთ თქვენი გათავისუფლების საკითხი და უარს გეუბნებოდნენ, თუ გქონდათ გათავისუფლების იმედი?**

— სიმართლე გითხრათ, აღარც ველოდებოდი, რომ გამათავისუფლებდნენ. ისე ამ გადაწყვეტილებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქალბატონებს — რუსუდან ბერიძეს, ნანა დევდარიანს, ელენე თევდორაძესა და ნანა კაკაბაძეს. შეიძლება ითქვას, ამ ოთხმა ქალბატონმა პროკურატურის ბეტონის კედელი გაარღვია და მიაღებინა ეს გადაწყვეტილება... პროკურატურა ჩემი გათავისუფლების სასტიკად წინააღმდეგი იყო.

**— რამდენჯერ გითხრეს გათავისუფლებაზე უარი?**

— იცით, პირდაპირ კი არ მეუბნებოდნენ უარს: ხან პროკურორი იმალებოდა, ხან ვიღაც გახდებოდა ავად, ხან ტელეფონს თიშავდნენ და პროცესზე არ მოდიოდნენ. პრაქტიკულად ეს სასამართლო გადაიდო ოთხჯერ, მეხუთედ გამათავისუფლეს.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენი გათავისუფლება ზევიდან იყო გადაწყვეტილი თუ უბრალოდ, ეს იყო სასამართლოს ობიექტური განაჩენი?**

— სასამართლო ობიექტური რომ ყოფილიყო, როდესაც გამასამართლეს, მაშინ უნდა მომხდარიყო ჩემი გათავისუფლება. ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი გათავისუფლება ზევიდან გადაწყდა.

**— თავის დროზე ციხეში ყოფნის დროს „კვირის პალიტრას“ განუცხადეთ, რომ თქვენს უდანაშაულობას სასამართლოზე დაამტკიცებდით. სასამართლომ კი დაგიტოვათ ძველი კანონმდებლობით „სამშობლოს ღალატის ბრალდება“, რომელიც ახალი კანონმდებლობით „ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებად“ მოიხსენიება...**

— როგორც თქვენ არ ჩაგიდენიათ არაფერი, ისე მე. სასამართლოზე ვერ მოიყვანეს ვერც ერთი მოწმე. უფრო მეტიც, ვისთან ერთადაც გამასამართლეს, სასამართლოზე გავიცანი. სასამართლოზე ბოლომდე ვერ შევძელი თავის გამართლება, ამიტომაც გავასაჩივრე კასაციით. წარმოიდგინეთ, მაინც ვერ ბედავდნენ, რომ გავეთავისუფლებინე. სათათბირო ოთახში რომ გავიდნენ ერთი საათით, ორი საათის შემდეგ გამოვიდა მოსამართლე ტურავა და თქვა — პარასკევისთვის გადაიდოო. ეს იცით, როგორი აბსურდი იყო?! მე დღეს ასე ვფიქრობ, რომ ისინი რეკავდნენ ზევით, ვერ დაუკავშირდნენ და გადადეს.

**— ვის ურეკავდნენ, ბატონო გუჯარ?**

— გუშინ გამოვედი ციხიდან და გავიგებ ამას.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ საბრალდებო დასკვნაში მითითებული იყო, რომ თქვენ იგორ გიორგაძეს შეხვდით მინსკსა და ბეირუთში. თილისმაც კი გაჩუქათ ბეირუთში გიორგაძის კაცმა ვინმე ჰასანმ. პრინციპში არც თქვენ უარყოფთ იგორ გიორგაძესთან შეხვედრას... გარდა ამისა, გამოძიების ვერსიით, ვაკის პარკის ტერიტორიაზე პანტელეიმონ გიორგაძემ 10 ათასი დოლარი გადმოგცათ. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— სიცრუეა. ჩემი სახლიდან ამოიღეს 2.400 დოლარი. ეს ფული დღესაც უშიშროებაშია. ჩვენ ვაშლის ბიზნესი გვაქვს და გაყიდული ვაშლის ფული იყო. მე შემიძლია ის მძღოლიც კი მოგიყვანოთ, ვინც კონტეინერით გაიტანა ეს ვაშლი. საიდან მოიგონეს ეს პანტელეიმონ გიორგაძე, არ ვიცი. გიორგაძეს მე შევხვდი პირად საქმეზე და ეს შეხვედრა არანაირი დანაშაულებრივი ქმედება არ იყო.

**— ვინ გაგწირათ, ბატონო გუჯარ?**

— მე გამწირა უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ქუთათელაძემ, შს ყოფილმა მინისტრმა თარგამაძემ, შენგელი ფიცხელაურმა, სალაყაიამ და მაზმიშვილმა.

**— რატომ, რაში დასჭირდათ?**

— იმიტომ, რომ პრეზიდენტისთვის მოეხსენებინათ, რომ საჭიროები იყვნენ, რადგან ტერაქტებს ხსნიდნენ. ისე, გალის მოვლენებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

**— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა. თავის დროზე კულუარებში თქვენი დაპატიმრება იმას დაუკავშირეს, რომ აფხაზეთის მოვლენების შესახებ დიდ ინფორმაციას ფლობდით. თქვენ პირობა მომეცით, რომ როგორც კი სასამართლო დამთავრდებოდა, მეტყოდით — რა მოხდა გალში?**

— გალის დატოვება სუფთა ღალატი იყო. ღალატი იყო თარგამაძისა და ქუთათელაძის მხრიდან. მათ პროვოკაციაზე წამოაგეს პარტიზანები. შეიყვანეს ჯარი და ომის უფლებაც არ მისცეს. იმის მაგივრად, რომ ეს ჯარი ერთი ხელმძღვანელისთვის დაექვემდებარებინათ, დაქსაქსეს, პირდაპირ ტელეფონში ეუბნებოდნენ მეგრულად პარტიზანებს, ყურაშვილს არ დაემორჩილოთო.

**— რატომ?**

— არ უნდოდათ გალის რაიონის გათავისუფლება. გალში მარტო მე ვიყავი გადასული. ვერავინ იტყვის დღეს, რომ ჩემ გარდა ვინმე იყო ამ ტერიტორიაზე შესული.

**— რაში სჭირდებოდათ თარგამაძესა და ქუთათელაძეს გალის რაიონის დათმობა?**

— როგორც ვიცი, პარტიზანებისთვის გამოყოფილი იყო თანხა, საბრძოლო მოქმედებებისათვის. გალი რომ შეგვენარჩუნებინა, სად რა იარაღი და რა რაოდენობის საბრძოლო ტექნიკა იყო გამოყენებული, ყველაფერი გაიშიფრებოდა. ტერიტორიის დაკარგვის შემდეგ კი მარტივი იყო თავის გამართლება. იტყოდნენ იარაღი დარჩა, დაიწვა და ა.შ. არადა, იარაღი თავდაცვის სამინისტროდან იყო ჩატანილი. თუ იარაღს ყიდულობდნენ, სად წავიდა ის იარაღი?

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ფული მოტეხეს?**

— კი. როგორც ვიცი, ხუთი მილიონი დოლარი იყო გამოყოფილი. ეს ბათიაშვილისგანაც ვიცი. რა რაოდენობის და რა სახის იარაღი იყო სინამდვილეში გალში, ზეპირად ვიცი — არაფერიც არ უყიდიათ. ჩემი მოკვლაც კი იყო ნაბრძანები. ოთხჯერ მესროლეს ზურგში, სასწაულად გადავრჩი.

**— თქვენი განადგურება რისთვის უნდოდათ, გასაგებია, მაგრამ რატომ მოიშორეს თემურ პაპუაშვილი, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა უშიშროების იზოლატორში? სხვათა შორის, თავის დროზე თქვენ განაცხადეთ, რომ ის უშიშროების იზოლატორში მოწამლეს...**

— მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცი, რომ მთამსვლელი იყო, ფიზიკურად ძლიერი. დილით ჯანმრთელი კაცი საღამოს მოკვდა. უდავოა, ისეთ ინფორმაციას ფლობდა, რაც ხელს არ აძლევდათ. სხვათა შორის, მეც მომწამლეს, მაგრამ გულის რევა დამეწყო და სასწრაფოდ გადამიყვანეს საავადმყოფოში, მგონი, ამან მიშველა.

**— როგორ აპირებთ ცხოვრების გაგრძელებას?**

— თუ ჩემს ქვეყანას დავჭირდები, როგორც სპეციალისტი, მზად ვარ. თუ ბრძოლა იქნება საჭირო, ჩემით წავალ, როგორც რიგითი ჯარისკაცი... თქვენ რომ დღეს ნახოთ, რა დღეშია ის სასწავლო ცენტრი, რომელიც მე გავაკეთე, გაგიჟდებით. საერთოდ გაძარცულია. ეზოში დამტვრეული ტანკები მეყარა, რომ მიზანში ესროლათ ჩემს ჯარისკაცებს, — ჯართში ჩაუბარებიათ. თვითმფრინავები მეყარა, ისინიც ჯართში ჩაუბარებიათ, თქვენ გგონიათ, ეს თანხა ბიუჯეტში შევიდა?!

**— დღეს ვის მხარეს დგას გენერალ-მაიორი გუჯარ ყურაშვილი — პრეზიდენტის თუ...**

— გუჯარ ყურაშვილი ყოველთვის იდგა და იდგება ქართველი ხალხის გვერდით. თუ პრეზიდენტიც დადგება ქართველი ხალხის გვერდით, მეც დავუდგები გვერდით.

***გვერდი მოამზადა მარინა მამისაშვილმა***

# თბილისის მერის ავლადიდებას „უკანონო ქონების ჩამორთმევის შესახებ“ კანონი არ ემუქრება...

დედაქალაქის მერის, ვანო ზოდელავას სახელი და გვარი ამ ბოლო დროს არაერთ სკანდალურ თემასთან კავშირში ამოტივტივდა. პარალელურად მისი შესაძლო მოხსნის თაობაზეც ალაპარაკდნენ. „ავი ენები“ ამბობენ, რომ შევარდნაძის რეპრესიების მორიგი მსხვერპლი ამჯერად შესაძლოა სწორედ ზოდელავა აღმოჩნდეს. სხვათა შორის, ბატონი მერი კარგა ხანია, რაც ახალგაზრდა რეფორმატორებთან მეგობრობაშია „ექვმიტანილი“.

„კვირის პალიტრა“ **ვანო ზოდელავას** დაუკავშირდა და მისგან სიმართლის გარკვევას შეეცადა:



**— ბატონო ვანო, ბოლო დროს მასმედიის და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექეცით. რით ახსნით თქვენს ასეთ „გაპოპულარებას“?**

— მე მგონი, ყოველთვის პოპულარული ვიყავი. უბრალოდ, გააჩნია, ვის რა აინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, დედაქალაქის მერია აბსოლუტური გამჭვირვალობის პრინციპით მუშაობს და თბილისელებისგან დამალულ-დაფარულად არაფერს ვაკეთებთ.

**— არადა, მავანნი უკვე თქვენს შესაძლო მოხსნაზეც ალაპარაკდნენ. ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ მალე მართლაც გიხილოთ უმუშევართა მილიონიანი არმიის რიგებში?**

— ღმერთმა დამიფაროს! ეტყობა, ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ, რომ ეს მართალი იყოს, მაგრამ სისულელეა და რა ვქნა? ხომ გაგიგონიათ — ცუდს რად უნდა მტერობაო... მე არც პოპულისტი ვარ და არც დემაგოგი, ვისაც რა უნდა, ის ილაპარაკოს. ჩემი მოხსნისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ ჰკითხეთ ნებისმიერ თბილისელს. კაცი ყრუ და ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო ამ მწირი ბიუჯეტით დედაქალაქში რა საქმეები კეთდება.

**— ვინმეს თქვენს სავარძელზეც ხომ არ უჭირავს თვალი?**

— დიახ, უჭირავს და თანაც ძალიან ბევრს.

**— ხომ არ იცით, ვის?**

— სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს.

**— სხვათა შორის, მერობის ერთ-ერთ კანდიდატად დათო სალარიძესაც ასახელებენ.**

— ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. დათო ჩემი მეგობარია და ძალიან დიდ პატივსაც ვცემ... ამ თემაზე არ მინდა საუბარი... მე ვამბობ — მერი უნდა აირჩიოს თვითონ ხალხმა და სადავოც არაფერი იქნება.

**— არჩევნები რომ ჩატარდეს, როგორ გგონიათ, აგირჩევენ?**

— დიახ, ამირჩევენ!

**— ასე დარწმუნებული რატომ ხართ?**

— იმიტომ, რომ ჩემთვის მერობა თვითმიზანი არ არის. თუ ძალიან გაინტერესებთ, შეგიძლიათ ხალხს ჰკითხოთ, რეიტინგები ნახოთ... მე მოსახლეობას თითქმის ყოველდღე ვხვდები და მათი დამოკიდებულება ზუსტად ვიცი. მთავარია, ხალხს ვუყვარდე და რასაც ვაკეთებ, იმას ხედავდნენ.

**— ამბობენ, რაც ზოდელავა მერად დანიშნეს, თბილისმა თავისი იერ-სახე დაკარგაო.**

— თბილისის შენება იერ-სახის დაკარგვას ნიშნავს? ეს ხომ აბსურდია! ის შენობები, თქვენ რომ არ მოგწონთ, არც მე მომწონს და რომ იცოდეთ, მათი მშენებლობა მანამდეა დაწყებული, სანამ მერად დამნიშნავდნენ. ნახეთ, რომელ წელს არის დაკანონებული მიწა, ვის მიერ არის გაცემული ნებართვები, როდის არის დაწყებული მშენებლობები და ა.შ. ჩვენ, პირიქით, ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ამ დამახინჯებული შენობებისთვის ნორმალური იერი დაგვებრუნებინა.

**— უკანონო მშენებლობების საკითხი ერთგვარ დაუსრულებელ თემად იქცა. ამის უკან კი თქვენს სახელსა და გვარსაც მოიაზრებენ.**

— ჯერ ერთი, უკანონო მშენებლობები დედაქალაქში არ არსებობს, ყველა კანონიერია. უბრალოდ, მერე, უკვე მშენებლობის პროცესში მიდის ძირითადი შეთანხმებული პროექტის დამახინჯება — მიშენება, დაშენება და ა.შ. ამას კი უნდა აკონტროლებდეს ალმშენი ინსპექცია, რომელიც მე არ მექვემდებარება. ისე, სიმართლე უნდა ითქვას, უკანონო მშენებლობების თემა წმინდა პოპულისტურია. ამ ცოტა ხნის წინ ალექსანდროვის პარკში მდებარე ვითომდა უკანონო ნაგებობებზე აყვირდნენ. დაგავიწყდათ იქ უსახური სახლი და თავდაცვის სამინისტროს ბარაკები რომ იყო? ვიღაცას „აწყობს“ ამის აგორება, თორემ არავითარი უკანონობა იქ არ არის. იცით, რა ხალხი მუშაობს ამ პროექტებზე? არქიტექტორთა საბჭოში ქართველ არქიტექტორთა ელიტაა თავმოყრილი. მათ შეურაცხყოფას აყენებთ, როცა ამბობთ, მახინჯი სახლები შენდებაო. კომუნისტების დროს კარგი და ლამაზი სახლები შენდებოდა? შეადარეთ ახლანდელ აშენებულებს, თუნდაც მრგვალ ბაღთან, ფიქრის გორაზე ან კიდევ მამადავითზე ადრე აშენებული სახლები. რომელია მათგან მახინჯი?

**— მამადავითის სახლები აღარ გაახსენოთ ზოგიერთ პოლიტიკოსს, თორემ...**

— თორემ რა... ახლა აღარავის ახსოვს, იქ ექვსმეტრიანი ყვითელი კედელი რომ იყო და 28 ოჯახი საცოდავად ცხოვრობდა, არა? არაფერი აღარ ახსოვთ. არადა, სირცხვილია. შე დალოცვილო, შედარება და კარგისა და ცუდის ერთმანეთისგან გარჩევა ხომ მაინც შეგიძლია?

**— რაც შეეხება თქვენს ინტერესებს ამ მშენებლობებთან დაკავშირებით?**

— ესეც აბსურდია. ენას ძვალი არა აქვს და რასაც უნდათ, იმას ლაპარაკობენ. რა ვქნა, ახლა, თავის მართლება დავიწყო? კი ბატონო, თუ ასეა, მაშინ კონკრეტულად დაასახელონ, რომელ მშენებლობებთან მაქვს კავშირი და ინტერესები.



„თბილისი-სიტის“ მშენებლობის ადგილი თავისუფლების მოედანზე

**— სხვათა შორის, ქალაქის მთავარი არქიტექტორის მამუკა ჩხაიძის გადადგომასაც, ამ ე.წ. უკანონო მშენებლობებს უკავშირებენ.**

— მამუკა ჩხაიძე არის უდიდესი პროფესიონალი. თბილისში რაც კი ლამაზი სახლი შენდება, ყველა მისი დამსახურებაა. დაიღალა კაცი, ყელში ამოუვიდა ამდენი ჭორი და უსაფუძვლო ბრალდება. დაწერა განცხადება და წავიდა.

**— თუმცა, დღეს საქართველოში „პირადი განცხადების საფუძველზე“ როგორც წესი, თანამდებობას არავინ ტოვებს, არამედ ატოვებინებენ ხოლმე.**

— მამუკა ჩხაიძის შემთხვევაში ეს არ ითქმის. მან საკუთარი სურვილით დაწერა განცხადება და ერთ-ერთი ძლიერი სამსახურის, ქალაქის გენგეგმისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროსად გადავიდა.

**— ბატონო ვანო, მე მინდა კონკრეტული პასუხი გამცეთ — არსებობს თუ არა საერთოდ თბილისში უკანონო ნაგებობები და თუ არ არსებობს, რატომ არ გასცემს მერია ამ მარადიულ კითხვას არგუმენტირებულ პასუხს?**

— უკანონო მშენებლობები არსებობს, მაგრამ ეს არის ზღვაში წვეთი იმასთან შედარებით, რაც დედაქალაქში კანონიერად შენდება. რაზეც ჩვენ ვამბობთ, უკანონოაო, მიდიან და სასამართლოს ძალით იკანონებენ. აგერ სასტუმრო „საქართველოს“ უკან 7-სართულიანი საცხოვრებელი სახლი შენდება. მოსახლეობასთან ერთად ვყვიროდით — უკანონოა და არ უნდა აშენდესო, მაგრამ... სასამართლომ მათ სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება. უამრავი ასეთი ფაქტი გვაქვს.

**— სასამართლოების კეთილსინდისიერებაში ეჭვი შეგაქვთ?**

— ყველა მოსამართლე ღირსეული ხომ ვერ იქნება.

**— ლეგენდარულ საირმის გორაზე რას იტყვით, არც იქ არის უკანონო მშენებლობები?**

— ამის თაობაზე ჩემს წინამორბედებს ჰკითხეთ. ყველა მშენებლობაზე ნებართვა ჩემამდეა გაცემული. რაც შეეხება იმას, რომ ქალაქში მშენებლობების ბუმია, მივესალმები. შენდება, ხალხო, ხომ არ ინგრევა. ის დროც ხომ გახსოვთ, როცა ყველაფერი ინგრეოდა? დაგავიწყდათ, 5 საათის შემდეგ გარეთ რომ ვეღარ გამოხვიდოდი და ყოველ წუთში ავტომატის კაკანი ისმოდა? შენ საქმე მითხარი, თორემ განცხადებების კეთებასა და პოპულიზმზე ადვილი რა არის!

**— ბოლო დროს თქვენსა და ჯორბენაძეს შორის დაპირისპირებაზეც ალაპარაკდნენ.**

— ესეც მავანთა ინტერესში შედიოდა. როდესაც ბატონი ავთო სახელმწიფო მინისტრად დანიშნეს, იგი მერიაში მოვიდა, სამსახურის უფროსებს შეხვდა და თავისი, რა თქმა უნდა, ობიექტური პრეტენზიები გამოთქვა. ეს ფაქტი ზოგ-ზოგიერთებმა ხელზე დაიხვიეს და ააგორეს — მერსა და სახელმწიფო მინისტრს შორის დაპირისპირებააო.

**— ეს უფრო თქვენი კომპრომეტაცია იყო თუ ჯორბენაძის?**

— ორივესი. ერთმანეთთან წაკინკლავება ორივეს რეიტინგს შეარყევდა, მაგრამ არ „გაუმართლათ“...

**— გასულ კვირას მთავრობის სხდომაზე დიდი ამბები ატყდა ხეტყის უკანონო ჭრასთან დაკავშირებითაც. გენპროკურორი არ გამორიცხავს, რომ კანონის დამრღვევთა სიაში თქვენი გვარიც აღმოჩნდეს.**

— შეუძლებელია. ბატონმა ნუგზარმა ძალიან კარგად უწყის, რომ საქმე ეხება 1990-დან 1997 წლამდე ნებართვების კანონიერებას. ეს წყნეთის მთელმა მოსახლეობამ იცის. შეგიძლიათ მათ ჰკითხოთ თქვენც და პროკურატურის თანამშრომლებმაც. 1997 წელს კი თქვენი მონა-მორჩილი ზოდელავა ქალაქის მერად არ მუშაობდა. იქ მართლაც ძალიან ბევრი დარღვევაა, მაგრამ, რომ იცოდეთ, ამ დარღვევებზე ყველაზე ადრე მე და საакაშვილი ვლაპარაკობდით.

**— იმასაც ამბობენ, ვანო ზოდელავა თბილისში თითქმის ყველა სასტუმროს წილში ზისო.**

— ვინც ამას დამიმტკიცებს, ჩემი წილის 100%-ს მივცემ. მაშინ მითხრან, რომელი სასტუმროს მეწილე ვარ... ასე დაუსაბუთებლად ნებისმიერ ვინმეზე ნებისმიერი რამის დაბრალება შეიძლება.

**— ლაპარაკია „თბილისი-სიტიზე“. თქვენ, ნიკო ლეკიშვილი და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანი ამ სასტუმროს მეწილეები ყოფილხართ.**

— რა სისულელეა! „თბილისი-სიტის“ საკითხი სხვათა შორის, საკუთარ ღირსებად მიმაჩნია. სანამ მერად მოვიდოდი, ქალაქის მერია „თბილისი-სიტის“ აქციების მხოლოდ 33%-ს ფლობდა. ჩემი და ქალაქის საკრებულოს დამსახურებაა, რომ მერია აქციების პაკეტის (51%-ის) მფლობელი გახდა. ეს ჩემთვის კი არა, თქვენთვის, მთელი თბილისისთვის გავაკეთე. სხვა არავითარი წილი სასტუმროში საერთოდ არ მაქვს.

**— არც სასტუმრო „პატარა მეტეხის“ მეწილე ხართ?**

— ესეც აბსურდი და ბლეფია. მაშინ, როცა ამ სასტუმროს პრივატიზაცია განხორციელდა, თბილისში საერთოდ არ ვიმყოფებოდი. როგორ ფიქრობთ, ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელობა მომძებნიდა, დამიძახებდა და მეტყოდა, — ვანო, ამ სასტუმროს პრივატიზაცია მიმდინარეობს და მოდი, წილში ჩაჯექიო? რასაც ლაპარაკობენ, სიმართლესთან მიახლოებულიც კი არ არის.

**— ეტყობა, ამ ბოლო დროს მტრები მოგიმრავლდათ.**

— კი, მომიმრავლდა... არჩევნების მოახლოებამ ზოგიერთებს მადა აღუძრა.

**— ბატონო ვანო, თქვენს მილიონებზე ლეგენდებს ჰყვებიან. რით სულდგმულობს ქალაქის მერის ოჯახი?**

— მე ბიზნესიდან მოსული კაცი ვარ. რა ვქნა, დავმალო, რომ შეძლებულად ვცხოვრობ? ეგ შეკითხვა სხვა ჩემს კოლეგებს დაუსვით, რომლებსაც არასოდეს არავითარი ბიზნესი არ ჰქონიათ და ცარიელი ხელფასით სასახლეები აიშენეს. ჰკითხეთ, როგორ ცხოვრობენ, რა შემოსავლები აქვთ, საიდან აქვთ და ა.შ. 1991-96 წლებში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმენი ვიყავი. ზოგიერთივით ფული უკანონო გზით არ მიშოვია. რა დავმალო — ის, რომ დედაჩემის სახლი მაქვს, სიდედრ-სიმამრი შეძლებული ხალხი რომ არის, თუ ბანკში ანგარიშები რომ მაქვს?

**— რა ბიზნესით იშოვეთ ფული?**

— ყოველ შემთხვევაში, საქართველოდან არაფერი გამიტანია. ნახშირის ბიზნესი მქონდა, რეექსპორტს ვაკეთებდი და ქვეყნის ბიუჯეტშიც სოლიდური თანხები შემქონდა. ომის წლებში 200 ათასი დოლარის სამხედრო ფორმა და სურსათიც კი გამოვაგზავნე საქართველოში. ყველგან წესიერი კაცის პრინციპებით ვმოქმედებ.

**— ეი. „უკანონო ქონების ჩამორთმევის შესახებ“ კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში, თქვენს ავლადიდებას საფრთხე არ ემუქრება?**

— დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი ემუქრება. მე რაც გამაჩნია, ყველაფერი დეკლარაციაში მაქვს ჩაწერილი. ვაი იმას, ვინც კანონებს წერს, თვითონვე არღვევს და დეკლარაციაშიც არაფერი აქვს შეტანილი.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

რა ვქნა, დავმალო, რომ შეძლებულად ვცხოვრობ? ეგ შეკითხვა სხვა ჩემს კოლეგებს დაუსვით, რომლებსაც არასოდეს არავითარი ბიზნესი არ ჰქონიათ და ცარიელი ხელფასით სასახლეები აიშენეს. რა დავმალო – ის, რომ დედაჩემის სახლი მაქვს, სიდედრ-სიმამრი შეძლებული ხალხი რომ არის, თუ ბანკში ანგარიშები რომ მაქვს? ყოველ შემთხვევაში, საქართველოდან არაფერი გამიტანია. ნახშირის ბიზნესი მქონდა.


## როგორ მივმართოთ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს

გამოცემის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ძირითადი დანიშნულება და მიმართვის წესები.

ამ წიგნში მკითხველი იპოვის საჭირო რჩევებს იმის შესახებ, თუ რა შემთხვევებში შეიძლება ევროპის სასამართლოში საჩივრის შეტანა, როგორი ფორმით მივმართოთ სასამართლოს და რა შემთხვევაში მიიღებენ სარჩელს განსახილველად.

**წიგნს ერთვის სასარჩელო განაცხადის ოფიციალური ფორმულარი და მისი შევსების წესები, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციისა და ოქმების ოფიციალური თარგმანი.** ***სურვილის შემთხვევაში მკითხველს შეუძლია თავად შეავსოს ანკეტა ქართულ ენაზე და გააგზავნოს სტრასბურგში. წიგნში თქვენ იპოვით სასამართლოს მისამართს და თქვენი დანახარჯი მხოლოდ საფოსტო ხარჯებით შემოიფარგლება.***

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არასწორად შევსებული სარჩელი უკან დაგიბრუნდებათ, თუ სასამართლო მას განსახილველად არ მიიღებს, რაც გამორიცხავს შემდგომ იმავე საკითხზე ხელახალი განხილვის დაწყებას. სასურველი შედეგის მისაღწევად თქვენ უნდა გაეცნოთ გამოცემაში თანდართულ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას და მის ოქმებს.




წიგნი ასევე საინტერესოა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და დამწყები ადვოკატებისათვის.

გისურვებთ წარმატებებს თქვენი დარღვეული უფლებების აღდგენის საქმეში.

**გამოცემა შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში ან მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს ევროსაბჭოს ასოციაციისა და იურიდიული კომპანია "BT და ადვოკატების" ოფისში მისამართზე: რუსთაველის 42, მე-2 სართული, ტელ: 93 21 86, 93 29 96.**

# ვინ დაასწრებს ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებას პანკისში — რუსეთი თუ ამერიკა?

თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო — სწორედ რუსეთზე ყოფილა ნათქვამი.

იმდენი იძახა მოსკოვმა — პანკისის ხეობაში ტერორისტები არიანო, რომ ვაშინგტონმაც კი მოინდომა საქართველოს ამ რაიონში საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყება.

ბოლო დღეებში პანკისის ხეობასთან დაკავშირებით აქტიური პოლიტიკური ზონდირება მოხდა, რომელსაც რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახურის მიერ გავრცელებულმა დეზინფორმაციამაც შეუწყო ხელი.

კრემლი სერიოზულად შეაშფოთა იმის შესაძლებლობამ, რომ აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა, როგორც საქართველოს მეგობარმა ქვეყნებმა, რუსეთის უკითხავად დაიწყონ ანტიტერორისტული ოპერაცია პანკისში.

არადა ამის ნიშნები უკვე მკაფიოდ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური თბილისი უარყოფს ბინ ლადენის პანკისში ყოფნის შესაძლებლობას. ამის თაობაზე პირველი ინფორმაცია ამერიკული მხარიდან წამოვიდა, რასაც რუსეთმა და მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სიხარულით დაუკრეს კვერი — აი, ხომ ხედავთ, ამდენი წელია ვამტკიცებთ, საქართველო ვერ აკონტროლებს პანკისს, რომელიც ტერორისტების ბუდედ გადაიქცაო. მოსკოვს ეგონა, ამით საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ხელი გაეხსნებოდა და პანკისში თვითონ დაიწყებდა საბოლოო

**ხომ არ აჯობებდა, ოფიციალური თბილისი დათანხმებოდა აზრს, რომ პანკისში მართლაც იმყოფება თვით ბინ ლადენი და გვეთხოვა აშშ-ისა თუ დიდი ბრიტანეთისთვის, დაგვხმარებოდა მის გაუვნებელყოფაში?**





და მაინც, ვინ დაასწრებს — რუსული „ალფა" (მარცხნივ) თუ ამერიკული „დელტა" (მარჯვნივ)?

ოპერაციას, მაგრამ მოულოდნელად ამერიკელებმა მიანიშნეს — თუ პანკისში ბინ ლადენი ან „ალ-ქაიდას" წევრები იმალებიან, რომლებსაც მთელ მსოფლიოში ვეძებთ, მაშინ ჩვენ დავეხმარებით ქართველებს მათ განადგურებაშიო.

როგორც ჩანს, პანკისის ხეობაზე მალე ერთგვარი კონკურსი თუ ტენდერი გაიმართება — ვინ დაეხმარება თბილისს ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებაში.

ცხადზე ცხადია, რომ მოსკოვს არ ეჭაშნიკება ამერიკელების გამოჩენა პანკისში. ორიოდე დღის წინ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, — პანკისის ხეობა ცხრამთას იქით კი არ არის, ჩვენი საზღვრიდან 10-20 კმ-შია და სწორედ იქიდან იმართება ჩეჩნეთის ომიო. რა თქმა უნდა, რუსი მინისტრი ამაში ცდება (უფრო მეტიც, შეიძლება ჩეჩნეთში მეომარნი პანკისს შეფარებულ თანამემამულეებს დეზერტირებადაც კი თვლიან). პანკისი საზღვრისპირა რაიონად ვერ ჩაითვლება, რადგან იგი 10-20 კი არა, 50 კმ-ზე მეტითაა დაშორებული რუსეთის საზღვრიდან.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა თანდათან რწმუნდება, რომ საქართველო თავისი ძალებით ვერ შეძლებს პანკისის ხეობაში წესრიგის აღდგენას. აუცილებლად საჭიროა საზღვარგარეთის დახმარება. დახმარებას ან დასავლეთიდან უნდა ველოდოთ, ან რუსეთიდან. მაგრამ გვაძლევს კი ხელს პანკისში რუსული ჩექმის გამოჩენა, რომელსაც ამდენი ხანია ჩეჩნეთისთვის ვერ მიუხედია?

ნამდვილი ანტიტერორისტული ოპერაცია ელვისებურად (ისე, როგორც ავღანეთში) უნდა წარიმართოს და არ გადაიზარდოს ფართომასშტაბიან ომში, როგორც ეს ჩეჩნეთში მოხდა.

ამიტომაც, ხომ არ აჯობებდა, ოფიციალური თბილისი დათანხმებოდა აზრს, რომ პანკისში მართლაც იმყოფებიან არა მარტო ჩეჩენი გელაევი, არამედ საერთაშორისო ტერორიზმის უცნობილესი დაჯგუფების „ალ-ქაიდას" წევრები, შეიძლება თვით ბინ ლადენიც და გვეთხოვა აშშ-ისა თუ დიდი ბრიტანეთისთვის, დაგვხმარებოდა მათ გაუვნებელყოფაში? რუსეთი ერთგვარად განზე დარჩებოდა. ეგებ ხეობაში თავშეყრილი ჩეჩნები თუ უცხოელი მებრძოლები დასავლეთთან შეიარაღებულ დაპირისპირებაზე არ წასულიყვნენ (რუსებს ისინი უბრძოლველად ნამდვილად არ ჩაბარდებიან, რადგან მათგან შეწყალების იმედი არა აქვთ) და ისე დაეყარათ იარაღი. შემდგომში, საერთაშორისო გარანტიებით შეიძლებოდა მათი გადანაცვლება და განაწილება — ზოგი ახლო აღმოსავლეთში, საკუთარ სამშობლოში დაბრუნდებოდა, ჩეჩნები კი თავიანთ დიასპორას შეაფარებდნენ თავს საზღვარგარეთ და პანკისიც ნელნელა დაიცლებოდა ლტოლვილებისაგან.

ეს იქნებოდა შესაძლებელი შეიარაღებული კონფლიქტის (არც ერთი მასშტაბური ანტიტერორისტული ოპერაცია უსისხლოდ არ მთავრდება) მშვიდობიანი გზით მოგვარების ერთ-ერთი რეალური გზა.

ჯერჯერობით ისე ჩანს, რომ ვაშინგტონს არ უნდა თავისი სპეცდანიშნულების რაზმების გამოგზავნა და მთელი ოპერაცია მხოლოდ ქართული ძალებით უნდა განხორციელდეს. სამაგიეროდ, თეთრი სახლი კისრულობს ამ ოპერაციის ყოველმხრივ უზრუნველყოფას, როგორც სპეცაღჭურვილობით, ისე შეიძლება ფინანსებითაც. მაგრამ საკითხავია, რომელს აირჩევს — საქართველოს უშიშროების, თავდაცვისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს?

სპეცდანიშნულების რაზმები სამივე ძალოვან სამინისტროს ჰყავს და ისინი დიდი ხანია ერთგვარად ეჯიბრებიან კიდეც ერთმანეთს — ვინ ვის სჯობსო (ეს, სხვათა შორის, მთელ მსოფლიოში ასეა — ყველა სპეცრაზმი უკეთესობას იჩემებს). ყველაზე მრავალრიცხოვანია (600-ზე მეტი) თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ძალები, რომლებიც ამერიკელი რეინჯერების მეთვალყურეობით ვითარდება. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ თავდაცვის მინისტრი თევზაძე პროდასავლურ პიროვნებადაა მიჩნეული და პენტაგონის ნდობით სარგებლობს, სავარაუდოა, ვაშინგტონი მის უწყებას გადასცემს იმ სპეცაღჭურვილობას.

სიმართლე რომ ითქვას, თავდაცვის სამინისტროს ფუნქციაში ნაკლებად უნდა შედიოდეს ტერორისტებთან ბრძოლა (თუმცა ავღანეთში ამერიკელები ტერორისტებს სტრატეგიული ბომბდამშენებით ებრძოდნენ). საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება — ამბობენ, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ზოგიერთ წარმომადგენელს არც ისე ცუდი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს პანკისის ხეობაში თავშეფარებულ შეიარაღებულ ჩეჩნებთან და ეს ურთიერთობა შარშან შემოდგომაზე, კოდორის ხეობის მოვლენების დროს კიდევ უფრო განმტკიცდაო. შინაგანი ჯარების საგუშაგოებზე არაერთხელ დაუფიქსირებიათ პანკისის ხეობაში შემავალი თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების მანქანები, რომლებიც ხეობიდან ნაქეიფარნი გამოდიოდნენ. ამიტომაც ცოტა ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება უხელმძღვანელოს თავდაცვის სამინისტრომ ანტიტერორისტულ ოპერაციას პანკისის ხეობაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმს სხვა ამოცანები — შეიარაღებულ დამნაშავეთა გაუვნებელყოფა ეკისრება. დღეისათვის ეს უფრო საშური საქმეა, ვიდრე იმ შეიარაღებული ჩეჩნის დაჭერა, ვისაც საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაული არ ჩაუდენია.

რჩება ერთადერთი — სპეცდანიშნულების რაზმი, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება. ლაპარაკია უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სპეცრაზმზე. შავნაბადას შეფარებული ეს სპეცრაზმი დღეისათვის ყველაზე საიდუმლოებით მოცულ დანაყოფს წარმოადგენს. იგი, თუმცა ასეულს არ აღემატება, მაგრამ მისი მომზადების დონეზე არაკებს ჰყვებიან. ეს შეიძლება ცოტა გაზვიადებული იყოს, მაგრამ ამბობენ, ვაშინგტონმა არანაკლებ 10-12 მლნ დოლარის დახმარება გაიღო და ამერიკელი ინსტრუქტორები ძალღონეს არ იშურებენ ქართველი სპეცრაზმელების მსოფლიო დონეზე მოსამზადებლადო. ამ რაზმში თვით პრეზიდენტის თხოვნითაც კი, არავის მიიღებენ, თუ საკმაოდ მაღალ ნორმატივებს არ შეასრულებსო.

მარტის დასაწყისში საქართველოს უშიშროების ახალი მინისტრი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს და მალე გამოჩნდება, თუ რომელ ქართულ ძალოვან სტრუქტურაზე შეაჩერებს არჩევანს თეთრი სახლი პანკისში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად. ამერიკელები ადგილზევე გაარკვევენ, რამდენად შეძლებს საქართველოს უშიშროების სამინისტრო უხელმძღვანელოს ანტიტერორისტულ ოპერაციას პანკისის ხეობაში, რაც კონსტიტუციურად ისედაც მის კომპეტენციაში შედის.

P.S. თუკი ანტიტერორისტული ოპერაცია მაინც შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, მაშინ სჯობს იგი დაიწყოს გაზაფხულამდე, სანამ ტყეები გაიფოთლება, თორემ ადამიანთა დიდი ჯგუფის აღმოჩენაც გაჭირდება.

# ჯარისკაცებო, თქვენ არაფერს გერჩით, პოლიციელები გვინდა!

ამგვარი შეძახილი გაისმა 17 თებერვალს, შეღამებისას, პანკისის ხეობაში, დუისის შესასვლელთან მოწყობილ საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან.

ამ საგუშაგოს დუისის მხრიდან დაახლოებით 60-მდე კბილებამდე შეიარაღებული (ტყვიამფრქვევებისა და ყუმბარსატყორცნების ჩათვლით) პირი მოადგა. იქ იმ დროისთვის ათიოდე სამართალდამცავი თუ იქნებოდა. მათ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს მისულებს და ორი პოლიციელი ცხვარივით გააყოლეს.

უფრო მეტიც, თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მომხდურები უკვე 500 მ-ით დაშორებულ საგუშაგოს „ესტუმრნენ" ყვარელწყალთან და ახლა უკვე იქიდან „იახლეს" ორი პოლიციელი, თანაც სწორედ ისინი, ვინც უნდოდათ.

პანკისის შესასვლელის საგუშაგოზე ქვიშიანი ტომრები ქართველ ჯარისკაცებს ტყვიებისგან დაიცავს, მაგრამ არა ტანკსაწინააღმდეგო კუმულატიური ჭურვებისგან და ხელყუმბარებისგან...



## სამართალდამცავთა საგუშაგოებს პანკისის ხეობაში თავად სჭირდებათ დაცვა(?)

პოლიციელების ასეთმა „ზვარაკად შეწირვამ", რა თქმა უნდა, აღაშფოთა საზოგადოება და თვით ყოფილმა საბჭოთა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ამჟამად პრეზიდენტმა, გუშაგები ერთი ზუსტი სიტყვით „მონათლა" — დოყლაპიები.

თუმცა, მარტო ეს სიტყვა ნამდვილად არ ასახავს რეალობას — 17 თებერვალს ადგილი ჰქონდა როგორც სამსახურებრივ დაუდევრობას, ისე ბრძანების შეუსრულებლობას.

საბედნიეროდ, ოთხივე პოლიციელი მშვიდობიანად გაათავისუფლეს, მაგრამ ამ ფაქტით საფუძველი ჩაეყარა ერთგვარ უნდობლობას ერთი და იმავე ძალოვანი უწყების ორ სტრუქტურას — პოლიციელებსა და შინაგანი ჯარების სამხედროებს — შორის.

პოლიციელები, ბუნებრივია, არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდნენ, რომ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე სამხედროები, რომლებიც უკეთესად იყვნენ შეიარაღებულნი, დაგვიცავენ და დაგვეხმარებიანო, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

უფრო მეტიც, მეორე საგუშაგოდან პოლიციელები დამნაშავეებმა 10-15 წუთის შემდეგ აიყვანეს. ყვარელწყალის საგუშაგოსთვის კი არავის შეუტყობინებია, ერთი თავდასხმა უკვე მოხდა და ფრთხილად იყავითო. არადა პანკისის ხეობაში არსებული ოთხივე საგუშაგო (ისევე, როგორც მატნისა და ფიჩხოვნის) პორტატიული რადიოგადამცემებითაა აღჭურვილი. შეუტყობინებლობის მიზეზად რადიოგადამცემის აკუმულატორის დაცლა დაასახელეს.

ამ ფაქტმა ადგილობრივ მოსახლეობას თითქმის სრულიად გაუქარწყლა ქართველი სამართალდამცავებისა და პანკისის ხეობაში წინ წაწეული გაერთიანებული საკონტროლო-გამშვები პუნქტების (თითოეულ საგუშაგოზე, როგორც წესი, შინაგანი ჯარების 8 სამხედრო მოსამსახურე, ორი პოლიციელი და უშიშროების ამდენივე თანამშრომელი დგას ხოლმე) იმედი — ეგენი თავის თავს და ერთმანეთს არ იცავენ და ჩვენ როგორ გვიპატრონებენო!

ობიექტურნი რომ ვიყოთ, შეიძლება გავამართლოთ კიდეც საგუშაგოებზე მყოფი შინაგანი ჯარების სამხედროებიც — მათ რომ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ, იქნებ მოგვიანებით ხელმძღვანელობას მკაცრად დაესაჯა ისინი — რატომ დაიწყეთ შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირებაო.

ასეა თუ ისე, პირველი, შედარებით სერიოზული გამოცდა პანკისის ხეობაში შეყვანილმა სამართალდამცავებმა ჩააფლავეს. არადა, თუკი ხეობაში მართლაც დაიწყო რაიმე სერიოზული ანტიტერორისტული ოპერაცია, მაშინ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე მდგომი შინაგანი ჯარების დანაყოფებიც და პოლიციელებიც დიდი დაპირისპირების წინაშე აღმოჩნდებიან.

ენგურის ხიდზე რუსებს საგუშაგოზე ჯავშანტრანსპორტიორი კარგად ჰყავთ შენიღბული



სხვათა შორის, მართალი თქვა უშიშროების მინისტრმა ხაბურძანიამ, — პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული კი არა, ანტიკრიმინალური ოპერაცია უნდა ჩატარდესო.

თუკი დღეს საგუშაგოდან დამნაშავეები შეიარაღებულ პოლიციელებს შინაგანი ჯარების თვალწინ იოლად იტაცებენ, საქმე მართლა ბრძოლაზე რომ მიდგეს, რაღას იზამენ ჩვენი სამართალდამცავები?

რამდენად არის მზად ეს საკონტროლო-გამშვები პუნქტები, რომ მცირე ხნით მაინც მოიგერიონ უეცარი თავდასხმა?

საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე ქვიშიანი ტომრებით რამდენიმე დროებითი სასროლი წერტილია მოწყობილი, სადაც თავშეფარებულმა ჯარისკაცმა შეიძლება ავტომატის ტყვიისგან დაიცვას თავი. მაგრამ საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ პანკისის ხეობაში მყოფთ ავტომატების გარდა, საკმაოდ აქვთ სნაიპერული შაშხანებიც, ტყვიამფრქვევებიც და, რაც მთავარია, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნებიც (ისე, სჯობს გულზე ხელი დაიდოს რამდენიმე ქართველმა გენერალმა და პოლკოვნიკმა და თქვას, — პანკისში, ქისტებზე ან ჩეჩნებზე იარაღი არ გაგვიყიდიაო).

ქვიშის ტომარა ტყვიას კი გაუძლებს, მაგრამ ყუმბარსატყორცნის ჭურვის კუმულატიური ჭავლი დაფლეთს. ამიტომაც ერთ რიგად დალაგებული ქვიშის ტომრები ვერაფერი ბედენაა დასაცავად. დაცვის უკეთეს საშუალებას სრული პროფილით მოწყობილი სანგრები წარმოადგენს, მაგრამ რად გინდათ — ერთი წლის განმავლობაში მატნის გასასვლელში მდგარმა შინაგანმა ჯარმა საკუთარი უსაფრთხოებისთვის ერთი სანგარიც კი არ გათხარა და მგონი, არც დუისთან გადანაცვლების შემდეგ აპირებს ამის გაკეთებას.

სტატიის ავტორს ცხინვალშიც, აფხაზეთშიც, ჩეჩნეთშიც ათასნაირი საკონტროლო-გამშვები პუნქტი უნახავს, მაგრამ ის, რაც გვეპატიებოდა ათი წლის წინ, ცხინვალის მისადგომებთან (რაც გამოუცდელობით იყო გამოწვეული), დღეს მისი განმეორება აღარ შეიძლება. საკონტროლო-გამშვები პუნქტის (რომელსაც ჩვენთან რატომღაც ახალმოდურად „ბლოკ-პოსტებად" მოიხსენიებენ) გამაგრებულ თავდაცვით ზღუდედ გადაქცევის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს რუსი ფედერალების საგუშაგო წარმოადგენდა ჩრდილო ოსეთ-ინგუშეთის საზღვარზე, ვლადიკავკაზი-პრიგოროდნის რაიონის გაყოლებაზე, გზის გასაყარზე. ამ საგუშაგოს გავლისას ყოველთვის საგანგებოდ ვაკვირდებოდი, თუ როგორ ჭკვიანურად შეძლეს რუსმა სამხედროებმა მისი დაცვა. ადრე აქ არსებული საგზაო მილიციის პოსტს რუსეთის შინაგანი ჯარების ერთ-ერთმა დანაყოფმა წრიული თავდაცვითი ზღუდე შემოავლო — სანგრებით, შლაგბაუმების სისტემითა და ხელოვნური დაბრკოლებებით. ბეტონის ფილებით (რომლებიც ქვიშის ტომრებით იყო გამაგრებული) აგებული ДОТ-ებიდან (ხანგრძლივი საცეცხლე წერტილებიდან) წრიულად შეიძლება ცეცხლის გახსნა და ზურგიდან თავდამსხმელების მოგერიებაც. რუსებს ამ პოსტზე მდგარი ოთხივე ჯავშანტრანსპორტიორი საგანგებო სანგარში ჰყავდათ ჩამალული (რათა ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი არ მოხვედროდათ) და ზემოთ მხოლოდ ტყვიამფრქვევებიანი კოშკურა მოჩანდა. ამის მნახველი სინანულით უმზერ იმ ქართულ ჯავშანტრანსპორტიორს, რომელიც დუისის საგუშაგოსთან გზაზე ღიად დგას და საუკეთესო სამიზნეა 500-600 მ-ში ჩამალული ყუმბარმტყორცნელისთვის.

მაგალითებისთვის რაღა შორს წავიდეთ. ვისაც ხშირად უწევს ენგურის ხიდით რუხიდან ჭუბურხინჯში გადასვლა, უსათუოდ შეამჩნევდა, რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" ბეტონის ფილებში ჩამალულ БТР-70-ს, რომელიც კარგადაა დაცული და ამასთანავე, მისი კოშკურა მშვენივრად აკონტროლებს ხიდისკენ მიმავალ ტრასას.

საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობა არანაკლები ხელოვნებაა, ვიდრე საბრძოლო ოპერაციის დაგეგმვა. ამ საგუშაგოებზე მყოფნი ერთი მხრივ, წამგებიან მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან დღეში ასობით მანქანას ატარებენ. დაკვირვებული თვალი კი რამდენიმე დღეში შეისწავლის საგუშაგოს განლაგების სქემას, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს. აგრეთვე თავად საგუშაგოს განწესის ქცევას — როგორ ამოწმებენ ჯარისკაცები საბუთებს და მანქანებს, როგორ დააქვთ საშტატო იარაღი და რაციები და რომელ სიხშირეებზე საუბრობენ, სად დგას მეტყვიამფრქვევე, როგორია განგაშის გამოცხადების სქემა და ა.შ. ჭკვიან დამგეგმავს უჩუმრად ისე შეუძლია აიღოს მთელი საგუშაგო, რომ კაციშვილი ვერაფერს გაიგებს.

ამის საშიშროება პანკისის ხეობაში მუდმივად რჩება, რადგან დასაჭერი კიდევ ათობით კრიმინალური დამნაშავეა, ხოლო თუ თითოეული მათგანის აყვანაზე საპასუხოდ ოთხ პოლიციელს „მოიპარავენ", მაშინ მალე შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკურსი ექნება გამოსაცხადებელი თანამშრომელთა რიგების შესავსებად.

# მეტროში დაჭერილი ახალგაზრდა ქვეყნის დამცველად ნაკლებად გამოდგება

## რა არის ალტერნატიული სამსახური და ხომ არ დასცემს იგი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას?

დღეს ყველას თავისი პრობლემა აწუხებს — ერთს ის არ ასვენებს, მეზობლების ჯინაზე ახალი მოდელის „მერსედესის" ყიდვა ერთი კვირით რომ დაუგვიანდა, უმეტესობა პენსიების მოლოდინში ათენ-აღამებს, მაგრამ არის ხალხი, რომელიც თავისი ვაჟიშვილების გაზრდას შიშით უყურებენ — ბიჭებს ჯარში გაწვევის დრო უდგებათ.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა — 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქის ვალია. წვევამდელის სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება არანაკლებ 12 ოფიციალური მიზეზით შეიძლება (ჰყავს ოცი და მეტი კვირის ორსული ცოლი ან ერთი და მეტი შვილი, ან არის დედისერთა და ა.შ.). მიუხედავად ამისა, ჯარში გასაწვევი კონტინგენტი სრულიად საკმარისია ყველა ძალოვანი სტრუქტურის დასაკმაყოფილებლად.

თუმცა ეს მხოლოდ ქაღალდზე, რეალურად კომისარიატებში გეგმას ვერ ასრულებენ — მაგალითად, შარშან საშემოდგომო გაწვევა 31 დეკემბრის ნაცვლად ა.წ. 10 თებერვლამდე გაჭიანურდა, მაგრამ გეგმა მაინც მხოლოდ 60%-ით შესრულდა.

ეს სულაც არ არის გასაკვირი — არ უნდა ახალგაზრდას დღევანდელ ქართულ ჯარში სამსახური, სულერთია, ვისი კუთვნილება იქნება ის — თავდაცვის სამინისტროსი, შინაგანი თუ სასაზღვრო უწყებებისა.

ისე, მთლად ვერც ამ ახალგაზრდას და მით უმეტეს, მის მშობელს გაამტყუნებ — სამწუხაროდ, ქართულ ჯარში ხომ აღარავის უკვირს „დედოვშჩინა", კუთხურობა, უდისციპლინობა, სიცივე, ცუდი კვება და ბოლოს თვითმკვლელობა... მშობელს კი, რომელიც 17 წლის განმავლობაში შვილს დაჰფოფინებდა, ბუნებრივია, არ ემეტება იგი კორუმპირებული ხელისუფლების არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის სავალალო შედეგების გამოსასწორებლად გაამწესოს. ამას ემატებიან ის წვევამდელები, რომლებიც სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარს ასაბუთებენ სინდისისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე.

საბჭოური მენტალიტეტიდან გამომდინარე, ზოგიერთმა (არა მარტო სამხედროებმა) შეიძლება ისინი ქვეყნის მოღალატეებად მიიჩნიოს და მათი სისხლის სამართლის კანონით დასჯაც მოითხოვოს, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს ერთი კანონი, რომელიც საქართველოს ცივილიზაციასთან აახლოებს.

ეს გახლავთ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური. გულახდილად ვთქვათ — გეგმის შესრულების გამო, განა გამოდგება მებრძოლად მეტროში, ქუჩაში ან შინ ძალით დაჭერილი და ყურით კომისარიატში წათრეული ახალგაზრდა?!

ალტერნატიული სამსახური ახალგაზრდას საშუალებას აძლევს, არ წავიდეს თავისი სინდისისა თუ რწმენის წინააღმდეგ, ხელში არ აიღოს ავტომატი, და ამასთანავე, არ დაარღვიოს სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე მუხლი (იგი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან სისტემატურად თავის არიდებისთვის სხვადასხვა სასჯელს ითვალისწინებს, მათგან მაქსიმალურად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას).

სავალდებულო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული პრობლემები მარტო საქართველოსთვის როდია დამახასიათებელი, იგი ყველა ცივილიზებულმა ქვეყანამ გაიარა. დღეისათვის რუსეთში ცხარე კამათი მიდის ალტერნატიული სამსახურის შემოღების შესახებ, რის გამოც რუსეთის გენერალიტეტი ცოფებს ყრის და მოითხოვს „ალტერნატიულებისთვის" არანაკლებ 5 წლით განისაზღვროს სამსახური. რუსეთის მთავრობამ კი 4-წლიანი ალტერნატიული სამსახურის ვადა მოიწონა. საბოლოო სიტყვას რუსეთის დუმა იტყვის. გასაგებია, რომ უზარმაზარი რუსეთიც განიცდის წვევამდელთა მკვეთრ ნაკლებობას — ჩეჩნეთის გაჭიანურებულ ომში არავის სურს თავის მოკვლა.



თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველომ ალტერნატიულ სამსახურთან დაკავშირებით უკან მოიტოვა არა მარტო რუსეთი, არამედ ყველა პოსტსაბჭოური ქვეყანა, რადგან პირველი კანონი ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ ჯერ კიდევ 1991 წლის 14 ივნისს მიიღეს, მაშინ, როდესაც თვით საბჭოთა კავშირიც კი არ იყო დაშლილი. იმ ქარცეცხლიან წლებში ამ კანონის ამუშავებისათვის, რა თქმა უნდა, არავის სცხელოდა. მაგრამ გავიდა დრო და 1997 წლის 28 ოქტომბერს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ". როგორც კულუარებში ამბობენ, არც მაშინ ეცალა ალტერნატიულისთვის ჩვენს ხელისუფლებას, მაგრამ ევროსაბჭოში გაწევრების წინ დასავლეთის წარმომადგენლებს კატეგორიულად მოუთხოვიათ ქართულ კანონმდებლობაში ამგვარი კანონის არსებობა.

ყოველივე ზემოთქმულის რეალურობაზე ისიც ნათლად მეტყველებს, რომ ოფიციალურად 1998 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული კანონის თანახმად, დღემდე, 4 წლის განმავლობაში ერთი მოქალაქეც(!) არ გაუწვევიათ ალტერნატიულ სამსახურში.

არასამთავრობო ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების" დირექტორის, **ირაკლი სესიაშვილის** აზრით, კანონმა იმიტომაც არ იმუშავა, რომ სამი წლის განმავლობაში არ არსებობდა მისი დებულება და არც ის სახელმწიფო კომისია იყო შექმნილი, რომელიც განიხილავდა მოქალაქეთა განცხადებებს ალტერნატიული, სამხედრო შრომითი სამსახურის გავლის მოთხოვნით, არადა ყოველწლიურად 200-მდე ასეთი განცხადება გროვდება. მთხოვნელებს, უმაღლესი სახელისუფლო შტოებიდან წამოსული სიტყვიერი ბრძანების თანახმად, არც ალტერნატიულში იწვევდნენ, არც სამხედრო სამსახურში და დროებით გადაუვადებდნენ გაწვევას.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყინული დაიძრა და 2001 წლის 1 მაისს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ზედიზედ სამ ბრძანებულებას, რომლითაც გადალახულ იქნა ყველა იურიდიული დაბრკოლება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის დეპარტამენტი, რომლის უფროსადაც ანტონ ჭანტურია დაინიშნა.

ამ კანონის თანახმად, მოქალაქემ, რომელიც სამხედრო ვალდებულია, მაგრამ სურს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა, გაწვევის გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში განცხადებით უნდა მიმართოს რაიონის (ქალაქის) გამწვევ კომისიას. თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა განცხადება უნდა გადაუგზავნოს ალტერნატიულ, არასამხედრო შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიას. ამ კომისიაში განიხილება მთელი საქართველოდან თავმოყრილი განცხადებები, განიხილება და შეირჩევა ის სამუშაო ადგილები, სადაც ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოსახდელად შეიძლება გაიგზავნოს მოქალაქე. იგი ალტერნატიულ სამსახურს გაივლის სპეციალიზებულ არასამხედრო-შრომით ფორმირებებში, ჯგუფებში ან ინდივიდუალურად. მაგალითად, საავარიო-სამაშველო, ეკოლოგიურ, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებში, სამოქალაქო დანიშნულების სამშენებლო და სარემონტო ორგანიზაციებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ ობიექტებზე, კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში, საავადმყოფოებსა თუ პოლიკლინიკებში.

ბევრი იკითხავს, მაშინ, როდესაც ასიათასობით მოქალაქე ამაოდ ეძებს სამუშაოს, ვინ უნდა დაასაქმოს „მეალტერნატივეებიო". კანონი არ გამორიცხავს, რომ ისინი კერძო ფირმებმაც დაასაქმონ, რასაც, გარკვეულწილად, არ ეთანხმება თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა. ამ უკანასკნელს ურჩევნია, ალტერნატიული სამსახურის მსურველებმა სამხედრო მეურნეობებში იმუშაონ.

თითოეული „მეალტერნატივის" თვიური ანაზღაურება ქვეყანაში მიღებული ხელფასის უმცირეს ზღვარს — დაახლოებით 20 ლარს არ ასცდება. მაგრამ უმთავრესია, რამდენი ხანი უნდა იმსახუროს მოქალაქემ, რომ სახელმწიფოს მის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდეს. თავდაპირველად, 1997 წელს, ეს ვადა 36 თვით განისაზღვრა, მაგრამ მაშინ სავალდებულო სამსახური 24 თვე გრძელდებოდა. დღეს ჯარისკაცი ქართულ არმიაში მხოლოდ 1,5 წელი მსახურობს, ხოლო თუკი უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული, მაშინ 1 წელიწადი. შესაბამისად უნდა შემცირდეს ალტერნატიული სამსახურის ვადაც. ეს შესწორება მალე საპარლამენტო მოსმენაზე გავა და სავარაუდოა, რომ ალტერნატიული სამსახური უმაღლესი განათლების მქონეთათვის განისაზღვროს 18 თვით, ხოლო უმაღლესდაუმთავრებელთათვის — 24 თვით.

ვიმედოვნებთ, ალტერნატიულმა სამსახურმა მუშაობა უკვე წელს დაიწყოს.

თუმცა არსებობს საშიშროება, ამ სამსახურის შემოღებამ გარკვეულწილად ავნოს ქვეყანას. ბევრს რატომღაც ჰგონია, რომ ალტერნატიულ სამსახურში მარტო სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები მოხვდებიან. ამიტომაც შეიძლება ზოგმა ამ სექტების ყალბი საბუთებიც იშოვოს ან უარესი — ჯარიდან თავის დასაღწევად მართლა გახდეს რომელიმე სექტის წევრი. სინამდვილეში, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, მიუხედავად მრწამსისა, უარი თქვას იარაღით ხელში სამსახურზე და მის ნაცვლად აირჩიოს ალტერნატიული, ოღონდ უფრო ხანგრძლივი სამსახური.

სულაც არ გვინდა, პროპაგანდა გავუწიოთ არასამხედრო ალტერნატიულ სამსახურს (პირიქით, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში აფასებენ ჩუბინ ვაჟკაცს), მაგრამ არც ის გვსურს, რომ ვინმემ, სახელმწიფო ჩინოსანმა თუ რომელიმე სექტის წარმომადგენელმა სათავისოდ გამოიყენოს ახალგაზრდა.

ერთს დავუმატებთ — სანამ იქნება სავალდებულო სამხედრო სამსახური, მანამ საქართველოს ნორმალური და ბრძოლისუნარიანი არმია ნაკლებად ეყოლება. ჯარში მხოლოდ მან უნდა იმსახუროს, ვისაც ეს სურს. ელემენტარული პირობები რომ იყოს, ბევრი ახალგაზრდა დღესაც სიამოვნებით იმსახურებს საბრძოლო დანაყოფებში. სამხედრო საქმე ისეთივე პროფესიაა, როგორიც ბევრი სხვა. პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, ხოლო ომი — პროფესიონალმა სამხედრომ მოიგოს. ამიტომაც 1-1,5 წლით გაწვეული ჯარისკაცი, რომელიც გამუდმებით შინ გაქცევაზე ფიქრობს, სამწუხაროდ, „საზარბაზნე" ხორცია" და ძალზე საეჭვოა, ქვეყანა დაიცვას (თანაც სათანადო, სისტემატური საბრძოლო მომზადების გარეშე).

---

არსენალი

# ბინ ლადენი პანკისში თუ პათოლოგანატომთან?

## უპილოტო მზვერავებს ანტიტერორისტულ ოპერაციებში გარდატეხა შეაქვთ

ნახევარი მსოფლიო მსჯელობს, მართლა აფარებს თუ არა საქართველოში, პანკისის ხეობაში თავს №1 ტერორისტი ბინ ლადენი, ამერიკის ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ ლაბორატორიაში კი გაცხარებით იკვლევენ ადამიანის ნეშტის ნაწილებს იმის დასადგენად, არის თუ არა იგი ბინ ლადენისა.

3 თებერვალს ავღანეთის ერთ-ერთ რაიონში ჰაერიდან უზუსტესი დარტყმით გაანადგურეს შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც 3 კმ-ის სიმაღლეზე, მთებში მიიკვლევდა გზას. სარაკეტო დარტყმა მხოლოდ მას შემდეგ განხორციელდა, რაც სატელევიზიო კამერამ იმ ჯგუფში გამოარჩია თითქმის 2 მ სიმაღლის წვეროსანი მამაკაცი, რომელსაც მცველები მიჰყვებოდნენ. ბინ ლადენის სიმაღლე სპეცსამსახურებისთვის ცნობილია — შეიძლება წვერი გაიპარსო, შავი სათვალე მოირგო ან სულაც სახის პლასტიკური ოპერაცია გაიკეთო, მაგრამ ბუნებრივ სიმაღლეს ვერაფერს მოუხერხებ.

ოთხი დღის შემდეგ განადგურებული ჯგუფის ადგილზე 50-კაციანი ამერიკული სპეცრაზმი გადასხეს. მზვერავებმა გაწმინდეს ნახევარმეტრიანი თოვლი და შეაგროვეს დაღუპულთა ნეშტის ნაწილები, დამწვარი იარაღი, აღჭურვილობა და ყველაფერი ვაშინგტონში გადაგზავნეს.

კვლევის შედეგი შეიძლება მალე მეტად მნიშვნელოვანი გამოდგეს საქართველოსთვის, ხოლო ჩვენი რუბრიკა „არსენალისთვის" საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უზუსტესი საჰაერო დარტყმა განახორციელა ამერიკულმა უპილოტო სადაზვერვო მფრინავმა აპარატმა RQ-1 „პრედატორმა" (ქართულად „მტაცებელს" ნიშნავს).



**ჩვენი დოსიე: 8,2 მ სიგრძისა და 14,8 მ ფრათაგაშლილობის RQ-1 „პრედატორი" 1 ტონას იწონის და ერთი 100 ცხ.ძ-ის შიდაწვის ძრავითაა აღჭურვილი; იგი მას საშუალებას აძლევს, 15 საათის განმავლობაში 220 კმ/სთ სიჩქარით იფრინოს 4-10 კმ-ის სიმაღლეზე.**

სწორედ უპილოტო თვითმფრინავების მასობრივმა გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ანტიტერორისტული, ანუ იგივე ანტიპარტიზანული ბრძოლის მეთოდები.

თუკი ვიეტნამის ჯუნგლებში ამერიკელები, ხოლო ავღანეთის მთებში საბჭოთა მეომრები გაწამებულნი იყვნენ პარტიზანების ხშირი, მოულოდნელი თავდასხმებით, უპილოტო მფრინავი მზვერავების გამოჩენამ შესაძლებელი გახადა ამ მცირერიცხოვანი ჯგუფების ჰაერიდან დაფიქსირება.

უპილოტო მზვერავი, მცირე გაბარიტების გამო, ცაში ძნელად შესამჩნევია, თანაც არც რეაქტიული ძრავის გუგუნით ამჟღავნებს თავს. მათ სამიზნეების აღმოსაჩენად ძირითადად სატელევიზიო, თუ სითბოვიზური კამერა, ან მინი-რადიოლოკატორი უყენიათ. უპილოტო მზვერავებს დისტანციურად მართავს ოპერატორი და სატელევიზიო მონიტორზე მიღებული გამოსახულების შესახებ ინფორმაციას რეალური დროის მასშტაბში რეაგირებისთვის გადასცემს სახმელეთო ჯარების დანაყოფებს ან ბომბდამშენი თვითმფრინავების ეკიპაჟებს.

„პრედატორის" შემთხვევაში ამერიკელებმა კიდევ უფრო წინ წაიწიეს და ზემოხსენებული სქემიდან ბოლო რგოლი ამოაგდეს. მათ „მტაცებელი" თავად შეაიარაღეს ორი „ჰელფაირის" ტიპის მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტით, რითაც ოპერატორს საშუალება მიეცა, სამიზნის აღმოჩენისთანავე ებრძანებინა უპილოტო მზვერავებისთვის, ობიექტისკენ მართვადი რაკეტები გაეშვა.

ამერიკელებმა „მტაცებლების" გამოცდა ჯერ კიდევ ბოსნიაში დაიწყეს, შემდეგ კოსოვოში გააგრძელეს და ბოლოს ავღანეთში გამოიყენეს. მოსკოვი ეჭვობს, რომ ამერიკელები ავღანეთს ზვერავენ უზბეკეთის აეროდრომიდან, სადაც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-11 სადაზვერვო ესკადრილიას 12 „პრედატორი" მაინც ჰყავს ჩაყვანილი. ავღანეთის ოპერაციებში ამერიკელებმა 3 „მტაცებელი" დაკარგეს. „პრედატორის" ერთი კომპლექსი (კომპლექსში 4 უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი, მართვის სადგური და კავშირგაბმულობის მოწყობილობა შედის) ჯდება 25 მლნ დოლარი, რაც ერთი F-16 გამანადგურებლის ფასია.

უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავები ჩვენც გამოგვადგებოდა პანკისისა თუ კოდორის ხეობაში. პანკისის ხეობის მთავარი პრობლემა მარტო ის როდია, რომ იქ დამნაშავეები თუ უკანონო, უცხო ტომის შეიარაღებული პირები აფარებენ თავს, არამედ ისიც, რომ ნაკლებად მოგვეპოვება ოპერატიული და, რაც მთავარია, სანდო ინფორმაცია ხეობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

არადა რაიმე ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყება, წინასწარი სადაზვერვო მონაცემების გარეშე, ნიშნავს, რომ ეს ოპერაცია თავიდანვე განწირულია. ამ ინფორმაციის მოპოვება კი შეეძლებათ იმ უპილოტო მზვერავებს, რომლებიც 5-6 კმ-ის სიმაღლეზე (ხეობაში არსებული საზენიტო საშუალებებისთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე) დღედაღამ პანკისის თავზე იქნებოდნენ „ჩამოკიდებულნი". ამ უპილოტო მზვერავების თანამედროვე რადიოელექტრონულ მოწყობილობას 6-8 კმ-ის სიშორიდან შეუძლია ადამიანის სახის მკაფიო სატელევიზიო გამოსახულების „მოპოვება", რაც საკმარისია იდენტიფიკაციისთვის.

ერთი წლის წინ „თბილავიამშენში" ებრაელებს წარმოდგენილი ჰქონდათ უპილოტო მზვერავი „ბლიუ ჰორიზონი", თუმცა მისი სერიული წარმოება ჩვენთან ვერ მოხერხდა უსახსრობის, უფრო სწორად კი, სახელმწიფოს დაუინტერესებლობის გამო.

რუსი ფედერალები რამდენიმე წელია იყენებენ უპილოტო სადაზვერვო ПЧЕЛА-ებს ტყეს შეფარებული ჩეჩნების აღმოსაჩენად. ჩეჩნეთის პირველ ომში ერთ-ერთი ასეთი უპილოტო მზვერავი ტყვიამფრქვევით ჩამოაგდეს ჩეჩნებმა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

*ისევე, როგორც დღევანდელი პოლიცია, არც მისი წინამორბედი მილიცია გამოირჩეოდა კადრების სიწმინდით. თუმცა შედარება მაინც არ შეიძლება და ამას დღევანდელები თავად ადასტურებენ. ადრინდელი მილიციის ზოგადი სტერეოტიპი დაახლოებით ასეთი გახლდათ – გაუნათლებელი, უხეში, ქრთამის მოყვარული. ახლა ამას ემატება: მკვლელი, ყაჩაღი, მძარცველი. და კიდევ, ყველა ის ეპითეტი, რომელიც ადამიანის უარყოფითი თვისებების დასახასიათებლად არსებობს ქართულ ენაში. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა ორგანოებში ადრეც იყვნენ და დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ზნეობრივი სიწმინდით, ასე თუ ისე, აკეთილშობილებენ ამ სამსახურს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ასეთების ხილვა პოლიციის მუნდირში ახლა უფრო მეტ გაოცებას იწვევს, ვიდრე წინათ. ასეთებს იმ დროსაც მილიციაში შემთხვევით მოხვედრილებს უწოდებდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ, მაგრამ მე მათ შორის ისეთებსაც ვიცნობდი და ვიცნობ, ვინც თავისივე სინდისის კარნახით ჩაიცვა ეს მუნდირი და ერთხელაც არ უღალატია არც საკუთარი რწმენის, არც საზოგადო მოვალეობისთვის. ასეთთა შორისაა ჩვენი რუბრიკის სტუმარი, მილიციის პოლკოვნიკი* ***მიხეილ გომართელი****. კაცი, რომელმაც ოცდაათი წელი გაატარა სისხლის სამართლის სამძებროში, ანუ მკვლელების, ბანდიტების, ყაჩაღების, მძარცველების, ქურდების და მათ მსგავსთა გარემოში და ერთხელაც არ შელახულა მისი ღირსება.*

**გიორგაძის ხელებზე დადებულ ბორკილებს რომ დავხედე, დავრწმუნდი, მას სახუმაროდ არ ჰქონდა საქმე...**



## უთავო კაცი ფეხებს ატანს ძალას

*— ბატონო მიშა! გულახდილად რომ გითხრათ, ჩემთვის თქვენ დღემდე გამოცანად რჩებით. ასეთი ხათრიანი, თუ არ მიწყენთ, ასეთი ფაქიზი, ასეთი წყნარი, როგორ ახერხებდით იმ კონტინგენტთან ურთიერთობას, რომელსაც ჩვენ შავ სამყაროს ვუწოდებთ.*

— როგორ გითხრათ... ბუნებით მართლაც მშვიდი ვარ და ამას ვუმადლი, რომ ასაკისა და იმ ცხოვრების მიუხედავად, რომელიც, როგორც იტყვიან, სამართებლის პირზე სიარულში განვვლე, დღესაც, მერვე ათწლეულში გადამდგარიც, არ ვუჩივი ჯანმრთელობას. ისე კი ძალოვან სტრუქტურაში მუშაობა ჩვენთან რატომღაც კუნთების თამაშსა და მუშტების ქნევასთან ასოცირდება. მე კი ვამტკიცებ, რომ ასეთი რამ უთავოებს სჭირდებათ. ხომ გაგიგონიათ, უთავო კაცი ფეხებს ატანს ძალასო. ამ შემთხვევაშიც ასეა. მუშტებით ნაკეთებ საქმეს სიყალბის იარლიყი ეკერება, რადგან ამ ხერხით გამოძალული ჩვენება ყოველთვის როდია მართალი. ერთ ასეთ ფაქტს გავიხსენებ: სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კახეთში, ერთ მეღვინეს, თუ არ მეშლება, გვარად ტაბატაძეს, დიდი ფულის შეწერა მოუნდომეს. ფულის გადაცემა გამომძალველთა მოთხოვნით თბილისში, საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრ „პირიმზეში“ უნდა შემდგარიყო. იქ კი, მოგეხსენებათ, ხალხი განუწყვეტლივ ირევა. შეგვეძლო, შევსულიყავით და ისე გვეტრიალა მეღვინის სიახლოვეს, რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდებოდა. ფულის გადაცემის მომენტში კი ავიყვანდით, მაგრამ სწორედ ამ დროს შეიძლებოდა დაგვეშვა შეცდომა და ამას შემდეგ, სასამართლოზე დაპატიმრებულების სასარგებლოდ გამოიყენებდა მათი ადვოკატი. „პირიმზის“ ადმინისტრაციას წინასწარ შევუთანხმდი და ერთმა ჩვენგანმა ფეხსაცმლის შემკეთებლის ადგილი დაიკავა. მეორემ ქოლგის, მესამემ — ჩანთების ხელოსნისა. მე მესაათის „ხელობა“ ვარჩიე, რადგან ამ ჯიხურიდან უფრო ახლოს ვიქნებოდი დანიშნულ ადგილთან, თანაც, საბედნიეროდ, იმ დღეს მესაათეს მაინცდამაინც არ ეტანებოდა მუშტარი. ის იყო, მარჯვენა თვალზე გამადიდებელი ლინზა მოვირგე, თითქოს ამას ელოდებოდნენო, დაიძრა, მაგრამ რა დაიძრა, — ერთბაშად რამდენიმე კაცი მომაწყდა გაფუჭებული საათებით. სხვები როგორღაც მოვიშორე, ბევრი „ზაკაზი“ მაქვს და ახლებს ველარ მივიღებ-მეთქი, მაგრამ ერთი გადამეკიდა: სამაჯური გამიწყდა და გამომიცვალე, ნახევარი წუთის საქმეაო. საკუთარ თავზე გავბრაზდი. საათის სამაჯურის შებმა კი უნდა იცოდეს კაცმა-მეთქი, მაგრამ რა უნდა მექნა, აქედან ეს არ მეშვება, იქით ჩემი კოლეგა „საპოჟნიკი“ მამია კოპალეიშვილი, რომელიც შემოსასვლელ კარს უყურებდა, მანიშნებს, ჩვენთვის საინტერესო ხალხი საცაა შენობაში შემოვაო. ჩემი საათი მოვიხსენი და „კლიენტს“ შევევედრე, ქენი სიკეთე, თუ ძმა ხარ, დღეს ეს საათი ატარე. ხვალ შემოიარე და შენ საათს ახალი სამაჯური შევაბათ, თვალში რაღაც ჩამივარდა და ვერაფერს ვხედავ, შინ უნდა წავიდე-მეთქი. ასე გეთქვა თავიდან, შე კაცოო, მითხრა და ის იყო უნდა გამცლოდა, მის ზურგს უკან ზუსტად ის მომენტი დადგა, რასაც ველოდი. ბიჭებს ნიშანი მივეცი და თვალის დახამხამებაში სამი გამომძალველი ბორკილებით გადავაბით ერთმანეთს. ეს გახლდათ ცნობილი სკენდერ ონიანი და მის მიერ ორგანიზებული ბანდის ერთი ჯგუფი, რომელიც გამოძიების პროცესში ახალი ხალხითა და სხვა ადრე ჩადენილი არაერთი მანამდე გაუხსნელი დანაშაულით შეივსო.

*— ვიცი, რომ თქვენ სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ ოცდაორი წლისა მოხალისედ წახვედით სახალინზე სახელმწიფო უშიშროების სამსახურში, ანუ ძველ კგბ-ში. ეს სახალინი, რომ არ დაგიმალოთ, ცოტა უცნაურად ჟღერს...*

— მესმის თქვენი, მაგრამ მე ერთადერთი უფლება მქონდა, — მოხალისეობა. მე არავინ მეკითხებოდა, სად გამიშვებდნენ. ხომ ვერ ვიტყოდი, რაკი მოხალისე ვარ, სადაც მე მინდა, იქ გამანაწილეთ-მეთქი და... ასე აღმოვჩნდი სახალინზე. შემდეგ იყო მურმანსკი, ბათუმი, ფოთი, ქობულეთი, თბილისი. ექვსწლიანი სამსახურის შემდეგ შინაგან საქმეთა ორგანოებში გავაგრძელე მუშაობა. თავდაპირველად, ბათუმში სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორად მიმიღეს.

## ფრიადზე ჩაბარებული გამოცდა

იმხანად აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო დავით მამულაძე. მისი კაბინეტის ფანჯრები ქუჩის მეორე მხარეს მის საცხოვრებელ ბინას უყურებდა. სადარბაზოს, როგორც წესი, მუდმივად დარაჯობდა ორი მილიციელი, მაგრამ ამ კაცის ბინა მაინც გატეხეს დღისით, მზისით, სამუშაო საათებში. შინ მხოლოდ მოსამსახურე ქალი იყო. როგორც გვითხრეს, ბინაში ყველაფერი თავდაყირა ყოფილა. ეტყობოდა, ქურდები ოქროსა და ძვირფასეულობას ეძებდნენ. სახლის პატრონები კი აცხადებდნენ, წაღებული არაფერიაო. ბინის დასათვალიერებლად აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და საგამოძიებო ჯგუფის უფროსი შევიდნენ. ჩვენ, ვისაც საქმე უნდა გვეკეთებინა, შიგაც არ შეგვახედეს. მოგვცეს მხოლოდ დამლაგებელი ქალის მიერ მონათხრობი — ქურდების არაფრისმაქნისი გარეგნული აღწერილობა. ეს იყო და ეს. გავედით ქალაქში მე და აწ განსვენებული ჩემი მეგობრები — ალიოშა სვანიძე და შალვა ხიდაშელი. ფაქტობრივად, არაფერი ვიცით ქურდების შესახებ. ისე, მოვალეობის მოხდის მიზნით ვიბორიალეთ. ერთადერთი, რაც იმ დღეს საყურადღებოდ მეჩვენა, ის იყო, რომ როცა ქალაქის განაპირას, სასაფლაოსთან მდებარე სასაუზმეს ჩავუარეთ, რაღაც არ მომეწონა, როცა იქიდან გამოსულ საეჭვო ქცევის ახალგაზრდებს შორის შევნიშნე თბილისელი ბიჭი, ვინმე რეზო ნამიჩეიშვილი, რომელსაც თუ არ მეშლება, ბათუმელი ბებია ჰყავდა და ამ საბაბით ხშირად სტუმრობდა აჭარის დედაქალაქს. ამ ახალგაზრდის თბილისური წარსული მაძლევდა იმის უფლებას, რომ მისთვის ეჭვის თვალით შემეხედა და არაოფიციალურად გაფრთხილებულიც კი მყავდა — ბათუმში ჩამოსული არ გნახო-მეთქი. ვიდრე რამეს ვეტყოდი, თვითონ დამასწრო, — მიშა ბიძია, ბიჭებმა დაგვპატიჟეს და თქვენ არ ინერვიულოთ, ამ საღამოსვე წავალო. ეს იყო და ეს. მივბრუნდით უკან. ბინაში ისევ არ გვიშვებენ. მოსამსახურე ქალი კი ერთსა და იმავეს იმეორებს, — თავზე ისე დამადგნენ, არაფერი გამიგია, მერე მითხრეს, ხმა არ ამოიღო, თორემ გაგათავებთო და ყველაფერი გადმოაქოთეს, მაგრამ არაფერი აუღიათო.

მეზობლის ქალმა დაამატა, კარის გაღების ხმა კი გავიგე, მაგრამ ვიფიქრე, თამარა ვასილიევნა დაბრუნდა და გავძახე, შემოდით ჩვენთან, ჩაი დავლიოთ-მეთქი. ეს იყო და ეს. შვიდი თვე, რომ იტყვიან, სიბნელეში ვაფათურებდით ხელებს. საქმის გახსნის იმედი გადაგვეწურა. არადა, ცეცხლს გვინთებდნენ ხუმრობა ხომ არ იყო, ავტონომიური ოლქის პირველი პირის ბინა გატეხეს. ამასობაში კი ბათუმში ხმა დაირხა, მამულაძის ბინა პირველი მეუღლიდან მისმა უფროსმა ვაჟმა, ჯემალმა გატეხა და ასე იძია შური დედამისის მაგივრადო. ამიტომ მილიცია, ისე, თვალის ასახვევად ეძებს დამნაშავეს, თორემ ყველაფერი კარგად იციანო. არადა, ჯემალი წესიერი ბიჭი იყო. მისგან წარმოუდგენელი იყო ამგვარი რამის ჩადენა. ამ ჭორმა კი, ბუნებრივია, კიდევ უფრო გააღიზიანა მამამისი და უფროსიან-უმცროსიანად ყურებჩამოყრილები დავიარებოდით. იმხანად მე თბილისში, მილიციის სკოლაში ვსწავლობდი დაუსწრებლად და უფროსებს შევბედე, აქ მაინც არაფერს გარგივართ, წავალ, გამოცდებს ჩავაბარებ და ერთ-ორ კვირაში დავბრუნდები-მეთქი. დედაქალაქს დანატრებულმა თბილისელმა ბიჭმა პირველსავე კვირას „ლოკომოტივის“ სტადიონს მივაშურე ფეხბურთის მატჩის სანახავად. ხომ გაგიგონია — იღბალი მომეცი და თუ გინდა კლდიდან გადამაგდეო; ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ არა ის დღე, ის შეხვედრა, მამულაძის ბინის ქურდობის საქმე ალბათ დღესაც გაუხსნელი იქნებოდა. იმ დღეს კი სტადიონზე შემთხვევით ჩემს კოლეგას გივი გიორგაძეს შევხვდი, რომელიც იმხანად გამომძიებლად მუშაობდა. მე ჩემი ვუამბე, იმან — თავისი და სხვათა შორის, ისიც მითხრა, ახლა ერთი საინტერესო ჯგუფი გვყავს, „დიდი ხალხის“ ბინებს ტეხავენ და მარტო ოქრო და ძვირფასეულობა გააქვთო. ქურდების გვარებიც ჩამომითვალა და როცა რეზო ნამიჩეიშვილი ახსენა, სიხარულისგან კინაღამ შევხტი. ეს რეზო იყო იმ დღეს, სასაუზმესთან რომ მომიბოდიშა, დღესვე თბილისში ვბრუნდებიო. კოლეგას ვთხოვე — მეცი პატივი, ხვალ ნამიჩეიშვილი ამოიყვანე დაკითხვაზე, ამ დროს მე შემოვალ და დანარჩენი მე ვიცი. იქნებ ჩვენი საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბინის გატეხა აღიაროს კიდეც-მეთქი. გივიმ სიტყვა შეასრულა და დათქმულ დროს ნამიჩეიშვილი თავის სამუშაო ოთახში დამახვედრა. როცა წინასწარ დაწერილი სცენარით ერთმანეთი მოვიკითხეთ, გივიმ ყასიდად მკითხა, რასთან დაკავშირებით გვეწვიეო. ნამიჩეიშვილზე მივუთითე და ვუთხარი, ამის წასაყვანად ვარ ჩამოსული, აჭარის პირველი კაცის ბინა გატეხა-მეთქი. სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, პატიმარი ადგილიდან წამოხტა და — ძია მიშა, ოღონდ ის მითხარი, ვინ ჩამიშვა და აღიარებას დაგიწერო. ერთი კი შევყოყმანდი, მაგრამ უმალ გამახსენდა, ერთი გაფუჭებული კაცი თანამშრომლობდა ჩვენთან. მთელი აგენტურა გაგვიშიფრა და არც დამნანებია, ისე ვუთხარი, მარკუშამ გაგცა-მეთქი — მე მაგისი დედა, მაგის მკვდარი და ცოცხალი, ვიცოდი, ადრე თუ გვიან, ჩამიშვებდა, რატომ თავის დროზე არ მოვიშორე თავიდანო, — დანაღვლიანდა ნამიჩეიშვილი, მაგრამ კაცურად მოიქცა, ყველაფერი დაწვრილებით აღწერა. ერთ ჯიბის ქურდ ბიჭთან ერთად ვიყავი, კარი დომკრატებით გავაღეთ, ბინაში ძვირფასეულობას ვეძებდი, მაგრამ ამ დროს ვეჩემ დარეკა (ჰქონდა „დიდ“ ხალხს ბინებში ასეთი ტელეფონები) და იმ ჯიბის ქურდს (ჯიბგირს) შეეშინდა და ბინიდან გავარდა. ჩემი მარტო დარჩენა იქ არ შეიძლებოდა, ჯიბგირს ვერ ვენდობოდი, შეეძლო იქვე, სადარბაზოში, მდგარ მილიციელებთან ჩავეშვი და ამიტომ უკან გამოვყევიო. კი მაგრამ იმ დღესვე რომ „საუქსუსეში“ (ასე ერქვა სასაუზმეს) გაშიფრე შენი თავი, დაჭერის არ გეშინოდა-მეთქი, ვკითხე. მიპასუხა — კი, მაგრამ მე ხომ იმ ბინიდან არაფერი წამიღია. მარტო გაქურდვის მცდელობა მქონდაო. მისგან განსხვავებით ჩვენ ასე არ ვფიქრობდით, სახეზე იყო ბინის გატეხა და ბინაში შეღწევა. ამისთვის კანონით პასუხი უნდა ეგო. ვიცი, შენ გამიგებ. იმ წუთში მასზე უფრო საყვარელი არავინ მეგულებოდა ამქვეყნად. შინ გავიქეცი, დედაჩემს ვთხოვე, ერთი ჩემი მეგობარი ჰაუპტვახტში ჩაკეტეს რამდენიმე დღით. არ მინდა მისიანებმა გაიგონ და სადილი გამიმზადე, რომ გადავცე-მეთქი. ერთი სიტყვით, თქვენგან მოწონებული პურმარილი მივართვი და ბათუმს ვუპატაკე ქურდის პოვნის შესახებ. იმ დღიდან ყველა განსაკუთრებული პატივით მეპყრობოდა, განსაკუთრებით კი მამულაძის ვაჟი, ჯემალი, რომელსაც ეს შემთხვევა რომ არა, ალბათ ძალიან დიდხანს უნდა ეტარებინა ცილისმწამებელთა მიერ მიკერებული დამღა.

## აღიარებაც მოვიდა

ისევ ორმოცდაათიანი წლებია. ბათუმის ცენტრში ოთხი კაცი ჩაუჯდა ტაქსის მძღოლს, ვინმე გორდეზიანს და სოფელ სალიბაურში წაყვანა სთხოვეს. გზაში „მგზავრებმა“ იარაღის მუქარით გაძარცვეს მძღოლი. ტაქსი წაართვეს და გაუჩინარდნენ. მეორე დღეს, ხევში გადაჩეხილი იპოვა თავისი მანქანა გორდეზიანმა, ცოტა მოშორებით ფეხსაცმლის ცალი ეგდო. როგორც ჩანს, მანქანის გამტაცებლებმა სიბნელეში ველარ იპოვეს და მიატოვეს. მე კი მისი პოვნა ისე გამიხარდა, თითქოს დიდად ძვირფასი რამ მეპოვოს პირადად ჩემთვის. ეტყობოდა, ფეხსაცმელი ახალი შეკეთებული იყო. ლანჩის ძირები ჯერ ძაფით იყო საპირეზე მიმაგრებული, შემდეგ კი ლურსმნით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მასზე კეთილსინდისიერ ხელოსანს უმუშავია და ასეთები ცოტანი არიან-მეთქი, ვიფიქრე და არც შევმცდარვარ. როცა ბათუმელ ხელოსნებში გავიკითხე, მაგ წესით ლანჩებს ძია გრიშა აკერებსო, მითხრეს და მეც ამ კაცს მივადექი. ძია გრიშამ ერთი კი შეათვალიერა ფეხსაცმელი და ალალად მითხრა — ეგ ფეხსაცმელი ალიკა სააკიანისაა, რამდენიმე დღის წინ შევუკეთეო. იმ დღესვე მოვნახეთ სააკიანი. მან კიდევ სამი კაცი მოგვანახვინა და ოთხივემ თხუთმეტ-თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიიღო სასამართლო განაჩენით. აბა, ეს რა იმხელა საქმე იყო, მაგრამ წლების შემდეგ გამახსენეს ბათუმელებმა. იმ დროს უკვე თბილისში ვმუშაობდი. ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსი, აჭარაში ჩემი ყოფილი მინისტრი კონსტანტინე კეთილაძე გახლდათ. ერთ დღეს მითხრეს, კეთილაძის დავალებით ბათუმიდან ჩამოსულ დედა-შვილს უნდა დავეხმაროთო. გაირკვა, რომ ვაჟს, გვარად ჭყონიას, ახლა იგი ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობს, ალჟირში უმუშავია სამი წელი და იქიდან დაბრუნებულს აეროპორტში, ტაქსის საბარგულში ჩაუდვია ერთადერთი ჩემოდანი, რომელშიც იყო სამი წლის მანძილზე შეძენილი ათასი წვრილმანი (ხომ გახსოვს, მაშინ აქ არაფერი იშოვებოდა). როცა ქალაქში სასურველ მისამართზე გაჩერებულ ტაქსის მძღოლს მგზავრი ფულს აწვდიდა, ამ უკანასკნელმა მანქანა ადგილიდან მოწყვიტა და ჩემოდნიანად გაუჩინარდა. მგზავრმა მანქანის სანომრე ნიშნის მხოლოდ ორი ციფრი დაიმახსოვრა — ოთხმოცდაექვსი. მილიციაში უთხრეს, ჩვენ ამ ორი ციფრით მანქანას ვერ დავადგენთ, მაგრამ თუ მძღოლის სახე გახსოვს, იარე ტაქსების გარაჟებში და ამოიცანიო. ორი კვირა იარა ამ ახალგაზრდა კაცმა ქალაქის ტაქსოპარკებში, მაგრამ ამაოდ — ახლა, თქვენს იქით გზა აღარა გვაქვსო, — მეუბნება დედამისი. ბათუმში გახსნილი თქვენი საქმეები გვახსოვს და ამიტომ სახელდობრ თქვენი სამსახური ვთხოვეთ სამმართველოს უფროსსო. არადა, მე ამ დროს სისხლის სამართლის ქვეგანყოფილების უფროსი ვარ და პროფილით ამ კატეგორიის საქმეები არ შემოდის, მაგრამ რა გაეწყობოდა, გავყევი. მაშინ მგზავრთა თავშეყრის ადგილებში ტაქსების სამსახურს ჯიხურები ედგა, სადაც აღინიშნებოდა სავალდებულო რეისები, ვთქვათ, ამ და ამ მძღოლს ერთი სავალდებულო რეისი უნდა შეესრულებინა ვარკეთილის მასივიდან, მეორეს დიღმიდან და ა. შ. ვნახე იმდღევანდელი სია, როცა ჭყონიას ჩემოდანი „შეაწერეს“ და აღმოჩნდა, რომ აეროპორტიდან გასულა ტაქსი ნომრით 86-00. მეორე დღეს მძღოლს ავტოპარკში მივაკითხე და ჩემოდანიც ვიპოვეთ. მძღოლს იგი სახლში მიუტანია და მის მეუღლეს ისე აკურატულად ჰქონდა გარდერობში დალაგებული სხვისი ნივთები, თითქოს მათი საკუთრება იყო. პროკურატურამ კი, ჯერ ჩვენმა და მერე მოსკოვისამ, ტაქსისტის ქმედებას დანაშაულის კვალიფიკაცია არ მისცა და მძღოლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. თუმცა მე მაინც კმაყოფილი ვიყავი. ახალგაზრდა კაცს ვაპოვნინე სამი წლის მანძილზე ალჟირში წვალებით შეძენილი ნივთები.

## დიდჩინოსნის მკვლელი სტუმრები

*— ბატონო მიშა, იქნებ იმ შემთხვევაზე გვიამბოთ, თვითმფრინავით რომ დაედევნეთ მოსკოვში მიმავალ მატარებელს.*

— ეგ ამბავი სამოციანი წლების დასასრულს მოხდა. ზაფხული იყო. შევჩენკოს ქუჩაზე, ზუსტად ჩვენი სამინისტროს წინ, მოკლეს ვინმე ბობოხიძე. მკვლელები მიიმალნენ. გარდა იმისა, რომ მკვლელობა ყველა შემთხვევაში უნდა გაგვეხსნა, ამ ამოცანის შესრულება პრესტიჟის საქმეც იყო, რადგან სულერთი არაა, სად ხდება ამგვარი დანაშაული. მთელი მილიცია ფეხზე დადგა და როგორც იქნა, მივიღეთ ძალზე ძუნწი, მაგრამ ხელმოსაჭიდი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მკვლელები ამ ამბის შემდეგ მოსკოვს გაემგზავრნენ და რომ მათი მატარებლის მოსკოვში შესვლამდე ოთხი საათიღა რჩებოდა. გაოგნებულები შევყურებდით ერთმანეთს და ყველანი ერთსა და იმავეს ვფიქრობდით: — ჩავა ახლა მატარებელი სსრ კავშირის დედაქალაქში და მოგჭამა ჭირი, სად გინდა ეძებო მკვლელები. თუმცა ვიღაცამ ცინცხალი ინფორმაცია მოიტანა, მკვლელების ამოცნობა კალინინის რაიონის მილიციის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებს, ვოვა მელნიკოვს და გურამ გზირიშვილს შეუძლიათო. ამის შემდეგ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. ერთმა აეროპორტში დარეკა და უახლოეს რეისზე ბილეთები შეუკვეთა. მეორემ მელნიკოვი და გზირიშვილი გამოიძახა. ხელმძღვანელად მე დამნიშნეს და პირველივე რეისით მოსკოვს გავფრინდით. ვნუკოვოს აეროპორტიდან ტაქსით გავქანდით კურსკის ვაგზალში. მატარებლის მოსვლამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა. სასწრაფოდ შევირბინეთ ვაგზლის მილიციაში. გვაინტერესებდა, მგზავრების რამდენი გამოსასვლელი იყო ვაგზლის ტერიტორიიდან. ცხრა გამოსასვლელი ჰქონია კურსკის ვაგზალს — ჩვენ კი მხოლოდ ორის ჩაკეტვა შეგვეძლო, რადგან მხოლოდ ორი კაცი გვყავდა, რომლებიც სახეზე იცნობდნენ მკვლელებს. რუს კოლეგებს ვთხოვეთ, ერთი კაცი დაგვახმარეთ და ორი მთავარი გამოსასვლელი ჩაგვაკეტინეთ-თქო. რა თქმა უნდა, პირობითად, თორემ ვაგზლიდან გამოსასვლელის ფიზიკურ ჩაკეტვას ალბათ შინაგან საქმეთა საკავშირო მინისტრის ბრძანებაც არ ეყოფოდა. ჩამოდგა მატარებელი და ზღვა ხალხი მიაწყდა გასასვლელებს. ცხრა გასასვლელი ღიაა, ჩვენ კი მხოლოდ ორს ვაკონტროლებთ. ამ დროს ვოვა მელნიკოვი მანიშნებს, აგერ ის ორი, ამ სიცხეში ბუკლეს კეპები რომ ჩამოუფხატავთ, ეგენი არიან ჩვენთვის საჭირო ხალხიო და შვებით ამოვისუნთქე: დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო. სხვათა შორის ერთი მათგანი, გვარად გიორგაძე აღმოჩნდა, როცა ვკითხე, მოსკოვი რატომ აირჩიეთ დასამალავად-მეთქი, მიპასუხა: აქ ჩემს მოგვარესთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანთან, მიხეილ გიორგაძესთან მივდიოდით სტუმრადო. ვერ გეტყვით, იხუმრა თუ არა, მაგრამ როცა მის ხელებზე დადებულ ბორკილებს დავხედე, დავრწმუნდი, ამჯერად ნამდვილად არ ჰქონდა სახუმაროდ საქმე...

პოლკოვნიკმა მიხეილ გომართელმა ბევრი სხვა საინტერესო ისტორიაც მიამბო. სხვათა შორის, იგი ორმოცდახუთი წლის ასაკში გაუშვეს ორგანოებიდან „ზემდგომების მოთხოვნათა“ შესაბამისად...

***ვაჟა გავაშელი***

# „ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ – „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ“ ᲤᲐᲠᲡᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ“...

## „არა მგონია, ჟვანია-სააკაშვილის ვიზიტი ამერიკაში წარმატებული ყოფილიყო...“

ოპოზიციურ ფრონტზე სააკაშვილის გამოჩენას სიხარულით თავიდანვე არ შეხვედრიან. დღეს კი, როგორც ჩანს, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და ხელისუფლების სტაჟიან ოპონენტებს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება — სააკაშვილსა და მის გუნდს უკვე მწარედ ჩაკორტნას უპირებენ. არც არის გასაკვირი — „ნაციონალისტები“ პოლიტიკური სიმორცხვითა და კდემამოსილებით ნამდვილად არ გამოირჩევიან. ამ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა არასახელისუფლებო ბანაკში ლამის მასპინძლობაც მოინდომეს — მარცხნივ ნათელაშვილს წაართვეს ლოზუნგები, მარჯვნივ ეროვნულ-დემოკრატებს „მოჰპარეს“ იდეები... და პასუხმაც არ დააყოვნა.



სააკაშვილთან უკვე ერთგზის დამარცხებული ირინა სარიშვილი-ჭანტურია მეორე შერკინებისთვის ემზადება — ედპ „ფსევდონაციონალისტებს“ და „ფსევდოქართველებს“ ბრძოლას უცხადებს და თანაგრძნობისთვის ყველა ოპოზიციურ ძალას უხმობს. „ნაციონალურ“ ტალღაზე გადართულ სააკაშვილს სარიშვილი ნიღბის ახდას უპირებს, „მასწავლებლებისა და ექიმების გამო გულდათუთქულ“ პოლიტიკოსს კოსმოპოლიტად ნათლავს და მის, ქართული ინტელიგენციისათვის გადმოგდებულ კურცხალს, ნიანგის ცრემლებს უწოდებს.

— **ქ-ნო ირინა, ფსევდონაციონალისტებად ვის მოიაზრებთ?**

— ყველას, ვინც იყო და არის ხელისუფლებაში, რომლებიც „ნაციონალურ“ ლოზუნგებს ამოფარებულები ცდილობენ, კიდევ შემორჩნენ ხელისუფლებას. პოლიტიკიდან შევარდნაძის წასვლის დრო ახლოვდება, ამიტომაც დაიდგა ეს ფარსი — გამოჩნდა ნაციონალური მოძრაობა, რომლის უკან თვითონ შევარდნაძე დგას. სწორედ შევარდნაძეა იმ ფარსის რეჟისორი, რომელშიც ზოგი თავისი ბუნებრივი მონაცემების გამო თამაშობს (ისეთი ორიგინალური ფსიქიკური წყობა აქვს), ზოგი კი დავალებას ასრულებს — როლს ერგება. იქმნება ილუზია, თითქოს შევარდნაძეს მისივე თანაგუნდელები ებრძვიან, სინამდვილეში კი პრეზიდენტი და მისი მყვირალა თანაგუნდელები ერთმანეთის არსებობას განაპირობებენ. შესაძლოა, შევარდნაძე საკუთარ თავს არ ეძახდეს ნაციონალისტს, მაგრამ ის, ვინც ამ ფრაზას არის ამოფარებული, მისი პირმშოა.

— **ბარემ დავაკონკრეტოთ, — ჟვანია-სააკაშვილს გულისხმობთ ფსევდონაციონალისტებში?**

— ჟვანია-სააკაშვილი ერთი ნაწილია ფსევდონაციონალისტებისა. კიდევ გამოჩნდებიან სხვებიც.

— **ედპ-ისთვის არცთუ კეთილსაიმედო პერიოდში სააკაშვილთან დაპირისპირება სარისკოდ არ მიგაჩნიათ?**

— სხვა გამოსავალი აღარ არის... ეროვნული ღირებულებები რომ მართლაც მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის, დრომ გვაჩვენა. მიუხედავად საოცარი სიდუხჭირისა, ხალხმა ეროვნული იდეა წინ წამოსწია და ამ დროს სთავაზობენ სატყუარას, რომელმაც საბოლოო წერტილი უნდა დაუსვას ერის არსებობას. ფსევდონაციონალისტურ ნიღაბს ამოფარებული ხალხი ცდილობს ეროვნული ღირებულებები ფსევდოკოსმოპოლიტურით შეგვიცვალოს.

— **რა ფორმით და ვისთან ერთად აპირებთ ფსევდონაციონალისტებთან ბრძოლას?**

— (იცინის) კრივით და ჭიდაობით არა — მხილებით. ყველაზე ეფექტური ჩვენი ბრძოლა მაშინ იქნება, თუ ყველა ეროვნული ძალა, რომელსაც მეტ-ნაკლებად ერთნაირი პოზიცია აქვს, გაერთიანდება. ამ ეტაპზე ჩვენს მოკავშირეებად ქრისტიან-დემოკრატებს (გიორგი კობახიძე) და „აღორძინებას“ მივიჩნევთ.

— **აშშ-ში ჟვანია-სააკაშვილი ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა მიიწვია, რომელიც ედპ-სთან დაახლოებული ორგანიზაცია იყო, თქვენი ჩანაცვლება ხომ არ მოხდა ნაციონალისტებით?**

— ჩვენ უფრო ახლოს რესპუბლიკური პარტიის ინსტიტუტთან ვართ. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი თავიდანვე გამოირჩეოდა მოქალაქეთა კავშირის მიმართ სიმპათიით. არა მგონია, ჟვანია-სააკაშვილის ამერიკული ვიზიტი მთლად წარმატებული ყოფილიყო. რადგან აქციები არ ეწყობა გაბერილი ბუშტებითა და დროშებით, ეტყობა, მათ რაღაც არ მოეწონათ აშშ-ში.

„ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი **კობა დავითაშვილი** ედპ-ის ლიდერის მხილებას ირონიით ხვდება.



— ჩემი შენ გითხარიო... — ისე მოსდის ირინა სარიშვილს. ვაკის არჩევნებში კარგად გამოჩნდა, ვის ზურგს უკანაც დგას შევარდნაძე. შევარდნაძესთან ალიანსში საქართველოში მისი ჩამოსვლის დღიდან სწორედ ქალბატონი სარიშვილია. ქვეყანაში, რომელიც გაიძარცვა, სადაც ხალხმა უკანასკნელი სარჩო-საბადებელი დაკარგა, სადაც ხელისუფლებამ მოახრჩო ხალხი, სარიშვილმა ჩვენთან ბრძოლის გარდა სხვა მიზანი ვერ ნახა? ედპ დღესაც თავს არიდებს თავის, როგორც ოპოზიციური პარტიის მოვალეობას. არ ებრძვის, არ აკრიტიკებს ხელისუფლებას. ის რჩება შევარდნაძესთან ალიანსში და აგრძელებს მის კურსს. ირინა სარიშვილი ვიცე-პრემიერი იყო შევარდნაძის მთავრობაში, ის არის ადამიანი, რომელმაც ქართველი ხალხი მუხლებზე ახოხიალა შევარდნაძის წინ და სასაცილოა, როცა ასეთი წარსულის პოლიტიკოსი „ნაციონალისტებზე“ ამბობს, — შევარდნაძისგან იმართებიანო.

— **მაგრამ ობიექტურები უნდა ვიყოთ. თქვენც და დანარჩენი „ნაციონალისტებიც“ შევარდნაძის გუნდში იყავით. განა მიხეილ სააკაშვილი არ იყო შევარდნაძის მთავრობის წევრი?**

— მიშას შევარდნაძის წინ არავინ დაუჩოქებია და არც არასოდეს უმლიქვნელია მასთან. ისიც და ჩვენც პრეზიდენტთან რეფორმების გატარების მიზნით ვიდექით და სხვებისგან განსხვავებით, შევარდნაძის მონები არასოდეს ვყოფილვართ.

არ ვიცი, რას გულისხმობს ქ-ნი ირინა ფსევდონაციონალიზმში. საკუთარი თავი თუ ნაციონალისტი ჰგონია, ძალიან შემცდარა. ეთნიკურობა და ნაციონალიზმი ერთი და იგივე ცნებები არ არის. ნაციონალისტობა სახელმწიფოებრივ აზროვნებას ნიშნავს — ერის კონსოლიდაციას ეთნიკური, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის მიუხედავად. იქნებ ედპ-ს ნაციონალიზმი ეთნიკური უმცირესობების ლანძღვა-გინება ჰგონია, თუ ასეა, შემცდარა — ამას ნაციონალიზმი კი არა, ეთნოკრეტინიზმი ჰქვია.

— **მაგრამ „კოსმოპოლიტურ გადახრებს“ სარიშვილის გარდა სხვებიც გწამებენ.**

— მსოფლიო მოქალაქეობას არც მე ვაპირებ, არც მიშა სააკაშვილი და არც ჩვენი მოძრაობის რომელიმე წევრი. ჩვენ ვართ და ვიქნებით საქართველოს მოქალაქეები, ამ ქვეყნის შვილები. ჩემი სამშობლოსთვის იარაღით მიბრძოლია და მეტად რით დავამტკიცო მისდამი სიყვარული. ბევრი რამის დამტკიცება თავად სარიშვილს მოუწევს.

— **მაინც რისი?**

— თუნდაც თავისი ეროვნულობისა. პოლიტიკა, რომელსაც ედპ ატარებდა — ანუ მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დაყოფა — ქვეყნისთვის დამღუპველი იყო.

— **ბ-ნო კობა, ვერ ამჩნევთ, რომ სტაჟიან ოპოზიციონერებს თვალში არ მოუდიხართ. უკვე გაერთიანებასაც იწყებენ თქვენს წინააღმდეგ.**

— (იცინის) მეშინია, გული არ გამისკდეს... ბარემ ბალდახინი მოიტანონ და გაგვასვენონ.

— **მაინც რატომ გიყურებენ ალმაცერად ოპოზიციონერები?**

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

— **მე თქვენი აზრი მაინტერესებს.**

— ცუდას რად უნდა მტერობაო...

# „ᲙᲐᲙᲣᲑᲐᲕᲐᲡ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲠ ᲐᲡᲪᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲞᲐᲠᲐ ᲡᲐᲓᲛᲔ...“





დევნილთა ყრილობიდან დევნილ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერ ირაკლი წერეთელს ბორის კაკუბავამ ერთი წყენა არ აკმარა. გარდა იმისა, რომ წერეთელი ყრილობაზე არ დაპატიჟა, არც ხალხის წინაშე გამოსვლის ნება მისცა და ბოლოს ბრალიც დასდო, — ყრილობაზე მობრძანებული წერეთელი სპეცსამსახურების დავალებას ასრულებდაო. მაგრამ ბორის კაკუბავას ვალში არ დარჩა არც „მიტინგების დიდოსტატი“ წერეთელი...

მაშ ასე, **ირაკლი წერეთელი** გვესაუბრება დევნილთა ყრილობის ფარულ და ხილულ ორგანიზატორებზე და რამდენიმე ცნობილ პოლიტიკოსზე:

— 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, აქციის ჩატარებას ვაპირებდი. ბორის კაკუბავამ შემომითვალა — შენი შემართება მჭირდება, მაგრამ 15 თებერვლამდე თავი შეიკავე, დევნილთა ყრილობას ჩავატარებ და ყრილობის მერე ერთობლივი ძალებით წავიდეთ კანცელარიისკენ შევარდნაძის დასამხობადო. ეს ყველაფერი კაკუბავამ ჩემთან სატელეფონო საუბარში დაადასტურა.

— **„ერთობლივი ბრძოლისთვის შემართული“ ირაკლი წერეთელი რამდენი კაცის თანხლებით მივიდა ყრილობაზე?**

— 17 კაცით(!). სპორტის სასახლეში 11 ათასი კაცი დამხვდა. იმ ხალხის იმედი მქონდა და ამიტომ არ გამომიცხადებია მობილიზაცია. იმ თერთმეტი ათას კაცს რომ შემართება ჰქონოდა, ყველაფერი მთავრობის გადაყირავებით დასრულდებოდა, მაგრამ იქ ვნახე ინდიფერენტული ხალხი, რომელთაც გულწრფელად სურთ აფხაზეთის დაბრუნება, მაგრამ უნდათ ის ხონჩით მიართვან. ვერ დავინახე იქ შეკრებილ ხალხში შემართება. მერე გავიგე, ამ ხალხის ჩამოყვანის ორგანიზებაში, ავტობუსების დაქირავებაში, ლიმონათებით, სიგარეტით, ფუნთუშებითა და ჯიბის ფულით დელეგატების უზრუნველყოფაში ასლან აბაშიძეს 250 ათასი დოლარი გაუღია. თუ ეს მართალია, არ იყო ის ხალხი შევარდნაძის გადამგდები.

— **ასლან აბაშიძე თუ დააბრუნებს აფხაზეთს?**

— აბაშიძე აფხაზეთს არ დააბრუნებს. ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მისეული ხედვა, მისი დამოკიდებულება რუსეთთან, შორს არის სწორი პრინციპებისაგან. მანაც და რუსებმაც კარგად იციან, რომ სულ მცირე, კიდევ ასი წელიწადი მსოფლიო არ დაუშვებს აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას. აფხაზეთი დე იურე იქნება საქართველოს შემადგენლობაში, დე ფაქტო არა. ერთადერთი, რაც დღეს შეიძლება მოხდეს, ის არის, რომ აფხაზეთს გაუძლიერონ ავტონომიის სტატუსი. აბაშიძეს უნდა ეს გაძლიერებული სტატუსი აჭარაში გადაიტანოს.

— **თუ აფხაზეთს ვერ დაიბრუნებდა, რისთვის დაიხარჯა აბაშიძე დევნილთა მანდატის ყიდვით?**

— აჭარის ლიდერი ჯიშით და მოდგმით აბაშიძეა, ვინმე სიკინჭილაშვილი ხომ არა? აბაშიძეები ამბიციებით ცნობილი ხალხი იყო ოდითგან: თავმოყვარე აბაშიძეს არ უნდა მხოლოდ კომპრომეტირებული, დისკრედიტირებული და ცრუ პრეზიდენტის მანდატი. რატომ არ გადაიხდიდა ასლან აბაშიძის ფინანსური შესაძლებლობების მქონე კაცი დევნილთა მანდატისთვის 250 ათას დოლარს? ამ ფულს ერთ კვირაში ამოიღებს. რაც კი საქმე კეთდება აჭარაში, ყველაფრის წილშია ბატონი ასლანი. ის აჭარის ერთპიროვნული ძალაუფალია. აქაურ პარლამენტში შევარდნაძის ძარღვიანი გინება მაინც ისმის, აჭარის პარლამენტში კი ყველა ერთ ხმაში მღერის.

— **დევნილთა მანდატის მოპოვება გზა არის პრეზიდენტობისკენ?**

— ეს არის გზა აჭარის ავტონომიის სტატუსის გაფართოებისკენ, ბატონი ასლანის პოზიციების განმტკიცებისკენ, ეს არის გზა რუსეთისკენ. საქართველოში ქართლოს ღარიბაშვილს და როინ ლიპარტელიანს უნდათ პრეზიდენტობა და რა გასაკვირია, ასლან აბაშიძეს უნდოდეს? თუ გახდება საქართველოს პრეზიდენტი, ხომ კარგი, თუ არა და არც იმაზე მოიკლავს თავს. აჭარაში ის პრეზიდენტიც არის და უგვირგვინო მეფეც.

— **ბატონო ირაკლი, რატომ არ მოგცეს ყრილობაზე სიტყვით გამოსვლის საშუალება?**

— ალბათ დავალება ჰქონდათ. კაკუბავამ ასლან აბაშიძის და რუსეთის სპეცსამსახურების დავალება შეასრულა — დევნილთა მანდატი რუსეთის უერთგულეს პოლიტიკოსს გადასცა. მას შემდეგ რაც კაკუბავა გაბოლშევიკდა, გაპრორუსდა და იგორ გიორგაძის პრეზიდენტობას დაუჭირა მხარი, ნიღაბი ჩამოიხსნა — პირწავარდნილ პრორუსად გამოგვეცხადა და ეშმაკს ჩაეხუტა.

— **კაკუბავას თქმით, სპეცსამსახურების დავალებას თქვენ ასრულებდით.**

— ამ დღეებში ვნახავ ბორიას და მაგაზე „შტრაფის“ გადახდა მოუწევს.

— **სასამართლოში აპირებთ ჩივილს?**

— ბორიამ ღირსება შემილახა და ღირსების შელახვის გამო, სასამართლოში არაკაცები და ლაჩრები დადიან. ამდენი ძმაკაცის პატრონმა თავი ქალების სასამართლოში უნდა დავიცვა? კაცურად გავურჩევ საქმეს.

— **რა გაქვთ ქალების საწინააღმდეგო?**

— ქალმა, რომელსაც საკურთხეველში არ უშვებენ, როგორ უნდა გადაწყვიტოს კაცის ბედი? როგორც ქრისტიანი კაცისთვის, ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია. დღეს რომ ასე გაევროპელდით და განავარდებულები ხართ ქალები, იმიტომ არის ჩვენი საქმე კარგად. მაგრამ ქალებსაც მოგივლით.

— **კაკუბავას ფიზიკურად გაუსწორდებით?**

— როგორ გეკადრებათ, მამის ტოლი კაცია... ვსწავლობთ მის ფინანსურ შესაძლებლობებს. იმ თანხის გადახდას დავაკისრებ, რისი საშუალებაც მას და მის მფარველს აქვთ. კაკუბავას ჩემთან შეხვედრა არ ასცდება, თუ არ გაიპარა სადმე.

— **თქვენ ყრილობაზევე არკვევდით, — რამდენი გადაუხადა ასლან აბაშიძემ კაკუბავას, დაადგინეთ საბოლოო თანხა?**

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ბორია ისეთი შებერტყილია, თუ რამე არ დარჩა, ისე საქმეს ხელს არ მოჰკიდებს. ვერავინ დამაჯერებს, რომ მან ბატონ ასლანს იმდენი ფული გამოართვა, რაც ყრილობის ორგანიზებას სჭირდებოდა.

— **უცნაურად არ გეჩვენებათ შევარდნაძის ნაბიჯი — მან იმ საკითხის მოგვარება დაავალა აბაშიძეს, რომელსაც თავად ვერ გაართვა თავი?**

— შევარდნაძე პრაგმატული პოლიტიკოსია. არ არის გამორიცხული, რომ მან ასლან აბაშიძეს, როგორც რუსეთის პოლიტიკოსს, გადაადგმევინოს ნაბიჯები აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საქმეში ანუ ამოწუროს ამ კუთხით მთელი შესაძლებლობები, მოსახლეობის თვალში „გააბანძოს“ რუსები, შემდეგ კი ამერიკელებთან მივიდეს და თავისი შელახული რეპუტაციის აღსადგენად მოგვევლინოს პროდასავლური ორიენტაციის გამტარებლად. შევარდნაძემ იცის, რომ ბუშის მოსვლის შემდეგ აშშ თანდათან ჰეგემონი სახელმწიფო გახდება მსოფლიოში. ბუში არ არის საქსოფონზე დამკვრელი, მარად მოღიმარი მამათმავლების აპოლოგეტი კლინტონი. ის არის ვაჟკაცი, ნამდვილი ამერიკელი კოვბოი, რომელიც მიწასთან გაასწორებს ყველას, ვინც მისი ქვეყნის ინტერესებს ხელყოფს. შევარდნაძე ორიენტაციას ყველაზე ძლიერისაკენ აიღებს. თან ხომ ცნობილია — რესპუბლიკელები რუსებთან შეურიგებელი ბრძოლით გამოირჩევიან.

— **თქვენ, როგორც პროდასავლურად განწყობილი პიროვნება, სააკაშვილს არ მიუწვევიხართ თავის მოძრაობაში?**

— არა. მიშა სააკაშვილმა რამდენჯერმე მოიტყუა ჩემთან. მალე მოვიცლი მაგისთვის. კობა დავითაშვილს უმადლოდეს, თორემ ვაი მისი ბრალი.

— **რაში მოგატყუათ სააკაშვილმა?**

— ნოემბერში შევარდნაძის წინააღმდეგ არ იაქტიურა. აცხადებს, ნაციონალური მოძრაობის სახით ზეპარტიულ მოძრაობას ვაყალიბებო, სინამდვილეში კი ერთ პარტიას ქმნის. თავმჯდომარე რომ ჰყავს ორგანიზაციას, როგორღაა ის ზეპარტიული? თან არც ის მომწონს, კომპრომეტირებული ხალხი — რესპუბლიკელები რომ დაიყენეს გვერდით.

— **რით არიან კომპრომეტირებულები რესპუბლიკელები?**

— მათ არ ჰქონდათ ალიანსი ედპ-სთან? მათ არ დაისვეს თავზე სარიშვილი? მათ ისიც კი იკადრეს, რომ სარიშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად შესთავაზეს ხალხს. როგორ შეიძლება სარიშვილის პრეზიდენტობა. ერთადერთი კარგი, რაც მიშა სააკაშვილმა გააკეთა, ის იყო, რომ საერთოდ ჩამოწერა სარიშვილი პოლიტიკიდან.

— **ზემოთ თქვით, სააკაშვილს მოვუვლიო, როგორ აპირებთ მის „მოვლას“?**

— ვამხელ, დებატებში გამოვიწვევ და პასუხს მოვთხოვ რამდენიმე კითხვაზე. ამის შემდეგ ვიტყვი, შევძლებ თუ არა მასთან ურთიერთობას. ოღონდ, აქაც ერთი პირობა მექნება — ჩემსა და ჟვანიას შორის მოუწევს სააკაშვილს არჩევანის გაკეთება. მიკვირს, დღევანდელი მასმედიის ნაწილი რომ ამ მიცვალებულის გაცოცხლებას ცდილობს, — აქვეყნებენ რაღაც არჩატარებული გამოკითხვების შედეგებს. როგორ შეიძლება დღეს რაიმე საკითხში პირველი ადგილი ჰქონდეს ზურაბ ჟვანიას.

— **ბატონო ირაკლი, როდესაც დევნილები არ გამოგყვნენ კანცელარიასთან, არ იფიქრეთ, რომ დრომ სხვანაირი ყაიდის პოლიტიკოსები მოითხოვა?**

— პოლიტიკა კაბინეტებში რომ კეთდება, იმიტომ არის ქვეყანა კარგ დღეში. კაბინეტში გაკეთებულ პოლიტიკას ინტრიგა ჰქვია, რომელსაც მე არასოდეს ვიკადრებ. ასეთ რამეს რომ არ ვკადრულობ, იმიტომ მცემენ პატივს, თორემ ფული მაქვს თუ თანამდებობა?!

*გვერდი მოამზადა*
*იზო რიკაძემ*




გულითადი განდობანი

# წერილები პატრიარქს

## ხატიცხოველი

მაშინ პირველკურსელი გახლდით. უწმინდესი ახალაღსაყდრებული ბრძანდებოდა ტახტზე, ჩვენ მისი პირველი საპატრიარქო მრევლი ვიყავით. იმხანად სიონში სიარული თუ მთლად გმირობის ტოლფასი არა, მასზე ნაკლებიც დიდად არ იყო. სიონიც სულ სხვა იყო, სოფლის საყდარივით მყუდრო, უბრალო, რომელსაც დიდი მეუფის ღვთაებრივი ღიმილი ანათებდა და ათბობდა. მას შემდეგ, როცა მიჭირს, მე მასზე ფიქრიც მშველის. ხატი ცხოველი შევარქვი უწმინდესს ჩემს ლექსში:

**...სიონს სწირავდა კათალიკოსი,**
**კაცი კი არა, კაც-ანგელოსი!**
**ნამდვილი მეფე საქართველოსი!**

ერთმა წმინდა ბერმა, აწნეტარხსენებულმა მამა კონსტანტინემ (ქვარაიამ) პატრიარქის მიმართ ჩემი სიყვარულისა გამო დამაჯილდოვა ბერად ახალაღკვეცილი უწმინდესის იშვიათი სურათით, რომელიც ჩემთვის რელიკვიაა და თქვენ გამოსაქვეყნებლად განდობთ. ხატად ცხოველად უფლისად მოგვეცა ის უფლისგან... ჩვენ კი რას ვშვრებით, განვიკითხავთ არა მხოლოდ მას, თვით ღმერთსაც განვიკითხავთ, ღმერთობას ვუწუნებთ, შემოქმედებასაც, სამყაროს ვუწუნებთ, ვწუწუნებთ. ვაი, რა შორს წასულა ჩვენი ამპარტავნება და როგორ ვიმძიმებთ ისედაც ეკლის გვირგვინს ჩვენი უმადურობით, უგუნურებით, უძლებშვილობით. ჩვენთან არს ღმერთიო, გავყვირით მაშინ, როცა ღვთის სახელი ჩურჩულით ითქმის, სასოებით ითქმის და ისე ვიქცევით, ჩვენთან ღმერთი კი არა, ეშმაკიც ვერ გაჩერდება! ჩვენთან არს ღმერთიო, ვკიჟინებთ და არავინ იმას არ ვკითხავთ, ჩვენ თუ ვართ ღმერთთან, ჩვენ თუ წარვდგით მისკენ ბიჯი მაინც, თითქოსდა ჩვენ ვართ უპირატესნი, აქეთ უნდა გვეახლოს უზენაესი, არადა, ბრძანებს უფალი, მომიახლოვდით და მოგიახლოვდებითო. სულიერად ბრმა უნდა იყო, თვალხილული ბრმა, ვერ დაინახო, თუნდაც სურათებზეც, რა სიყვარულს, რა სიკეთეს, რა ხსნას ასხივებს ის. ჩახედეთ უწმინდესს თვალებში, თუნდაც ამ ფოტოზე, მის თვალებში ხომ უთქმელობის და გამოუთქმელობის ზღვაა, კვერთხს უნდა გვცხებდეს სასჯელად ურჯულოებათა ჩვენთა გამო, ის კი მოწყალედ, დიდსულოვნად, მპატიებლად გვიღიმის, მართლაცდა რომ, დიდება მოთმინებასა შენსა, მამაო ერისა! ჯერაც ახალაღსაყდრებული ეთქმოდა, როცა კონსტანტინოპოლში ვიზიტისას სრულიად მსოფლიო პატრიარქმა, აჩვენა რა ქრისტიანული თავმდაბლობის მაგალითი, დაუჩოქა მას და ასე შეჰღაღადა: მთელი ქრისტიანული მსოფლიო თქვენ შემოგყურებთ იმედითო. პირველმა თანამედროვე ქართველთაგან სწორედ მან მოხიბლა მთელი მსოფლიო, თან ყველა ქვეყანაში ყველა ვიზიტისას სულ ამას იმეორებდა მის მიმართ აღვლენილი ქებათაქების პასუხად: მე კი არა ვარ ასეთი კარგი, ეს ჩემი ერია ასეთი კარგი და ასეთი ლამაზიო. პირველი ტერაქტიც ხომ მას მოუწყვეს, ისე ძლიერ აუფეთქეს რეზიდენცია, რომ ვაზგენ პირველის ნაჩუქარი კედლის დიდი ოქროს ჯვარი ცვილივით დამდნარა, თვითონ ღვთის ნებით გადარჩა, სიონის ტაძარში შესულიყო სალოცავად არასაწირვო დროს, მანქანაც გადაბრუნდა თუ გადაუბრუნეს, ფრჩხილიც არ გაჰკაწვრია და ა.შ. გთხოვთ უწმინდესო, ნუ გატკენთ გულს შვილთა უმადურობა, ბოლოს და ბოლოს, თვით ქრისტეს ანერწყვებდნენ და ითმენდა და ლოცავდა მათ საპასუხოდ. რამდენი წელია არ მინახავხართ, მაგრამ მე ერთი დღეც არ მიცხოვრია თქვენთან უდიალოგოდ, შინაგანად, სულიერად უწყვეტი დიალოგი



მაქვს თქვენთან.

თქვენ ყოველდღე ბრძანდებით ჩემი სულის სტუმარი...

***ყოვლად უმდაბლესი, უმორჩილესი და უღირსი თქვენს წინაშე და უფლისა მიმართ***

***მერაბ ხუბუა***

***სენაკი, უშაფათი***

## ერის სულის მხსნელად მოვლენილს!

მინდა ღმერთს მადლობა ვუძღვნა, რომ დღევანდელი საყოველთაო განდგომილების ჟამს საქართველოს ეკლესიას თქვენი სახით სათავეში ჰყავს პატრიარქი, რომელმაც საქართველო უნდა გადაარჩინოს მსოფლიო წარღვნას. საამისოდ ძალისხმევა თქვენ, ერის სულიერ მოძღვარს, ყოველჟამიერ გიხდებათ, მაგრამ გმირობად არავინ გითვლით.

სამაგალითოდ თუნდ უკანასკნელი დროის მოვლენებიც გამოდგება: როდესაც საერო ხელისუფლების მოწვევით რომის პაპი ესტუმრა საქართველოს — ბეწვზე ეკიდა მაშინ ჩვენი სამშობლოს სულიერი გადარჩენა. ქართველმა პოლიტიკოსებმა და „ელიტარულმა" ინტელიგენციამ ლამის კალთები დაუკოცნეს ერეტიკოსთაგან ქრისტეს მოადგილედ აღიარებულ მოკვდავს და საკმარისი იყო თქვენი სულ მცირედი დათმობაც კი, რომ საქართველო ჯოჯოხეთის უფსკრულში დანთქმულიყო. ამ დროს თქვენ ამა სოფლის ბატონს მტკიცედ აღუდექით წინ და მთელი ე.წ. ცივილიზებული მსოფლიოს კიცხვასაც არ დაერიდეთ და საკუთარი მართლმადიდებელი მრევლი გააფრთხილეთ, არ მიეღოთ მონაწილეობა კათოლიკეებთან ერთად წირვა-ლოცვაში და არათუ ერთობლივად არ ჩაატარეთ ლოცვა რომის პაპთან, საქადაგოდაც კი არ დაანებეთ ასვლა სვეტიცხოვლის წმიდა ამბიონზე!

როდესაც უდიდესი ქრისტიანული ქვეყნები „ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა", საქართველო, თქვენი სამწყსო მტკიცედ დგას იმ იულიანურ დროის აღრიცხვაზე, რომლის ჟამთასვლით იერუსალიმში ღვთაებრივი ცეცხლი მართლმადიდებლებს უნთებს სანთლებს ქრისტეს საფლავზე; საქართველო, თქვენი უსამღვდელოესი დადგინებებით, გამოთიშულია ღვთისმგმობი მწვალებლური ერთობისაგან და უარი აქვს ნათქვამი ყველა ეკუმენურ შეთანხმება-დოკუმენტზე.

ქვეყნის ხელისუფალნი ცდილობენ, თავიანთი შელახული პრესტიჟისა და ღირსების გადარჩენისთვის გამოიყენონ თქვენთან ახლობლობა. ამიტომაც, თავიანთ დღესასწაულებსა და იუბილეებზე ცდილობენ დასასწრებად თქვენს დაყოლიებას. მაგრამ, გავკადნიერდები და თქვენს მაგივრად ვუპასუხებ: — ჰოი, თქვენ, ფარისევლებო და ქვეგამხედურენო — თქვენ გგონიათ, უნეტარესისა და უწმინდესის გვერდზე დგომით განიწმინდებით? რაც უფრო მიეახლებით დიდ სიწმინდეს, უფრო ადვილად დაიწვებით. ამადაც უნდა კრთოდეთ და ძრწოდეთ იმ პიროვნების წინაშე, ვისაც უპყრია ხელთ „კლიტენი სასუფევლისა ცათანი", ზეციური უფლებით: „რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განხსნა ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა" (მათე, 16,19).

***ავთანდილ ბერიძე,***
***რუსთავი***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— რამდენი მოძღვარი შეიძლება ჰყავდეს ადამიანს? და შეიძლება თუ არა მოძღვარი სხვაგან ჰყავდეს და თვით მან სხვა ეკლესიაში იაროს?**

— მოძღვარი ერთი უნდა ჰყავდეს მართლმადიდებელ ქრისტიანს — ვინც წარმართავს მის სულიერ ცხოვრებას. წირვა-ლოცვაზე სიარული იმ ეკლესიაში, სადაც არ ეწევა მსახურებას მისი მოძღვარი, არ არის დამაბრკოლებელი.

**— ჩემი აზრით, პატარა ასაკის ბავშვებთან არ შეიძლება რელიგიის შესახებ ზეწოლითი ხასიათის საუბარი. დაე, თავად მივიდნენ ჭეშმარიტებასთან. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ბავშვებთან ძალიან ფაქიზი მიდგომაა საჭირო. ცხადია, მათზე თავს მოხვეული ზეწოლა დაუშვებელია, მაგრამ თვითდინებაზე მათი მიშვებაც იმ ზეწოლის ტოლფასი დანაშაულია. ბავშვის გათვითცნობიერება რელიგიაში უნდა მოხდეს ზომიერების დაცვით და, რაც მთავარია, არა შიშველი დიდაქტიკის, არამედ საკუთარი მაგალითის საფუძველზე.

**— მოქმედებს თუ არა მღვდელმსახურის ჯანმრთელობაზე ის დიდი დატვირთვა, რომელიც მას აქვს უამრავი აღსარების ჩაბარების დროს, რომლებიც აგრეთვე დიდად შრომატევად წირვა-ლოცვას მოჰყვება?**

— მღვდელმსახურს ქიროტონიის გზით აქვს მიღებული სამოძღვრო მადლი და სულიერი ძალების დიდ დანახარჯს ინაზღაურებს ამ საღმრთო მადლითა და შეწევნით ღვთისა!

**— შეიძლება თუ არა მშობლებისა და შვილების ჯვრისწერა ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ეკლესიაში?**

— შესაძლებელია. მსგავსი შემთხვევები სრულიად უცხო იყო ადრე ქრისტიანულ ეპოქაში, როდესაც ოჯახი არ იქმნებოდა ჯვრისწერის გარეშე. მაგრამ კომუნისტური დიქტატურის ხანის ათეისტური მსოფლმხედველობის და იდეოლოგიის გავრცელების პირობებში, მშობლები ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებდნენ ამ საიდუმლოს შესრულებას, ახლა კი მათ ამ სერიოზული სარწმუნოებრივი დარღვევის გამოსწორების საშუალება ეძლევათ.

**— ნაკურთხი სანთელი რომ ჩავდოთ საკურთხებელ სანთელთან, ითვლება თუ არა ორივე სანთელი ნაკურთხად?**

— არა, არ ითვლება.

**— შეიძლება თუ არა ნათლობამ გავლენა იქონიოს ავადმყოფი ბავშვის ჯანმრთელობაზე?**

— ნათლისღების საიდუმლოს შესრულების დროს აღწერილია მრავალი შემთხვევა, როდესაც არათუ გავლენა მოუხდენია მას ბავშვის ჯანმრთელობის გაუმჯობესობაზე, არამედ სასიკვდილოდ გადადებულიც მოუბრუნებია.

**— იმ ოთახში, სადაც არის ხატები, შეიძლება თუ არა მომღერლის პლაკატის გაკვრა?**

— ხატების ოთახში უნდა მოერიდოთ ასეთი სახის პლაკატების გაკვრას, რადგან ყოველივე, რაც თქვენი ოთახის კედლებს ამშვენებს, მოქმედებს თქვენს განწყობილებაზე, ხოლო რომელიმე პოპ-ვარსკვლავის ფიზიონომია მეტად საეჭვოა, რომ თავისი გამომეტყველებით, პოზით ან საქმიანობის ფორმით აღძრავდეს ქრისტიანისთვის სასურველ ემოციებს.

**— მსურს შევისწავლო „ბიბლია". გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ უნდა მოვიქცე, ვის მივმართო?**

— ეს გახლავთ საღმრთო ისტორია, რომლის სრულყოფილად გაგებისათვის საჭიროა წმინდა მამათა იმ თხზულებების გაცნობა, რომლებიც განმარტავენ წმინდა წერილის არსს და იწოდებიან მის კომენტატორებად (ეგზეგეტიკოსებად). მაგრამ „ბიბლიის" შესწავლა განყენებულად, ეკლესიური ცხოვრების გარეშე, არ გაგიმხელთ იმ საღმრთო სიბრძნეს, რომელიც ამ წიგნშია თავმოყრილი და ხშირად დაქარაგმებული. ამიტომ „ბიბლიის" სიბრძნეში ჩასაწვდომად უნდა ეზიაროთ მართლმადიდებელი ეკლესიის წეს-ჩვეულებებსა და საიდუმლოებებს.

საერო მოღვაწეთა სასულიერო პოეზია

***ნიკოლოზ ბარათაშვილი***



### ჩემი ლოცვა

ღმერთო მამაო, მომიხილე მე
შეცთომილი
და განმასვენე ვნებათაგან
ბოროტ-ღელვილი!
ნუ თუ მამასა არღა ჰქონდეს
გულის-ტკივილი,
ოდეს იხილოს განსაცდელში
შემცოდე შვილი?
ჰოი, სახიერო, რად წარვიკვეთ მე
სასოებას:
პირველ უმანკომ თვით ადამმაც
სცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა
მშვენიერება, —
გარნა იხილა სასუფევლის მან
ნეტარება!
ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა
წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი
გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა
ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური
მყუდროებისა!
გულთა-მხილაო, ცხად არს
შენდა გულისა სიღრმე;
შენ უწინარეს ჩემსა უწყი,
რაც ვიზრახო მე
და — ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთთ
შენდა სათქმელად?
მაშა დუმილიც მიმითვალნენ
შენდამი ლოცვად!

მართლმადიდებლობა – ჭეშმარიტი სარწმუნოება

# დამუნჯებული ულმერთონი

## წმინდა ალექსანდრე

ღვთის დიდად სათნომყოფელი ალექსანდრე, რომელსაც IV საუკუნეში ღირსეულად ეკავა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტი, იძულებული იყო, გამკლავებოდა არა მარტო არიოზის მიმდევრებს, არამედ ელინური სიბრძნის წინაშეც ყოველთვის მზად ჰქონოდა სიტყვის მისაგებელი.

ერთხელაც, წარმართმა თანამემამულეებმა ქვეყნის საერო ხელისუფალს შეახსენეს, — ალექსანდრემ ძველი მამაპაპეული სარწმუნოება დაუტევა და სანაცვლოდ მიიღო სრულიად ახალი, უცნობი აღმსარებლობა, რასაც შეუძლია ზიანი მოუტანოს სამეფოს კეთილდღეობასო. ამას გარდა, ისინიც თხოვდნენ მეფეს, დაერთო ნება, დისპუტის მოწყობისა მღვდელმთავართან მათთვის უაღრესად საჭირბოროტო საკითხზე, თუ რომელი სარწმუნოება სჯობს — ძველი თუ ახალი. რაზეც მიიღეს კიდეც თანხმობა.

ქრისტეს რჯულის ერთგული აღმსარებელი ალექსანდრე, თუმც კი არ იყო ღრმად განსწავლული ელინურ სიბრძნისმეტყველებაში, მაგრამ სულიწმიდის მადლს მიენდო და დასთანხმდა პაექრობაში მონაწილეობაზე.

შეიკრიბნენ ფილოსოფოსები და მათი თანამოაზრენი, ყველა, ვინც მტრობდა სახარებისეულ რწმენას. უზომოდ დიდი იყო მოწინააღმდეგეთა რიცხვი. ალექსანდრემ დაითანხმა ისინი, თავიანთ შორის ყველაზე ბრძენი და ენამჭევრი გამოერჩიათ, რომელთანაც გასწევდა პაექრობას — შეუძლებელია ერთბაშად უპასუხოს კაცმა ათას ადამიანსო. ელინებმა აირჩიეს მთელ საბერძნეთში სახელგანთქმული ბრძენი, ხოლო დანარჩენები გაფაციცებულნი მოემზადნენ მოპაექრის მხარდასაჭერად.

უწმინდესმა პატრიარქმა საუბარი დაიწყო შემდეგი სიტყვებით: „უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელით გიბრძანებ შენ მდუმარებას!" ბრძენს მყისიერად წაერთვა ენა და ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხა. ამის მხილველი ფილოსოფოსთა კრებული შეძრწუნებულ და სირცხვილეულ იქმნა. ზოგმა მათგანმა დატოვა საასპარეზო, სხვანი ქრისტეს რწმენაზე მოიქცნენ. დამუნჯებული წარმართი ბრძენი ფერხთ შთაუვარდა მღვდელმთავარს და ხელით ანიშნებდა სახარების რწმენის სიდიადესა და სიწმინდეს. ამ საქციელისათვის ქრისტეს სარწმუნოების დამცველმა მღვდელმთავარმა მეტყველების უნარი დაუბრუნა ფილოსოფოსს და მანაც ნათელ იღო.

ამ სასწაულის მომსწრე ყოველი ქრისტიანი სიხარულით განადიდებდა უფლის სახელს!



## წმინდა ექვთიმე



ექვთიმე ათონელს, სახარების ქართულად სულიწმიდის მადლით მთარგმნელს — ჰყავდა მეგობარი, თესალონიკელი კათოლიკოსი, რომელსაც ერთი სჯულისმეცნიერი იუდეველის მოქცევა ეწადა და თანადგომისათვის მიმართა ექვთიმეს. როდესაც სალვთისმეტყველო არგუმენტების წინააღმდეგ ვერა გააწყო, ებრაელმა დაიწყო ქრისტიანობის გმობა. უდიერი სიტყვების გაგონებით შეძრწუნებულმა ექვთიმემ შერისხა ებრაელი:

— დაიყავნ პირი შენი, ბილწო ჰურიაო!

და იმ წუთშივე დამუნჯდა იუდეველი. მისი თვისტომნი, რომელნიც თან ახლდნენ სჯულის მეცნიერს, ფეხებში ჩაუვარდნენ ბერს, რათა მიეტევებინა მისთვის. ექვთიმემ უპასუხა:

— რომელი იგი გმო, მისგან შეინდოს და სარწმუნოებად მოვიდეს და მე შემინდობია.

კათოლიკოსიც შეეხვეწა მგმობელის შენდობასა და მისთვის ლოცვას. და მართლაც, როგორც კი წმინდა ბერმა ილოცა და ჯვარი გადასწერა, მყისვე აეხსნა ბაგეები ურიას და ენა ამოიდგა. იგი ფერხთ შეუვარდა ექვთიმეს, ქრისტიანად მოინათლა და შემდგომში ღრმად მორწმუნე კაცად იქცა.

მაგრამ იყო სხვა შემთხვევაც: სჯულის მეცნიერი და სწავლული კიდევ ერთი ებრაელი, ჰურიებრივი ზვაობით სიტყვაში შეება მამა ექვთიმეს. თავიდან ექვთიმე მშვიდად უხსნიდა და განუმარტავდა სარწმუნოებრივ საკითხებს, მაგრამ, როდესაც ამ მზაკვარმა იხილა საკუთარი ძლეულება, მოჰყვა ღვთის გმობას. მაშინ შერისხა ბერმა და ბრძანა, რომ დადუმებულიყო ენა მისი უფლის მგმობარი.

იუდეველი იმავ წუთში დამუნჯდა და შეუნანებელმა მეორე დღეს სული განუტევა.

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის" ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36



***გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა***

# „ბიჩოკი“ პირდაპირ გამოჭიმულ ინსპექტორს გაარტყა სახეში

*სახელმწიფო ავტოინსპექცია არც საბჭოთა პერიოდში ყოფილა უმაღლეს დონეზე მოწყობილი. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ახლის შექმნაზე არაფერს ვამბობთ, ისიც დაიკარგა, რაც მაშინ არსებობდა. ავტოსაგზაო სფეროში დღეს „ძაღლი პატრონს ვერ ცნობს“ — ათასობით სხვადასხვა ზომა-წონის, განუკითხავად მოჯირითე სამარშრუტო ტაქსი, გადარეცხილი საგზაო ნიშნულები და გადასასვლელები, ჩამსხვრეულ-ჩაბნელებული შუქნიშნები და ჩამოყრილი თუ უმისამართოდ ჩამოკიდული საგზაო ნიშნები, ფეკალური ნარჩენებით დატბორილი მიწისქვეშა გადასასვლელები, ჩაბნელებული და ათხრილ-დათხრილი გამზირები, უპასუხისმგებლო მძღოლები და უხელფასო ინსპექტორები (ავტოსაგზაო განათლებით თავს ვერც ერთი მხარე ვერ მოიწონებს)... ეს მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმ პრობლემებისა, რაც ქალაქის საგზაო პოლიციისკენ მიმავალს, თავში მიტრიალებდა. გამოვტყდები და აღნიშნული სამსახურის უფროსმა, ბატონმა **სოსო კარანაძემ** ბევრად უფრო მძიმე სურათი დამიხატა...*

— თბილისში სულ 2500 გამზირი, პროსპექტი, ქუჩა და ჩიხია, რომელთა საერთო სიგრძე 1223 კმ-ს შეადგენს. აქედან, საბჭოთა პერიოდში , დაახლოებით 1200 კმ, საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის მიხედვით იხაზებოდა (გადასასვლელები, ღერძულა ხაზები და ა.შ.). დღესდღეობით კი უსახსრობის გამო მხოლოდ 200 კმ იხაზება, ისიც უხარისხო საღებავით და 2-3 თვეში ისევ თავიდან არის გასაკეთებელი. არადა, საბჭოთა პერიოდში, 12-14 წლის წინ დახაზული ფრაგმენტები დღესაც არის შემორჩენილი — დასკვნები თავად გააკეთეთ... უარესი მდგომარეობაა შუქნიშნების მხრივ: 167 შუქნიშნიდან, უდენობისა თუ გაუმართაობის გამო, მხოლოდ 67 ფუნქციონირებს. ცუდი მდგომარეობაა გზების განათების მხრივაც — თბილისში მხოლოდ ცენტრალური გამზირების განათება ხერხდება მაშინ, როდესაც ქვეითზე დაჯახების უმეტესი ფაქტები სწორედ ამ მიზეზით ხდება...

**— ალბათ ყველაფრის მიზეზი უსახსრობა კი არა, სისტემის უვარგისობაა, თორემ ისიც ფაქტია, რომ ამ სფეროში (ზოგადად, ავტოსაგზაო სფეროს ვგულისხმობ და არა მხოლოდ ავტოინსპექციას) არალეგალურად საკმარისზე მეტი ფული ტრიალებს... თუნდაც, მიკროავტობუსები ავიღოთ — ამ მზარდ პრობლემაზე ერთდროულად რამდენიმე უწყება ითბობს ხელს, პასუხისმგებელი კი არავინაა...**

— სისტემა მართლაც დასახვეწია. არალეგალურ ფულს რაც შეეხება, ავტოსაგზაო სფეროს სხვა უწყებებზე თავს ვერ გამოვიდებთ, მაგრამ საგზაო პოლიციას რაც შეეხება, ამ მხრივ საკმაოდ სერიოზულად ვმუშაობთ — ბევრი რამ გაკეთდა, ბევრიც გასაკეთებელია. მაინც მიმაჩნია, რომ ყველაფრის თავიდათავი უსახსრობაა. გასულ წელს მარტო ჯარიმებიდან, ტექდათვალიერებიდან და სხვა მსგავსი ღონისძიებებიდან ბიუჯეტს 2 მლნ ლარი ჩავაბარეთ. ამ თანხიდან რაღაც ნაწილი მაინც რომ დაგვბრუნებოდა, სპეცმანქანებს და ტექნიკასაც შევიძენდით და თვეობით დაგროვილ ხელფასებს არათუ გავისტუმრებდით, გავზრდიდით კიდეც — მერე უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ კორუფციასთან ბრძოლის შესახებ გველაპარაკა...

მიკროავტობუსები ახსენეთ. ამ მხრივ მართლაც გაუგონარი განუკითხაობაა — ამას წინათ, სპეციალური ქრონომეტრაჟი ჩავატარეთ და აღმოჩნდა, რომ მარტო რუსთაველის გამზირზე ერთი საათის განმავლობაში 2700 სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს, აღმაშენებელზე და კოსტავაზე კი 2800. დინამოს სტადიონთან 8 კაცი ვიდექით და ბოლო-ბოლო მაინც სათვალავი აგვერია, იმდენი „მარშრუტკა“ მიდი-მოდიოდა... არადა, ოფიციალური მონაცემებით, როგორც საკრებულოშია რეგისტრირებული, მთლიანად ქალაქში დღეღამის განმავლობაში 3000-3200 სამარშრუტო ტაქსი უნდა მოძრაობდეს. რაც შეეხება ნებართვებს, აქ რამდენიმე უწყებაა ჩარეული და საბოლოოდ კი მხოლოდ საგზაო პოლიცია გამოდის ყაჩაღისა და ქრთამისტის როლში. გასულ წელს მარტო სამარშრუტო ტაქსებზე 61 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომლის დროსაც 12 დაიღუპა და 77 დაშავდა. მიმდინარე წელს უარესი მდგომარეობაა — 14 თებერვლამდე მონაცემებით 7 შემთხვევაა დაფიქსირებული, 2 ადამიანი დაიღუპა და 11 დაშავდა... რა თქმა უნდა, არც ჩემს სამსახურშია ყველა უცოდველი, მაგრამ სისტემის მოუქნელობა ბევრ რამეში გვიშლის ხელს.

**— მიზეზებს ბოლო არ უჩანს, ამასობაში კი ქუჩაში მოძრაობასთან მიმართებაში ყოვლად უპასუხისმგებლო საზოგადოება ყალიბდება...**

— რა გითხრათ... ამას წინათ, ვარაზისხევში მივდიოდი ჩემი სამსახურის მანქანით. როგორც განაწესი მოითხოვს, ერთ-ერთ პოსტთან პოლიციელი წინ წამოდგა და მხედრულად მომესალმა. ამ დროს ჩემ გვერდით, შუქნიშანზე უძვირფასესი ავტომობილი გაჩერდა. საჭესთან ქალი იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. გააქანა და „ბიჩოკი“ პირდაპირ გამოჭიმულ ინსპექტორს გაარტყა სახეში.

***(გაგრძელება იხ. გვ. 33)***




ი დიხანს ვფიქრობდი, როგორ დამეწყო ეს წერილი. როგორ შემეძლო თქვენს გულს მივწვდომოდი, რომ გეგრძნოთ ის, რაც მე ვიგრძენი. ის გეფიქრათ, რასაც მე ვფიქრობ. ვერ შევძელი — სიტყვები ვერ ვიპოვე...

# ზოგი გოგოს კლავდა, ზოგი ბიჭს — ვის როგორ „აწყობდა“

საქართველოს ისტორიას მრავალთაგან ერთი შემზარავი ფაქტიც შემორჩა — განრისხებულმა თემურ-ლენგმა ყველა ასაკის ბავშვი ერთად მოაგროვა, ძნის კონებივით შეაკვრევინა, კეტებითა და ქვებით დააჩეჩქვინა თავის ჯალათებს პატარები, სისხლის მდინარეები ადინა... მაგრამ ეს წარსულში. დღეს კი რა ხდება?

... ცოტა ხნის წინ, ერთ ფეშენებელურ კლინიკაში, ექოსკოპიის მისაღებში მოვხვდი. უმრავლესობას ქალბატონები შეადგენდნენ, შიგადაშიგ მათ თანმხლებ მამაკაცებსაც მოვჰკრავდით თვალს. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ქალბატონები უკვე ზომაზე მეტად გაშინაურებულიყვნენ და რიგის მოლოდინში ერთმანეთს ჭირ-ვარამს უზიარებდნენ. თავიდან მათი საუბრისთვის ყურადღება არ მიმიქცევია — ან კი, რაში მაინტერესებდა. მაგრამ მერე და მერე, უნებურად ჩამესმა ყურში ფრაზები: „მეორე გოგოს ვერ გავაჩენ“; „შენ რა გიჭირს, მესამეც თუ გოგო იქნება, უნდა მოვიშორო“; „მე ორი ბიჭი მყავს და გოგო მინდა“. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. მერე კი ჩემივე ფიქრმა შემზარა: აღარსად იყო თემურ-ლენგი და შაჰ აბასი... აქ დედებს საკუთარი შვილები ჰყავდათ მოყვანილი და არჩევდნენ... ზოგი გოგოს კლავდა, ზოგი ბიჭს — ვის როგორ „აწყობდა“.



*განმარტება სამედიცინო ცნობარიდან: „აბორტი ლათინური სიტყვაა და სიკვდილს, გამოძევებას ნიშნავს.“*

**თამარ მაჩიტაძე,** მეან-გინეკოლოგი:

— ორსულობა ყველა ქალისთვის საოცარი გრძნობაა. ალბათ, არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე საკუთარ სხეულში შვილის მოძრაობის შეგრძნებაა... მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი უარს ამბობს ამ გრძნობაზე. საშინელებაა, მაგრამ ფაქტია — დღევანდელ საქართველოში ოჯახის დაგეგმარება, ანუ იმის განსაზღვრა, ქალმა როდის და რამდენი შვილი უნდა გააჩინოს, აბორტის, ანუ მკვლელობის საშუალებით ხდება. მორალურ მხარეს რომ თავი გავანებოთ, სამედიცინო თვალსაზრისით ეს ძალიან რთული და რისკიანი მანიპულაციაა. მას მთელი რიგი გინეკოლოგიური და ენდოკრინული გართულებები მოჰყვება, თუნდაც იდეალურ ქირურგიულ პირობებში ჩატარდეს. ორსულობის დროს დიდი გარდაქმნები ხდება — დედის ორგანიზმი უკვე ჩასახვის პერიოდიდან იწყებს მზადებას შვილის გაჩენისა და გაზრდისათვის. ნაყოფის მოშორების შემდეგ კი ჩვეულ რიტმში ჩადგომას კვირები და ზოგჯერ თვეებიც სჭირდება. პირადად მე აბორტის გაკეთებაზე დიდი ხნის წინ ვთქვი უარი.

*სიმართლე აბორტის შესახებ:*

*1. მშობიარობაზე 3-ჯერ სარისკოა.*

*2. პირველი ორსულობის შეწყვეტა თითქმის ყოველთვის იწვევს უშვილობას — საქართველოში ეს სტატისტიკა საგანგაშოდ სწრაფად იზრდება.*

*3. არ გამორიცხავს ორსულობის გაგრძელებას, რაც სავალალო შედეგებით მთავრდება.*

*4. ქალთა 70%-ს ეწყება მელანქოლია, შიშები, სინდისის ქენჯნა და მას მოდევნებული კოშმარული სიზმრები, აგრესიული ქმედება შვილების მიმართ.*

*5. იწვევს სისხლდენას, საშვილოსნოს ტრავმას, მიმდებარე ორგანოების დაზიანებას, ზოგიერთ შემთხვევაში — სიკვდილს.*

ვაკის წმინდა სამების სახელობის ეკლესიის მოძღვარი, **მამა გიორგი (დორეული):** — წმინდა ეკლესიამ ადგილობრივ და მსოფლიო საეკლესიო კრებებზე განიხილა ეს საკითხი და ჩვილთა კვლა კაცის კვლის დანაშაულს გაუტოლა (ანკირიის კრება, კანონი 21; მეექვსე მსოფლიო კრება, კანონი 91). ბასილი დიდის კანონში ვკითხულობთ: „წინასწარი განზრახვით მუცელში ჩვილის მომკვლელს კაცისკვლის სასჯელი ედება... აქ გამოიძიება და დასასჯელი იქნება არა მხოლოდ დამნაშავე დასაბადებელის მოსპობისთვის, არამედ მისი მშობელიც, რომელმაც თავის თავზე აღმართა ხელი... ვინც ამის წინასწარი განზრახვით გაკეთებას გაბედავს, მკვლელია, მაგრამ მისი სინანული არ უნდა გაგრძელდეს სიკვდილამდე, არამედ მისი შეწყნარება შეიძლება ათი წლის შემდეგ“

**— მაგრამ ხომ შეიძლება ადამიანს ნაყოფის მოშორებისთვის სერიოზული მიზეზი ჰქონდეს?**

— მოდი, გულახდილები ვიყოთ: რამდენიდან რამდენ შემთხვევას შეიძლება ჰქონდეს ეს სერიოზული მიზეზი — ათიდან ორს? თუნდაც, ოთხი იყოს. ხომ ყველამ კარგად ვიცით, დღეს საკუთარ შვილებს რატომ კლავენ? — სოციალური პირობების გამო. „ჯერ ადრეა“, „ჯერ ეს გავზარდოთ“, „რა ვაჭამო, რა ჩავაცვა“ და ა.შ. პირდაპირ გეტყვით, მე მრცხვენია იმ მშიშარა მამაკაცების ნაცვლად, ცოლებს რომ ეხვეწებიან და გაჭირვების საბაბით ცდილობენ, შვილის მოკვლაზე დაიყოლიონ. მე გაჩვენებთ ერთი შვილის დედას, ქუჩაში რომ ზის ხელგამოწვდილი და 7-შვილიან ოჯახსაც, ღვთის შეწევნით და საკუთარი გარჯით თავსაც რომ ინახავს და სხვებსაც ეხმარება. ამასაც რომ თავი გავანებოთ, საქართველოში ხომ გვახსოვს ისეთი დრო, როდესაც მაინცდამაინც არ ჭირდა ცხოვრება? რამდენი შვილი ჰყავდათ მაშინ — ორი, ან მაქსიმუმ სამი. ყველაზე გავრცელებულ შემთხვევებს ვგულისხმობ. ჩვილთა კვლის მეორე „სერიოზული“ მიზეზი მრუშობა გახლავთ — სხვა რა დავარქვა ახალგაზრდა ქალის საქციელს, ლამაზი თვალების გულისთვის, ყოველგვარი შეუღლებისა და ჯვრისწერის გარეშე რომ კაცთან დაწვება? მერე თავის მართლება იოლია — „მეგონა“, „მიყვარდა“, „შემაცდინა“... როცა „აცდენდნენ“, არ იცოდა, რომ ამას ნაყოფის ჩასახვა მოჰყვებოდა? ამასაც ხომ დიდი „სქესობრივი განათლება“ არ სჭირდება, რომლის ნაკლებობასაც ასე მისტირიან დღეს ზოგიერთები...

კიდევ ერთი მიზეზი, რითაც ჩვილის მოკვლას ამართლებენ, მისი შესაძლო ავადმყოფობა გახლავთ. საოცარია, მაგრამ ზოგჯერ ექიმი მომავალ დედას საკუთარი შვილის მკვლელობას ურჩევს იმის გამო, რომ იგი შეიძლება მძიმედ სნეული დაიბადოს. მაშინ დავერიოთ და გავჟლიტოთ ყველა სნეული ადამიანი — ზოგჯერ ხომ მათი განკურნებაც საეჭვოა... ან იქნებ, ბოდიში და, ქალი სანაშენე პირუტყვია, მხოლოდ ჯანსაღი პროდუქტი რომ უნდა მოგვცეს? ნურც ის დაგვავიწყდება, რომ შემთხვევითი არაფერია და ყველაფერი უფლის ნებაა. ისიც გაიხსენეთ, რომ სნეულებით დაბადებული მრავალი ადამიანი შემდგომში ძალიან ცნობილი და გენიალური მოღვაწეც გამხდარა.

ღვთისმეტყველების მიხედვით მშობიარობას გადაყოლილი ქალი პირდაპირ სასუფეველში ხვდება. შვილის მკვლელ დედას კი საშინელი განსაცდელი ელის — უფლის სამსჯავროზე დედას მისგან მოკლული ყველა ჩვილი წარუდგება და პასუხს მოსთხოვს...

P.S. მამა გიორგის ოთხი შვილი ჰყავს — ყველაზე უფროსი 8 წლის არის, უმცროსი კი 2 თვის.

ექოსკოპიის კაბინეტში მისულს ჩემი მომავალი რესპონდენტი, **ამირან გურგენიძე** მისაღებში შემომხვდა — ახალგაზრდა წყვილი დერეფანში გამოაცილა და დამშვიდობებისას კაცს ჩაულაპარაკა: „ ...პატარა მეგობარი ცოცხალია. მაგრამ ჩვენი დახმარება სჭირდება. უნდა ვიბრძოლოთ, ყველაფერი კარგად იქნება...“

**— ჩანასახზე ისე საუბრობთ, როგორც ცოცხალ ადამიანზე...**

— ასეც არის. ის უკვე ცოცხალ ადამიანად შეიძლება ჩაითვალოს. მას ხომ ყველა ორგანო დედის მუცელშივე უყალიბდება. სხვაგვარად როგორ უნდა ვილაპარაკო, როდესაც ეკრანზე მის პაწაწინა გულს ვხედავ... ეს ნამდვილი ადამიანია — „პატარა ადამიანი“.

**— ზოგჯერ ექოსკოპიაზე დედას ნაყოფის მოშორებას ურჩევენ ხოლმე...**

— რა გითხრათ. პირადად მე, სანამ ჩანასახი ცოცხალია, მის მოშორებას ვერავის ვურჩევ და არც არავისთვის მირჩევია — რა თქმა უნდა, თუ რაღაც ანომალიას არ აქვს ადგილი. როგორ აგიხსნათ — სუსტ ნაყოფს რომ ვხედავ, ისეთი უმწეო და მგრძნობიარეა, მთელი არსებით მის მხარეზე ვარ. სულ მეშინია, არაფერი დაუშავდეს. ზოგჯერ მეჩვენება, რომ მე მთხოვს, გადარჩენის შანსი მივცე...

შოთა ნიშნიანიძეს სხვა მრავალთა შორის ერთი ძალიან კარგი ლექსი აქვს:

*რა ფერმიხდილს და ნაწამებს გხედავ,*
*ჩემო პაწია, ცოდვილო „დედა“,*
*ვაიმე, როცა შენს გულთან მჭრიდნენ*
*რაიმე ხომ არ გატკინე ნეტა?!*
*რა იქნებოდა მეც მოგსწრებოდი,*
*მეც გამეხარა ამ სამზეოთი,*
*მეც დამეძახა შენთვის დედიკო*
*და მამას ყელზე შემოვხვეოდი.*
*ჩაწნული ვიყავ მომავლის ფიქრში,*
*როგორც პეპელა ყვავილში რგული,*
*დაბადებამდე რამდენი მიკლდა,*
*ითვლიდა ჩემი პაწია გული.*

**სტატისტიკა განსჯისთვის:**

1989 წელს საქართველოში 91.138 ბავშვი დაიბადა, 2000 წელს მხოლოდ 40.392. საქართველოს რამდენიმე რეგიონში სიკვდილიანობამ შობადობას გადააჭარბა, მთლიანობაში კი მათი რიცხვი დაახლოებით თანაბარია. თუ ამას ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწილ ახალგაზრდობას დავუმატებთ, შედეგი მართლაც სავალალოა...

***დაჩი გრძელიშვილი***

# დავკარგეთ საქართველო...

## პენტაგონი უკვე საქართველოშია...



რამდენიმე დღეა რუსეთის და საქართველოს დიპლომატები იმეორებენ დიპლომატიური პოლიტიკოსისათვის ყოვლად მიუღებელ ფრაზას — საქართველოს პრეზიდენტმა სამართალდამცავებს ტერორისტის ძებნა ახმეტაში, ივანოვის დედისეულ სახლში შესთავაზაო... კამათში მაშინვე ჩაებნენ რფ-ის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი და საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია. თანაც, ქართული მხარე კვლავ საჩოთირო გამოთქმებს ხმარობდა. საერთაშორისო პოლიტიკაში გარკვეულნი ხვდებიან, რომ ეკონომიკურად დასუსტებულ ქვეყანას აშკარად გამოუჩნდა რაღაც სერიოზული არგუმენტი იმისათვის, რომ მოსკოვს ელაპარაკოს ძალისმიერი პოზიციით. სარწმუნო წყარო იტყობინება, რომ ასეთი არგუმენტი მართლაც არსებობს — საქართველოში ამერიკელი სამხედროები ჩავიდნენ. ეს არის სამხედრო კავშირგაბმულობის თანამშრომელთა ან მრჩეველთა პატარა ჯგუფი, რომელიც მოამზადებს მოკავშირეთა მთავარი ძალების შესვლას პანკისის ხეობაში. ყოველ შემთხვევაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელი სამხედროები სამუდამოდ დაფუძნდებიან ქართულ მიწაზე. საერთაშორისო საზოგადოებრიობა არაერთხელ დარწმუნდა, რომ ამერიკელთა სამხედრო მონაწილეობის გარეშე თანამედროვე გეოპოლიტიკაში ადგილს ვერავინ დაიმკვიდრებს. ამის ნათელი მაგალითია ავღანეთი, რომელზედაც უარი თქვეს მისმა მოკავშირეებმა; იგივე ხდება საქართველოშიც — პატარა, დასუსტებული რესპუბლიკა ხმას იმაღლებს და შეურაცხყოფს რუსეთს.

ყოფილი საბჭოთა ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად ამერიკელებს კავკასიაც სჭირდებოდათ. ამისთვის მოიმიზეზეს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან ბრძოლა. საქართველოს შემდეგ ალბათ აზერბაიჯანსა და სომხეთსაც გადასწვდებიან.

საგულისხმოა, რომ საქართველომ უკვე დაიწყო მზადება (ნატოს პროგრამის ჩარჩოებში) საშემოდგომო სწავლებისათვის „პარტნიორობა მშვიდობისათვის — 2002“. სწავლებაში მონაწილეობის სურვილი განაცხადა 16-მა ქვეყანამ, მათ შორის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებმაც.

რუსეთი ცდილობს იხტიბარი არ გაიტეხოს. ამიტომაც იყო, რომ გენერალური შტაბის უფროსმა ანატოლი კვაშნინმა წინადადება შეიტანა, სასწრაფოდ გაიყვანონ თბილისიდან ამიერკავკასიის რუსეთის ჯარების დაჯგუფება, რათა ამერიკის შემოსვლას დაასწრონ გასვლა და ის მაინც თქვან, — ამერიკელები საქართველოში მხოლოდ ჩვენ შემდეგ შევიდნენო...

***ნეზავისიმაია გაზეტა №33***

შვეიცარია

# არიან კი „ალ-ქაიდას“ ბოევიკები საქართველოში?



დღითი დღე იზრდება ზეწოლა საქართველოზე. მას აიძულებენ ბოლოს და ბოლოს გაილაშქროს პანკისის ხეობაში ჩაბუდებული ბანდების წინააღმდეგ. რუსეთი დიდი ხანია გაიძახის, — იქ ჩეჩენი ბოევიკების თავშესაფარიაო და შარშან, დეკემბერში საბრძოლო ავიაციაც გაგზავნა იქაურობის დასაბომბად, მაგრამ ამერიკამ ატეხა განგაში. თბილისში ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებამ, — მგონი, პანკისის ხეობაში თალიბები თუ „ალ-ქაიდას“ წევრები არიანო, რუსული მხარე ძალზე გაახარა და თავის მხრივ დაამატეს, — თავად უსამა ბინ ლადენიც შეიძლება პანკისის ხეობას აფარებს თავსო, მაგრამ ამის დასაბუთება კი ვერ მოახერხეს. რუსეთმაც და აშშ-მაც საქართველოს დახმარება შესთავაზეს სავარაუდო ტერორისტებთან ბრძოლაში, მაგრამ თუ ამერიკა ფიქრობს დაეხმაროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ანტიტერორისტული ქვედანაყოფების შექმნაში, რუსეთი თბილისიდან მხოლოდ მწვანე შუქს ელოდება, რათა დასცხოს პანკისის ხეობაში განლაგებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს, თანაც არა ავღანეთიდან გამოქცეულებს, არამედ ჩეჩენ სეპარატისტებს. მართალია, პანკისის ხეობაში მოთარეშე ბანდებს, რომლებიც ნარკოტიკების კონტრაბანდით და ხალხის გატაცებით არიან განთქმულნი, საქართველოს მთავრობა ვერაფერს უხერხებს და იქ გამწესებული შინაგანი ჯარიც თავის თავსაც ვერ იცავს — გასული კვირის ბოლოს კონტრაბანდისტებმა ოთხი პოლიციელი გაიტაცეს (თუმცა, მერე დააბრუნეს), მაგრამ რუსეთის სამხედრო დახმარებაზე მაინც ჯერჯერობით უარს ამბობს, რადგან თბილისში მშვენივრად უწყიან, რას ნიშნავს „ანტიტერორისტული ოპერაციები“ რუსულად!

ამის ნათელი მაგალითი ჩეჩნეთის ომი იყო. რუსმა თუ მოინდომა, ქვას ქვაზე აღარ დატოვებს ხეობაში.

***ნოიე ციურიხერ ცაითუნგი***

# რუსეთმა შეურაცხყოფა ჩაყლაპა, რატომ?

ამერიკის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა უარყო იტარ-ტასის ცნობა იმის შესახებ, რომ აშშ-ის სამხედრო უწყებებმა რუსეთთან ერთად შეიმუშავეს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციების ჩატარების გეგმა. როითერის ცნობით, თუ ოპერაცია მაინც დაიწყება, ამერიკელი სამხედროები უმოსკოვოდაც იოლად გავლენ.

ბრიტანეთის სააგენტოს მონაცემებით, ვაშინგტონი ორ ვარიანტს განიხილავს: ერთია, ხეობაში თავისი სამხედრო ძალების გაგზავნა, მეორე — ქართული არმიისათვის ფულისა და ტექნიკის გამოყოფა. მათი მიზნები გარკვეულია — ცენტრალურ აზიაში ფეხი მოიკიდეს და ახლა ამიერკავკასიაზეც არ იტყვიან უარს. ამავე დროს, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი ანატოლი კვაშნინი, ნაკლებდასაჯერებლად თვლის აშშ-ის მონაწილეობას პანკისის ხეობის ანტიტერორისტულ ოპერაციაში. მაგრამ ეს მხოლოდ დიპლომატიაა. ეტყობა, რუსეთი მზადაა, ჩააბაროს მათ ქართული პლაცდარმი, მაგრამ სამაგიეროდ დიდ საფასურს მოითხოვს — ამერიკის ჩეჩნეთის ომში ჩათრევას. 20 თებერვალს თბილისში აშშ-ის სამხედრო სპეციალისტები ჩავიდნენ. ექსპერტთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ თუ ამერიკელმა ჯარისკაცმა საქართველოს მიწაზე ფეხი დადგა, ის იქიდან წამსვლელი აღარ არის და რუსეთს საქართველოში აღარაფერი ესაქმება. თუმცა, რუსეთმა საქართველო გაცილებით ადრე დაკარგა — მაშინ, როცა სსრკ-ის დაშლის შემდეგ, უარი თქვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ახალი არმიის ფორმირებაში მონაწილეობაზე. საქართველოს ხელისუფლებამ აღარ დაუწყო მას ხვეწნა და ნატოს ქვეყნებისკენ აიღო გეზი. ნატოსაც უარი არ უთქვამს. რუსეთის დიპლომატიის მამები ორი წელია ეძებენ საქართველოდან მოხდენილად და დიპლომატიურად წასვლის მიზეზს.

რუსეთს კიდევ ერთი მიზანი აქვს — დაარწმუნოს ამერიკა, რომ ჩეჩენი ბოევიკები საერთაშორისო ტერორისტული არმიის წევრები არიან, საქართველო კი მათ თავშესაფარს აძლევს. და აი, მგონი, შესაფერისი მომენტიც დაუდგათ. ბოლო




დღეებში რუსეთი აცხადებდა, პანკისის ხეობაში ყველას შეუძლია თავის შეფარება, თავად უსამა ბინ ლადენსაც კიო. ქართული მხარის პასუხი შეურაცხმყოფელი იყო... მაგრამ რუსეთი მზად არის, ჩაყლაპოს ეს წყენა, რადგან მთავარი მიზანი მიღწეული იქნება — აშშ საქართველოში შევა, ჩაერთვება პანკისის ხეობის კონფლიქტში, გაანადგურებს ყველას, ვინც დაემუქრება ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლეს და კლდესავით დადგება ქართულ-რუსული საზღვრის ჩეჩნური მონაკვეთის დასაცავად. გარდა ამისა, ექსპერტების აზრით, როგორც კი ამერიკელები ჩეჩენი ბოევიკების პირისპირ აღმოჩნდებიან, მაშინვე მიხვდებიან, რომ ყოველი შეიარაღებული ჩეჩენი — საერთაშორისო ტერორისტია.

***ინფო ვესტი რუ***

# პანკისის ფორმულა



მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ელჩი რუდოლფ პერინა. იგი განაგებს აფხაზეთის, მთიანი ყარაბაღის და დნესტრისპირეთის კონფლიქტების მოგვარების საკითხებს. ამჟამინდელი ვიზიტის მიზეზი პანკისში მიმდინარე მოვლენები ყოფილა. პერინა შეხვდა თავდაცვის საბჭოს შეფს ვლადიმირ რუშაილოს.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, ისევე, როგორც მისი მოსკოვში ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი, გასაიდუმლოებულია.

იმ დროს, როცა პერინა მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა, თბილისში, მეორე ამერიკელმა დიპლომატმა, საქართველოში ამერიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ფილიპ რემლერმა განაცხადა, — პანკისში ავღანეთიდან გამოქცეული მოჯაჰედები აფარებენ თავს, ეს ხეობა ყველაზე კრიმინალური რეგიონია მთელ საქართველოში და ამით აშშ ძალიან უკმაყოფილო არისო.

საერთოდ, პანკისის ხეობის გარშემო მიმდინარე მოვლენები სენსაციური ხდება. სულ ცოტა ხნის წინ, საქართველოს მთავრობა, არ ცნობდა არავითარ შეტყობინებებს პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკების ყოფნის შესახებ. დღეს კი ირკვევა, რომ სპეცსამსახურების ყოფილი ხელმძღვანელი, ახლა კი პარლამენტის წევრი ირაკლი ბათიაშვილი, ხეობის ტერიტორიაზე შეხვედრია ჩეჩენ საველე მეთაურს რუსლან გელაევს. ბათიაშვილის ცნობით, სწორედ გელაევმა მოუწოდა საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს გადამჭრელი ზომები მიეღოთ ხეობაში მოთარეშე კრიმინალთა წინააღმდეგ. თავად ბათიაშვილი თვლის, რომ „დროა, გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა და აქტიური ბრძოლა დაიწყოს და არა „აქტიურობის იმიტირება“, როგორც ახლა ხდება“.

სენსაციურია საქართველოს საპარლამენტო ჯგუფთან ერთად აშშ-ში სამუშაო ვიზიტით ჩასული პარლამენტარ ზურაბ ჟვანიას განცხადებაც. პოლიტიკოსმა, რომელსაც ვერ დასწამებ პრორუსულ ორიენტაციას, განაცხადა, — საქართველოსა და რუსეთს შორის ახლებური დიალოგი იწყება და ეს ჩემს ქვეყანას მოსკოვთან ახალი ურთიერთობის დასამყარებლად შანსს მისცემსო.

რა მოხდა? რატომ შეიცვალა ასე რადიკალურად საქართველოს პოლიტიკოსთა განწყობა? სავარაუდოა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ ვაშინგტონის ძლიერი ზეწოლა განიცადა. იმასაც აღნიშნავენ, რომ პანკისის ამბების დარეგულირება შესაძლოა მხოლოდ რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით.

შეიძლება სწორედ ქართული, რუსული და ამერიკული მხარეების ძალისხმევის კოორდინირება დააკისრეს რუდოლფ პერინას. „საერთო მტრის“ ფორმულამ დააყენა გვერდიგვერდ აშშ და რუსეთი ავღანეთში ანტიტერორისტულ ოპერაციის დასაწყისში. დღეს ეს ფორმულა კვლავ ამოტივტივდა, მაგრამ არა მარტო კონფლიქტის ახალი კერის დასარეგულირებლად. სინამდვილეში პანკისის ხეობა მხოლოდ ინსტრუმენტია დიდ თამაშში, სადაც მოსკოვიცა და თბილისიც თავისი ინტერესების დაცვას ცდილობს. და სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ეს მოვლენები რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის დიდი ხელშეკრულების ბოლო ეტაპის მომზადების ფონზე ხდება. აქამდე ქართული ხელისუფლების პოლიტიკის პროამერიკული მიმართულება ხელს უშლიდა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. დღეს კი, ვაშინგტონი ცდილობს, მოსკოვთან ერთიანი პოზიციით წარდგეს საქართველოს წინაშე.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №7***

# „საკასეტო სკანდალი“ აფხაზეთში



საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გაეროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნით დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა სამიტზე რუსეთის მშვიდობისმყოფელთა მანდატის გაგრძელების საკითხს დააყენებს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დსთ-ის პრეზიდენტები მშვიდობისმყოფელებს მანდატს გაუგრძელებენ. საკამათო მხოლოდ მათი პასუხისმგებლობის ზონის განსაზღვრა იქნება.

ამასობაში, როგორც ცნობილი გახდა, გენშტაბი გეგმავს აფხაზეთიდან მედესანტე მშვიდობისმყოფელების გაყვანას და მაიკოპის 131-ე ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეთა შემოყვანას. ისე, ეს ცვლილება დროული არ უნდა იყოს: მარტში აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, მდგომარეობა კი აქედანვე იძაბება. მიზეზი — „კასეტით გამოწვეული სკანდალია“.

აფხაზ პოლიტიკოსებს დაურიგდათ ქართველ და აფხაზ ბიზნესმენთა „საიდუმლო შეხვედრის“ ვიდეოჩანაწერი. ბიზნესმენები მსჯელობდნენ დევნილთა დაბრუნებაზე, აფხაზეთისათვის ინვესტიციების მოპოვებაზე, მშვიდობის დამყარების გზებზე. ამან კი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ამცახარას“ ხელმძღვანელები აღაშფოთა. ამ ორგანიზაციის მეთაური სერგეი დბარი ითხოვს განმარტებას რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან — რატომ მონაწილეობდა ამ შეხვედრაში პრეზიდენტის ღვიძლი ძმა ლევონ არძინბა, ვინ მისცა მას პოლიტიკური მოლაპარაკებების უფლებამოსილება. დბარს მხარი დაუჭირეს მოძრაობა „აფხაზეთის დედები — მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისათვის“, საკოორდინაციო საბჭომ და ზოგიერთმა დეპუტატმა — თუ პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა და პრემიერი ანრი ჯერგენია განმარტებას არ მისცემენ, მაშინ უახლოეს მომავალში ეს ორი ძალა დაიწყებს პროცესს მათ გადასაყენებლად.

ამ ათი წლის მანძილზე აფხაზეთიდან გამოდევნილი 300 ათასი ადამიანიდან მხოლოდ რამდენიმე ათასი დაბრუნდა. თბილისი ყველაფერში მშვიდობისმყოფელებს ადანაშაულებს — დევნილებს დაბრუნების და უშიშროების გარანტიები არ შეუქმნესო. ამიტომაც შარშან საქართველოს პარლამენტმა რუსეთის „ცისფერჩაფხუტიანების“ გაყვანა მოითხოვა.

საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტს განუცხადა, — მშვიდობისმყოფელები არაფერ შუაში არიანო. როგორ უნდა შექმნან ეს პირობები? ისინი ენგურის გასწვრივ დააყენეს (იქით 12 კმ და აქეთ 12 კმ) და ამით მთავრდება მათი პასუხისმგებლობის ზონა. ისინი თავისუფლად უნდა დადიოდნენ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. უნდა გაფართოვდეს მათი უფლებამოსილება, გაიზარდოს პასუხისმგებლობის ზონაო.

კიტოვანის აზრით, საქართველოს და აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი არიან, განაიარაღონ ყველა ტერორისტი.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №7***

გერმანია

# დროული ჭორი

მას შემდეგ, რაც კავკასიის პატარა რესპუბლიკის ბედი ყოფილი საბჭოთა მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის ხელში აღმოჩნდა, მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო აშშ-თან ურთიერთობის გაღრმავებას. 1999 წელს, ხუთმილიონიანმა ქვეყანამ დახმარების სახით ვაშინგტონიდან 150 მლნ დოლარი მიიღო, რაც საქართველოს ბიუჯეტის თითქმის მესამედს შეადგენს. საქართველო ვაშინგტონს გეოგრაფიული მდებარეობის გამო აინტერესებს. იგი შუა აზიიდან ნავთობისა და გაზის გადაქაჩვის სატრანზიტო ქვეყანაა. ქართველებს იმის იმედი აქვთ, რომ ვაშინგტონთან მჭიდრო თანამშრომლობა ცოტათი მაინც შეასუსტებს მოსკოვის მარწუხებს. პრეზიდენტი აღარ მალავს, რომ მისი ქვეყანა სიამოვნებით შევიდოდა ნატოში. და აი, ახლა თბილისში ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ფილიპ რემლერი აცხადებს, რომ ვაშინგტონი მზად არის, „დაეხმაროს იმ ქვეყნებს, სადაც იმალებიან „ალ-ქაიდას“ წევრები(!). ნამდვილად არიან თუ არა იქ „ალ-ქაიდას“ ბოევიკები, არავინ იცის, მაგრამ ამის შესახებ ამერიკელი დიპლომატის გარდა, საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანიაც აცხადებს. ადვილი შესაძლებელია, ქართველებმა და ამერიკელებმა „ალ-ქაიდას“ კარტი იმისათვის გაითამაშეს, რომ მოსკოვის წინაშე გაამართლონ აშშ-ის ზედმეტად შეჭრა რუსეთის ინტერესების ზონაში.

ამერიკელი დიპლომატის მიერ ნასროლი სიტყვა სიამოვნებით აიტაცეს სხვებმაც — იქნებ ბინ ლადენი პანკისის ხეობაში იმალებაო, — მარჩიელობდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი. მომდევნო კვირას კი დაამატა: პანკისის ხეობა საერთაშორისო მასშტაბის ბანდიტების და ტერორისტების ბუდეაო. ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ „განადგურდეს ეს ტერორიზმის ინკუბატორი“. ამჯერადაც მოსკოვი ყველაფერს ილონებს, რათა „ტერორიზმთან ბრძოლის“ ლოზუნგით დაფაროს თავისი ბოროტმოქმედებანი ჩეჩნეთში.

***ფრანკფურტერ რუნდშაუ***

CMYK

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვინიახნობენ

**3 წლის ეკა გელაშვილი 2 წლის სალომე მჭედლიშვილს** ეკითხება:
— სალი, იცი, რომ „ცვეტოკ“ ყვავილია?
სალომე უმალ ნიშნის მოგებით პასუხობს:
— აუა კიდევ ძაღლი!

***

**6 წლის ნინო შერმანაშვილს** დედა ხშირად აძლევდა შენიშვნას: წერის დროს მინდორი დაიცავიო.
ერთხელაც „ლ“ ასოს გამოწერის დროს დედამ უთხრა:
— გააგრძელე, რატომ შეჩერდი?
— რას ამბობ, დედა, ტყეში (მინდორი) გადავალ.

***

**5 წლის ავთო ბლიაძე** ეკითხება ბებიას:
— ბებო, რუსულად როგორ იწერება 5?
ბებო უხსნის, რომ რუსულადაც და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში 5-ც და ყველა სახის სხვა რიცხვი ერთნაირად იწერება.
— როგორ? — კითხულობს გაკვირვებული ავთო, — ნუთუ ამერიკაშიც ქართულად წერენ 5-იანს?

***

**4 წლის თიკუნა იაკობაშვილს** მამა ეკითხება:
— თიკუნა, წინდა ხომ არ გიჭერს?
— არა, ჩემხელაა!

***

**5 წლის გიორგი არახამიას** დათო ბიძიამ ასწავლა ასანთის ღერებით ფოკუსის გაკეთება. რამდენიმე დღეში გიორგიმ კვლავ სთხოვა ფოკუსის გაკეთება. დათო ბიძიამ ასანთის ღერები მოსთხოვა.
— ერთი მოგიტანო თუ ერთები? — ეკითხება გიორგი.

შეიტანეთ კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ წელიწადის ყველაზე „გიჟი“ თვის სახელს.

II



## იპოვე 17 განსხვავება





იპოვე დეტალები ნახატში



გამოიცანი, ვის რა ნივთი ეკუთვნის?

რომელი ტრანსპორტია „ზედმეტი“?





ყოველ რიგში მოძებნე განსხვავებული ფიგურა



მიიყვანე ჩიტი ბუდესთან

III




რომელი სიმბა იყურება ზემოთ?

I რებუსი



## კროსვორდი

| ქალაქი ქართლში | ღმერთი რუსულად | ზურიკელა ვაშალომიძის ბებიის სახელი | მონარქი ანუ ... | ძალა აღმართს ... (ანდ.) | შხამიანი, „სათვალიანი“ გველი |
|---|---|---|---|---|---|

| ...ბორბალა ...ბუქი | მარნის პატრონი „ღვინის ქურდებიდან“ | შეძახილი ბურთის გატანისას | დღის შემცვლელი | ...ბურთი | პატარა „გემი“ ანუ ...ი | ცალფეხა და ქუდიანი | კედლის ჭაღი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# ცხოვრებისეული კურიოზები

## გაწბილებული ნადი



იქნებოდა ალბათ გასული საუკუნის 30-იანი წლები. სოფელ შუამთაში (ვანის რაიონი) ცხოვრობდა ერთი მშრომელი კაცი, ვიქტორ გოგსაძე, რომელსაც სამი ვაჟი ჰყავდა: გიორგი, სერგო და შოთა. იმ პერიოდში მექანიზაცია არ იყო და მიწის სამუშაოები ხელით სრულდებოდა, თუ ვინმეს რაიმე სამუშაო ჰქონდა, პირველ რიგში ამ ოთხეულს ეძახდნენ (თითო მათგანი ორი კაცის საქმეს ასრულებდა)...

ამავე სოფელში გერმანე ნაფეტვარიძეს ვენახი ჰქონდა დასამუშავებელი და იფიქრა, მოდი, ნადს მოვიყვან და უფრო იაფად გამოვალო. ასე რომ, მამა და შვილები არ მიიწვია სამუშაოდ. განაწყენებულმა ოთხეულმა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა: წინა ღამით ადგნენ, მთვარის შუქზე გათენებამდე იმუშავეს და გერმანეს მოწვეულ ნადს ვენახი დაბარული დაახვედრეს. გერმანე და მისი ნადი სახტად დარჩა ამის შემხედვარე. ოთხეული კი მეზობლებში იკვეხნიდა — ხომ ვაჭამეთ გერმანეს სირცხვილიო.

*ვლადიმერ გოგაძე, თბილისი*

## როგორ დაკარგა შაქრომ იუმორის ხალისი



კომუნისტების დროს ყაზბეგის რაიონის სოფელ არშის საპარიკმახეროში დალაქად მუშაობდა იუმორითა და ოხუნჯობით განთქმული შაქრო ღუდუშაური (ამჟამად პენსიონერია).

ერთხელ საპარიკმახეროში შევიდა დუშეთის რაიონის სოფელ გლუჩის მკვიდრი, გიგანტური აღნაგობის ლადო წამალაიძე, შაქრომ შეხედა გოლიათ კლიენტს, მოინდომა მისი გამასხარავება და ძმაკაცებთან თავის გამოჩენა...

შემოსულს ქათინაურები დაუწყო — რა დედამ გაგაჩინა ამხელა, აი შენნაირი რომ ბევრი იყოსო და მრავალი სხვა. ახალშემოსული უხერხულად ილიმებოდა, ბოლოს მოკრძალებით სთხოვა, თუ მპარსავ, გამპარსეო, რაზედაც შაქრომ უპასუხა:

— აბა, როგორ გაგპარსო, იმხელა ხარ, რომც დაჯდე, მაინც ვერ შემოგწვდებიო.

ლადომ გაიღიმა და მშვიდად უპასუხა — რა გაეწყობა, სანამდისაც შემომწვდები, იქ გამპარსეო... — რაზედაც დღესაც გულიანად იცინიან, შაქრომ კი მას აქეთ იუმორის ხალისი დაკარგა.

*გოგი ბურდული, სოფელი მლეთა*

## „რუსი“ ნანი და მისი სტუმრები



ერთი ჩემი ახლობელია, ნანი გ., რუსეთში დაიბადა და გაიზარდა. მამამისი სამხედრო მოსამსახურე იყო და მოგეხსენებათ, მაშინდელი დრო: 90-იან წლებში ისე დაბრუნდნენ საქართველოში, რომ ნანიმ ქართულის ინჩიბინჩი არ იცოდა. აქ გათხოვდა და ერთ დღესაც ესტუმრა ქმრის ორი მეგობარი, რომლებსაც არ იცნობდა და არც მეუღლე იყო შინ. სტუმრებმა წასვლა დააპირეს ამის გამო, მაგრამ ნანიმ სთხოვა, დარჩით, მეუღლე ბაზარშია წასული და მალე დაბრუნდებაო, თან ნარდი გამოუტანა გასართობად, თვითონ კი სამზარეულოში სადილის თადარიგს შეუდგა. ახალგაზრდები ისე გაიტაცა ნარდის თამაშმა, რომ დაავიწყდათ კიდეც, სტუმრად რომ იყვნენ:

— ზურა, ნუ მატყუებ! — ცხარობდა ერთი.

— არა, შე ჩემა, არ გატყუებ! — პასუხობდა მეორე და ასე გაუთავებლად, ერთი მიმართავდა სახელით ზურას, ხოლო მეორე სულ „შე ჩემას“ გაიძახოდა.

მათი მეგობარიც მალე დაბრუნდა ბაზრიდან. ნანა კარში შეეგება და ამცნო სტუმრების შესახებ.

— ვინ არიან? — დაინტერესდა მეუღლე.

— ოდნოვო ზავუტ ზურა, ა დრუგოვო „შეჩემა“... — მშვიდად უპასუხა ნანიმ.

*მაია გ., თბილისი*

## ბაბუას მოხაგონარი



ბაბუა მყავდა, სიმონა, სულ ერთი სიმღერა ჰქონდა აჩემებული „ვაიმე, დედა, ხელოხელო, მტკივა, მარა ვერ ვამხელო“... ღიღინებდა და ღიღინებდა. ამას წინათ მე და ჩემი ძმა ვსვამდით სოფელში ბაბუაჩემის ბუხართან, რა თქმა უნდა, წინაპრის სადღეგრძელოც შევსვით, ბაბუაც მოვიგონეთ. დავლიე და ახლა ჩემს ძმას გადავაწოდე სასმისი. დალია მანაც შესანდობარი (ღვინო საკმაოდ მოჰკიდებოდა) და თან გულმოკლულმა დასძინა, არა ვართ მართლები ბაბუაჩვენის მიმართო. — რატომმეთქი, ვკითხე. — ბიჭო, მთელი ცხოვრება მღეროდა — ვაიმე, დედა ხელო-ხელოო, ერთხელ მაინც მიგვეყვანა ექიმთან, იქნება ნაღრძობი ჰქონდა ან იქნებ სულაც ეკალი ჰქონდა თითში, გამოუღებდა და მოისვენებდაო...

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

## ტაქსისტი იხსენებს...



კაი დრო რომ იყო, მაშინ თბილისს 6000 სახელმწიფო ტაქსი ემსახურებოდა. ტაქსისტს კიდევ ყოველდღე ათასი ჯურის ხალხი გადაჰყავდა. ერთ დღეში შეიძლება კინო, თეატრი, ცირკი საკუთარ მანქანაში გენახა. ერთ ასეთ კურიოზს მოგიყვებით. მაშინდელ ლენინის მოედანზე ტაქსების გაჩერებაზე ვდგავარ, კლიენტს ველოდები. მოვიდა ორი ქურთი, მეკითხებიან: — ჯიგარჯან, ორი ქურთი სამი მასივში არ წაიღებ? მე ვუთხარი, — დაყარე, წაიღებ!

ისინიც სწრაფად მოკალათდნენ მანქანაში. სიცილისგან კინაღამ ინსპექტორს დავეჯახე. მეტი ცირკი გინდათ?

*ყოფილი ტაქსისტი*

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მიხო ზის და ტელევიზორს უყურებს. იქვე მაცივარი ჩაირთო.

— ძლივს არ მოიდა შუქი!.. — წამოიძახა გახარებულმა.

*რომანი, თბილისი*




სვანმა ერთ-ერთ შენობაზე ნახა წარწერა — „ცხელი ლავაში შეშაზე“. მივიდა მეპურესთან და ეუბნება:

— შეშა არა მაქვს და ფულზე ვერ მომცემ?

*სოსო ცირგაია, თბილისი*



გურული შეხვდა იმერელს და მოიკითხა — როგორა ხარ, ძამა?

— როგორ ვიქნები, ამდენი გურულის ხელში? — მიუგო იმერელმა.

— რას გვიჩივი! — პრეზიდენტი, საშინაო და საგარეო საქმეთა მინისტრები ჩვენი გაზრდილია და მეტი რა გინდათ?

— მაგენის გაზრდას ერთი ენერგოდისპეტჩერი გაგეზარდათ, დენს მაინც ჩაგვირთავდა, არ გერჩივნათ? — მიუგო იმერელმა.

*ვლადიმერ გოგაძე, თბილისი*

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი ასევე ზოგიერთი სიტყვის განმარტებანი

***ჯანო ონიანი დუელში არ გამომიწვევია, მხოლოდ გავიხუმრე (ონი — ანი). მან თუ ეს თათმანის სროლად ჩათვალა — კი, ბატონო! საინტერესოც კი იქნება, სვანურ-ხევსურული დუელი:***

*ჯანსულ, ჯანო ონიანო,*
*ჯანიანო, ღონიანო,*
*თუ შედგება ეს დუელი,*
*გამარჯვებას ნუ მოელი...*

**აქვე გაახლებთ ჩემს ლექსიკონსაც**



კარნავალი — კარდაკარ ნაწანწალები
კარეტა — ეს კარია
კულტურა — ვაშა, კულტს!
კუნელი — ჩქარი კუ გინახავთ?
კურსანტი — მემარცხენე
კატაკლიზმა — კატას ოყნა უნდა
კისელი — დიახ, დასხდნენ
სალამური — მურიანი ლორი
სამსონი — თვით სიზმარია
სარაია — მე სარა ვარ
სერენადა — დასერე, საჭიროა
სინსილა — ძალის პირმშო
სულხანი — სულ ხანია, ანუ სულ მეფეა (ედ.შევარდნაძე)
სუროგატი — სულ მუდამ რქიანი

*მახარე წიკლაური*

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

C M Y K

აცობრიობა სიყვარულისგან დაიღალაო, შენა თქვი? კლასიკოსების მიერ ადამიანის ასამაღლებლად გამოგონილმა სიყვარულმა მხოლოდ მეოცე საუკუნემდე შეძლო ადამიანის მოტყუებაო? დღეს რომეოს და ჯულიეტას მსგავსი გრძნობა მხოლოდ პროვინციელებს შეიძლება გაუჩნდეთ და ისიც ყმაწვილობის ასაკშიო? რაღა დროს ერთხელ მოსულ სიყვარულზეა ლაპარაკი ამ ატომურ ეპოქაშიო? ის, რასაც ჩვენ სიყვარულს ვეძახით, დროებითი გატაცებაა გამრავლების ინსტინქტით გამოწვეული და სხვა არაფერიო? მე შენთან კამათს არ ვაპირებ. თქვენ, ნასწავლმა ხალხმა, თქვენი ულტრამაგალითებით ისე შორს იცით ჩემისთანა ბრიყვის გატყუება, რომ შეიძლება უკან გზა ველარ გამოვიგნო. მაგ შენი „თეორიის" პასუხად ერთ ამბავს მოგიყვები. სამ შვილს ვფიცავ, ერთ სიტყვას არ ვიტყვი ზედმეტს, არაფერს არ გამოვიგონებ (გამოგონება უფრო საინტერესო რამისაც შეიძლებოდა). გიამბობ და შენ თვითონ განსაჯე. თუ კაცის გული გაქვს, ყველაფერს მიხვდები, თუ არა და ესეც სისულელედ მოგეჩვენება. არ ვიცი, ძმაო, მე კი ამ სიყვარულმა წელში გამწყვიტა და ლამის სიცოცხლე გამინახევროს.

ჩემს კლასში ერთი გოგო სწავლობდა; შორენა ერქვა. გვარი რაში მაინტერესებს. ასე მგონია, მისი სახელი რომ ვახსენე, ამითაც დიდ ცოდვას ჩავდივარმეთქი. შენმა დარწმუნებულმა კილომ მაიძულა, თორემ შორენას ამბავი აქამდე არავისთვის მითქვამს. ხომ უნდა გქონდეს კაცს შენი საიდუმლო — რაღაცა, გულში სამუდამოდ ღრმად დამარხული, სხვის ყურს რომ არ მიაკარებ და საჯიჯგნსაკამათოდ არასოდეს აქცევ. კნაჭა გოგო იყო, სათვალიანი. სათვალის გამო მისი თვალების ფერსაც არ დავკვირვებივარ. ახლაც ვერ გეტყვით, რა ფერის თვალები აქვს. ხომ არიან გოგონები, სხვანაირი თვალით რომ არ შეხედავ.

მეშვიდე კლასიდან ერთად ვსწავლობდით. თუ გახსოვს, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება რომ შემოიღეს, შორენა „ქალთა მეორედან" გადმოვიდა ჩვენს სკოლაში, მამა არ ჰყავდა. დედამისი ინჟინერი გახლდათ, მაუდკამვოლში მუშაობდა, სახელიანი, წარმოსადეგი ქალი. შორენას ერთადერთი ძმა ჩვენზე ორი კლასით წინ იყო. ექიმია ახლა. ძმა ნაბიჯზე არ შორდებოდა. მეექვსე გაკვეთილი თუ გვქონდა, კიბეზე ჩამომჯდარი ელოდებოდა. დასცინოდნენ ბიჭები; რა ხარ ამნაირიო, ვინ გიტაცებს, ძმა რომ თოფით გდარაჯობსო. ტირილამდე მიჰყავდათ ხანდახან გოგო. სულელები ვიყავით, აბა რა, თორემ და-ძმა რომ ერთად მიდის ქუჩაში, იმაზე კარგი არის რამე?

ახლა, აქედან რომ ვაკვირდები, ვხედავ, თორემ მაშინ ვერც ვამჩნევდი, შორენა სხვაზე მეტ ყურადღებას მაქცევდა. ექსკურსიაზე რომ მივდიოდით, გვერდით მომისკუპდებოდა, არდადეგების დაწყებისას პირველი დარეკავდა, საით მიდიხარ და როდის დაბრუნდებიო. ბიჭები რომ წავკინკლავდებოდით, ვარიასავით აიქოჩრებოდა, ჩხუბშიც კი ჩაერეოდა და ყოველთვის ჩემი მხარე ეჭირა, დილით დავალებას პირველ რიგში მე გადამიწერდა; საკონტროლო წერის დროს, მასწავლებელი რომ თემას გამოაცხადებდა, „შპარგალკას" (მჭირდებოდა თუ არა) მაშინვე გამომიგზავნიდა, თუ გავაცდენდი, მასწავლებელს ეხვეწებოდა თურმე, ავად არის და „არას" ნუ დაუწერო. სხვა განსაკუთრებული არაფერი შემინიშნავს. ხანდახან მაღიზიანებდა კიდეც მისი გადაჭარბებული ყურადღება. მეცხრე კლასიდან, მამლაყინწებად რომ ვიქეცით ერთბაშად და სხვა კლასელ (აუცილებლად სხვა კლასელ) გოგონებს თვალიერება დავუწყეთ, ერთხელ დამიჟინა: გინდა თუ არა, მითხარი, ვინ გიყვარსო, თუ გეშინია, გამატანე წერილი და მე მივუტანო (მაშინ სიყვარულის წერილობითი ახსნა მოდაში იყო). გავბრაზდი, მახსოვს: ფოსტალიონი არ მჭირდება, ჩემს თავს თვითონვე მოვუვლიმეთქი. არავინაც არ მიყვარდა. პირიქით, გულის სიღრმეში, სადღაც, მეჯავრებოდა კიდეც გოგონები. მათ წრეში თავს შებოჭილად და უხერხულად ვგრძნობდი.

ასე გავიდა სამი წელი. დავამთავრეთ. გამოშვების საღამოზე ახალი, გრძელი, ცისფერი კაბით მოვიდა. ყველა გოგოს გრძელი კაბა ეცვა და მეჩვენებოდა, რომ ჩვენ, ბიჭები, ისევ ბავშვებს ვგავდით, გოგონები კი ერთბაშად დაზრდილიყვნენ. ძველი კინოფილმებიდან გადმოსულ „ბარიშნებს" ჰგავდნენ. ღამე გავათენეთ, მაგრამ სუფრამ უხალისოდ ჩაიარა. მასწავლებლები ჩვენ თითქმის არ გვაქცევდნენ ყურადღებას, თვითონ, თავისთვის ქეიფობდნენ. თამადა შეთვრა და სასწავლო ნაწილის გამგეს (კოჭლი შალვა სარჯველაძე, ისტორიკოსი, შარშან გარდაიცვალა საწყალი) „ინტრიგანი" უწოდა, კინაღამ აირია სუფრა. დილის ექვსი საათი იქნებოდა, შორენამ (ჩემს გვერდით იჯდა, რასაკვირველია) ხელი მომკიდა: გეხვეწები, წავიდეთ აქედანო. პირველად მაშინ გამიკვირდა: რა უნდა ამ გოგოს-მეთქი, გულში ვთქვი, მაგრამ გაყოლით — გავყევი.

ხელკავით მომყვებოდა და გაუთავებლად ჭიკჭიკებდა. ასე ხალისიანი არასოდეს მინახავს. ნინოშვილის ქუჩა ცარიელი იყო და ჩვენი ფეხის ხმა და საუბარი ზარის რეკვასავით ისმოდა. ხანდახან შევჩერდებოდით და ჩვენსავე ექოს დავაყურადებდით. თეთრ ხიდთან წვიმა წამოგვეწია. თავიდან ფეხებამდე გალუმპულები ვიდექით ხიდზე და უქიმერიონს შევყურებდით. ქვევით რიონი ყურისწამღებად ღრიალებდა. „გოგი", — შორენას შეცვლილი ხმა ჰქონდა, რაღაც დაიწყო და გადაიფიქრა, მოაჯირზე შესკუპდა და სერიოზული სახით მკითხა, — „ხომ მიხდება გრძელი კაბა?" თავი დავუქნიე. „ხომ მიხდება, დედას გაფიცებ, ოღონდ არ მომატყუო. ხომ კარგი გოგო ვარ?" — სხაპასხუპით თქვა და ტირილი აუვარდა. ხელი შევავლე, არ გადავარდეს-მეთქი. თმა ჩამოეშალა. კაბა პაპიროსის ქაღალდივით დაჰკვროდა პატარა მხრებსა და ნატიფ მკლავებზე. ანგელოზს ჰგავდა. ტირილი სწრაფადვე შეწყვიტა, ჩამოხტა, შემომხედა, „შე შტერო, შენ", სინანულით მითხრა და გაიღიმა. რომ დავბრუნდით, სუფრა უკვე აშლილი დაგვხვდა. ეზოში ცეკვა-თამაში გაემართათ. მასწავლებლებიც კი (აუჩქარებლად და მოზომილად) ძუნძულებდნენ წრეში. ჩვენი გაპარვის ამბავი ყველამ იცოდა, ჭორიკანა ქალაქია ქუთაისი.

მერე ჩვენი გზები გაიყარა. მე, როგორც იცი, უნივერსიტეტში ჩავაბარე. შორენას დედამისი ვერ შეელია სათბილისოდ და პოლიტექნიკური ინსტი-



ტუტის ფილიალში მოეწყო საფეიქროზე. ქუთაისში იშვიათად ჩავდიოდი. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი მოგეხსენება, ხან პრაქტიკა გვქონდა ზაფხულობით, ხან ყამირი და ათასი რამ. ვერ დავიფიცებ, ჩამოვდიოდი თუ არა, პირველად შორენას ვურეკავდი, გამოგივლი-მეთქი, მაგრამ სტუდენტის ამბავი არ იცი? გადავყვებოდი ხელს და ვერ ვნახულობდი. ტელეფონში სევდიანად, პაუზებით მპასუხობდა. ხასიათზე რატომ არა ხარ-მეთქი, რომ ვკითხავდი, არაფერი,ისეო,მიპასუხებდა,თურმე ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი ჩემი ხმის გაგონებისას, მე კი, მე სულელი, ვერაფერს ვხვდებოდი... დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. არ გვესმის არა, ადამიანებს ერთმანეთის.

ერთხელ, მეხუთე კურსზე ვიყავი მაშინ, ზამთრის არდადეგებზე ჩამოსულს, შორენას დედა მირეკავს, შვილო, გოგი, იქნება ჩვენსა გადმოირბინო, შორენა ვერ მყავს კარგადო. წავედი. დიდთოვლობა იყო მახსოვს და გზადაგზა გუნდებს ვესროდი აივნებზე მოტკარცალე გოგოებს. შორენა კედლისკენ შებრუნებული იწვა. სასთუმალთან დედამისი ჩამოუჯდა „დედიკო, გოგი მოვიდაო", უჩურჩულა. გაიგონა თუ არა ეს სიტყვები ავადმყოფმა, საბანი წაიფარა თავზე და კედელთან მიიკუნჭა. ახალთავდაბანილი ლექციებზე გამექცა, გამიცივდა და ოცი დღეა სიცხე ვერ ჩავუქრეთო, ისე დასუსტდა, ლანდი გადის ცხვირში და რცხვენია შენიო, ამიტომ მალავს სახესო, მომიბოდიშა დედამისმა. დიდხანს ეხვეწა, უხერხულია, სტუმარი მოვიდა, გამოიხედეო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, წასვლისას გამომშვიდობების ნიშნად ხელი გამოჰყო საბნიდან და მაგრად მომიჭირა, ახლაც ვგრძნობ მის გამხდარ ცხელ ხელს თითებზე. მალე გამოჯანმრთელება ვუსურვე და წამოვედი.

ეს იყო და ეს. ოცი წელი გავიდა მას შემდეგ. შორენა არ მინახავს. ცხოვრებამ სხვადასხვა კალაპოტში გადაგვაგდო და ისე ღრმად ჩაგვითრია, რომ თანაკლასელებმა ერთმანეთი თითქმის დავკარგეთ. შარშან სკოლის დამთავრების ოცი წლისთავი გვინდოდა გადაგვეხადა, მაგრამ თავი ვერ მოვაბით. ოციდან ორმოც წლამდე ძალიან სწრაფად გარბის დრო. ცოლშვილს ეკიდები, შენს ბუდეს იწყობ, რაღაცას ჩალიჩობ, რაღაცას ნერვიულობ, შენი პრობლემები გიჩნდება და თავის ასაწევად, მისახედ-მოსახედად დროც აღარ გრჩება.

გასულ ოთხშაბათს ჩვენი თანაკლასელი ნანი ბეშკენაძე შემხვდა; ვაკის პარკში ნაყინის ჯიხურიდან ძალისძალით გამოათრია ორი ბავშვი. ყელი ტკივა ორივეს და მაინც ასეთ სცენას მიწყობენ ნაყინზეო. ამიტომ მეზარება ამათი გამოყვანა სახლიდანო. არც კი შეცვლილა ნანი, ისევ ისეთია — მოხდენილი, თვალბრიალა და ხმაურიანი. მოკითხვა არც კი მაცალა. რა კარგია, რომ შემხვდი, გოგი, სანთლით დაგეძებდიო. შევხედე ბავშვებს — ჯერ არ არიან საინსტიტუტო, რაშია ნეტავ საქმე, რაზე მეძებდა ნანი? შორენა თუ გახსოვსო. როგორ არ მახსოვს-მეთქი. იცი თუ არა, თბილისში რომ ცხოვრობსო. არა-მეთქი. მართლა არ ვიცოდი. მე მეგონა შორენა ქუთაისშივე დარჩა და არის ახლა ქმარშვილდასეული და გასუქებული, როგორც ყველა ჩვენი თანაკლასელი ქალი-მეთქი. შენ რა გითხრა მეო. შენგანაა ის გოგო გაუბედურებული და შენ ასე ლაპარაკობო. არც ერთი არ ღირხართ კაცები იმად, რაც შორენამ შენთვის ჩაიდინაო. რა? როდის? რას ლაპარაკობ? შენ ხომ არ გაგიჟდი-მეთქი, მაგრამ მეტი ვერაფერი წამოვაცდენინე. ამა და ამ ქუჩაზე ცხოვრობს, მარტოდმარტოა, თუ კაცი ხარ, მიდი და აუცილებლად ინახულეო, დამიგდო ნანიმ და სანაყინეში შეცვენილ შვილებს გამოუდგა.

მეორე დღეს მაინცდამაინც საღამოს მქონდა ლექცია. ვერც გავუცვალე ვერავის. ასე, ათის ნახევარი იყო, შორენას კარს რომ დავუკაკუნე. მაშინვე გააღო, არც ტრადიციული, „ვინ არის?", არც ჭუჭრუტანაში გამოხედვა, თითქოს კართან იდგა. ნაბიჯების ხმაც კი არ გამიგია. იმწამსვე გააღო კარი. შემომხედა, მკლავები ჩამოჰყარა, თავი უკან გადასწია და კედელს მიეყრდნო. ხმა არ ამოუღია. სახეზე ერთი ნერვიც არ შესტოკებია. თითქოსდა სრულიად ჩვეულებრივი ამბავი ხდება. თითქოს ერთი საათის წინ გავედი ამ ოთახიდან მეზობელთან ჭადრაკის სათამაშოდ და ახლა დავბრუნდი.

— შემოდი, გოგი.

ახლა კი, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა გიამბო, რაც იქ ვნახე და განვიცადე. ჯერ ერთი მრცხვენია, ჩემი ყველაზე ლირიკული წუთების მონაწილედ რომ გხდი. სიტყვამ მოიტანა, თორემ არ უნდა ვკადრო ამ ამბავს სინათლის სარკმლის უბოდიშოდ მოღიავება. შორენა ისე ციური და მაღალი ქალია, სწორედ რომ ღირსია იმისა, მისი ცხოვრების ლამაზი იდილია მასვე ეკუთვნოდეს სამარადისოდ. შიშით კი, იცი რისი მეშინია? შენი წეღანდელი ლაპარაკი რომ გამახსენდება, დიდი იმედი არა მაქვს, რომ ყველაფერს მიხვდები. არსებობენ საგნები, გულუბრყვილო განსჯისა და კამათის წიაღ მაშინვე რომ ჰკარგავენ სუნსა და ფერს, სიწმინდესა და მომხიბვლელობას. მიკვირს, რომ ახერხებენ მწერლები, თავიანთი სულის ყველაზე იდუმალი ნიუანსიც კი ასე უცერემონიოდ და ხელაღებით გამოფინონ მზეზე.

ნელა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გამშრალი ხმით ლაპარაკობდა შორენა. ხანდახან შეჩერდებოდა, თავს ჩარგავდა ხელებში და შევაშველებდი ერთადერთ ფრაზას, რომელიც ამ ორი საათის განმავლობაში პირზე მეკერა — „ილაპარაკე, ძალიან გთხოვ". თავს ასწევდა, ცრემლჩამდგარი, გაფართოებული თვალებით შემომხედავდა, მხრებს ხელისგულებით დაიფარავდა და ჰყვებოდა. აღარ მახსოვს, რას ჰყვებოდა, ვერც იმას გეტყვით, მესმოდა თუ არა მისი სიტყვები. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ ქალს ჩემი ცხოვრებით ეცხოვრა ოცი გრძელი წელი. მან იცოდა ყველაფერი, რაც თავს გადამხდა, რაც მიფიქრია და მიჯახირია. იცოდა, როგორი ქმარი და მამა ვარ, ვინ არიან ჩემი მეგობრები. ვის ვთვლი მტრად და ვის მოყვარედ. როდის ვიყავი ავად, რა მაწუხებს და რა მიხარია. ლაპარაკობდა შორენა, მაგრამ მის სიტყვებში არ ჩანდა არც სინანული, არც თავმოწონება იმის გამო, რასაც სიყვარულისთვის ბრმა მსხვერპლად მიტანილი საკუთარი სიცოცხლე ჰქვია. მარიგებდა, ჭკუას მასწავლიდა, მეუბნებოდა, რომ ბავშვი აღარა ვარ და ცხოვრების წესი უნდა შევიცვალო, სიფიცხე დავიოკო, ღამეებს ნუღარ გავტეხ, აპენდიციტის ოპერაციაც გავბედო ერთხელ და სამუდამოდ. მეუბნებოდა, რომ აწი უფრო საჭირო ვარ ჩემი ცოლშვილისთვის და თავს უნდა გავუფრთხილდე, თვითონ? საკუთარ თავზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია, თითქოს რაც აქ ხდებოდა, სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იყო. კედელზე მხოლოდ ჩემი სურათები ეკიდა, ალბომი ჩემი ფოტოებით იყო სავსე. უხერხულობა და ცოტა სიბრაზეც მიპყრობდა ხანდახან იმის გამო, რომ მე, მუცელგაბერილ და თმაგაცვენილ მოქალაქეს, ამ სახლში ასე ნაზად და ფაქიზად მეპყრობოდნენ მთელი ოცი წლის განმავლობაში.

სკამზე დაჭედილივით ვიყავ კარგა ხანს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა წამოვსულიყავი. შორენამ ჩემზე უკეთ ესეც იგრძნო და წამოდგა. რა საცოდავი ვიყავი იმ წუთებში, ვერ წარმოიდგენთ. სულ არ შეცვლილხარ-მეთქი, სამსახური როგორი გაქვს-მეთქი, თუ რამე დაგჭირდეს, დამირეკე-მეთქი, მომავალზეც იფიქრე, ასე მარტო ხომ არ უნდა დაბერდე-მეთქი. მსგავსი სისულელეები ვუთხარი, მაგრამ ვგრძნობდი, სასაცილოდაც არ ეყო. ისევ ისე იდგა კარში, როგორც დამხვდა, თავაწეული, გამშრალი, ხელებჩამოყრილი, ლოდინით გათანგული.

იმ ღამით შინ არ მივსულვარ.

არ შემეძლო, ვერ მოვისვენებდი.

სოლოლაკში, დავითაშვილის ქუჩის დასაწყისში ქმარგაყრილი გოგო ცხოვრობს. ერთი გაკვირვება გაუკვირდა, შუაღამისას რომ მივადექი და ამაღამ შენთან უნდა დავრჩე-მეთქი, განვუცხადე.

ჩემგან ამხელა სითამამეს არ ელოდა.

გაიხარა, ჯარასავით დატრიალდა. ვახშამი გააწყო, იჭიკჭიკა და მაჭიკჭიკა მეც.

ცოტა ხნით მაინც მომეხსნა გულზე სევდის დოლაბი, დილამდე მაინც ამოვისუნთქე თავისუფლად.

ამ სახლში დამნაშავედ არ ვგრძნობდი თავს. აქედან ყველაფერი მარტივი ჩანდა.

## ჩემო მამულო



ისევ შენ დაგტირი,
ჩემო მიწავ,
შენივე გაზრდილების
გათელილო,
აფხაზთან ხიდო
ჩატეხილო,
ოსთაგან გულო გატეხილო,
ერთი მადლობითაც კმაყოფილო,
ახლა მშიერო და გათოშილო,
მტრისგან უთვალავჯერ დატორილო,
მამულო, წინაპრების დატოვილო!

## მოგონება

ცის საცერი ფიფქებს ცრიდა,
დაბლა ქარი თოვლსა ჰგვიდა,
თოვლში იდგა ციცქნა გოგო,
გაზაფხულის წვიმას ჰღვრიდა.
ციცქნა გოგოს დანახვაზე
ბიჭი წარბსაც არ იხრიდა,
ფიფქადქცეულ გოგოს ცრემლებს
ქარი ბიჭის ფეხქვეშ შლიდა...
ქარი ჰგვიდა, ზეცა ცრიდა,
გოგო ისევ ცრემლებს ჰღვრიდა,
რა იცოდა, რომ ის ბიჭი
ერთ ცრემლადაც არა ჰღირდა!

## და მაინც ვეძებ ყვითელ გვირილებს...

***საგურამოს მიდამოებში იზრდება ყვითელი გვირილა Anthemis Saguramisa. მე ეს გვირილა ძალიან მიყვარს, რადგან იგი ენდემური სახეობაა და მხოლოდ საქართველოში იზრდება.***

როგორც აფთარი, მოვა ზამთარი
და დაგვიზაფრავს ყვითელ გვირილებს,
მოვა ზამთარი და სათითაოდ
თოვლისფერ კაბებს ჩამოგვირიგებს.
დაეფინება თეთრი ხალიჩა
ქუჩებს ვიწროს და ქუჩებს ირიბებს
და ქუჩის თავში ცხელი ცრემლები
შეეყინებათ მტირალ ტირიფებს.
მეც გადავიცვამ თოვლისფერ კაბას
და გავუყვები იმ თეთრ ბილიკებს.
ჩავიძირები მეც სითეთრეში
და გავიყუჩებ სულის ტკივილებს...
მეფერებიან თუმცა ფიფქები,
ზამთარი ფიფქსაც უხვად გვირიგებს,
დავდივარ თოვლში და მაინც ვეძებ
და მაინც ვეძებ ყვითელ გვირილებს...

## კახეთი

ნეტავ რა ძალამ, რა განგებამ მოხატა აგრე
ღრმა ჭრილობებით დასერილი ძველი ტაძარი.
კახეთი — ნამდვილქართველობის ციხესიმაგრე,
კახეთი — დიდი საქართველოს მკერდი მაგარი.

ალაზნის ველში ჩამარხული ძვლების კედელი
და ზედ ნაშენი თეთრი მხრები გოლიათისა.
ლექსის უდაბნო, ვარდის მხარე, ვაზის ედემი
და საწნახელში მოლივლივე ქარვის დასრესა.

ალავერდის წინ ჩარჩქილი ნისლის ღვარები,
ბახტრიონიდან წამოსული დარდების ზვავი.
ძველი ფრესკები, წარწერები, დროის ღარები,
ჩანგის ტირილი, ძველი სევდა და დედოზარი.

ივრის ჭალიდან აფრთხენილი ხოხბის ყივილი,
გრემის კედელზე დარდის ნაზი აჩუქურთმება,
ქალის თვალები მაყვლისფერი, მისი ღიმილი,
ოცნება — კოცნის კოცონით რომ დაითუთქება.

მყვირალობისას ბეწვაშლილი ირმის ბღავილი,
ყვარლის მთებიდან დაშვებული ღრუბლის ხავერდი,
ჩუმად, ლამაზად ამოსული მინდვრის ყვავილი,
ქარის კედლებზე შელეწილი მუხის მკლავები.

ნაფარეულში დაწურული ვაზის ცრემლები,
კახური ღვინის გულში ლექსად შემოხეთქება,
დარდმორეული დევკაცები ხელში ქვევრებით
და თეთრი ღამე სიმღერებში როგორ თენდება.

აყმუვლებული მგლის ლეკვები ძველი აკვნიდან,
სალი კლდეები — ჯიხვის რქებზე შემომტვრეული,
შუამთის სიო, ქვის გარეჯი და ნინოწმინდა
და გოგლას ლექსით ანთებული პატარძეული.

ალაზნის ტალღა — მობუბუნე ილიას ხმაზე
და წინანდალში ხეტიალით დაღლილი ქარი.
კახეთი — ნამდვილქართველობის ციხესიმაგრე,
კახეთი — დიდი საქართველოს მკერდი მაგარი.

# როიალზე წამოსკუპებულს დიდი ხალისით მაკითხებდნენ ლექსებს...



დიდ სცენაზე ფეხი პირველად 14 წლის ასაკში შედგა, როდესაც მედეას როლი შეასრულა ანსამბლ „ივერიის" ცნობილ სპექტაკლში „არგონავტები". 300-მდე კონცერტშიც მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, **ნინაკა გელაშვილი** თავს მომღერლად არ მიიჩნევს და როგორც თვითონ ამბობს — სულით ხორცამდე მსახიობია. ფართო მაყურებელი ნინაკას უკვე კარგა ხანია ხედავს „იუმორინას" და ფირმა „ლომისის" მიერ დადგმულ სხვა კონცერტებში, სადაც იგი შესანიშნავად ასრულებს ცნობილი პიროვნებების პაროდიებს. მასთან ინტერვიუც სწორედ ამით დავიწყეთ:

— **ნინაკა, შენ მიერ ინგა გრიგოლიაზე გაკეთებულმა პაროდიამ ძალიან მოხიბლა მაყურებელი. შენ თავად თუ გბაძავს ვინმე?**

— ჩემი მეგობრები ხშირად მბაძავენ და ძალიან მსიამოვნებს კიდეც. ნინელი ჭანკვეტაძე დაოსტატებულია იმ ნინაკას განსახიერებაში, რომელსაც ტაშს უკრავენ სცენაზე ყოფნის დროს. ბოლო კონცერტზე ინგა გრიგოლიამ თავისი პატარა ქალიშვილი გამომიგზავნა სცენაზე ყვავილებით.

— **პაროდიის უნარი როდის აღმოგაჩნდა და თუ აცნობიერებ, რატომ გიჩნდება სხვისი მიბაძვის სურვილი?**

— პირველად ალა პუგაჩოვას მივბაძე. სულ პატარა ვიყავი, მის სიმღერას „Короли" რომ გამუდმებით გავკიოდი და ვიძახდი, ალა პუგაჩოვა ვარ-მეთქი. სიტყვებსაც კი ვერ ვამბობდი გამართულად, პაროდიის გაკეთებას კი დიდი მონდომებით ვლამობდი. სხვების მიბაძვის უნარიც ალბათ ადამიანების მიმართ დიდი სიყვარულის გამო მიჩნდება. თუ არ გიყვარს ვინმე, მას როგორ მიბაძავ? ეს უბრალო რამ არ გეგონოთ, ადამიანის ყველა ემოცია, განცდა, მოქმედების მანერა შინაგანად უნდა იგრძნო, სხვაგვარად პაროდია არ გამოვა.

— **ახლა შენ უკვე პაროდისტი მემკვიდრეც გყავს, შენი პატარა ქალიშვილის სახით, არა?**

— სხვას არავის ჰქონია მსგავსი უნარი ჩვენს ნათესაობაში. არასდროს მითქვამს მეასთვის, ვინმეს დააკვირდი და მიბაძე-მეთქი. ერთხელ კუს ტბაზე ასულს მითხრა — დღეს აქ გივი სიხარულიძე იყო და იცი, რა მითხრა? „ვაჰ, პატარა ნინაკა?!" საოცარი სიზუსტით აღწერა გივის ყველა მანერა.

— **შენი მსახიობური ნიჭის განვითარებაში ალბათ იმ გარემომაც იმოქმედა, სადაც გაიზარდე. ვახტანგ ჭაბუკიანის, პეტრე გრუზინსკის სიახლოვეს გამუდმებით ყოფნამაც დაგაჩნია ალბათ კვალი.**

— დედაჩემის, ოპერის თეატრის ბალერინას ნათელა გუნცაძის და მამაჩემის თვითნასწავლი მომღერლისა და მოცეკვავის გივი გელაშვილის ოჯახში (მამა ამ ტალანტს მხოლოდ მეგობრებთან ამჟღავნებდა), მერი ნაკაშიძიდან და იმ ადამიანებიდან დაწყებული, ვინც თქვენ ახსენეთ, უამრავი ცნობილი ხელოვანი იყრიდა თავს. მახსოვს, როგორ გაჰქონდათ ჩვენი უზარმაზარი სახლიდან ავეჯი, იშლებოდა ულამაზესი სუფრა და ოთახში დარჩენილ ერთადერთ როიალზე წამოსკუპებულს დიდი ხალისით მაკითხებდნენ ლექსებს და მამღერებდნენ.

— **როგორც ამბობენ, თქვენი სახლი ყოფილა ის ადგილი, სადაც საფუძველი ჩაეყარა ახლანდელ, „ტუსოვკების" მსგავს აქციებს.**

— ერთხელ დედაჩემის დაბადების დღის შემდეგ, მეზობლებმა გვითხრეს, — ბილეთები უნდა გაგეყიდათ, გუშინ ისეთი ხალხი სტუმრობდა თქვენთან, ისეთი მუსიკა და სიმღერა გამოდიოდა, რომ აივნებს ვეღარ ვშორდებოდით სიამოვნებისგან და კედლის მიღმა თქვენს ოჯახში ვიხედებოდითო.

მე ჯერ კიდევ არ ვყოფილვარ დაბადებული, როცა ჩემი უფროსი, 5 წლის დაიკო „შეყვარებული" იყო პეტრე გრუზინსკიზე. საჭმელს მისი ხათრით ჭამდა, რომ მალე გაზრდილიყო და „ცოლად გაჰყოლოდა". ულამაზესი კაცი იყო სულით და ხორცით. რა დალევს მოგონებებს მასზე და ბატონ ვახტანგზე, რომელსაც წყნეთში ჩვენს მეზობლად ჰქონდა აგარაკი. მინებიან შენობას, ვახტანგის ფილარმონიას ვეძახდი და როგორც კი მის „ვოლგას" დავინახავდი წყნეთში, ჭაბუკიანის აგარაკის მეტი აღარაფერი მახსოვდა. ერთხელ ბატონი ვახტანგი გასტროლებზე იყო. მისმა მეგობრებმა და ჩემი დის ნათლიებმა მერაბ და რუსუდან აბაშიძეებმა ვარსკვლავის საძინებელში დაგვაძინეს მე და ჩემი და. ახლაც ვგრძნობ იმ, ბავშვობის დროინდელ შთაბეჭდილებებს... საოცარი მოწიწების და სიხარულის გრძნობა მქონდა.

— **შენი პაროდიული ნიჭით ხომ არ გისარგებლია და ვინმე ახლობელი ხომ არ მოგიტყუებია?**

— ერთხელ ბებიას დავურეკე მეზობლის სახლიდან, დედაჩემის მეგობრის, იამზე ლამბაშიძის ხმით ვუთხარი, მოსკოვიდან სტუმრები ჩამომიეიდნენ და უნდა გეწვიოთ-მეთქი. ბებია დატრიალდა და ფანტასტიკური სუფრა გააწყო. დედა რომ მოვიდა, გაოცდა, რა ხდებაო? ბებიას ვეღარ გამოვუტყდი ტყუილში, შემეცოდა. დედას ვუთხარი სიმართლე, იმანაც დაამშვიდა ბებო და უთხრა, იამზემ ჩვენთან სტუმრობა გადაიფიქრაო. მერე მეგობრებთან ერთად მეგობარ ბიჭებს ვურეკავდი სხვადასხვა ხმით. პაემანს ვუნიშნავდი და რა თქმა უნდა, არ მივდიოდი. ისინი კი ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ ოინების ავტორი მე ვიყავი.

— **შენი სასცენო კარიერა სიმღერით დაიწყო. დღესაც მშვენივრად მღერი, მაგრამ მომღერლის სახელს არ ირქმევ, რატომ?**

— ალბათ ყველას ხალხი არქმევს იმ სახელს, რასაც იმსახურებს. მე ვამაყობ იმით, რომ 14 წლისამ მედეა ვიმღერე და 300-მდე კონცერტზე ცოცხალი შესრულებით ნარვდექი. დღეში 4-5 კონცერტიც მქონია. ეს კარგა ხნის წინ იყო. ახლა კი გამოდიან და ამბობენ, რომ ცოცხალი შესრულება შეუძლებელია ფილარმონიაში, რადგან აპარატურაა უვარგისიო. რაზე ლაპარაკობენ, რომელ აპარატურაზე მოთქვამენ?! მანანა თოდაძე დღეში სამჯერ მღეროდა სამოქტავიან გედს და დარბაზს ანგრევდა. მნიშვნელობა აქვს ალბათ იმის განსაზღვრას, რომ გაირკვეს, ვისი ადგილია დღეს სცენაზე. მსახიობი იქნება თუ მომღერალი, სცენა ბინა უნდა იყოს მისთვის.

— **რა უფრო დიდ სიამოვნებას განიჭებს, სცენაზე მუშაობის პროცესი, თუ შედეგი?**

მუშაობის პროცესი საოცარია. განსაკუთრებით მაშინ, როცა უარყოფითი გმირის როლზე მუშაობ. შეუძლებელია მის საქციელს რაღაც გამართლება არ უპოვო.

მიხეილ თუმანიშვილის მოსწავლე ვიყავი. მან ზუსტად იცოდა, რა შეიძლებოდა მოეთხოვა თითოეული არტისტისგან. ასეთია თემურ ჩხეიძეც. მასთან მუშაობა დღესასწაულია. ისე გაკეთებინებს ყველაფერს, რომ გგონია დამოუკიდებლად ქმნი. ალბათ ეს არის რეჟისორის ნიჭი.

— **ყველაზე კარგად რომელ როლში გრძნობ თავს, ცხოვრებისეულსა თუ შემოქმედებითში?**

— კარგად ხარ იქ, სადაც შენი მსგავსი მისწრაფებები აქვთ გვერდით მყოფებს, შენსავით აღიქვამენ სამყაროს. ცდილობენ სიმშვიდე და სიყვარული სუფევდეს ირგვლივ — ასეთები არიან ჩვენი მშობლები, შვილები, ნათესავები...

ღმერთს ნადლობას ვუძლვენი მათი არსებობისთვის.

*ეკა ლომიძე*

ТВ-программа: 3 მარტი, 2 მარტი, 1 მარტი, 28 თებერვალი, 27 თებერვალი, 26 თებერვალი, 25 თებერვალი. [illegible]

# პოლიციელიც კაცისა და ქალის შვილია, ისევე, როგორც თქვენ...



ქალაქიდან გასული ვარ, მაგრამ ჟურნალისტები მიყვარს და შენი გულისთვის მოვდივარო... ბატონი **თემურ მღებრიშვილი** სიტყვას არ გადავიდა...

— **ბატონო თემურ, რაც თანამდებობის წყალობით ტელეეკრანზე გამოჩნდით, მგონი, ხალხი, საქმიანობაზე მეტად თქვენი მსახიობური ნიჭით დაინტერესდა...**

— მსახიობობა მინდოდა, მაგრამ რა იყო, იცი? ბებია მყავდა, ის შემომიჩნდა, არ გახდე, შვილო, მსახიობიო, ბევრი ცოლი გეყოლებაო... მეც არ მინდოდა ბევრი ცოლი და დავიწყე პოლიციაში მუშაობა...

— **ვისგან გერგოთ ეს ნიჭი — მემკვიდრეობით?**

— ასეთი ჩემს წინაპრებში არავინ მახსოვს, ისე, კი იქნებოდა ვილაც უსათუოდ... აი ჩემი ნიჭი კი ჩემს შთამომავლობას ნამდვილად გადაეცემა... ერთ რამეს გეტყვი ახლა: ჩემი შვილიშვილი მივიყვანე საბავშვო ბაღში, ვეუბნები, — პაპა, ლექსი იცი-მეთქი? — ვიციო... აბა, მითხარი, პაპა-მეთქი... მითხრა „უზრდელური" ლექსი. გამოვარდა ჩემი ცოლი, — არ თქვა, შვილოო, იტყვიან, ცუდი ბიჭი არიო... მე კიდე: გაუშვი, თქვას, ბავშვია და უხდება-მეთქი... — თუ ესეაო, ჩემმა ცოლმა, — ნახე, მასწავლებელმა რა თქვაო, — ზედ ეტყობა, ვისი შვილიშვილიც არისო... ეტყობა, გენებში აქვსო... კაცო, თუ სადმე ცუდი ითქვა, მე მაბრალებენ — მაბრალებენ და დამაბრალონ!

— **ეს მითხარით, „თქვენი მომიტინგეები" აფასებენ თქვენს მსახიობობას, თუ საქმე პოლიტიკაზე როცა მიდგება, მათთვის უკვე ყველაფერი სულერთია...**

— მაგათ ვუყვარვარ თუ ვუყვარვარ და ყველაფერსაც მიფასებენ... მეც ვესიყვარულები. თქვენ გგონიათ რომ პოლიცია რაღაცა სასწაულია და პოლიციელები მაინცდამაინც უნიჭოები უნდა ვიყოთ? პოლიციელიც ქალის და კაცის შვილია, ისევე, როგორც თქვენ...

— **ისე, თანამდებობა რომ არ გექნებათ (შორს თქვენგან!) შეგიძლიათ, მსახიობად იმუშაოთ, ალბათ ტელეარხები სიამოვნებით მიგიწვევდნენ...**

— აბა რა! ჩემზე ჭიდაობაა... სუყველას მოვწონვარ, მეც ყველა მომწონს, ჩემი თავი ენაცვალოთ! მაგაზე მერე ვიფიქრებ და არხსაც მერე შევარჩევ...

— **თეატრში თუ იმუშავებდით?**

— კი, კი... მუსკომედიაში.

— **უფრო სიამოვნებით?**

— ცირკში გამოვიდოდი, ჩემი საქართველოს ბავშვებს გავახარებდი...

— **ისე თქვენი უფროსის, კახა თარგამაძის წასვლის შემდეგ, იშვიათად ჩნდებით ეკრანზე, „წუთისოფლის" აიღეთ?**

— კახა თარგამაძე რა შუაშია, იმას ენაცვალოს ჩემი თავი, უსაყვარლესი პიროვნებაა, იმიტომ აღარ ვჩანვარ, რომ ეგენი უკვე მოვარჯულე, არა, კი არ მოვარჯულე, თავად მიხვდნენ, რომ სულ არ შეიძლება ერთმანეთთან ქიშპობა. ჩამოყალიბდა ხალხი! ჭკუა დაუჯდათ... ტყუილად ტუფლის ქუსლის გაცვეთა აღარ უნდათ...

— **ვისი იდეა იყო, რომ „უცნობის" „მატარებელში" გადაელეთ?**

— გეტყვით... ჩემი თავი ენაცვალოს საქართველოს — იმ კლიპში მატარებელი საქართველოა და იქ საქართველოს შვილები სხედან... მეც მივიღე მონაწილეობა, მე მგონი, ეს მეკუთვნის. დარეკვით, ბასამ დამირეკა, ფოცხიშვილმა.

— **გაოცდით თუ შეიფერეთ?**

— რა მქონდა გასაოცებელი?! — ბასამ მითხრა, — ესეთი როლია და შეასრულებ თუ არაო, მე ვუთხარი — როგორ ვერ შევასრულებ, ეგ კი არა, ბიჭი „გავაკეთე" და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ბოქსში და მაგას ვერ გავაკეთებ-მეთქი... კი არ ვთამაშობ, რაც ვარ, ის ვარ — ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა, პატარა.

— **რამდენ ხანს გიღებდათ ოპერატორი?**

— ჩემზე დუბლი არ კეთდება. ბასამაც მითხრა, — შენ გენაცვალე, დუბლი არ გჭირდებაო... ერთხელ გადამიღეს.

— **იქ თქვენი ბიჭებიც მონაწილეობენ. მოეწონათ გადაღების პროცესი თქვენს თანამშრომლებს? რა ნიშნით შეარჩიეთ ისინი?**

— მაგათ რა შერჩევა უნდათ? ბასამ დამირეკა 8 კაცი მჭირდებაო და ზუსტად ამდენი წავიყვანე. არავინაც არ შემირჩევია. ყველა მოსაწონები მყავს, მაგრები და ლამაზები.

— **თვითონ მოგწონთ თქვენი ნამუშევარი?**

— მომწონს. ჩემი შემოქმედება, საერთოდ, ყველაფერი მომწონს. მეუბნებიან, რა გინდოდა პოლიციაში, მსახიობი ყოფილიყავიო! მარა პოლიციაშიც უნდა იყოს ლამაზი და ნიჭიერი ხალხი!

— **თვითონ თუ უყურებთ სერიალებს და კლიპებს?**

— უცხოურს არა! — რატო იცით? იკარგება იქ ქართული ჯილაგის თავისებურება, ბიძაშვილი ბიძაშვილმა არ იცის და მამიდაშვილი — მამიდაშვილმა... ჩვენსას კიდე, — ვუყურებ... ვუყურებ კი არა, ამაღამ (ჩვენი შეხვედრა პარასკევს შედგა. — ე.ს.) ცერცვაძეების სტუმარი ვიქნები სერიალში „ძილის წინ". „დეიდა ქეთო" — ქალბატონი მედეა ჩახავა დამირეკავს და... მომიწევს თამაში. ნახეთ, როგორი ბიჭი ვიქნები...

— **მერე ამის დრო გაქვთ?**

იმისთანა კაცის დედა ვატირე, რამის გაკეთება უნდოდეს და ვერ გააკეთოს!

*ესაუბრა ეთერ ერაძე*





შ.პ.ს. „ფავორიტი"
გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის პოლიგრაფიულ მომსახურებას დაბალ ფასებში

ქ. თბილისი, რუსთაველის ხიხი 20.
☎ 98 75 68; 899 58 96 91; 893 31 22 22

# მთას შეხიზნული სული

**გოდერძი ჩოხელი:** — დედაჩემი — ლელა წიკლაური და ძია იაშა და-ძმის შვილები იყვნენ. წიკლაურებად იწერებოდნენ, თორემ ისე ბუბუნაურები ყოფილან. სისხლი ჰმართებდათ თურმე ვიღაცის და მოულოდნელი სიკვდილი რომ აეცილებინათ თავიდან, წიკლაურებს შეჰფარებიან, მათი გვარი მიუღიათ. ხშირად იყვნენ ერთად ძია იაშა და დედაჩემი ბუბუნაურთა დიდ სახლში, რომელიც ბურსაჭირის ფერდობზე დგას. ახლა იმ სახლის ერთი პატარა კუთხელა დარჩა და ალბათ მთელი სახლის ანგელოზები იქ იყრიან თავს. მჯერა, რომ ვისაც ბურსაჭირის ფერდობზე ფეხშიშველს გაუვლია, უკვალოდ არ ჩაივლის. ეს თითქოს, ღმერთის ფერდობია. ძია იაშა ობოლი იყო, მაინცდამაინც არც ფეხსაცმელი ექნებოდა, მოუწევდა ფეხშიშველი სიარული. ეგეც არ იყოს, ეს ფერდობი ისეთი მოქარგულია, რომც გქონდეს ფეხსაცმელი, მაინც ფეხშველი ირბენ... ამ ფერდობზე ვიწრო, ვიწრო შესასვლელია გუდამაყრის მხრიდან. მერე იშლება ფერდობი, იქიდან გადადის ხევში, ხევსურეთში და ჭიუხებით მთავრდება. ვიწრო შემოსასვლელიდან, ჩოხის მხრიდან, როგორც გველი, ისე შემოიკლაკნება ხოლმე ნისლი. ნელ-ნელა მოდის მიხვეულ-მოხვეულში, გველეშაპივით. დედაჩემი მიყვებოდა: იაშას მაგრად ეშინოდა მაგ ნისლისო. არ ვიცი, რა ეგონა. დაიძახებდა თურმე, — მოდის, მოდისო და დიდ, თხილით მოწნულ სახორბლე გოდორში იმალებოდა.

ეტყობა, ბუბუნაურებს ჰქონდათ განსაკუთრებული ნიჭი — ხელოვნებისაკენ მიდრეკილება. მე ბიძები მყოლია, დედაჩემის ძმები. ერთი ძია იაშას ტოლი იყო. ყველაზე ნიჭიერი ჩვენში ის იყოო, — იხსენებდა ძია იაშა. ირაკლი რქმევია. 14 წლისა დაიღუპა. იაშა ძიას დედა — ბებო ირინე მიყვებოდა: კომუნისტებმა სადღაც გაგზავნეს. გაცივდა, ტვინის ანთება დაემართაო. ძია იაშას იმის დახატული ცხენი ჰქონდა შენახული. პატარები რომ ვიყავით, მაშინ დამიხატაო. მაჩვენებდა და მეუბნებოდა. დავხედავ ხოლმე და სხვა სამყარო მეშლებაო...

დედაჩემი და ბებო ირინე ბევრი რამით ჰგავდნენ ერთმანეთს. თითქოს ბუნებას ელაპარაკებოდნენ და ბუნებაც პასუხობდა. ბებო ირინეს ძმა ჰყოლია — გაგილა. მეჯვარედ იყო და შემთხვევით გასროლილ ტყვიას მოუკლავს. ერთხელ მომიყვა ბებო ირინე: უკვე ქვრივი ვიყავი, ქმრის ნაჩუქარი ბეჭედი დავკარგე. შევთხოვე გაგილას სულს, — რა იქნება, ის ბეჭედი მაპოვნინოო. უცებ გავიგონე წკრიალი. გავიხედე გარეთ, ვხედავ ქათამი ააგდებს რაღაცას ნისკარტით, ჩამოვარდება და გაიწკრიალებსო. ვნახე და ჩემი ბეჭედი იყო... გაგილას სულმა მაპოვნინაო.

**ირაკლი ტრიპოლსკი (შვილი):** — თუ დრო ჰქონდა, სულ იმას ამბობდა, ფასანაურში წავიდეთო. მეც იქ გავიზარდე და სხვათა შორის, მეც იგივე გრძნობა მაქვს ფასანაურის მიმართ. იქ ტრიპოლსკების დიდი სახლი დგას, ალბათ ახლა 120 წლისაც არის... საკმაოდ შეძლებულები ყოფილან ის წინაპრები, პოლონეთიდან რომ ჩამოვიდნენ და ამხელა სახლი ააშენეს. შემდეგ გააკულაკეს ტრიპოლსკები, პირველი სართული ჩამოართვეს და შიგ სკოლა გახსნეს. ე.ი. მამაჩემი მეორე სართულზე ცხოვრობდა და პირველზე დადიოდა სკოლაში. ბევრი იწვალა მამამ იმ სახლის დასაბრუნებლად. როგორც იქნა, 1965-ში დაუბრუნეს, თუმცა შრომის გაკვეთილებს მერეც იქ ატარებდნენ...

მამა სულ მიზეზს ეძებდა ფასანაურში ჩასასვლელად, ისე უყვარდა იქაურობა. 3 წლისა მამა ყოფილა, 1 წლისა — მამიდა, როცა პაპაჩემი მოუკლავთ 1924 წელს. ობლად იზრდებოდა. ამხელა სახლისა და მამულების პატრონები ულარიბესთა სიაში იყვნენ. კომისია ჩამოსულა სკოლაში. გამოჰყავდათ ულარიბესი ბავშვები და ეკითხებოდნენ, როგორ ცხოვრობთო... იაშას დაუწყია მოყოლა — ასე გვიჭირს, ასე ვცხოვრობთო... თან ტიროდა თურმე. მითხრა, — მაშინ გავითიშე, გონს რომ მოვედი, ირგვლივ სუყველა ტიროდაო. ეტყობა, იქიდანვე მქონდა აუდიტორიაზე ზემოქმედების უნარი, არტისტობის ნიჭიო.

პირველად რომ თბილისში ჩამოიყვანეს, სამი დღე უვლიათ მოჩარდახებული ურმით. ჩამოსულან და ცირკთან გაჩერებულან. ბიძამისი საქმეზე წასულა, ეს კი დაუტოვია, — საღამოს მოვალო. მამას 1 მანეთი ჰქონია. ცირკის ბილეთი კი 1, 2 და 3 მანეთი ღირებულა. დამდგარა რიგში. მისი რიგი რომ მოსულა, ზუსტად მაშინ გათავებულა მანეთიანი ბილეთები. მოლარეს შეხვეწნია, — იქნებ ერთი ბილეთი მომცეო. არა, მარტო სამმანეთიანი ბილეთები დაგვრჩაო. ხალხიც შეწუხებულა: ჩქარა, გაიწიეთო. მამას ტირილი დაუწყია — ამდენი ხანი რიგში იდგა და ბილეთს ვერ იღებდა. მის უკან მდგომ კაცს ამოუღია 2 მანეთი და მიუცია, — აიღე, იყიდე ბილეთიო. ცირკი რომ ვნახე, გავგიჟდი, ისე მომინდა მსახიობობაო. მერე მთელი ცხოვრება იმ კაცს ეძებდა, ფული რომ დაუმატა. ერთხელ ტელევიზიით გამოვიდა. მაშინ ხომ არ იყო ამდენი არხი. ყველა პირველ არხს უყურებდა. იქაც მოჰყვა ეს ამბავი იმ იმედით, რომ იქნებ იმ კაცს ენახა და გამოხმაურებოდა. სულ უნდოდა, რომ მადლობა გადაეხადა მისთვის... არ გამოჩნდა...



**გოდერძი ჩოხელი:** — ძია იაშა მოარული სიკეთე იყო. ერთ ამბავს გიამბობთ: თურმე ფასანაურიდან თბილისისაკენ მოდიოდა იაშას მამა ველოსიპედით. გაღმა, ტყეში, ვიღაც თოფიანი კაცი ყოფილა. სულ არაფრის გულისათვის გამოუშვერია თოფი — მოვარტყამ თუ არ მოვარტყამო და ასე უბრალოდ მოუკლავს... 19 წლისა დაქვრივდა ბებო ირინე... ძია იაშა იმდენად კეთილი იყო, რომ მამამისის მკვლელის შვილს, რომელიც ციხეში მოხვდა და ჭკუაზეც თითქოს ვერ იყო, პატრონობდა. ციხიდან გამოიყვანა. მიჰყავდა ხოლმე შინ, აჭმევდა, ასმევდა, წამლებს ყიდულობდა. აი, ასე უზომოდ კეთილი იყო. ეს თვისება მის შვილებსაც გამოჰყვათ... ირაკლი სულ დადის, თავისთვის არაფერს გამოიყენებს, ოღონდ სხვას დაეხმაროს, მე მიხარია, რომ ასე გაგრძელდა ძია იაშას სიკეთე — ირაკლიში და სოსოში გადავიდა და ისევ დადის ფეხადგმული სიკეთე ამ ქვეყანაზე...

**ირაკლი ტრიპოლსკი:** — მამა ბევრ მადლს აკეთებდა, ბევრს ეხმარებოდა, მაგრამ სანაცვლოდ არაფერს იღებდა... ზოგჯერ პურის ფულიც არ გვქონდა. მახსოვს, ერთხელ დედას ვუთხარი: მიდი, მეზობელს 3 მანეთი ესესხე, პური ვიყიდოთ-მეთქი. გუშინ გამოვართვი, იქნებ დღეს გავძლოთ და ხვალ მამა ხელფასს მოიტანსო. ასე რომ, მე ვიცი, რა არის გაჭირვება. მამას სხვა პრივილეგია ჰქონდა — ხალხს უყვარდა. დღესაც კი, ჩემს გვარს რომ გაიგებენ, იაშასი ხარო? — მეკითხებიან. კაცი 14 წელია გარდაიცვალა და ასე ახსოვთ...

ქუჩაში რომ მივდიოდით, მრცხვენოდა, ისე იბრუნებდა ხალხი თავს და გვიყურებდა, ხელის მოკიდება უნდოდათ. მით უმეტეს, ტროლეიბუსში...

ახლა ფასანაურში როგორ უყვარდათ...

მამაჩემის ერთი დაყვირება არ მახსოვს... ზოგჯერ ნაწყენი ისეთი თვალებით შემოგვხედავდა, ჯობდა, ეყვირა. გაბრაზებულიც იშვიათად მახსოვს, თუმცა განრისხებულიც მინახავს. ეს მაშინ, როცა არაგვზე სათევზაოდ წასულები ვინმეს დინამიტით ან ბადით ხელში ვნახავდით. თვითონ სულ ანკესით თევზაობდა...

**გოდერძი ჩოხელი:** — ერთხელ, ძია იაშა ბურსაჭირში სათევზაოდ ამოვიდა. მე პატარა ვიყავი. იმ დღეს საშინელი დელგმა დაიწყო. თითქოს ის ნისლიც ძია იაშას შესაშინებლად დაიძრა. ჩამოიქცა ქვეყანა. რა თევზაობა, რის თევზაობა. ბანიანი სახლი გვქონდა და სახლშიც კი წვიმდა. ისე ადიდდა შავი არაგვი, სულ დაანგრია ყველაფერი. ძია იაშას ჩოხში ჰყავდა მანქანა დატოვებული. იმის იქით სამანქანო გზა აღარ მოდიოდა. ბურსაჭირამდე 7 კმ ფეხით ევლო.

მეორე დღეს ჩამოვაცილეთ ჩოხამდე მე და დედაჩემმა. იქ მეორე მდინარე უერთდება შავ არაგვს. ისიც ადიდებულიყო, კალაპოტი შეეცვალა და გადავარდნილა სხვა მხარეს. იმდენი თევზი დარჩენილა... პირველად ვნახე მაშინ იმხელა ოქროსწინწკლებიანი კალმახები. ხალხმა ხომ იცოდა, რომ ძია იაშა იყო ამოსული სათევზაოდ. გამოსულიყვნენ, კრეფდნენ თევზს და ძია იაშას მანქანასთან იდგა კალათების, გოდრების ჯარი სულ ამ კალმახებით სავსე. ძია იაშა უყურებდა გაბადრული სახით ხალხს... ამხელა სიყვარულს ხედავდა.

არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო. რომ ჩავიდოდა ფასანაურში, ყველა მის ეზოში გამორბოდა. მისი მოყოლილი ამბავი მთელი სანახაობა იყო. თეატრშიც ასე ელოდებოდნენ თურმე. იაშა მოვა, ახალ ამბავს მოიტანსო...



*წინა პლანზე: მსახიობები — თინა ლაღიძე, იაკობ ტრიპოლსკი, თენგიზ არჩვაძე, ნათელა მიქელაძე და მედეა ჯაფარიძე*

**ირაკლი ტრიპოლსკი:** — მამა მთელი ღამე ამერიკის ხმას უსმენდა და მერე თეატრში მიჰქონდა ახალი ამბები. ზეპირად იმახსოვრებდა ყველაფერს. ძალიან უყვარდათ მსახიობებს... ერთხელ ასეთი რამ მოხდა: სერგო ზაქარიაძეს ავიწროებდნენ. თეატრიდან გამოუშვეს კიდეც. ერთადერთი კაცი იყო იაშა, ვინც დადიოდა მასთან. ყველა ერიდებოდა, ეშინოდათ. მერე ისეც მოხდა, რომ ერთ-ერთ პიესაში სერგო ზაქარიაძის გმირს მამაჩემის გმირისთვის უნდა ესროლა და მოეკლა. სპექტაკლზე გამოჰქონდათ თეატრის თოფი, სერგო „დატენიდა“, დაუმიზნებდა — „მოკვდი, ბესიკო“ და ესროდა... მამა იხსენებდა: ფეხსაცმელები ახლაც მახსოვს, ვიღაც რომ შემოვიდა კულისებში, იმისიო. მან ნამდვილი თოფი შემოიტანა თურმე, და შეუმჩნევლად შეცვალა თეატრის თოფი. და აი, სპექტაკლზე სერგო ზაქარიაძემ ნამდვილი ტყვიით დატენილი თოფი ესროლა მამაჩემს. კიდევ კარგი, დაუმიზნებლად ესროლა, ტყვია მოხვდა პროჟექტორს და მამაჩემი გადარჩა. იმ დროს იაკობ ტრიპოლსკი ცნობილი არ იყო... სერგო ზაქარიაძის მოშორება უნდოდათ. მერე სერგო ზაქარიაძემ ჩემი ძმა მონათლა.

მამაჩემი საოცარი მეხსიერების პატრონი იყო. სკოლა ოქროს მედალზე ჰქონდა დამთავრებული. საბუთები უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე შეიტანა. ინგლისურის კარგი სპეციალისტიც დადგა. მისი მეგობარი იყო მოსე ქარჩავა. მან და მოსე ქარჩავამ თარგმნეს ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“. გამოცემულიცაა ეს წიგნი. კიდევ „კეისარი და კლეოპატრა“ აქვს ნათარგმნი.

ფენომენალური ნიჭიც ჰქონდა: ნებისმიერ რამეს გადახედავდა: პიესა იყო თუ პოემა, ზეპირად იცოდა. უზნაძემ ექსპერიმენტიც ჩაატარა მამაზე. წაუკითხეს „გამზრდელის“ პირველი კარი მთლიანად და წარმოიდგინეთ, მაშინვე დაიმახსოვრა.

**გოდერძი ჩოხელი:** — მე რომ წერა დავიწყე, ძალიან უხაროდა. ეს თითქოს მეც გადმომედო და სულ ვფიქრობდი: ამას ძია იაშა რომ წაიკითხავს, როგორ გაეხარდება-მეთქი. წერის დროს აღტკინებული ვიყავი. თვითონ ჩემს მოთხრობებს მხატვრულად კითხულობდა რადიოში. მერე მოინდომა ჩემი მოთხრობების მიხედვით პიესის გაკეთება... ვერ დაასრულა...

არაჩვეულებრივად შეეძლო ფილმის გახმოვანებაზე მუშაობა. თითქმის ყველა გახმოვანებაზე იწვევდნენ კინოსტუდიაში. ჩვენ გვაქვს ასეთი სამუშაო შესასრულებელი: ტექსტის ჩაწყობა, ეკრანზე მსახიობი რომ ლაპარაკობს, სულ სხვა სიტყვებს ამბობს. გახმოვანებისას ისეთი სიტყვა უნდა მოძებნო, რომ მსახიობის ტუჩების მოძრაობას დაემთხვეს. ამას უნაკლოდ აკეთებდა ძია იაშა. რამდენი ფილმი აქვს ასე გახმოვანებული... ირაკლი კვირიკაძის „ქვევრის“ სიტყვები სულ მისია, ოთარ იოსელიანის „პასტორალისაც“ „გიორგობისთვისაც“... სცენარის თანაავტორადაც კი დაწერა ოთარ იოსელიანმა... მე „ბაკურხეველი ხევსური“ რომ გადავიღე, მინდოდა, უხმო ფილმი ყოფილიყო. ძია იაშას დაჟინებულ თხოვნას — უცილებლად ტექსტი უნდა გაუკეთოო, დავთანხმდი. დაჯდა და მთელი ტექსტი დამიწერა „შაო ნინათი“ დაწყებული... ახლა ვფიქრობ, ტექსტის გარეშე რა უნდა ყოფილიყო „ბაკურხეველი ხევსური“...

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მე და ირაკლი ტრიპოლსკისაც რამდენიმე სცენარი ერთად გვაქვს დაწერილი... ისეა გაკეთებული ის ტექსტები, დღესაც ვერაფერს შევცვლი. „სამოთხის გვრიტებიც“ ირაკლისთან ერთად გავაკეთე. სცენარის ავტორებად გოდერძი ჩოხელი და ირაკლი ტრიპოლსკი დავაწერე. არ მოისურვა ირაკლიმ და თავისი სახელი ამომაღებინა.

ძია იაშა ჩემი საყრდენი იყო... ძალიან მაკლია და მენატრება...

**ირაკლი ტრიპოლსკი:** — ძალიან ახლობელი და სიყვარულით სავსე დამოკიდებულება გვქონდა მე და მამას. იშვიათად ვიყავი შინ მარტო, სულ მეგობრები მყავდნენ. შემოვიდოდა: აბა, ბიჭებო, დღეს რა ვჭამოთო... განსაკუთრებით ზაფხულში, დედა რომ წასული იყო. ხინკალს გავაკეთებდით. 28-32-ნაოჭიანს ახვევდა მამა. ბევრი ჭირი მაქვს ნანახი, მაგრამ მაინც ბედნიერი კაცი ვარ... ისეთი ხალხი მოდიოდა ჩვენთან: ვერიკო ანჯაფარიძე კარტს მეთამაშებოდა... არ არსებობდა, 50 კაპიკი მომეგო მისთვის და არ მოეცა. ერთხელ არ ვართმევდი და მითხრა: არა, შვილო, თამაში თამაშიაო... სესილია თაყაიშვილი, ეროსი მანჯგალაძე, ალექსანდრე გომელაური, მერი დავითაშვილი მოდიოდნენ... ჩვენთან ცხოვრება ღამის 11 საათის მერე იწყებოდა... უყვარდათ მამაჩემთან მოსვლა...

**გოდერძი ჩოხელი:** — ძია იაშასთან სტუმრობა ზეიმი იყო. ბებო ირინეს ხინკალი განთქმული იყო ფასანაურში. ძია იაშამაც მისგან ისწავლა და მთელი რიტუალი იყო, როცა ხინკალს აკეთებდა.

**ირაკლი ტრიპოლსკი:** — ბედის ირონიაა, რომ რა ავადმყოფობაც დაემართა, მეხსიერების დაკარგვასთან იყო დაკავშირებული. ამოვარდნა ჰქონდა დღეში, შეიძლება ნახევარი საათი... გელაპარაკებოდა და ხედავდი, რომ სხვა კაცი იყო. ვერ იცნობდი. გაივლიდა ხუთი წუთი და ხელს თავზე იტაცებდა: აუ, ეს რა მომივიდაო. ძალიან განიცდიდა. თემურ ბაბლუანმა რამდენჯერმე წაიყვანა „უძინართა მზის“ სინჯებზე... ჯერ გაეხარდა — კიდევ გამიხსენესო... მერე დადარდიანდა. მოვიდოდნენ, წაიყვანდნენ პავილიონში მანქანით, გადაუღებდნენ, დააბრუნებდნენ უკან. მეშვიდედ რომ მოვიდნენ, შინ ვიყავი, მკითხა მამამ, — იცნობ ბაბლუანსო? როგორ არა, ჩემი მეგობარია-მეთქი. უთხარი, ნუ მაწვალებსო...

**გოდერძი ჩოხელი:** — ძია იაშას სიკვდილის შემდეგ თბილისში ობლად დავრჩი. ძალიან მომენატრა და ეგეთი სიზმარი ვნახე: ტელეფონზე ველაპარაკებოდი ძია იაშას, თანაც ვხედავდი... ბედნიერმა გავიღვიძე. სამყაროს მეორე მხრიდანაც კი მამშვიდებს და ბედნიერებას მჩუქნის...

***ლელა ჯიყაშვილი***

„აქვა პარკი“ — თბილისის ზღვა
გიწვევთ სამუშაოდ
30 წლამდე ქალბატონებს და მამაკაცებს შემდეგ სპეციალობებზე:
1. ჩოგბურთის მწვრთნელი;
2. აერობიკის მწვრთნელი;
3. „ტრენაჟორების“ კონსულტანტი;
4. აუზის მაშველი;
5. ექიმი-დერმატოლოგი;
6. ზოგადი პროფილის ექთანი;
7. დამლაგებელი.
დაგვიკავშირდით ყოველდღე 12-14 საათამდე
საკონტაქტო ტელეფონი: 262-262
სასურველია უცხო ენის ცოდნა

ალი ფ.-შვილი 39 წლისაა, იგი შვიდი თვის წინ წინ დაქვრივდა და სამი წლის ელენიკო დარჩა. მისი სიცოცხლის აზრი და ყველაზე დიდი სიხარული... ოჯახის „უფროსი“ ლევანი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, სახლის სახურავს ცვლიდნენ სოფელში და გადმოვარდა... რომ იტყვიან, მიწამდე სული არ დაჰყოლია!..

ფრიად ბანალური ტრაგიკული ამბავია და მასში არც საგაზეთო იქნებოდა რამე, რომ არა ამ ამბის მთავარი გმირების ასაკი. შეამჩნიეთ ალბათ, ზედა აბზაცში სიტყვა „უფროსი“ ბრჭყალებში ჩავსვი... 30 წლის ლევანი მეუღლეზე ცხრა წლით იყო უმცროსი და სანამ დალის და ახლობლებს თავის სიყვარულში დაარწმუნებდა, ხუთი გრძელი წელიწადი გავიდა...

— ლევანი მაშინ გავიცანი, ფიზკულტურის მასწავლებლად რომ დანიშნეს იმ სკოლაში, სადაც მე ინგლისურ ენას ვასწავლი. 22 წლის იყო, პირდაპირ ინსტიტუტიდან მოვიდა, მე კი 31 შემისრულდა და აღარც კი მქონდა გათხოვების იმედი. უფრო ახალგაზრდასაც კი არ მყოლია თაყვანისმცემლები და მით უმეტეს, არც არავის ვყვარებივარ — ჩუმი და შეუმჩნეველი ვიყავი ყოველთვის, არც გარეგნობა მქონია ეფექტური, ერთი დანახვით რომ გაეგიჟებინა ვინმეს ჩემთვის თავი... გაცნობიდან ხუთ თვეში მითხრა ლევანმა, რომ ვუყვარდი და არც მიმიცია თავისთვის ამის დაჯერების უფლება — თანამშრომლის დაბადების დღიდან მოვდიოდით და ნასვამ ბიჭს, მეგონა, ღვინო ათამამებდა და გონებას უმღვრევდა. დავშორდი თუ არა, აღარც გამხსენებია ეს უცნაური „სიყვარულის ახსნა“...

**— როგორ გაგიმხილათ გრძნობა?**

— დედას გეფიცები, მიყვარხარ და ერთ სიტყვასაც არ გატყუებო (დალი სევდიანად იღიმება, ცრემლებს „ერევა“)... იმ ამბის მერე რამდენიმე დღე გამირბოდა თურმე და ესეც თავად მითხრა, თორემ მე არც გამხსენებია საქმეში ჩაფლულს...

„აღსარებიდან“ ერთი თვე იქნებოდა გასული, შინ მესტუმრა. ყავა შევთავაზე, კარგა ხანს იჯდა უხმოდ. მერე უცებ მითხრა,— ახალ წლამდე ჩემი ცოლი უნდა გახდე, მშობლებს დავპირდი, რომ წელს აუცილებლად დავქორწინდებიო...

ნოემბერი იყო უკვე...

შევხედე. მივხვდი, არ მატყუებდა და გავლიზიანდი: — რა სისულელე გიფიქრია, დედად შეგეფერები, 9 წლით რომ ვარ უფროსი, ხომ არ დაგავიწყდა. შენს მშობლებს შენთვის 17 წლის გოგო უნდათ ცოლად-მეთქი! ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მართლა ასე იყო, — და ეს მართლაც ბუნებრივი იქნებოდა.

„არავის არ ვეკითხები, ეს ჩემი ცხოვრებაა და როგორც მინდა, ისე ვიქნები ბედნიერი“. მითხრა და ამ დროს ბებიაჩემი შემოვიდა, 84 წლის კატინა, ხილი შემოიტანა და ლევანს მიესალმა. ლევანი უცებ ბებოს მიუბრუნდა: „კატო ბებო, თქვენ გული არ მოგატყუებთ, მიყვარს დალი და მომეხმარეთ, რომ დამიჯეროს!..“

შეხედა ბებიაჩემმა, ცხადი იყო, სულ სხვა რამის თქმას აპირებდა გაკვირვებული, მაგრამ



ლევანის გულწრფელობამ შეაჩერა, სანამ გავიდოდა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა, — კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ სიყვარულში მესამე ყოველთვის ზედმეტია, თავად უნდა მორიგდეთო!..

გავაგდე ლევანი. ლამის მთელი წელიწადი ხმას არ ვცემდი, არადა ჩემს კაბინეტში ხან ყვავილები მხვდებოდა დილით, ხან საჩუქრები, რომელთაც უკან ვუბრუნებდი!

ყველაფერს კი ისიც დაემატა, რომ ახალი ინგლისური ენის მასწავლებელი მივიღეთ, მელანო, ლევანის ტოლი და მართლაც შესაფერისი. კოლექტივში მაშინვე დაიწყეს ლაპარაკი: — დავაწყვილოთ მელანო და ლევანი, უკეთესს რას მოვიფიქრებთო!.. გაუწყალეს გული ორთავეს და მელანოს მართლა შეუყვარდა ბიჭი, თავად გამომიტყდა: — რანაირი ცივია ლევანი, სულ არ იხედება ჩემკენ, არადა მე არაფერი მექნებოდა მისი სიყვარულის საწინააღმდეგოო!..

ერთხელ სამასწავლებლოში ვიყავით ყველანი. შეუჩნდნენ ისევ ლევანს — რას გვალოდინებ, ქორწილი გვენატრება, მელანოზე უკეთეს გოგოს სად ნახავო... ადგა ლევანი და — მელანო კარგი გოგოა, მაგრამ დიდი ხანია სხვა მიყვარს და ჩემი ბედნიერება თუ გინდათ, ამასთან მიშუამდგომლეთო.

მოვიდა ჩემთან და ცალ მუხლზე დაეცა — ნუ მაწვალებ, შენ გარდა არავინ მინდაო...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მოულოდნელობისგან გაშრა ყველა. ტირილი ამივარდა, ავდექი და გამოვვარდი გარეთ, გამომეკიდა ლევანი და როცა დამეწია, კატეგორიულად ვუთხარი: — კარგი, გამოგყვები, ოღონდ ერთი პირობით, შენი მშობლები მოვიდნენ და მითხრან, რომ ჩვენი ქორწინების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ-მეთქი!..

...რა თქმა უნდა, მშობლებს ზუსტად ისეთი რეაქცია ჰქონიათ, როგორიც მე წარმოვიდგინე. მოგვიანებით გავიგე, რომ კარგადაც ვულანძღივარ ყველას — ბავშვს ჭკუა აუბნიაო!..

კიდევ ორი წელი გავიდა, მე იმ სკოლიდან წამოვედი, სამსახური შევიცვალე და ლევანის სატელეფონო ზარსაც არ ვპასუხობდი.

**— დაბოლოს, მაინც დაქორწინდით?!**

— ლევანს მშობლებისთვის გაუცხადებია — თუ ხელს არ შემიწყობთ, სხვას ცოლად არ შევირთავ, ბერად შევდგებიო — და სერიოზულად ემზადებოდა მართლაც ამ საქმისთვის. ჰოდა, რადგან ერთადერთი შვილი იყო იმ ოჯახის და როგორც მოგვიანებით გავიგე, აყვანილი, დათმო მისმა დედ-მამამ და მართლა მოვიდნენ ჩემი ხელის სათხოვნელად. ისევ ვუარობდი, მაგრამ როცა ლევანის დედამ ხელები დამიკოცნა და შემეხვეწა — ნუ დაგვღუპავო, — ვეღარ გავბედე უარი...

...ვიცი, ჩვენი ქორწინება ბევრისთვის იყო ჭორაობის საბაბი. მე 35-ის ვიყავი, ლევანს ქორწილის შემდეგ შეუსრულდა ოცდაექვსი...

არასრული სამი წელი ვიყავით ერთად. თავიდან ძალიან მიჭირდა ქმარი დამენახა მასში. კარგა ხანს თავს დამნაშავედ ვგრძნობდი...

მერე ელენიკო დაიბადა და ბავშვმა უფრო შეგვაერთა... ხელიც არა გვქონია მოწერილი — რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, ადრე თუ გვიან თავის ტოლს და შესაფერისს მოძებნიდა და არავითარი სურვილი არ მქონდა, გაყრაზე სასამართლოში გვერბინა. სრული თავისუფლება მივეცი თავიდანვე და იცოდა ეს... ღმერთო, რა ჭკვიანი იყო... მეუბნებოდა — რატომ არ გესმის, რომ თავისუფლება მეტი პასუხისმგებლობააო...

როცა დავრწმუნდი, ლევანის სიყვარული დიდი, ნათელი და უხინჯო იყო და ბედნიერების უფლებაც მივეცი თავს, სწორედ მაშინ მოხდა ის უბედურება...

დღემდე გაოგნებული ვარ — ნუთუ იმ ღმერთმა წამართვა ლევანი, რომელმაც მაჩუქა?!..

...ამის შემდეგ დალის აღარ უცდია ცრემლების შეკავება და ვერც ვერაფრით ვანუგეშე...

მოვდიოდი და სულს მიღრღნიდა ერთი და იგივე ფრაზა: „რატომ არ ვიჯერებთ ადამიანები, რომ სიყვარული მარადიულია, რომ წლების დათვლა ამ მარადიულობას ვერაფერს დააკლებს...“

***ინგა ჯაყელი***

# სილამაზე ცქერით წოდი გაცვდება

**სამწუხაროა, რომ ბევრ ლამაზ მანდილოსანზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. თუმცა, როცა მშვენიერებას ჭვრეტ, მრავალსიტყვაობა ზედმეტია...**

## მარინე ანთელავა (1888-1969)



მარინე ანთელავა აზნაურ სალაყაიას ქალი გახლდათ. საარაკო დიასახლისი ყოფილა, მაგრამ მისი ნახელავის დაგემოვნებაზე მეტად ქალბატონი მარინეს ჭვრეტა უფრო სწყუროდათ. აშკარად თუ მალულად უმზერდნენ, შესტრფოდნენ და აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მისი მეუღლე — ილიკო ანთელავა დიდი პატრიოტი და ეროვნული სულის მქონე კაცი იყო, მუდამ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დადიოდა. როგორც მრავალი ინტელიგენტი ადამიანი, ისიც უდანაშაულოდ დახვრიტეს 1937 წლის რეპრესიების დროს. მათი შვილიშვილია ისტორიკოსი, პროფესორი ილია ანთელავა. ქალბატონმა მარინემ ღრმა სიბერემდე იცოცხლა და კვლავ ხიბლავდა მნახველს გარეგნობითა და სათნოებით.

## სალომე ანდრონიკაშვილი (1888-1980)

შეუდარებელი სილამაზით, გემოვნებით, დახვეწილობით, სიფაქიზით, განათლებით სალომე ანდრონიკაშვილი მე-20 საუკუნის საჩინო მანდილოსანთა შორის მოიხსენიება. მამამისი ივანე



ანდრონიკაშვილი აგრონომი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. 17 წლის ულამაზესი სალომე სასწავლებლად დედის სამშობლოში — პეტერბურგში გაემგზავრა. მისი მშვენიერებით აღტაცებული პეტერბურგის მაღალი საზოგადოება სალომეს სალონადქცეულ სახლში ხშირად იკრიბებოდა. ამ მეტად გონიერ, ფაქიზი იუმორით დაჯილდოებულ პიროვნებასთან მეგობრობა ბევრს სურდა. „ქალი ლეგენდა“, — ასე დაარქვეს მას. მანდელშტამმა ლექსით „სალომინკა“ უკვდავყო მისი სახელი. „ბიზანტიის დიდება, შვილი ანდრონიკ-კომნენისა“, — თქვეს მასზე.

სალომე ანდრონიკაშვილი ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ უცხოეთში დამკვიდრდა.

გამოჩენილი მხატვრების მიერ შესრულებული სალომეს ათამდე პორტრეტი არსებობს. ერთ-ერთ მათგანი, სერებრიაკოვის მიერ დახატული — დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში.

***მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა***

**P.S. ფოტო მოგვაწოდა ქალბატონმა დამანა მდივნიშვილმა**

# ეგზოტიკური ქვეყნის ქალები



## ცდუნებისაგან შორს

ეგვიპტიდან წამოსული მოსე უდაბნოში მწყურვალ მწყემსებს გადაეყარა — ჭას კლდიდან მოწყვეტილი ლოდი გადაჰფარებოდა. მოსემ გადასწია ქვა და წყურვილი მოიკლეს ადამიანებმაც და პირუტყვმაც. მადლობის ნიშნად ერთ-ერთმა ბედუინმა მოსეს ასული მისცა ცოლად. ქალი წინ გაუძღვა წინასწარმეტყველს უდაბნოდან გასასვლელი გზის საჩვენებლად. უცბად ნიავმა კაბა აუფრიალა და ქალს ფეხები გამოუჩნდა. მაშინ მოსემ თქვა: — აჯობებდა, უკან გამომყოლოდი და ისე გეჩვენებინა გზა. მამაკაცი არ უნდა აცდუნოს ქალის ფეხებმაო... იმ დროიდან მოყოლებული, ბედუინი ერკემალივით წინ მიუძღვის თავის ცოლებს, ისინი კი მორჩილად, ცხვრებივით უკან მიჰყვებიან — რაც ევროპელებს ქალის დამცირებად მიაჩნიათ. თურმე პირიქით ყოფილა — ეს მათ სექსუალურობას უსვამს ხაზს.

ტრადიციულად ბედუინი ქალები კოჭებამდე შავ კაბას იცვამენ და ოქროს მონეტებითა და ძვირფასეულობით შემკულ შავ საბურველში არიან გახვეულნი. უჩანთ მხოლოდ ხელის თითები, ტერფები და თვალები. თუ ქალს ამაზე ნაკლები აცვია — იგი შიშვლად ითვლება...

ქალი თვითონ იქარგავს კაბაზე ორნამენტებს, რომლის ყოველ დეტალს გარკვეული აზრი აქვს: კაბის მიხედვით შეიძლება დაადგინოთ, მისი პატრონის ასაკი, რამდენი შვილი ჰყავს, ჯანმრთელია თუ არა, რა ურთიერთობა აქვს ქმართან, დედამთილთან...

## ორი ყოველთვის სჯობს ერთს

სარწმუნოება ბედუინს ოთხი ცოლის ყოლის ნებას აძლევს. მუსლიმანობის მიღებამდე იმდენი ცოლი ჰყავდათ, რამდენის რჩენასაც შეძლებდნენ. მშობლები შვილებს დაბადებისთანავე დაწინდავდნენ ხოლმე. ქორწინება ხდება უმეტესად ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის — უდაბნოს არისტოკრატთა კეთილშობილი სისხლის შესანარჩუნებლად. ქორწილი ხანდახან 60-70 დღე გრძელდება. ნეფე წინასწარ უშენებს სახლს საცოლეს და სასიმამროს უხვად უხდის გამოსასყიდს — 5-7 აქლემს ან მის შესატყვის ფულს.

თუ ოჯახი დაინგრა, ცოლი მამის სახლში ბრუნდება. მეუღლეებს შერიგება შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ ქალი სხვა კაცს მისთხოვდება და მერე გაეყრება. ღალატისთვის ქმარი ცოლს შინიდან აგდებს მხოლოდ იმ სამოსით, რაც იმ წუთში აცვია და არც შვილებს აძლევს, გარდა ძუძუთა ბავშვისა. მაგრამ თუ დამტკიცდება, რომ ცილი დასწამა, ქმარი დაჯარიმდება, ხოლო ცოლს ბავშვების წაყვანის უფლება ეძლევა და კაცი მთელი სიცოცხლე ვალდებულია, ალიმენტი უხადოს. თუ ცოლმა შვილები თან წაიყვანა — ეს ბედუინისათვის უდიდესი სირცხვილია.

დღეს იშვიათად შეხვდებით მრავალცოლიან ბედუინს — ეს ძალიან ძვირი უჯდებათ, უმეტესად ორი ცოლი ჰყავთ. ერთს 20 წლის ასაკში ირთავენ, მეორეს — 40 წლისები. ქალები ერთმანეთზე არ ეჭვიანობენ, ეს გამორიცხულია — მამაკაცმა ცოლებს შორის ყველაფერი თანაბრად უნდა გაანაწილოს: ფული, ნივთები, სიყვარული. ბედუინი თუ გრძნობს, რომ გული უფრო ახალი ცოლისკენ გაუწევს, საერთოდ აღარ აქვს მისი შერთვის უფლება. დაუკმაყოფილებელმა ცოლმა შეუძლია ბედუინთა სასამართლოში უჩივლოს ქმარს და მთელი ქონება წაართვას. ბედუინს ყოველთვის ახსოვს, რომელ ცოლთან რამდენი ღამე გაატარა, რადგან ეს მორიგეობით ხდება. დღეს ერთთან ჭამს და სძინავს, ხვალ — მეორესთან. ყველა შვილი იქ იყრის თავს, სადაც იმ დღეს მამა სტუმრობს. ბუდუინი სიკვდილამდე მამაკაცად რჩება. ამიტომაც არავის უკვირს, როდესაც ასი წლის ქმარს ახალგაზრდა ცოლი შვილს აჩუქებს. სექსში ტრადიციულნი არიან, ხოლო ხუთი თვის ფეხმძიმობის შემდეგ, ცოლს აღარ ეკარებიან. ქმარი ვერ გაუბედავს ცოლს „უკუღმართი“ სექსის შეთავაზებას. ადრე მეძავებს არ ეკარებოდნენ, ახლა ეს საქმე 200 შეკელი ღირს, მაგრამ ფულის გარდა, იგი სულსაც ართმევს ადამიანს, — სჯერათ ბედუინებს.

ბედუინები ზნედაცემულებს სასტიკად სჯიან. ერთი ოჯახი ტრადიციებს განუდგა, ქალაქში გადავიდა და ნარკოტიკებს მიეძალა. ცოლმა მეძაობა დაიწყო. როდესაც ეს ძმებმა გაუგეს, ოჯახი დედაბუდიანად ამოხოცეს.

## უქალოდ ოჯახი არ არსებობს

ბედუინის ოჯახი იქ არის, სადაც მისი ცოლშვილია. ბავშვებს თავდაპირველად დედა ზრდის, თუ რაღაც არ გამოსდის, ქმარს მიმართავს. უდიდესი დანაშაულისთვის მამას შეუძლია შვილს გამოუტანოს „ცოცხლად სიკვდილის განაჩენი“ ანუ გააგდოს უდაბნოში. თუ ღმერთი გადმოხედავს, ის სხვა ადამიანებს იპოვის, თუ არა — მგელი შეჭამს. გოგონას შინიდან გაგდება არ შეიძლება, რადგან იციან, რომ მას უდაბნოდან გასვლის არავითარი შანსი არა აქვს.

თუ ცოლ-ქმარი გაშორდება ან ქალი კვდება, მაშინ მის შვილებს სხვა ცოლები ზრდიან.

ეს ხალხი და უდაბნო მარადიულია. მათთვის, ისევე, როგორც შემოქმედისთვის, დრო არ არსებობს...

## კოქტეილი „წითელი მზე“

შეურიეთ ერთმანეთს 2 ცალი წითელი ფორთოხლის წვენი, 1 — გაფცქვნილი და გახეხილი პაპაია, 15 გ სტაფილოს წვენი. ჩაასხით ბოკალში, დაამატეთ ყინულის ნატეხი, გაალამაზეთ პიტნის ფოთლებით.

## კოქტეილი „მწვანე ფანტაზია“

2-2 ვაშლი და კივი გათალეთ, დაჭერით და 150 გ მწვანე ჩაის ნაყენთან ერთად მიქსერით გათქვიფეთ. დაამატეთ 2-3 ს/კ ლიმონის წვენი, ჩაასხით ყინულიან ბოკალში.



## იუმორი

**— იცი, ბიჭიკიას რა მოუვიდა?**

**— მაინც რა?**

**— ვიღაც გოგოსთვის ბაღის კიდეზე უკოცნია და სამი „სუტკა“ მისცეს.**

**— ეგ რა არის, ზუსტად მასეთი ხუმრობისთვის მე ცოლი მომისაჯეს სამუდამოდ!**

# ხომ არ გემუქრებათ ნერვული სტრესი?

**ადამიანები ორიენტირებულნი არიან წარმატებაზე, კარიერასა და ფინანსურ სტაბილურობაზე, წარმატება კი ყველასთან არ მოდის და თუ მოდის, მას დრო და მოთმინება სჭირდება. ადამიანთა უმრავლესობა წარუმატებლობას ღრმა სტრესულ მდგომარეობამდე მიჰყავს, ხოლო ნერვული სტრესი იწვევს დაავადებებს, რომელთა შედეგი შეიძლება სავალალოც კი იყოს. გაარკვიეთ, გემუქრებათ თუ არა ნერვული სტრესი და თუ გემუქრებათ, დროულად დაიწყეთ ფიქრი იმაზე, რომ თავიდან აიცილოთ არასასიამოვნო შედეგები. დღევანდელი ტესტერვიუს რესპონდენტები არიან აკა მორჩილაძე და რატი ამაღლობელი.**





**1. გიჭირთ თუ არა დახმარებისათვის მიმართოთ ვინმეს?**
*ა) დიახ, ყოველთვის — 3 ქულა; ბ) ძალიან ხშირად — 2 ქულა; გ) ხანდახან — 1 ქულა; დ) არასოდეს — 0 ქულა.*

**აკა: კონკრეტული ვარიანტი — გ** დახმარებას ვსაჭიროებ ალბათ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ავად ვარ. საერთოდ კი ადამიანებს არ უნდა სჭირდებოდეთ იმის შეხსენება, რომ ერთმანეთს გაუწოდონ ხელი და გაჭირვებაში მყოფს დაეხმარონ, თუნდაც მორალურად.

**რატი: კონკრეტული ვარიანტი — დ** არსებობს ორნაირი დახმარება: მორალური და მატერიალური, რომლებიც თავისთავად ავსებენ ერთმანეთს. გვერდში ამოდგომისათვის და მორალური დახმარებისათვის შემიძლია მივმართო ძალიან ახლობელ ადამიანებს, რომელთაგანაც ყოველთვის დადებით ენერგიას და საჭირო ძალას ვიღებ.

**2. გაქვთ თუ არა ჩვევა, თავისუფალ დროსაც გამუდმებით იფიქროთ პრობლემებზე?**
*ა) ძალიან ხშირად — 5 ქულა; ბ) ხშირად — 4 ქულა; გ) ხანდახან — 2 ქულა; დ) არასოდეს — 0 ქულა.*

**აკა: ბ** მე ვთვლი, რომ თავისუფალი დრო არ არსებობს, დრო ხომ ერთიანია, ფიქრს კი საზღვრები არა აქვს, აქედან გამომდინარე, არც პრობლემებზე ფიქრს აქვს საზღვრები, იმიტომ, რომ პრობლემები ქმნიან ფიქრებს. სულ სხვა საკითხია, რა არის პრობლემა. ზოგიერთისათვის ნემსია პრობლემა, ზოგისათვის კი აქლემი.

**რატი: დ** გამუდმებით არაფერზე შემიძლია ფიქრი, უბრალოდ არის პრობლემები, რომლებიც თავისთავად ამოტივტივდებიან გონებაში და სხვანაირად რომ ვთქვათ, „ტვინს გიჭამენ“. მაგალითად, ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა პანკისი, აფხაზეთი, სამაჩაბლო, მარტო არასოდეს ვფიქრობ, ამ პრობლემებზე ფიქრს ვიწყებ ადამიანებთან საუბრის დროს. და კიდევ, არასოდეს არ ვფიქრობ თვალდახუჭული, თუ თვალები დახუჭული მაქვს, ე.ი. მძინავს.

**3. როცა ხედავთ ადამიანს, რომელიც რაღაც საქმეს ვერართმევს თავს, გიჩნდებათ თუ არა სურვილი, საქმე მის მაგივრად შეასრულოთ?**
*ა) დიახ, ყოველთვის — 5 ქულა; ბ) ძალიან ხშირად — 4 ქულა; გ) ხანდახან — 2 ქულა; დ) არასოდეს — 0 ქულა.*

**აკა: გ** როცა მოუხერხებელ ადამიანს ვხედავ, რა თქმა უნდა, მიჩნდება იმის სურვილი, რომ დავეხმარო, მაგრამ დაუკითხავად სხვის საქმეში ჩარევა არც ისე მისაღებია, პრინციპში, საქმესაც გააჩნია.

**რატი: ა** ასეთი განცდა ხშირად მიჩნდება, მაგრამ საბოლოო ჯამში არ ვერევი, ყველას თავისი აზრი და მიდგომა აქვს ამა თუ იმ საქმისადმი. ძალიან ხშირად მიჩნდება დახმარების სურვილი, როცა ქართველ ფეხბურთელებს ვუყურებ.

**4. დიდხანს განიცდით მომხდარ უსიამოვნებას?**
*ა) დიახ, ყოველთვის — 5 ქულა; ბ) ხშირად — 4 ქულა; გ) ხანდახან — 2 ქულა; დ) არასოდეს — 0 ქულა.*

**აკა: ბ** წყენა და უსიამოვნო განცდა ერთმანეთისაგან განსხვავდება, უსიამოვნება შეიძლება წლების განმავლობაში განიცადო, აი წყენა კი ძალიან უცნაური თვისებაა, მე ძალიან იშვიათად მწყინს, ალბათ იმიტომ, რომ ჩემ ირგვლივ კეთილი ადამიანები არიან.

**რატი: დ** ვცდილობ, წყენა მალევე დავივიწყო და ამას ვახერხებ კიდეც, შეიძლება განვიცადო ერთი დღე, მაგრამ ის ერთი დღე ერთ კვირას უდრიდეს. ვფიქრობ, რომ მიმტევებელი ხასიათი მაქვს, იმიტომ, რომ თუ წყენა გაქრა, ე.ი. დანაშაულიც მიტევებულია.

**5. თქვენი აზრით, ახლანდელი თაობა უფრო მგრძნობიარეა სტრესის მიმართ, თუ უფროსი თაობა?**
*ა) ახლანდელი თაობა — 5 ქულა; ბ) უფროსი თაობა — 0 ქულა; გ) ორივე თაობა თანაბრად — 2 ქულა.*

**აკა: ა** სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე არ მიფიქრია, მაგრამ ალბათ ასე ორ კატეგორიად გამიჯვნაც არ არის მიზანშეწონილი. სტრესს ბავშვი სხვანაირად განიცდის, მოხუცებული ადამიანი კიდევ უფრო განსხვავებულად. ერთი ასაკის ქალი და მამაკაციც სხვადასხვანაირად უმკლავდებიან სტრესულ მდგომარეობას, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ერთი შეხედვით მამების თაობასთან შედარებით ახალი თაობა უფრო დეპრესიული და მგრძნობიარეა.

**რატი: ა** სტრესის მიმართ ჩვენი თაობა უფრო მგრძნობიარეა, ალბათ იმიტომ, რომ ბევრად უფრო ინფორმაციული ეპოქაა, დროც ბევრად უფრო სწრაფად გარბის, ცხოვრებაც ბევრად უფრო დამოუკიდებელ სახეს იღებს, დარტყმებიც ძალიან ბევრია და თაობა კი არა, თვითონ დრო არის უფრო კონკრეტული და მშრალი.

**6. აწყვეტინებთ თუ არა საუბარს ადამიანს, რომელიც ცდილობს, ზედმეტად დეტალურად მოგიყვეთ რაიმე ამბავი?**
*ა) დიახ, ყოველთვის — 4 ქულა; ბ) ხშირად — 3 ქულა; გ) გარემოების მიხედვით — 2 ქულა; დ) არა — 0 ქულა.*

**აკა: გ** მე ძალიან მიყვარს დეტალები, იმიტომ, რომ დეტალები ქმნიან ერთიან, ზუსტ აზრს. თუ ვიცით, რომ ვიღაცამ ვიღაცა მოკლა და არ ვიცით არც ერთი დეტალი, თავისთავად არც აზრი ვიცით.

**რატი: ა** ჩემთვის აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დეტალები, ამიტომ ძალიან ხშირად მსაყვედურობენ იმის გამო, რომ კომუნიკატორს სიტყვას ვაწყვეტინებ. ისე, თუ ვინმე დეტალებს მარკესივით მოყვება, დიდი სიამოვნებით მოვუსმენდი, ანუ დეტალების მოსმენა საინტერესოა, ოღონდ გააჩნია მოსაუბრეს.

**7. თქვენზე ამბობენ, რომ ყოველთვის სადღაც გეჩქარებათ?**
*ა) დიახ, ეს ასეა — 5 ქულა; ბ) ხშირად ვჩქარობ — 4 ქულა; გ) როგორც ყველა, ხანდახან მეც ვჩქარობ — 1 ქულა; დ) არ ვჩქარობ — 0 ქულა.*

**აკა: ა** მე ძალიან ხშირად ვჩქარობ, იმიტომ, რომ დაგვიანების ძალიან მერიდება. აქედან გამომდინარე, პუნქტუალურ ადამიანად ვითვლები და ძალიან იშვიათად ვიგვიანებ.

**რატი: დ** მე არ მიყვარს სიჩქარე. საერთოდ პუნქტუალური ადამიანი არა ვარ, მაგრამ თუ მოვინდომებ, შემიძლია დროულად მივიდე იქ, სადაც საჭიროა.

**8. უთმობთ თუ არა დიდ დროს საკუთარ თავს?**
*ა) დიახ — 3 ქულა; ბ) არა — 5 ქულა; გ) ზომიერად — 1 ქულა.*

**აკა: ა** ორხესის ერთი გმირი ამბობს: კაცი თუ დღეში 5 წუთზე მეტს ფიქრობს თავის საჭმელზე, ტანსაცმელსა და ქალებზე, ის კაცი არ არის. მართალია, ამ აზრს მთლიანად არ ვიზიარებ, მაგრამ მასში არის სიმართლის მარცვალიც.

**რატი: ბ** საკუთარ თავს მინიმალურ დროს ვუთმობ, თითქოს ამისათვის ვერ ვიცლი, მაგრამ მთლიანობაში ადამიანი საკუთარ თავს უთმობს მთელ თავის სიცოცხლეს.

**9. შეგიძლიათ თუ არა რამდენიმე საქმის ერთდროულად მოგვარება?**
*ა) დიახ, შემიძლია — 5 ქულა; ბ) ხანდახან — 3 ქულა; გ) არ შემიძლია — 1 ქულა.*

**აკა: გ** ნეტავ შემეძლოს რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთება. მე, მაგალითად, მეგობარი მყავს, რომელიც ჭამის დროს გაზეთს კითხულობს, მე ამის გაკეთებაც ვერ მომიხერხებია, არამცთუ წერა და კითხვა ერთად.

**რატი: ა** რამდენიმე საქმის ერთდროულად შესრულება ადრე შემეძლო და ალბათ იმიტომ, რომ უფრო უპასუხისმგებლოდ ვეკიდებოდი თითქმის ყველაფერს. გასაოცარი ისაა, რომ ყველა საქმეს მშვენივრად ვართმევდი თავს, მაგრამ მაინც „ხალტურა“ იყო ჩემი მხრიდან, ამიტომ ახლა ვცდილობ, ყველაფერს ცალ-ცალკე დავუთმო დრო.

**10. ხდება თუ არა, რომ საუბრის მოსმენისას თქვენი აზრები სადღაც სხვაგან ქრიან?**
*ა) ძალიან ხშირად — 5 ქულა; ბ) ხშირად — 4 ქულა; გ) ხდება ხოლმე — 3 ქულა; დ) არასოდეს — 0 ქულა.*

**აკა: გ** ასეთი რამ ძალიან ხშირად მემართება, საერთოდ ადამიანს უჭირს ხანგრძლივი დროის მანძილზე ყურადღების კონცენტრაცია. მე კი ოცნება ძალიან მიყვარს და შემიძლია ძალიან დიდი ხანი ვიოცნებო. პრობლემებზე ფიქრს ოცნება მირჩევნია.

**რატი: ა** საუბრის მოსმენისას ჩემი აზრები ძალიან ხშირად სადღაც ქრიან, ეს, რა თქმა უნდა, ჩემდა უნებურად ხდება. სხვები ამჩნევენ, რომ არ ვუსმენ და ამას უყურადღებობაში მართმევენ. ამ დროს კი ჩემი ფიქრები დაქრიან ცასა და დედამიწას შორის, ოზონამდე არმისული.

**11. გეჩვენებათ ხანდახან, რომ ადამიანების საუბარი და მოქმედება ფუჭი და ამაოა?**
*ა) ძალიან ხშირად — 5 ქულა; ბ) ხშირად — 4 ქულა; გ) ხანდახან — 1 ქულა; დ) არასოდეს — 0 ქულა.*

**აკა: ბ** ზოგიერთი ადამიანის ლაპარაკიდან საერთოდ ვერ გამომაქვს აზრი და, რა თქმა უნდა, მეჩვენება, რომ ისინი ტყუილა ლაპარაკობენ. ყოფილა შემთხვევა, რომ საკუთარ საუბარშიც შემპარვია ეჭვი, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება, იმიტომ, რომ ვცდილობ, არ ვისაუბრო ისეთ საკითხებზე, რომლებშიც კარგად ვერ ვერკვევი.

**რატი: ა** ხანდახან ადამიანების საუბარი ფუტკრების ზუზუნს ემსგავსება და მეჩვენება, რომ მათი ლაპარაკი სულ ფუჭი და ამაოა, ხშირად კი საკუთარ საუბარშიც მეპარება ეჭვი. ძალიან მომწონს აზრი: „ბრძნად მეტყველება ვერცხლია წმიდაი, ხოლო დუმილი ოქროი რჩეული“.

**12. თუ გაქვთ რაიმეს მიმართ განსაკუთრებული შიში?**
*ა) დიახ — 5 ქულა; ბ) არა — 0 ქულა.*

**აკა: ბ** განსაკუთრებულად არაფრის მეშინია, მით უმეტეს, ისეთი რაღაცების, როგორიცაა სიმაღლე, სივრცე. პირიქით, თვითმფრინავი ძალინ მიყვარს.

**რატი: ა** განსაკუთრებულად მეშინია გველის, მიუხედავად იმისა, რომ მასთან შეხება არ მქონია. ეს ალბათ ბიბლიური შიშიცაა.

**13. ხშირად გრძნობთ, რომ დაძაბული და შეშფოთებული ხართ?**
*ა) ძალიან ხშირად — 4 ქულა; ბ) ხშირად — 3 ქულა; გ) იშვიათად — 2 ქულა; დ) არასოდეს — 0 ქულა.*

**აკა: ა** საერთოდ უმიზეზოდ არ ვიძაბები. ძალიან მაღიზიანებს ლოდინი, ლოდინი ყველაზე მოსაწყენი რამეა ქვეყანაზე. ამიტომ ვცდილობ, თავად ვიყო პუნქტუალური.

**რატი: გ** საერთოდ ძალიან მძაბავს ადამიანების პასიურობა, უინტერესობა, მოთენთილობა და უყურადღებობა. თვითონ განსაზღვრეთ, ხშირად ვიქნები თუ არა დაძაბული?

**14. გიყვართ სხვებისათვის რჩევა-დარიგებების მიცემა?**
*ა) დიახ, ყოველთვის — 4 ქულა; ბ) ძალიან ხშირად — 3 ქულა; გ) ძალიან იშვიათად — 2 ქულა; დ) არასოდეს — 0 ქულა.*

**აკა: გ** თუკი ვინმეს სჭირდება ჩემი დახმარება, რა თქმა უნდა, ვეხმარები. ისე კი, საკუთარ შვილსაც არ ვახვევ ჩემს აზრებს თავზე, უბრალოდ შემიძლია ისეთი რამეები ვურჩიო, რაც მამას ევალება.

**რატი: დ** მე არ მიყვარს, როდესაც საკუთარ აზრს მახვევს ვინმე თავზე, აქედან გამომდინარე, რჩევას ჩემი ინიციატივით არავის ვაძლევ.

**15. დიდხანს ფიქრობთ და ორჭოფობთ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდეთ?**
*ა) ყოველთვის — 3 ქულა; ბ) ძალიან ხშირად — 2 ქულა; გ) ხშირად — 1 ქულა; დ) არასოდეს — 0 ქულა.*

**აკა: დ** არ ვიღებ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც სერიოზული დაფიქრება სჭირდებოდეს, მე ხომ ფილოსოფოსი არა ვარ, ყოფით პრობლემებს კი არ სჭირდება ბევრი ფიქრი, ყოფით პრობლემებს უბრალოდ ფინანსები სჭირდება.

**რატი: დ** მე ძალიან იმპულსური პიროვნება ვარ, ამიტომ გადაწყვეტილებას მარტივად ვიღებ. მე სანამ ასჯერ გავზომავ, ასი წლის გავხდები, მერე კი გაჭრაც გამიჭირდება.

## ცხრილის მიხედვით შეაჯამეთ ქულები.

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 3 | 5 | 5 | 5 | 5 | 4 | 5 | 3 | 5 | 5 | 5 | 5 | 4 | 4 | 3 |
| ბ | 2 | 4 | 4 | 4 | 0 | 3 | 4 | 5 | 3 | 4 | 4 | 0 | 3 | 3 | 2 |
| გ | 0 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 |
| დ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

***40-დან 68 ქულამდე:*** *თქვენ შეიძლება რეალურად გახდეთ ნერვული სტრესის ობიექტი. ყოველგვარი წვრილმანის გამო შეგიძლიათ ინერვიულოთ, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ასეთი ემოციურობით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს აყენებთ ზიანს. ხშირად გაიზომეთ წნევა და სისხლში ქოლესტერინის შემცველობასაც ადევნეთ თვალყური. დაფიქრდით, იქნებ ღირს ცხოვრების სტილი შეიცვალოთ, რა თქმა უნდა, უკეთესობისაკენ. ხანდახან ქალაქგარეთ გაისეირნეთ, შეუარეთ მეგობრებს, მოუსმინეთ სასიამოვნო მუსიკას, ხშირად ჩაიხედეთ სარკეში, გაუღიმეთ საკუთარ თავს და რაც მთავარია, სულ იღიღინეთ.*

***10-დან 40 ქულის ჩათვლით:*** *თქვენ ახერხებთ შეინარჩუნოთ სიმშვიდე და იყოთ გაწონასწორებული. ეცადეთ, მომავალშიც აარიდოთ თავი ნერვიულობას, არ მიაქციოთ ყურადღება წვრილმანებს და გულში არ ჩაიხვიოთ წარუმატებლობა, დაიმახსოვრეთ, რომ ყველა აღმართს დაღმართი მოჰყვება, ხოლო დაღმართს — აღმართი. თუ თქვენ შეძლებთ ცხოვრებისეულ პრობლემებს ისევე მშვიდად უყუროთ, როგორც დღეს, თავიდან აიცილებთ ყოველგვარ სტრესსა და დეპრესიულ განწყობებს. თანაც მშვიდი და დაწყნარებული გონებით უფრო მეტი სასიკეთო საქმის მოგვარებაა შესაძლებელი.*

***0-დან 10 ქულამდე:*** *თუ ტესტის კითხვებს გულწრფელად უპასუხეთ, მაშინ ერთადერთი საშიშროება თქვენთვის — მეტისმეტი გულგრილობა და რა თქმა უნდა, მოსაწყენი და ერთფეროვანი ცხოვრებაა. თქვენმა გულგრილობამ და უყურადღებობამ შეიძლება ძალიან ბევრი მომდურავი გაგიჩინოთ, საბოლოო ჯამში, კი ყველას მოსაწყენ და უინტერესო პიროვნებად მოეჩვენებით.*

**აკამ 37 ქულა დააგროვა, რატიმ — 36 ქულა.**

ჩვენმა რესპონდენტებმა შეკითხვების უმრავლესობას რადიკალურად განსხვავებული პასუხები გასცეს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ შეკითხვები ერთმანეთზეა დამოკიდებული და საბოლოო შედეგისათვის ერთმანეთს ავსებენ, აკაც და რატიც ქულების ერთი და იგივე ფაზაში აღმოჩნდნენ. ეს კი გვაძლევს უფლებას, ისინი ემოციურად საკმაოდ გაწონასწორებულ ადამიანთა ტიპს მივაკუთვნოთ. სადღეისოდ მათ ნერვული სტრესი არ ემუქრებათ. მათი ცხოვრების სტილი საკმაოდ ორიგინალური და საინტერესოა. ხშირ შემთხვევაში ისინი ცხოვრებისეულ პრობლემებს მსუბუქად უყურებენ, ანუ ბუზისაგან სპილოს არ ქმნიან.

**ინგა სიჭინავა**

CMYK

# ფრანსუაზა საგანი — „მსხვერპლი“?



ცნობილი ფრანგი მწერალი ფრანსუაზა საგანი თურმე არ იხდის გადასახადს 5,439 მლნ ფრანკიდან. სასამართლო პროცესზე, რომელიც ორჯერ გადაიდო, მწერალი ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა, ამიტომ, გადასახადის გადახდის გარდა, დაუსწრებლად მიუსაჯეს ჯარიმა — 50 ათასი ევრო და პატიმრობა.

66 წლის მწერლის ადვოკატი პიერ აიკი ცდილობდა მოსამართლეების დარწმუნებას, — ჩემი კლიენტი კანონის დარღვევას არ აპირებს, უბრალოდ, ასაკის გამო მწერალს გულმავიწყობა დასჩემდა, ფინანსურ საკითხებში ვერ ერკვევა და დღემდე 100 ფრანკს ერთი მილიონისაგან ვერ ასხვავებსო.

შეგახსენებთ ამ ამბავს, რომელიც 1992 წელს მოხდა. ფულის ფლანგვას მიჩვეულ ფრანსუაზა საგანს ნორმანდიაში სახლი დაეწვა და ფული მის აღსადგენად დასჭირდა. ამ დროს მწერალს ჟან პოლ ბელმონდომ გააცნო მეწარმე-მილიარდერი ანდრე გელფი. გელფის, რომელსაც დღესაც შესანიშნავი ურთიერთობა აქვს პოსტსაბჭოთა ქვეყნების და რუსეთის მთავრობებთან, თავს იდო შუამავლობა საფრანგეთის სანავთობო კომპანია „ელფ-აკიტენსა“ და უზბეკეთის პრეზიდენტ ისლამ ქარიმოვს შორის. მაშინ დღის წესრიგში იდგა ნავთობის მოპოვების საკითხი, რომლის განხორციელებასაც „ელფ-აკიტენი“ უზბეკეთში აპირებდა იმ იმედით, რომ იქ „შავი ოქროს“ უზარმაზარ მარაგს აღმოაჩენდა. ანდრე გელფმა, რომელმაც იცოდა, რომ ფრანსუაზა საგანი მეგობრობდა საფრანგეთის მაშინდელ პრეზიდენტთან ფრანსუა მიტერანთან, შეეხვეწა მწერალს, ეთხოვა სახელმწიფოს მეთაურისათვის დახმარება „ელფ-აკიტენის“ და უზბეკეთს შორის ხელშეკრულების დადების საქმეში. გელფი ფრანსუაზა საგანს დაჰპირდა, სანავთობო კონცერნიდან ჩემს კუთვნილ საკომისიოს ნახევარს მოგართმევო. მფლანგველმა მწერალმა ამ ცდუნებას ვერ გაუძლო. „ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის, — სწერდა საგანი 1992 წლის სექტემბერში თავის მეგობარ პრეზიდენტს, — ჩემთვის ცნობილია, რომ უზბეკეთის პრემიერ-მინისტრი უკვე ორი კვირაა პარიზში იმყოფება, რათა თქვენ გადმოგცეთ პრეზიდენტ ქარიმოვის პირადი წერილი და საჩუქარი საფრანგეთისთვის“.

უზბეკი ემისრისა და საფრანგეთის პრეზიდენტის შეხვედრა შედგა.

„ელფ-აკიტენმა“ მიტერანისგან თანხმობა მიიღო, უზბეკთან კონტრაქტი გააფორმა და ნავთობის დაზვერვითი სამუშაოები დაიწყო, მაგრამ მიუხედავად ვარაუდისა, იმ ადგილებში ნავთობი არ აღმოჩნდა.

ანდრე გელფს, რომელიც დღეს 81 წლის არის, საკომისიო არ მიუღია, მაგრამ სიტყვა არ გაუტეხავს და ფული საგანს მისცა. ამ თანხის შესახებ შეიტყო ფისკალურმა სამსახურმა. მწერალი ყველაფრის უარყოფას ცდილობდა, მაგრამ აღშფოთებულმა ანდრე გელფმა, რომელიც ერთ დროს ქარიმოვის ერთ-ერთი მრჩეველი იყო, წარმოადგინა ფულის გადაგზავნის ქვითრები და წერილები. „ჩეკი გამოვწერე 3,5 მლნზე, — ამბობს ანდრე გელფი, — 1,5 მლნ კი, საგანის თხოვნით, მის მეგობარ მარკ ფრანსელეს გადავეცი. რის შემდეგაც ფრანსუაზამ კიდევ მთხოვა ფული, რომელიც მას ნორმანდიაში სახლის ასაშენებლად სჭირდებოდა და კიდევ 4 მლნ ფრანკი გადავუხადე“... ეს ყველაფერი ანდრე გელფიმ მოსამართლე ევე ჟოლის უამბო, ბოლოს და ბოლოს, საგანმაც აღიარა ამ ფულის მიღება და გადასახადების გადაუხდელობა და ამავე დროს განაცხადა, — „მანიპულაციების მსხვერპლი“ აღმოვჩნდიო.

მიუხედავად ყველაფრისა, საეჭვოა, ცნობილი მწერალი ციხეში ჩასვან...

**შტერნი**

# სავოიელთა დინასტია ბრუნდება





მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიელებმა ხმა მისცეს მონარქიის გაუქმებას და რესპუბლიკა გამოაცხადეს. მაშინ მიღებულმა კონსტიტუციამ ქვეყანაში ყოფნა აუკრძალა მეფე ვიქტორ ემანუელს, ანუ როგორც თავად იტალიელები ეძახიან, ვიტორიო ემანუელეს და მის შთამომავლებს. სავოიის სამეფო ოჯახის წევრებს იტალიის ტერიტორიაზე ხმის უფლებაც წაერთვათ და ქონებაც. ფაქტობრივად, იტალიიდან მეფის განდევნის მიზეზი გახდა „მუსოლინის რეჟიმის მხარდაჭერა“. სავოიელთა დინასტიის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, ჯერ პორტუგალიაში დასახლებულიყვნენ, მერე კი შვეიცარიაში. მრავალი წლის განმავლობაში იტალიელი პოლიტიკოსები, განსაკუთრებით მემარცხენეები, კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ მეფის შთამომავალთა დაბრუნებისა, მაგრამ 1997 წლიდან ქვეყნის ხელისუფლება პრაქტიკულად მზად იყო აკრძალვის გასაუქმებლად. მაგრამ მეფე ვიქტორ ემანუელმა ისევ ყველაფერი გააფუჭა: მან განაცხადა, — პაპაჩემის რასობრივ კანონებს მხარს ვუჭერ და ბოდიშის მოსახდელიც არაფერი მჭირსო. ამის მიუხედავად, ამ რამდენიმე ხნის წინ 64 წლის ვიქტორ ემანუელმა და მისმა ვაჟმა ემანუელ ფილობერტიმ იტალიის ხელმძღვანელობას გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მხარდაჭერა გამოუცხადეს ქვეყნის ახალ პრეზიდენტსა და მის კონსტიტუციას. როგორც გამოკითხვით გახდა ცნობილი, თავად იტალიელებს მიაჩნიათ, რომ სავოიელთა დინასტია საფრთხეს არ უქმნის რესპუბლიკას და მათი დაბრუნების დრო უნდა დადგეს.

**ნოვაია გაზეტა №6**





# ეგვიპტე ჰომოსექსუალურ ჩიხში

ეგვიპტეში დაიწყო ულმობელი ბრძოლა ჰომოსექსუალისტთა წინააღმდეგ. კაიროს დისკოთეკაზე 52 მამაკაცი დააპატიმრეს და „არაისლამური ქმედებების“ გამო გაასამართლეს. ამის გამო ეგვიპტეს დასავლეთში უამრავი კრიტიკოსი გამოუჩნდა. დასავლელი დიპლომატების და ექსპერტების აზრით, ჰომოსექსუალიზმთან ბრძოლა ეგვიპტეში ნაწილია იმ კამპანიისა, რომელიც თავისუფალი საზოგადოების ჩანასახშივე მოშთობისაკენ არის მიმართული.



ყველაფერი კეთდება რელიგიური საბურველის ქვეშ. ეგვიპტის სულიერი ლიდერები უკვე აშკარად აცხადებენ, — ჰომოსექსუალიზმთან ბრძოლა ყოველი მუსლიმანის მოვალეობააო. მათი მოთხოვნით, აკონტროლებენ ღამის კლუბებს და დისკოთეკებს — „მერყევი ფსიქიკის ადამიანთა“ თავშეყრის ადგილებად მიჩნეული ეს დაწესებულებები დახურეს. ეგვიპტის რეჟიმი მკაცრად აკონტროლებს აგრეთვე ინტერნეტ-კაფეებს, ვებ-საითებს და „ჩეთში“ ეგვიპტელთა საუბრებსაც კი.

ეგვიპტის ადამიანის უფლებათა დამცველთა თქმით, — დაპატიმრებულ ჰომოსექსუალისტებს სასამართლომდე სასტიკად ექცევიან, შემდეგ კი იმ საპატიმროებში გზავნიან, სადაც მეტწილად ისლამისტი ფუნდამენტალისტები სხედან. ისინი აგრძელებენ მთავრობის მიერ დაწყებულ საქმეს. ჰომოსექსუალისტებს ხოცავენ კიდეც.

მოლები მოუწოდებენ ხალხს — რელიგიის შემარცხვენელთ სათანადოდ გაუსწორდითო. ქვეყნის კონსერვატორული წრეები კი ირწმუნებიან, — ჰომოსექსუალისტები უცხოეთის (მეტწილად კი დასავლეთის) მეხუთე კოლონას წარმოადგენენ ეგვიპტეში და მათი ფუნქცია ქვეყნის სახელმწიფოებრიობის საფუძვლის მოშლააო. ამ აზრს ისიც ამაგრებს, რომ ცნობილი გახდა ფაქტები, რომელთა მიხედვითაც ჰომოსექსუალისტთა ჯგუფებს და მათ დამცველებს დასავლეთი დააფინანსებს.

**ნიუზუიქი**

# ჯინსი გენუაში გამოიგონეს



ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ჯინსი, რომელსაც ევროპაში „ამერიკულ შარვალს“ უწოდებენ, იტალიაში, გენუაში გამოიგონეს 1567 წელს.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში, მძიმე ეკონომიკური კრიზისის გამო, ქალაქის მოსახლეობა გალატაკდა, დამშეული ადამიანები ქუჩებში იხოცებოდნენ. მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი იმდენად გაძვირდა, რომ უბრალო ტანისამოსიც ძალიან ძვირი ღირდა. ის, ვინც თავს უფლებას მისცემდა და მკერავს შარვალს შეუკვეთავდა, მდიდარ კაცად ითვლებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს გენუელმა მეზღვაურმა ნავმისადგომებზე ნავების გადასაფარებელი ლურჯი ქსოვილისგან უბრალო და მოსახერხებელი შარვალი შეიკერა. მის მაგალითს სხვა მეზღვაურებმაც მიბაძეს, შემდეგ კი — ქალაქის მთელმა მოსახლეობამ, ქალების ჩათვლით, მეზღვაურის გამოგონებას „ჯენოვეზე“ დაარქვეს, რაც იტალიურად „გენუურს“ ნიშნავს. ახალი მოდის შარვალი უცხოელ მეზღვაურებსაც ძალიან მოეწონათ და სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. სახელწოდება „ჯენოვეზე“ კი თანდათან „ჯინსად“ გადაკეთდა.

XIX საუკუნის შუა წლებში ამ უცნაურ შარვალს ყურადღება მიაქცია გენუაში ტურისტად ჩასულმა ბავარიელმა მეფართლემ ლუბ შტრაუსმა (მოგვიანებით, მან სახელი შეიცვალა და ლევი დაირქვა). 1850 წელს შტრაუსი ამერიკაში გადასახლდა, გამგზავრების წინ კი გენუის პორტის ბაზებში მთელი დარჩენილი ქსოვილი შეიძინა (იტალიაში ეს ქსოვილი საფრანგეთიდან, ქალაქ ნიმიდან შეჰქონდათ).

ნიუ-იორკში ჩასულმა შტრაუსმა ალღო აუღო ამერიკელების გემოვნებას და თავის მრავალრიცხოვან ნათესავებთან ერთად ჯინსის შარვლების კერვას შეუდგა. გენუაში შექმნილი მოდელი მან დახვეწა, საგრძნობლად დაავიწროვა, თანაც თეთრი ძაფით დააგვირისტა. ევროპიდან ქსოვილის შეტანაზე დიდი დრო და ფული იხარჯებოდა, ამიტომ, შტრაუსმა ხმარებაში შემოიტანა ჩვეულებრივი ქსოვილი, რომელსაც ლურჯად ღებავდა. ჯინსი ძლიერ პოპულარული გახდა ამერიკელ მეზღვაურებს შორის და მალე ლევი შტრაუსმა სოლიდური კაპიტალი დააგროვა. 1855 წელს მის ნაწარმზე გაჩნდა საფირმო ნიშანი „ლევის“. თანდათანობით გაფართოვდა წარმოება. შტრაუსმა ფილიალი გახსნა კენტუკიში, სადაც მის პროდუქციას ყიდულობდნენ ფერმერები, მოგვიანებით კი ოქროს ციებ-ცხელების ეპოქაში — კალიფორნიელი ოქროსმაძიებლები.

XIX ს.-ის 60-იან წლებში შტრაუსი, რომელიც იმ დროისათვის უკვე მილიარდერი გახდა, მთელ ამერიკაში ვაჭრობდა თავისი შარვლებით.

მსოფლიოს მოსახლეობისათვის შტრაუსის შარვალი საყვარელ სამოსად იქცა მხოლოდ XXს-ის 30-40-იან წლებში, როცა პოლიტიკური ვესტერნების მიბაძვით ჯინსის ნამდვილი ბუმი დაიწყო...

**პარი მატჩი**

# ვინ მოიგონა ცილინდრი?

ცილინდრმა — აბრეშუმის პლუშის პატარა მაგარფარფლებიანმა შლაპამ — სახელწოდება გეომეტრიული ფიგურის მიხედვით მიიღო. ცილინდრის წინაპარი მრგვალი ფორმის ქუდი იყო, რომელიც მამაკაცების მოდაში ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში დამკვიდრდა და მე-18 საუკუნემდე იბატონა. ინგლისელი შლაპებით მოვაჭრე ჯონ გეტერინგტონის მილისებურმა თავსარქმელმა ინგლისელებში სენსაცია მოახდინა. მაშინდელი პრესა წერდა: „შლაპამ გამვლელები გააოგნა.



ქალები გონებას კარგავდნენ, ბავშვები ყვიროდნენ...“ გეტერინგტონი დააპატიმრეს და ლორდმერს მიჰგვარეს, რომელმაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის „დამნაშავეს“ 500 გირვანქა სტერლინგის გადახდა დააკისრა. მიუხედავად ამისა, 1797 წლის 26 იანვარს ლონდონის სანაპიროზე გასეირნება მოდაში ახალი მიმართულების საფუძველი შეიქნა. მე-19 საუკუნის დამდეგს ცილინდრს მხოლოდ არისტოკრატები ხმარობდნენ. ვიზიტის დროს ცილინდრს ჰოლში ტოვებდნენ, რაც დიდი სტუმრიანობის დროს უხერხულობას ქმნიდა. პარიზში, 30-იან წლებში დასაკეცი ცილინდრები გავრცელდა — მას შაპოკლიაკი ეწოდება. ინგლისელი დენდი ახლა ქუდს იღლიაში ამოიჩრიდა და ისე შედიოდა სასტუმრო ოთახში.

ცილინდრის ერთ-ერთი ნაირსახეობა იყო შლაპა-ბოლივარი. სახელწოდებას იგი სამხრეთ-ამერიკული კოლონიის გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს ბოლივარს უნდა უმადლოდეს. ამ პერიოდშივე შემოვიდა მოდაში „შუტე“ — ქალის ცილინდრი, რომელიც ძირითადად ცხენოსნობის დროს იხმარებოდა.

**ვოკრუგ სვეტა №1**

# ანალოგიები



1799 წელს ეგვიპტიდან დაბრუნებული ნაპოლეონის განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა: დირექტორიას სახელმწიფო მთლად გაეძარცვა, ბანკირებსა და სახელმწიფო მოხელეებს სასახლეები აეშენებინათ, ვაჭრები ფუფუნებაში ცურავდნენ. პარიზის 60 გაზეთი თამამად აკრიტიკებდა ყველას და ყველაფერს, მაგრამ კონკრეტული სახელებისა და თანხების დასახელებას ერიდებოდა. ჯარისკაცები ფეხშიშველა დატანტალებდნენ. რევოლუციის ათი წლის მანძილზე ომების, სხვადასხვა სოციალური ექსპერიმენტის და რეფორმისგან გალატაკებული ხალხი კი კბილებს აღრჭიალებდა (ამის გამო დასაჯეს მეფე).

— გაყარეთ ეს ვიგინდარები! — ბრძანა მიურატმა. დეპუტატები დაიჭირეს და თვითდაშლა გამოაცხადებინეს. დირექტორიამ სასწრაფოდ გადასცა ხელისუფლება საკონსულოს. რასაკვირველია, პირველი კონსული ნაპოლეონი გახდა.

ექვს თვეში(!) შედგა მიწის კადასტრი, მიწა ხალხს გადაეცა და შიმშილობა შეწყდა. დამუშავდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, გატარდა სასამართლო რეფორმა. საფრანგეთს ახლა კანონი მართავდა. რეფორმამ ჯარი ჯარს დაამსგავსა, სიამაყით აავსო. მკვდრეთით აღმდგარი ხალხი გადამრჩენელს განადიდებდა! ისე, 60 გაზეთიდან ოთხილა დარჩა და იმათაც თითო ცენზორი მიუჩინეს...

# გინდათ, ყველაფერი გახსოვდეთ?..



თურმე, მეხსიერება იტევს დაახლოებით 10 000 მეგაბაიტ ინფორმაციას. ასეთი რაოდენობით შეიძლება დაიტვირთოს ძალიან ძლიერი კომპიუტერი. ამ სიმდიდრიდან, ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ მეათედს, დანარჩენი ინფორმაცია კი ილექება ჩვენი ტვინის ხვეულებში, ე.წ. მეხსიერებაში. რომელიც, სპეციალისტების აზრით, სამი სახისაა: ოპერატიული, ხანმოკლე და ხანგრძლივი. პირველი ორი წარმოიქმნება თავის ტვინის ნერვულ უჯრედებს შორის კავშირის წყალობით, ხოლო ხანგრძლივი მეხსიერების წარმოქმნაში მონაწილეობს ცილები და ნუკლეინის მჟავები. მოხუცებულობაში მეხსიერება იკლებს, რადგან თავის ტვინის ქერქის უჯრედები კვდება და ირღვევა მათ შორის კავშირი. ზოგჯერ მეხსიერების მკვეთრი დაქვეითების მიზეზი ხდება ალცჰაიმერის ან სისხლძარღვების დაავადებანი, ათეროსკლეროზი, სისხლძარღვების ტონუსის დარღვევა და ა.შ.

ნათელი აზროვნების შესანარჩუნებლად საჭიროა ახალგაზრდობიდანვე ვიზრუნოთ ამაზე: სისტემატურად გააკონტროლეთ საკვებში ქოლესტერინის დონე, უპირატესობა მიანიჭეთ მცენარეულ პროდუქტებს და წითელ ღვინოს, ბევრი იმოძრავეთ და რაც მთავარია, თავი დაანებეთ მოწევას. წელიწადში 2-ჯერ შეიმოწმეთ ქოლესტერინის დონე და სისტემატურად გაიზომეთ არტერიული წნევა: თუ რამე პრობლემა ჩნდება, მიმართეთ ექიმს — საწყის სტადიაში მკურნალობა ადვილია.

გირჩევთ, მოამარაგეთ ორგანიზმი კალციუმით, მაგნიუმითა და თუთიით და რაც მთავარია, ავარჯიშეთ მეხსიერება: ამოხსენით კროსვორდები, ისწავლეთ ლექსები ზეპირად და დაითვალეთ კალკულატორის გარეშე.

***ოტდოხნი! №5***

# ვირთხების შტურმი



ვირთხებს მრავალი ინფექციური დაავადება გადააქვთ. ბევრი მათგანი უკურნებელია და სიკვდილით მთავრდება. ჯერ კიდევ XIV საუკუნეში, ევროპაში ვირთხებმა შავი ჭირი გაავრცელეს, რამაც 25 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და 200 ათასი ქალაქი აღგავა პირისაგან მიწისა. არც ერთ ომში არ დაღუპულა იმდენი ადამიანი, რამდენიც ვირთხების თავდასხმებისგან. ამჟამად გავრცელებულია „ვირთხების ვირუსით“ გამოწვეული ინფექციური დაავადებანი.

დაავადების სიმპტომებია: მაღალი სიცხე, ძლიერი თავის ტკივილი, სახსრების შეშუპება და ქუნთრუშის მსგავსი გამონაყარი მთელ სხეულზე. ინკუბაციური პერიოდი დაავადებისა ერთი თვეა. ვირუსი ვირთხების სისხლში, შარდსა და ექსკრემენტებშია. იგი ადვილად გადადის ადამიანზე.

ეს საშინელი მღრღნელები არაფერს არ ერიდებიან — დღისით-მზისით ამოდიან სარდაფებიდან, არ უფრთხიან ადამიანებს. თავს ესხმიან კატებსა და ძაღლებს.

ეპიდემიოლოგთა გაანგარიშებით მოსკოვში ამჟამად 10 მლნ ვირთხაა. ამერიკაში ერთ სულ მოსახლეზე 10 ვირთხა მოდის. მათ გასანადგურებლად წელიწადში 2 მლრდ დოლარია გამოყოფილი. უამრავი ვირთხაა მაღაზიებში, პროდუქტების საწყობებში. ისინი დიდძალ სურსათს ანადგურებენ.

ვირთხები დიდი გურმანები არიან და დელიკატესებს ეტანებიან. უყვართ თევზი, ნანადირევი, ახალი ხორცი, შოკოლადი, ძვირფასი კანფეტები, ღვინოსა და ლუდსაც სიამოვნებით მიირთმევენ.

ვირთხები ძალზე გამძლენი არიან. როცა ამერიკელებმა წყნარ ოკეანეში გამოსცადეს ბირთვული იარაღი, ყველა ცოცხალი ორგანიზმი დაიღუპა ვირთხების გარდა.

ვირთხები ინტუიციით გრძნობენ მოსალოდნელ მიწისძვრას და ტოვებენ სარდაფებს, წყალდიდობისა და გემის დაღუპვისას — გემებს...

***მირ ნოვოსტეი №6***

# ცხვირი — ბუნების სასწაული
## (იცოცხლეთ!)

უჭმელად გავძლებთ და ვიცოცხლებთ საშუალოდ 60 დღეს, უწყლოდ — 7-10 დღეს, უჟანგბადოდ მხოლოდ — 5-7 წუთს. ცხვირი კი წარმოადგენს სასუნთქი სისტემის კარს (პირით სუნთქვისას ფილტვებში ხვდება 25%-ით ნაკლები ჰაერი, ვიდრე ცხვირით სუნთქვისას) და ბუნებრივია, პასუხს აგებს ჰაერის ხარისხზეც. ცხვირი არის ფილტრი და კონდიციონერი, რომელსაც დაბადებისთანავე გვჩუქნის დედა-ბუნება. ამიტომაც მას დიდი მოფრთხილება და ზრუნვა სჭირდება. მით უმეტეს, რომ ცხვირ-ხახის ჯანმრთელობისთვის სულ ცოტა რამ არის საჭირო:



**1.** ნუ დაიძინებთ ერთ გვერდზე, რათა ცხვირის ძგიდე არ გაგიმრუდდეთ;

**2.** სურდოს დროს ხშირად ცვალეთ ცხვირსახოცი, უმჯობესია იხმაროთ ერთჯერადი ქაღალდის ხელსახოცები;

**3.** რეგულარულად ისეირნეთ ჰაერზე (ტყეში, პარკში), ხეები ხომ ფიტონციდების საუკეთესო წყაროა;

**4.** გარეცხვის შემდეგ ცხვირსახოცები ყოველთვის დააუთოეთ, ეს სპობს მიკრობებს;

**5.** თუ ცხვირით ვერ სუნთქავთ (დაგიგუბდათ), ისუნთქეთ ცხელი წყლის ორთქლი, მიიღეთ ნახშირი და თუ არ გიშველით, გამოიყენეთ სისხლძარღვების შემავიწროებელი ცხვირის წვეთები.

ნუთუ ასეთ პატარა აპარატს შესწევს უნარი დაიცვას ორგანიზმი დაავადებებისგან? ჯერ ერთი, იგი ლორწოვანი გარსის ნაკეცების საშუალებით, რომელიც ცხვირის ორივე მხარეს არის განლაგებული, ზრდის ცხვირის საერთო სამუშაო ზედაპირს, მეორეც — ზედა სასუნთქი გზები ძალიან ხვეულია — ჰაერის უკეთ გასათბობად და მტვრისგან გასაფილტრად. გასაფილტრი კი — დიახაც რომ არის! რადგან ბინაში, სადაც არავინ ცხოვრობს, ორი კვირის განმავლობაში იატაკის ან ავეჯის ყოველ კვადრატულ სმ-ზე გროვდება... მტვრის 12 000 ნაწილაკი. ამ მტვერში რაღას არ ნახავთ — უდაბნოს კაჟბადს, მეტეორიტულ მტვერს და ა.შ., რომ არაფერი ვთქვათ კანის ქერცლზე, რომლიც ვნებს ალერგიით დაავადებულთა 5-7%-ს.

სითხეში, რომელსაც გამოიმუშავებს ცხვირის ლორწოვანი გარსი, იმალება „მცველი“ — იმუნური ანტისხეულები, რომლებიც აღმოაჩენენ და სპობენ საშიშ „უცხოელებს“, „უსაფრთხოებს“ კი „მირეკავენ“ რეზერვაციაში, სადაც ჩუმად არიან და ზიანის ნაცვლად, სიკეთეც კი მოაქვთ. ეს „ნაცნობი მტერი“, რომელსაც ძალიან ადვილად შეიცნობს იმუნური სისტემა, ეწინააღმდეგება ორგანიზმში იმ მიკრობების შეღწევას, რომლებიც იშვიათად გვხვდებიან, იმუნურ სისტემას კი ჯერ არ შესწევს მათთან გამკლავების უნარი. თუმცა, როგორც კი ეს მშვიდობიანი „უცხოელები“ იწყებენ ნორმაზე მეტად გამრავლებას, მაშინ კი იწყებს იმუნიტეტი მუშაობას და ამცირებს მათ. თუ მაინც შეაღწიეს ორგანიზმში ბაქტერიებმა, მაშინ სითხე (ლორწო) მათ უკან „გამოყრის“. ამ მოვალეობას ლორწოვანი გარსი ასრულებს, რომელიც ბუსუსებით არის დაფარული. როგორც კი მიიღებენ ისინი საშიშროების ნიშანს, იწყებენ მოძრაობას. აი, სწორედ მაშინ ვიწყებთ ცემინებას...

სხვათა შორის, ზოგიერთ ხალხს ჩვეულებად აქვს, ვინც ცხვირს აცემინებს — ჯანმრთელობა, სიცოცხლე უსურვონ არა იმის შიშით, რომ გაცივებისგან დაიცვან, არამედ მიიჩნევენ, — როდესაც ადამიანი ცხვირს აცემინებს, სული შეიძლება ამოფრინდეს სხეულიდან და აღარ დაბრუნდეს. ამიტომ საჭიროა მისი ორგანიზმში შეკავება დალოცვით — იცოცხლე!

***ლიზა-გოროსკოპი №2***

# ვისაც სოსისი უყვარს!



ყველაზე გავრცელებული პროდუქტი წასახემსებლად სოსისია. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით კაფეებს, ჯიხურებს, მოძრავ დახლურიკებს, სადაც სახელდახელოდ დანაყრების მსურველს შეუძლია სოსისით ჩაიგემრიელოს პირი. ღირს თუ არა სოსისებით ხშირად პირის ჩაგემრიელება? — როგორც ნორვეგიელი სპეციალისტები გვარწმუნებენ — არ ღირს! თურმე, სოსისი მავნე ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე. საქმე ის არის, რომ სოსისების დასამზადებლად სხვადასხვა ინგრედიენტი გამოიყენება, რაც საბოლოოდ უარყოფით შედეგს იძლევა. მართალია, მეცნიერებს ისიც ესმით, რომ ამ საყვარელ და გემრიელ პროდუქტზე უარის თქმა ბევრს გაუჭირდება, ამიტომ გვირჩევენ სოსისებს ბევრი ხილ-ბოსტნეული მივატანოთ, რათა სოსისის ნეგატიური ზეგავლენა განეიტრალდეს.

***ეხო პლანეტი №48***

# სელი — ძველი ფეიქარი, მარჩენალი და მკურნალი



სელი — ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ამ მცენარის ქსოვილი. იგი ქვის ხანით თარიღდება. სელის ქსოვილის სუდარით კრძალავდნენ ძველ ეგვიპტეში ფარაონის მუმიებს. ტანსაცმელი, სუფრები, აფრები... რას არ კერავდა ხალხი სელის ქსოვილისგან. რაც შეეხება დასავლეთს, იქ სელი XII ს-ში რუსეთიდან შევიდა.

უხსოვარი დროიდან სელი ცნობილი იყო არა მარტო როგორც საწარმოო ნედლეული, მისი თესლი სამკურნალოდაც იხმარებოდა.

ლორწოს, ფერმენტების, ვიტამინების, ცილების შემცველობის გამო სელის თესლი ძალიან სასარგებლო პროდუქტია, მაგრამ მისი ძირითადი ღირებულებაა ზეთი, რომელიც თესლის 48%-ს შეადგენს. სელის ზეთი არის ალფალინოლეუნმჟავას წყარო, რომელიც სჭირდება ორგანიზმს „ცუდ“ ქოლესტერინთან ბრძოლისთვის. გარდა ამისა, ის ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, ამცირებს სისხლში თრომბოციტების აგრეგაციას, აძლიერებს იმუნიტეტს და ანთებსაწინააღმდეგოა. რეკომენდებულია სელის ზეთი ჩაირთოს დიეტაში, რომელიც ინიშნება გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებისას, ჰიპერტონიის, რევმატოიდული ართრიტისა და ცხიმის ცვლის დარღვევისას.

სელის ზეთი არის კუჭში მსუბუქი გამხსნელი და ნაღველმდენი საშუალება. ამიტომ მას უნიშნავენ კუჭში შეკრულობის, კოლიტის, ნაღვლის სადინარების დისკინეზიის, კუჭ-ნაწლავის ეროზიულ-წყლულოვანი დაავადების დროს.

ბოლო ხანებში დამტკიცებულია, რომ სელის თესლის უჯრედისები შეიცავენ ისეთ ნივთიერებას, რომელიც ხელს უშლის სიმსივნის განვითარებას.

თესლის ნახარში შეიძლება გამოყენებული იქნას ტრავმებისა და ანთებითი ინფილტრატების დროს. სელის ფქვილისაგან აკეთებენ მშრალი და მგრძნობიარე კანისთვის ბრწყინვალე კოსმეტიკურ ნიღბებს.

***ლიზა №5***

# — გემრიელი პროფილაქტიკა —

შავი ჩაი, ვაშლი და შოკოლადი — ეს სამეული შედგება ნივთიერებებისგან, რომლებიც ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს. ამას განაპირობებს კატეხინები. ამერიკელმა მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ კატეხინის შემცველი პროდუქტების მოჭარბებულად ხმარების დროს, 50%-ით ნაკლებია გულის იშემიური დაავადების შემთხვევები. დღეში საკმარისია ოთხი ვაშლის ან ორი ფინჯანი ჩაის და მომცრო შოკოლადის ფილის მირთმევა.

# შეკითხვა ექიმს



**ჩემმა გოგონამ გადაწყვიტა ჩაიდგას კონტაქტური ლინზა თვალში ფერის შესაცვლელად. მე წინააღმდეგი ვარ. მსმენია, რომ ლინზას თვალისთვის ზიანი მოაქვს. რას ფიქრობენ ამის თაობაზე სპეციალისტები?**

***ლელა არაბული***

— მთელ მსოფლიოში უკვე დიდი ხანია პოპულარობით სარგებლობს ფერადი ლინზები და დღემდე არ შეიმჩნეოდა ალერგიული რეაქცია. ერთადერთი პირობა ის არის, რომ კაშკაშა მზეზე აუცილებელია ფერადი სათვალის გაკეთება მაქსიმალურად მუქი შუშებით. კიდევ ერთი დეტალი: თუ ხმარობთ კოსმეტიკას, თვალი ლინზის ჩადგმის შემდეგ უნდა შეიღებოთ და ჩაიწვეთოთ ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

**— რა იწვევს ყურებში გამუდმებულ ხმაურს და რომელ სპეციალისტს უნდა მივმართოთ ამის სამკურნალოდ?**

***ნორა ხაჩიშვილი***

— შეკითხვა საკმაოდ აქტუალურია, რადგან ძალიან ბევრ პაციენტს აქვს მსგავსი ჩივილი. ამიტომ შევეცდებით, შედარებით ზედმიწევნით ავხსნათ ამ სიმპტომის გამომწვევი მიზეზები:

ყურებში ხმაურს შესაძლოა იწვევდეს სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობები. ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია ყურის ნერვის ნევრიტი (ანთება). ამ დაავადების საგრძნობი გახშირება ბოლო ხანებში გამოიწვია გენტამიცინის და სხვა მრავალი სმენის ნერვზე მოქმედი ანტიბიოტიკების დაუდევარმა და ზოგჯერ გაუმართლებელმა ხმარებამ.

ყურებში ხმაურის შეგრძნება თან სდევს აგრეთვე ანემიას (სისხლნაკლულობას), რომლის დიაგნოზიც სისხლის ანალიზით შეიძლება დაისვას.

მესამე, ძალზე გავრცელებული მიზეზია კისრის მალების ოსტეოქონდროზი, რომელსაც ასევე შეიძლება ახასიათებდეს თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, კისრის მოძრაობის შეზღუდვა. თუ ეჭვი ამ პათოლოგიაზე გაქვთ, უნდა მიმართოთ ნევროპათოლოგს.

ყურებში პროგრესირებადი ხმაურის შეგრძნება ახასიათებს ღრმა ათეროსკლეროზულ პროცესსაც, რომელიც ულმობლად აზიანებს ყველა სისხლძარღვს და მათ შორის, თავის ტვინის მომმარაგებელ სისხლძარღვებსაც.

ყურებში ხმაური ძლიერდება (ზოგჯერ, წარმოიქმნება) არტერიული წნევის მომატების დროს. ამიტომ გამუდმებით უნდა აკონტროლოთ წნევის ციფრები.

თავდაპირველად უმჯობესია მიმართოთ ექიმ-თერაპევტს, რომელიც უკეთ გაერკვევა თქვენს ზოგად მდგომარეობაში და საჭიროების შემთხვევაში გაგაგზავნით სხვა სპეციალისტთან.

**— მეზობლის ძაღლმა ორი კვირის წინ უკბინა ჩემს პატარა გოგონას. რადგან ძაღლი შინაური იყო, ექიმისგან თავი შევიკავეთ, მაგრამ ვერაფრით ვმშვიდდები, იქნებ შევცდი და ბავშვს მომავალში რამე დაემართოს? არის თუ არა ამის საშიშროება?**

***ქეთევან ცხვედიაშვილი, დედოფლისწყარო***

— თუ ძაღლი, რომელმაც ბავშვს უკბინა, ცოცხალია, მაშინ საშიშროება იმისა, რომ ბავშვს ცოფი განუვითარდება, აღარ არსებობს, რადგან ძაღლი რომ ცოფიანი ყოფილიყო, იგი აუცილებლად დაიღუპებოდა 10 დღეში. საერთოდ კი, აცრისგან თავის შეკავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკბენი ტანის არეშია და ძაღლზე მეთვალყურეობა შესაძლებელია. როცა ძაღლი მაწანწალაა, მაშინ დაუყოვნებლივ იწყება აცრები და ტარდება იმუნიზაციის სრული კურსი (6 კანქვეშა ინიექცია). მაგრამ თუ ნაკბენი თავის არეში ან ხელისა და ფეხის თითებზეა, ყველა შემთხვევაში (იმის მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა ძაღლზე მეთვალყურეობა) დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს აცრები, რადგან 10 დღის შემდეგ (თუ ძაღლი დაიღუპება), შესაძლოა უკვე გვიანი იყოს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ზემოაღნიშნულ ადგილებზე დაკბენის შემთხვევაში, ვირუსი სწრაფად აღწევს ნერვულ სისტემამდე და ცოფის ფარული პერიოდი ძალიან ხანმოკლეა.

საეჭვო შემთხვევაში, გირჩევთ, ნუ გარისკავთ, რადგან ამით თქვენი რისკის საგანი ადამიანის სიცოცხლეა.

***თამარ მამაცაშვილი***

# ადამიანი დაღალა სამოსმა



ინგლისელი ექიმი მარშალ ჰინკლი ფიქრობს, რომ ადამიანის დაღლილობის, გაღიზიანების, დაძაბულობის მიზეზია ტანსაცმელი. ადამიანი ძალიან ბევრ სამოსს იცვამს, რაც თურმე „ქრონიკული სინდრომის“ სინდრომს იწვევს. ყველაზე საზიანო ყოფილა აზღუდი, ყელსახვევი, კოლგოტი, ბიკინი, შორტი, ჯინსი...

ტანსაცმლის ხშირ-ხშირი რეცხვაც არ არის თურმე კარგი, რადგან ქიმიური სარეცხი ფხვნილი თუ სითხე 12 საათის მანძილზე არ ქრება ქსოვილიდან და სხეულსაც ჟღინთავს. ამიტომ სჯობს, ყოველ მესამე დღეს ტანსაცმელი აივანზე გავანიავოთ და ხშირად ვიაროთ შიშვლებმა.

***მეგაპოლის-ექსპრესი №3***

# შიშით გამოწვეული კანკალი სასარგებლო ყოფილა?!



შიშის გრძნობას ვერსად გაექცევი, მაგრამ შიშს აქვს როგორც უარყოფითი მხარე, ასევე დადებითიც — მას ორგანიზმისთვის მოაქვს როგორც ზარალი, ასევე სარგებლობა.

**ტვინი**. კრიტიკულ მომენტში ის გამოიმუშავებს ენდორფინებს — ცილებს, რომლის მოქმედება მორფინის მოქმედების ტოლფასია. შედეგად, ადამიანს გუნება-განწყობა უუმჯობესდება და ის ივიწყებს ტკივილს.

**თმა,** როგორც ვიცით, შიშისგან ყალყზე დგება, რის გამოც ხშირი და ფუმფულა ხდება.

**საოფლე ჯირკვლები**. მუშაობას იწყებენ გაორმაგებული ძალით და ორგანიზმიდან მთელი რიგი ტოქსინები გამოაქვს.

**სუნთქვის ორგანოები** სტრესის დროს გაცილებით უკეთ მუშაობს, ვიდრე ოდესმე. ჰაერი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხვდება ფილტვებში, აწვდის ჟანგბადის დამატებით ულუფას.

**ფარისებრი ჯირკვალი** — სისხლის ჰარმონებს უშვებს, რომელიც ააქტიურებს ქიმიურ პროცესებს სხეულის ყველა უჯრედში, რაც ენერგიის მოზღვავებით უზრუნველყოფს ორგანიზმს. იმავე ეფექტს ქმნის გულისცემის აჩქარებაც, რომელიც ხელს უწყობს სისხლს ჩამორეცხოს ორგანიზმის ყველა ნაწილი.

**სისხლი** ხდება უფრო სქელი და მდიდარი ჟანგბადით.

ასეთი სუბსტანციის მოქცევით **კუნთები** უხილავი ძალით ივსება.

**იმუნური სისტემა** სისხლის თეთრი ბუშტუკების რაოდენობის ზრდის გამო უკეთ ებრძვის ნებისმიერ დაავადებას.

**მხედველობა და სმენა** შიშის ნიადაგზე რამდენჯერმე მძაფრდება.

ერთი სიტყვით, ღირს ჩაფიქრება: ასეთი საშინელია შიში, როგორც წარმოგვიდგენია? იქნებ ადამიანს ხანდახან არ აწყენს სტრესული სიტუაციები?

***ჩასტნაია ჟიზნ №23***


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.**



**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**

სერტიფიცირებულია **კომპლექტი 95ლ**

**შარდის საერთო ანალიზის ტესტები, 100ც. — 50 ლ.**

**შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4**

☎ 35-44-05; 899-19-60-55

**ჰომეოპათიური მკურნალობა**

**ჰომეოპათიური აკადემიის პრორექტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი**

თორნიკე ალაშვილი

აწარმოებს მიღებას წინასწარი ჩაწერით (ტ. 98 64 86)
ალ. ჭავჭავაძეს ქ.№2
№13 პოლიკლინიკა
სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65

**ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი“**

Frenkiel Diagnostics

**გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.**

**მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა**

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

**SGS** - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
**SGS** - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
**SGS** - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
**SGS** - განკურნების მაქსიმალური გარანტია
**SGS** - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS**

**თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე**


# სამშობიარო სახლი «ჰერა»

## პროფესიონალები — თქვენი და თქვენი ოჯახების სამსახურში!

"HERA"

ფეხმძიმობა ქალის ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდია. ცივილიზაციამ მრავალ სიკეთესთან ერთად უამრავი პრობლემაც წარმოშვა. გახშირდა ორსულთა და ნაყოფის პათოლოგიები, გართულებული ფეხმძიმობა და მშობიარობა. ამიტომაც, ძალზე დიდი მნიშვნელობა შეიძინა ორსული ქალის მეთვალყურეობამ, მშობიარობის სწორი მართვის აუცილებლობამ, მელოგინისა და ახალშობილის მართებულმა მოვლამ.

ბუნებრივია, ახალგაზრდა წყვილი მშობიარობისთვის დღევანდელი მოთხოვნების შესაბამის კლინიკას ირჩევს, სადაც აბსოლუტური გარანტია ეძლევა ორსულობის საიმედო გამოსავალზე, დედის და ბავშვის მაღალპროფესიულ მომსახურებაზე.

ასეთ კლინიკათა რიცხვს მიეკუთვნება სამშობიარო სახლი „ჰერა“. მიუხედავად იმისა, რომ კლინიკა მხოლოდ ერთი წელია ფუნქციონირებს, მან უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი. იგი პრესტიჟულ და სანდო სამედიცინო დაწესებულებად იქცა. ეს შემთხვევითი სულაც არ გახლავთ. სამშობიარო სახლის დამფუძნებლებმა ხომ თავიდანვე მიზნად სწორედ მაღალი პროფესიონალიზმისა და კომფორტის შერწყმა დაისახეს (სამეანო განყოფილებას ხელმძღვანელობს დოცენტი სოსო ლოლობერიძე).

„ჰერა“ მრავალპროფილიანი კლინიკის ბაზაზე ფუნქციონირებს (ვაკის ლეჩკომბინატი), რაც საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი სახის გამოკვლევის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

სამშობიარო სახლში ფუნქციონირებს ქალთა კონსულტაცია, რომლის ხელმძღვანელია აკადემიკოსი ავთანდილ ჩხეიძე. აქ წარმატებით მიმდინარეობს ფიზიოლოგიური ორსულობის კონტროლი, ასევე პათოლოგიური ორსულობის (მაგ. ჰესტოზები-ორსულთა ტოქსიკოზი) მართვა. კონსულტაციის ხელმძღვანელობას მჭიდრო კონტაქტები (არა მხოლოდ პროფესიული) აქვს საზღვარგარეთის წამყვან სპეციალისტებთან. განყოფილება წარმატებით მუშაობს ქალთა უშვილობის პრობლემის დასაძლევად, საშვილოსნოს შიდა ინფექციების (ციტომეგალოვირუსი, ქლამიდია, ტოქსოპლაზმოზი), ახალშობილთა სხვადასხვა პათოლოგიის მკურნალობაზე. საჭიროების შემთხვევაში ნაყოფის შესანარჩუნებლად ტარდება მაღალკვალიფიციური მკურნალობა. ფუნქციონირებს ანესთეზიოლოგიური (გამგე ირაკლი ღელაღუტაშვილი) და ნეონატოლოგიური (ახალშობილთა) განყოფილებები (გამგე გელა მეცხვარიშვილი).

კლინიკაში ფართოდ დანერგილია გაუტკივარების ყველა თანამედროვე მეთოდი. ესენია: რეგიონალური ანესთეზია (ეპიდრული, კაუდალური, სპინალური), ინჰალაციური, მედიკამენტური, ელ-ანალგეზია. გაუტკივარების ეს მეთოდები მშობიარობისთვის დამახასიათებელი ტკივილის მთლიანად მოხსნის საშუალებას იძლევა და ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მედიცინაში, უსაფრთხოა როგორც დედისთვის, ასევე ნაყოფისთვის.

კლინიკაში დანერგილია კარდიოტოგოგრაფიული გამოკვლევა (მეანგინეკოლოგი ა. გოგოლაური), რომელიც ნაყოფის გულისცემის სიხშირის და საშვილოსნოს შეკუმშვათა სიხშირის შორის თანაფარდობას აღრიცხავს. ის აკონტროლებს ნაყოფის ზოგად მდგომარეობას ჯერ კიდევ მუცლადყოფნის დროს — ხომ არ არის ჰიპოქსია (ჟანგბადის ნაკლებობა) ან მოსალოდნელი ნაადრევი მშობიარობა. ყველა მშობიარობა მისი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს.

კლინიკაში ყოველგვარი პირობაა შექმნილი რეზუსუარყოფითიანი ქალების მომსახურებისთვისაც. კლინიკის კონსულტანტია პროფ. ა. კვეზერელი-კოპაძე. ორსულობის დროს აუცილებელია ასეთი ქალების მდგომარეობის შესწავლა, ზოგჯერ მკურნალობა. ეს მნიშვნელოვანია მშობიარობის ნორმალური მიმდინარეობისა და მომავალი ბავშვის ჯანმრთელობისათვის. კლინიკაში მუშაობს მაღალკვალიფიციური ჰემატოლოგი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ურთულესი პროცედურის — ნაყოფის სისხლის შენაცვლებითი ოპერაციის (3-4-საათიანი) ჩატარება, რომლის აუცილებლობა ძირითადად მკურნალობისა და კონტროლის გარეშე დარჩენილი რეზუსუარყოფითიანი ქალის ორსულობას სდევს თან.

ახალშობილი დაბადებისთანავე დედასთან რჩება. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოცდილ მეთოდს — კანი-კანთან. ეს აუცილებელია იმ ურთიერთობის გასაგრძელებლად, რაც ორსულობის დროს დაიწყო, კარგია ლაქტაციის (რძის წარმოქმნა) გასაძლიერებლად. ახალშობილი გრძნობს დედის სიახლოვეს, ცნობს მის ხმას და აქედან გამომდინარე, ბავშვის ფსიქიკა ზედმეტად აღარ იტვირთება. იგი მშვიდი და კმაყოფილია. ძუძუსაც თავისუფალი რეჟიმით წოვს, ანუ ჭამს მაშინ, როცა შია.

სამშობიარო სახლ „ჰერაში“ მაქსიმალური კომფორტია შექმნილი მელოგინე ქალისა და ახალშობილისათვის. აქ ფუნქციონირებს ინდივიდუალური პალატები მუდმივი დენით, გათბობით, სველი წერტილით, ტელევიზორით, საკუთარი ტელეფონით. მაღალკვალიფიციური კვება საგანგებოდ არის შერჩეული მელოგინეებისათვის. აღსანიშნავია მომუშავე პერსონალის გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულებაც.

კლინიკაში ცალკე ფუნქციონირებს ორსულთა პათოლოგიის პალატა.

კლინიკის პერსონალი მშობიარობის შემდეგაც (40 დღე) აგრძელებს მელოგინე ქალისა და ახალშობილის პატრონაჟს. კლინიკაში ყველა მოხმარების საგანი, სამედიცინო ინსტრუმენტები ერთჯერადია, სამედიცინო ტექნიკა და მედიკამენტური უზრუნველყოფა საზღვარგარეთული, ავტორიტეტული ფირმების საშუალებით ხდება.

სამშობიარო სახლ „ჰერაში“ ყოველი ქალი, ყოველი მშობიარე განსაკუთრებულია, აქ მათ მიმართ მკვეთრად ინდივიდუალური მიდგომაა. ამას ემატება პერსონალის მაღალკვალიფიციური დონე. ასე რომ, ენდეთ სამშობიარო სახლ „ჰერას“. ის თქვენი და თქვენი შვილების ჯანმრთელი მომავლის გარანტიაა.

***მისამართი: ჭავჭავაძის №5 (ყოფილი ვაკის ლეჩკომბინატი). ტელ. 23-21-63; 22-16-18***

R

# ნაცყოალყოი აიომაცეჭიჲ ჲიკეთე



გახდომას ხელს უწყობს გრეიპფრუტის, შავი პილპილის და ზოგიერთი სხვა მცენარის სურნელიო, — დაასკვნეს იაპონელმა პარფიუმერებმა. მათ შეძლეს დაედგინათ პირდაპირი კავშირი ამ არომატებსა და ადამიანის ორგანიზმის მიერ გამომუშავებულ ცილებს შორის.

ცდების დროს სპეციალისტებმა შეიმუშავეს სურნელოვანი შემადგენლობა, რომელსაც შეიცავს კოფეინიც (ხელს უწყობს ცხიმის დაშლას).

ამ ლოსიონს კანზე ისვამდა 20 მანდილოსანი. ერთი თვის შემდეგ 16-მა წონაში საგრძნობლად დაიკლო — ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ყველა პაციენტი ცხოვრების ჩვეული რიტმით ცხოვრობდა, არ ვარჯიშობდა.

***დენგი №4***


**სიახლე ენდოქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრში**

**კენჭების დაშლა**

**ყველაზე მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებით**

**ნაღვლის ბუშტის, თირკმლის, შარდსაწვეთის, შარდის ბუშტის მცირე და დიდი ზომის კენჭების დაშლა ქირურგიული კვეთისა და ტკივილის გარეშე.**

**ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრი**

**მის: ვაჟა-ფშაველას 29, რესპუბლიკური საავადმყოფოს VII სართ.**
☎ **39-52-05 პროფესორი თემურ ტაბუცაძე**



**MEDI მედი**

**უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით**
ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება

**ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია**

**კონტურული მაკიაჟი**
თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე

**ალ. ყაზბეგის გამზ. №1 25-02-02 37-88-02**

## ნიუ-იორკელი რაინდი



ნიუ-იორკის ყოფილი მერის მრავალრიცხოვან ტიტულს კიდევ ერთი, მეტად პრესტიჟული წოდება დაემატა — ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ რუდოლფ ჯულიანის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ გაწეული ღვაწლისთვის რაინდობა უბოძა. ჯულიანიმ განაცხადა, რომ აპირებს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას.

მას ამჟამად მოქმედ პრეზიდენტთან მოუწევს მეტოქეობა. როგორც ბუშის, ასევე ჯულიანის პოლიტიკურ პერსპექტივებზე 11 სექტემბრის მოვლენებმა დიდი გავლენა იქონია. ტერორისტთა წინააღმდეგ განხორციელებულმა ოპერაციამ ბუშს ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ძლიერი ლიდერის ადგილი დაუმკვიდრა შეიძლება ითქვას, რომ მას დღეს რეალური მეტოქე არა ჰყავს.

არცთუ დიდი ხნის წინ ნიუ-იორკის მერის კარიერა თითქმის დამთავრებული იყო. თავის დროზე, ჯანმრთელობის გაუარესების მომიზეზებით ჯულიანიმ უარი თქვა ნიუ-იორკის შტატის სენატორის არჩევნებში ჰილარი კლინტონთან მეტოქეობაზე. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჯულიანი, რომელიც დღესა და ღამეს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ნანგრევებზე ატარებდა, ჯანმრთელობას არ უჩიოდა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ამერიკის ყველაზე ლიბერალურ ქალაქში კონსერვატორი მერი ჰილარისთან შედარებით ნაკლებპოპულარული იყო და მისი მეტოქეობა ვერ გაბედა. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. გამოკითხვის თანახმად, ჯულიანი ბუშზე პოპულარულიც კი გახდა. მომავალ არჩევნებში გაირკვევა, ვინ უფრო დიდი პოლიტიკური კაპიტალი დააგროვა ტერორისტული აქტის შედეგად.

*იტოგი №7*

## ბაჰრეინში მონარქია კონსტიტუციური გახდა

ბაჰრეინის ამირამ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური წყობა — კონსტიტუციური მონარქია გამოაცხადა. ამირა ჰამად ბინ ისა ალ ხალიფა ტახტზე 1999 წელს ავიდა. მან პირველ რიგში 1975 წელს დათხოვნილი პარლამენტი აღადგინა და ქვეყნის კონსტიტუციაში რიგი შესწორებები შეიტანა, რომლებიც ეხებოდა ბაჰრეინში კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას მეფის ოჯახის თავკაცობით. შარშან ბაჰრეინელებმა სახალხო რეფერენდუმზე მხარი დაუჭირეს ცვლილებებს, რომლებმაც კონსერვატორული ქვეყანა დემოკრატიული რეფორმების გზაზე დააყენა.

ბაჰრეინის ყოფილმა აბსოლუტურმა მონარქმა მეფის ტიტული მიიღო. ქვეყნის პარლამენტი ორპალატიანი იქნება: ერთი პალატის წევრებს ხალხი აირჩევს, მეორეს კი — შურა (მუსლიმანური საბჭო).

ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცევა ისიც, რომ ხმის უფლება არა მარტო 21 წელს გადაცილებულ მამაკაცებს ექნებათ, არამედ ქალებსაც. ხმის უფლების გარეშე ბაჰრეინში მხოლოდ კანონის წინაშე დამნაშავე მოქალაქეები დარჩნენ.

კონსტიტუციური მონარქიის შემოღებით მეფემ არა მარტო დემოკრატიული რეფორმების გზაზე დააყენა ქვეყანა, არამედ სხვა მნიშვნელოვანი პრობლემაც გადაჭრა. კერძოდ, ნაწილობრივ მოაწესრიგა სუნიტური უმცირესობის (მმართველი დინასტია) ურთიერთობა შიიტურ უმრავლესობასთან.

*კომერსანტი №29*

## იაპონია ჩრდილოეთ კორეას გამოექომაგა

იაპონიაში მყოფმა ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ დასაშვებად მიაჩნია მოქმედების ნებისმიერი ვარიანტი იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც მან „ბოროტების ღერძს“ მიაკუთვნა. იაპონიის პრემიერ ძიუნიტირო კოიძუმისთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ბუშმა ისიც თქვა, აშშ-ის წინაშე მდგარ საფრთხეთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ტერორისტების კავშირი ქვეყნებთან, რომლებსაც აქვთ ან ახლა ქმნიან მასობრივი განადგურების იარაღსო.

შეკითხვაზე — დაუჭერს თუ არა იაპონია მხარს აშშ-ის ძალოვან აქციას ერაყის წინააღმდეგ, პრემიერმა კოიძუმიმ ორჭოფული პასუხი გასცა. რაც შეეხება ანალოგიურ მოქმედებას იაპონიის უახლოესი მეზობლის ჩრდილოეთ კორეის მიმართ, იაპონიაში ჯორჯ ბუშის ვიზიტის წინ ამომავალი მზის ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა გარკვევით თქვა, — ჩრდილოეთ კორეას ირანისა და ერაყის გვერდით ვერ დავაყენებთ, რადგან ფჰენიანს კავშირი არა აქვს „ალ-ქაიდასა“ და თალიბებთანო.

*იზვესტია №28*

## არმიის გადასარჩენად

ჩაძირული წყალქვეშა ნავები, გახშირებული დეზერტირობა, უსახსრობა, კორუფცია, ძალადობა, ეპიდემიები — ეს იმ ჯარში ხდება, ერთ დროს ძლევამოსილი წითელი არმია რომ ერქვა. ოდესღაც ყოვლისშემძლე რუს გენერლებს დღემდე სჯერათ, რომ რუსულ არმიაში ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ასე არ არის. არმია მძიმე სენით არის დაავადებული და სასწრაფო რეფორმებს საჭიროებს. ბოლო ათწლეულია, რუსეთის ლიდერები საარმიო რეფორმებზე ლაპარაკობენ და 3-მილიონიანი არმიის შემცირებას აპირებენ. როგორც ჩანს, ვლადიმირ პუტინმა ამ საკითხს სერიოზულად მოჰკიდა ხელი და ეს არც არის გასაკვირი. მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების არმიამ ელვისებური კონტრტერორისტული ოპერაცია განახორციელა ავღანეთში, რუსეთში ნათლად დაინახეს, რომ მათი არმია ტექნიკურადაც და მორალურადაც მოძველებულია.



უმთავრესი პრობლემა მაინც განუკითხაობა და კორუფციაა. ამასთან რუსეთის არმიის მოწყობის პრინციპი გადმობრუნებულ პირამიდას ჰგავს, სადაც პოლკოვნიკთა რიცხვი ლეიტენანტებისას ბევრად აღემატება, ხოლო ყოველ ათ ჯარისკაცზე ხუთი ოფიცერი მოდის. კორუფციას კი მართლაც არნახული მასშტაბები აქვს. ოფიცრები ჯარისკაცებს აიძულებენ, შინიდან ფული მოიტანონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ ჯარისკაცებს დეზერტირებად აცხადებენ და მათ დისციპლინარული ბატალიონი ელის. არანაკლებ შემაშფოთებელია ჯარისკაცთა ყოფითი პირობები. გახშირდა ტუბერკულიოზით დაავადება, ბევრი დემობილიზებული შინ დაინვალიდებული ბრუნდება. ეს მხოლოდ ავადმყოფობის ან საკვების უკმარისობის ბრალი არ არის. რუსეთის არმიაში ხშირია ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის ფაქტები. რუსული არმია თითქმის სრულიად დემორალიზებულია და მას სასწრაფო და რადიკალური რეფორმები თუ იხსნის. უნდათ თუ არა ეს გენერლებს — ცვლილებები გარდაუვალი ხდება. სულ მალე პუტინს მოუწევს უკიდურესი ნაბიჯების გადადგმა არა მხოლოდ არმიის, არამედ კორუფციით გაჟღენთილი მთელი ძალოვანი სისტემის გასაჯანსაღებლად. ეს საჭიროა ქვეყნის გადასარჩენად.

*ნიუ ზუიქი*

## შვედეთი ნეიტრალიტეტს ემშვიდობება

მალე ევროპაში მხოლოდ ორი ქვეყანა დარჩება, რომლებიც განზე დგანან ნატოსგან — შვედეთი და ბელორუსია, — კარგა ხნის წინ განაცხადა შვედეთის სახალხო-ბურჟუაზიული პარტიის ლიდერმა ლარს ლეიონბორგმა. იგი ყოველთვის მომხრე იყო ჩრდილოეთ ატლანტიკურ



ალიანსში შესვლისა. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლუკაშენკო მარტო რჩება, შვედეთმა უარი თქვა ნეიტრალიტეტზე, რომელსაც მთელი გასული საუკუნის მანძილზე უჭერდა მხარს. ამ პოლიტიკამ შვედეთს იმის საშუალება მისცა, რომ ორი მსოფლიო ომიდან განზე დარჩენილიყო.

ნეიტრალიტეტს სტოკჰოლმი ნელ-ნელა კარგავს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შვედეთს უკვე აღარ სჭირდება იმის ხაზგასმა, რომ არანაირ ალიანსში არ სურს შესვლა. ადრე მიღებულ დოქტრინაში ნათქვამი იყო, რომ შვედეთი მშვიდობიან დროს არავისთან გაერთიანდება. იმ შემთხვევაში კი, თუ ომი მის საზღვრებთან ახლოს დაიწყებოდა, ნეიტრალიტეტს დაიცავდა.

ამჟამად კი სიტუაცია შეიცვალა. შვედები აცხადებენ — ჩვენს უსაფრთხოებას უკეთ დავიცავთ, თუ სხვა სახელმწიფოებთან ვიქონიებთ კავშირსო. კონკრეტული მოკავშირეები არ დაუსახელებიათ, მაგრამ ცხადია, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს გულისხმობენ.

მართლდება ექსპერტების ნაწინასწარმეტყველები — ევროკავშირი დროთა განმავლობაში იქცევა სუპერსახელმწიფოდ, რომლის წევრები საერთო სამხედრო ვალდებულებებს იკისრებენო. ახალი დოქტრინის მიღებას წინ უძღოდა საზოგადოებრივი აზრის გეგმაზომიერი დამუშავება. შვედებს არწმუნებენ, რომ ნეიტრალიტეტი სახიფათო და არახელსაყრელია. ფაქტობრივად, შვედეთი „ცივი ომის“ წლებში ნეიტრალური მხოლოდ ქაღალდზე იყო. მოსკოვთან კონფლიქტის შემთხვევაში ქვეყნის აეროდრომებს ამზადებენ ამერიკული ბომბდამშენების მისაღებად. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირიც ემზადებოდა შვედეთზე თავდასასხმელად, რათა ეს ქვეყანა ამერიკელთა პლაცდარმად არ ქცეულიყო.

ანალიტიკოსების ვარაუდით, ნოემბერში შვედეთი საბოლოოდ აირჩევს ნატოს. ალიანსში მიიღებენ ბალტიის ქვეყნებს და სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია რეგიონში კარდინალურად შეიცვლება. მეზობელ ფინეთშიც ძლიერდება ნატოს მომხრეთა აქტიურობა.

*ნოვიე იზვესტია №26*

## ახალი იერუსალიმი

ეთიოპიის ხსენებისას თვალწინ სისხლისმღვრელი ომები, სრული განუკითხაობა, სამოქალაქო დაპირისპირება და მძვინვარე დიქტატორები წარმოგვიდგება. მაგრამ აქ მოგზაურობისას, მოულოდნელად აღმოაჩენთ, რომ შეიძლება გახდეთ ადრექრისტიანული წმინდა მიწის მხილველი. პატარა ქალაქ ლალიბელაში ყოველწლიურად ასობით პილიგრიმი და ტურისტი იკრიბება, რათა ნათლისღება იზეიმოს. გადმოცემით, მე-12 საუკუნეში მეფე ლალიბელამ გადაწყვიტა, აეშენებინა „ახალი იერუსალიმი“, რათა თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომები შორეული და სახიფათო მოგზაურობებისგან დაეცვა.



ეს “ახალი იერუსალიმი, მართლაც გასაოცარია. აქ არის ქვაში ნაკვეთი 11 უმშვენიერესი ეკლესია, რომლებიც ერთმანეთს საიდუმლო გვირაბებით უკავშირდებიან. გარშემო კი, სენაკებში ბერები განმარტოებით ლოცულობენ. ქალაქში ყოფნისას გაჩვენებენ გოლგოთას, მდინარე იორდანეს, ქრისტეს საფლავს. მლოცველთა გარემოცვაში მოხვედრილ ადამიანს თავი ქრისტიანობის დამკვიდრების პირველ პერიოდში ჰგონია. ამბობენ, რომ შეიძლება წაიკითხო ბევრი ისტორიული წიგნი, მაგრამ ვერ შეიგრძნო საუკუნეების წინანდელ სიძველეთა მშვენიერება. ლალიბელაში კი, მოულოდნელად იპოვი სულიერ სიმშვიდეს და რწმენას.

*შტერნი*

## მოკლედ

**ლონდონის** აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს ოქროს საათი, რომელიც „ტიტანიკის“ მგზავრს ეკუთვნოდა. საათი სწორედ იმ დროს გაჩერდა, როცა „ტიტანიკი“ ჩრდილოეთ ატლანტიკის წყლებში აისბერგს შეეჯახა.

**პალესტინის** ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ დააპატიმრა ისრაელის ტურიზმის მინისტრის რაჰავამ ზეევის მკვლელი. ისრაელის განცხადებით, მკვლელის დაპატიმრება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ისრაელმა შეწყვიტოს იასირ არაფატის შტაბბინის ბლოკირება.

**ჩეხეთის** პრემიერი მილოშ ზემანი, როგორც ჩანს, პერსონა ნონ გრატა ხდება არსებულ სამყაროში. ეგვიპტის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მისი ვიზიტი კაიროში გადაიდო, მიზეზი კი ის გახდა, რომ ისრაელის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში პრემიერმა ზემანმა არაფატი ჰიტლერს შეადარა.

**აშშ**-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უარს ამბობენ ვალდებულებაზე, რომლის თანახმად, 24 წლის მანძილზე არ შეეძლოთ გამოეყენებინათ ბირთვული იარაღი იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებსაც იგი არ გააჩნიათ.

## შეიქმნა ახალი ანტანტა

დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ და ესპანეთმა ახალი არაფორმალური ალიანსი შექმნეს. რომში ყოფნისას ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, — ალიანსის მიზანია ევროპული კავშირის ეკონომიკური ლიბერალიზაციისათვის ბრძოლაო. სამთა კავშირი ანუ როგორც მას შეარქვეს, ახალი ანტანტა, ევროკავშირის ტრადიციულად წამყვანი ღერძის — პარიზი-ბერლინის წინააღმდეგაც გაილაშქრებს. 1950 წლიდან მოყოლებული, როცა საფუძველი ჩაეყარა ევროპულ ეკონომიკურ თანამშრომლობას, სწორედ საფრანგეთი და დასავლეთი გერმანია განსაზღვრავდნენ საერთო ევროპულ ძირითად მიმართულებას. მაგრამ ევროკავშირის სხვა დიდ სახელმწიფოებს მობეზრდათ პარიზი-ბერლინის პირველობა და სახალხოდ გამოაცხადეს, — ყველანაირად ვიბრძოლებთ მათი ჰეგემონიის წინააღმდეგო. ახალი ანტანტა ევროკავშირის მთავრობის მეთაურთა მომავალ სამიტზე აუცილებლად განიხილავს ევროპული ეკონომიკის რადიკალური ლიბერალიზაციის საკითხებს.

რომში, მადრიდსა და ლონდონში ხელისუფლების სათავეში დგანან მემარჯვენე ცენტრისტები (იმის მიუხედავად, რომ ბატონი ბლერი ტრადიციულად თავის თავს ლეიბორისტს უწოდებს), რომლებსაც მსგავსი შეხედულება აქვთ ეკონომიკურსა და სოციალურ პრობლემებზე. მათი აზრი კი კარდინალურად განსხვავდება საფრანგეთისა და გერმანიის ხელისუფალთა აზრისგან.

*კომერსანტი №27*

## ახალი ლიდერის ძიებაში?

აშშ-ის ოფიციალურ წრეებს ჰგონიათ, რომ შეძლეს „ალ-ქაიდას“ ხელმძღვანელთა განადგურება იმ სპეცოპერაციის შედეგად, რომელიც ცსს-ს მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელდა. ავღანეთის აღმოსავლეთ საზღვართან, პაკისტანის სიახლოვეს, მთებში, თანამგზავრმა ადამიანთა მცირე ჯგუფი დააფიქსირა. მათ არაბული სამოსი ემოსათ და ერთი მათგანი სხვებზე ბევრად მაღალი იყო. რამდენიმე წუთში ათამდე რაკეტამ იქაურობა ცეცხლის ალში გახვია. თავდაპირველად ამერიკელები იმედოვნებდნენ, რომ „მაღალი კაცი“ ბინ ლადენი ან ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ეგვიპტელი აუმან ალ-ზავაჰირი იქნებოდა. ექსპერტიზის დასკვნებმა ეს ვარაუდი გააქარწყლა. ამავდროულად, გრძელდება „ალ-ქაიდას“ სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ფილიალების მოძიება.



თეთრი სახლი ამზადებს თავდასხმას ინდონეზიაში განლაგებულ ტერორისტთა ბანაკ „მოჯაჰედინზეც“. მათი ლიდერი პარლინდუნგთან სირეგარი სასწაულებრივ დაუძვრა ხელიდან ინდონეზიის პოლიციას და კუნძულ სულავერსზე (სადაც „მოჯაჰედინი“ მდებარეობს), უსიერ ტყეებში იმალება. ამავე დროს, თეთრმა სახლმა შეიტყო, რომ „ალ-ქაიდა“ ახალ ლიდერს ეძებს. სავარაუდოდ, ის შეიძლება იყოს „ეგვიპტური ფილიალის“ თავკაცი საიფ ალ-ადილი. საინტერესოა, რომ შარშან, ბუშის ადმინისტრაციამ ზარ-ზეიმით გამოაცხადა, ალ-ადილი სპეცოპერაციის შედეგად გავანადგურეთო. ის კი დღესაც ცოცხალია.

*ნოვაია გაზეტა №7*

## ნატო ეძებს თავისივე საიდუმლო საბუთებს

ნატოში დიდი სკანდალია — სამხედროებმა არ იციან, ვის ჩაუვარდა ხელში კომპიუტერი შიგ ჩარჩენილი საიდუმლო ინფორმაციით — 1999 წელს ნატოს მიერ იუგოსლავიის წინააღმდეგ წარმოებულ ომთან დაკავშირებით. ევროპული სარდლობის წარმომადგენლებმა შტუტგარტში სასწრაფოდ დაიწყეს სამსახურებრივი მოკვლევა. სამხედროები მოსახლეობას სთხოვენ დისკის დაბრუნებას. გერმანულ პრესაში უკვე გაჩნდა ინფორმაცია საიდუმლო მასალების თაობაზე. ამბობენ, დისკზეა იუგოსლავიის ტერიტორიების ფოტოები, ობიექტების სიები, აგრეთვე ცნობა იმის თაობაზე, რომ დარტყმა ოპერაციის დაწყებამდე ერთი წლით ადრე იგეგმებოდაო. ითქვა, თითქოს დისკი შეიცავს ცნობებს ნატოს ჯარების მიერ ურანის შემცველი ნაღმების გამოყენების თაობაზე. შესაძლოა მათ იყენებდნენ კოსოვოს იმ რაიონებშიც, რომლებიც ადრე „დაუბინძურებლად“ ანუ რადიოაქტიური ნარჩენების ზონის გარეთ იყო მიჩნეული. კიდევ რა ცნობებს ინახავს ნატოს დისკი, ჯერჯერობით უცნობია. როგორც გაირკვა, ნატოს წარმომადგენლებმა გაყიდეს მოძველებული კომპიუტერები. სწორედ ერთ-ერთში, რომელიც 38 დოლარად გაიყიდა, იდო საიდუმლო მასალებიანი დისკი.

*ვლასტი №7*



## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია

*ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.*

*მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.*

*ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...*

## ვაშლი და ქიმიის პარადოქსები

ერთ-ერთ სამარშრუტო ტაქსიში მძღოლთან ერთად აღმოვჩნდი. ახალგაზრდა კაცი ენაწყლიანი გამოდგა. ნელ-ნელა შევყევით საუბარს — მსიამოვნებდა სალი ზემოიმერული კილო და იუმორი. ამასობაში, ბოლო გაჩერებამდე მივედით — ახლობელივით მთხოვა — იჯექი, შენნაირ კაცთან ლაპარაკს რა სჯობია, ცოტა გავხალისდები, ეს მანქანა ჩემია და აქედან ვერავინ გაგვაგდებსო... მესიამოვნა ახალგაზრდა კაცი რალაც ქონების მფლობელი რომ იყო — მართალია სამარშრუტო ტაქსიდან ამოღებული შემოსავალი თავზე არავის გადაუვა, მაგრამ ოჯახს როგორღაც შეინახავს კაცი... ვკითხე — ისეთი მკვეთრი იმერული კილო გაქვს, თბილისში დიდი ხნის ჩამოსული არ უნდა იყო და ეს მანქანა როგორ შეიძინე-მეთქი?.. გაეცინა — ჩემი თავგადასავალი წვეთი წყალივით ჰგავს რაიონიდან გაჭირვების გამო ჩამოსული ხალხისას, უბრალოდ, მე იღბალი და ქიმია დამეხმარაო...

დიდი ხნის მანძილზე იმერეთში კაპიკი რომ ვერ ვიშოვე, სხვებივით მეც თბილისს ჩამოვაკითხე და სამუშაოსთვის ელიავას ბაზრობის ბირჟაზე დავდექი... ერთი-ორჯერ ბედმა გამიღიმა, მესაფლავეებმა საფლავის გასათხრელად წამიყვანეს (თურმე ისინიც ქირაობენ მუშებს), ერთი დღე მამუშავეს და 10 ლარი მომცეს... ეს იყო და ეს. მერე ბირჟაზე ტყუილად ვიდექი — იქ მკაცრი კონკურენციაა, ძველ მუშებს უკვე თავის ჯგუფები აქვთ შექმნილი და ახლებს ძნელად ითვისებენ.

ვიფიქრე, აქ რას ვდგავარ, წავალ ისევ სასაფლაოზე, იქნებ ბედმა გამიღიმოს-მეთქი... იქ დიდხანს ვიბოდიალე, მაგრამ სამუშაოს ნაცვლად, საფლავზე მჯდომ ახალგაზრდა კაცს წავაწყდი — დამიძახა, მოდი, ჭიქა მომიჭახუნეო... გამომკითხა, ვინ ხარ, რას აკეთებო. შევეცოდე და კერძო მშენებლობაზე წამიყვანა. ერთ მუშასთან ერთად ვმუშაობდი. საქმეს 2 კვირაში მოვრჩი, ნაკეთები მოეწონათ და 2000 ლარი მომცეს. გახარებული დავბრუნდი სოფელში, მაგრამ მალე მივხვდი, ამ ფულიდან ცოტა ხანში გროშიც აღარ დამრჩებოდა, თან უსაქმურობისგან გაგიჟებაც დავიწყე, მხოლოდ წიგნებით ვერთობოდი. ერთხელ წიგნების ქექვაში „ქიმიის პარადოქსები“ აღმოვაჩინე და კითხვა დავიწყე... ვაშლის შენახვის წესი რომ ჩავიკითხე, გონება გამინათდა, წარმოიდგინეთ, იმ წუთში მივხვდი, რაც უნდა გამეკეთებინა — წავედი, ერთი მანქანა კეხურა ვაშლი ძალზე იაფად ვიყიდე და სოფელში ჩამოვიტანე. მერე, როგორც წიგნში წერია, ჭურში ჩავაწყვე, პირთამდე მოვყარე და თავი დავახურე. მარტის ბოლოს ჩამოვიტანე თბილისში, რაც თავის დროზე მივეცი, 5-ჯერ იმაზე ძვირად გავყიდე და 9000 ლარიც ვიშოვე... ა, ბატონო იმ ფულით არის ნაყიდი ეს მანქანა, ცოტა შეკეთება კი დასჭირდა, მაგრამ არ წამიგია, ახლა დღეში 20-25 ლარს ვშოულობ. ცოტ-ცოტას კიდეც ვინახავ და მშობლებსაც ვეხმარები... ეს ამბავი რომ ჩემმა ქიმიის მასწავლებელმა გაიგოს, მაშინვე მეტყვის: ხომ გეუბნებოდი, ქიმია ისწავლე, ცხოვრებაში გამოგადგებაო... ისე ძმაო, მართლა მივხვდი, სწავლა რომ მართლა აუცილებელი ყოფილაო — მითხრა ახალგაზრდა კაცმა. ამასობაში მანქანა მგზავრებით აივსო და ჩვენც წამოვედით.

## მომავლის საწვავი

**შავი ზღვის ფსკერზე დაცულია ბუნებრივი გაზის გიგანტური მარაგი, რომელიც დაახლოებით 64 ათასი წლის მანძილზე ეყოფა კაცობრიობას.**



1927 წელს, ყირიმის საყოველთაოდ ცნობილი მიწისძვრის შედეგად, გასაოცარ და იდუმალ მოვლენას ჰქონდა ადგილი — ცეცხლი მოედო ზღვას. უკანასკნელი 100 წლის მანძილზე, თითქოს შავი ზღვა მთელი სიგრძე-სიგანით შეისწავლეს. მაგრამ იგი კვლავ ბევრ საიდუმლოს ინახავს თავის სიღრმეებში. მათ შორის ყველაზე საინტერესოა — ე.წ. გაზის ჰიდრატები, რომელიც ბუნებრივი გაზის მყარ კონდენსატს წარმოადგენს. ეს სუბსტანცია სტაბილურია მხოლოდ დაბალი ტემპერატურის პირობებში, 40 ატმოსფეროზე მეტი წნევის დროს. ზედაპირზე ამოტანისას მყარი კონდენსატი სწრაფად დნება, ამასთან ხდება მეთანის აალება. ის, ვინც შეძლებს გაზის ამოღებას ზღვის ფსკერიდან, მიიღებს თითქმის ამოუწურავ ენერგიის წყაროს — მომავლის ეს საწვავი ხომ 64 ათასი წლის მანძილზეა საკმარისი. გასაკვირი არ არის, რომ პრობლემით დაინტერესებულია არა მხოლოდ შავი ზღვისპირა ქვეყნები, არამედ გერმანია, საფრანგეთი და საბერძნეთი. იანვრის დასაწყისში შავ ზღვაზე საკვლევი გემით — „მეტეორი“ — გაემგზავრა ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპეციალისტები გერმანიიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. ექსპედიციის დაფინანსება გერმანიის მხარემ იკისრა. გასავლის საერთო რაოდენობას არ ახმაურებენ, მაგრამ ცნობილია, რომ „მეტეორის“ ერთი დღის მუშაობა გერმანიის ბიუჯეტს 33 ათასი ევრო უჯდება.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მეთანის ძირითადი მარაგი აღმოჩენილია შავი ზღვის უკრაინულ, რუმინულ, ბულგარულ, რუსულ და ქართულ ზონებში. გათვლებმა აჩვენა, რომ ამ ადგილებში გაზის ხარჯვა საკმაოდ დიდია. მაგ. საქართველოს სანაპიროზე ზღვის ფსკერის ერთ კვადრატულ მეტრზე დღე-ღამეში 170 ათასი კუბ. მ. გაზი გამოიყოფა. მეთანი ზოგიერთ ადგილას თითქმის ორ კილომეტრზეა გადაჭიმული, გაზის ჰიდრატები კი 6 მ-ის ფენებად ძევს. გაზის ნაწილი, როგორც თანამედროვე კვლევამ აჩვენა, ამოდის ზღვის ზედაპირზე და ატმოსფეროში აღწევს. მკვლევარები აპირებენ, გაზის გამოყოფის აქტიური რაიონები შავი ზღვის რუკებზე დაიტანონ. იმედია, მეცნიერები მიაგნებენ ამ ბუნებრივი სიმდიდრის უხიფათოდ მოპოვების გზებს.

*იტოგი №7*

## ამერიკელებს ნებაყოფლობით სთხოვენ ჩრდილიდან გამოსვლას

აშშ-ის საგადასახადო უწყებამ საჩუქარი უძღვნა კომპანიებს — გამოაცხადა საგადასახადო ამნისტია. ის კომპანიები, რომლებიც აპრილის დამლევამდე გაამხელენ, თუ რა სქემას იყენებდნენ გადასახადისგან თავის ასარიდებლად, არ დაისჯებიან.

ჯერ კიდევ 2000 წლის თებერვალში, ფინანსთა მაშინდელმა მინისტრმა ლოურენს სამერსმა საგანგებო განცხადება გააკეთა უკანონო საგადასახადო სქემების თაობაზე. „ეს სქემები საფრთხეს უქმნის მთელ ჩვენს საგადასახადო სისტემას, სახელმწიფო კი დაახლოებით 10 მლრდ დოლარით ზარალობს.“

ამერიკის კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება ფირმამ ისე დაგეგმოს თავისი საქმიანობა, რომ ბიუჯეტში შესატანი თანხა ნაკლები იყოს, მაგრამ გადასახადისაგან თავის არიდება აკრძალულია. კანონიერ და უკანონო საგადასახადო სქემებს შემდეგნაირად ასხვავებენ: თუ კორპორაციას სურს ვინმესთან დადოს ბიზნესის საწარმოებლად საჭირო გარიგება, მას უფლება აქვს, გაითვალისწინოს არა მარტო გარიგებით მიღებული შემოსავალი, არამედ ეკონომიაც გასწიოს გადასახადების შემცირების გზით. ეს კანონიერია, მაგრამ თუ კორპორაცია დებს გარიგებას, რომელიც ბიზნესის საწარმოებლად აშკარად არ სჭირდება და ამას მხოლოდ გადასახადების შესამცირებლად აკეთებს, უკანონობაა.

აშშ-ის საგადასახადო უწყების მონაცემებით, ამ სქემების წყალობით მსხვილმა კორპორაციებმა შარშანწინ 14,7 მლრდ-ით ნაკლები გადაიხადეს, შარშან კი ამ ციფრმა 16,2 მლრდ-ს მიაღწია.

*კომერსანტი №27*

## რუსეთი, ოპეკ-ი და ნავთობის ფასი

რუსეთის მთავრობამ და უმსხვილესმა ნავთობკომპანიებმა არ მიიღეს გადაწყვეტილება 2002 წლის კვარტალში ნავთობის შემცირებული ექსპორტის რეჟიმის გაგრძელების თაობაზე. ამას მოჰყვა ნავთობის ფასის 2,5-3%-ით შემცირება. ნიუ-იორკის ბირჟაზე ნავთობის ფასი 63 ცენტით გაიაფდა. ბარელის ფასი 20,25 დოლარი გახდა.



## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### მემკვიდრეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები...

**— ორ უცხოეთში გათხოვილ შვილთაგან ერთს ვაჩუქე ოთხოთახიანი ბინა, მეორეს, მის სახელზე ავუშენე დიდი სამხატვრო სახლი. მათ დაივიწყეს სამშობლო და მშობლები, რისთვისაც უნდა გავაუქმო ნაჩუქრობა, გადმოვიფორმო სამხატვრო სახლი და დავაფუძნო მოხუცთა ან ბავშვთა სახლი. გთხოვთ გამარკვიოთ, რამდენად შესაძლებელია აღნიშნულის მოგვარება?**

***გულო მაგრაძე, თბილისი***

— გააჩნია, რა სახით გადაეცით თქვენს შვილებს აღნიშნული ქონება: 1. თუ ეს იყო ჩუქება, რომელიც სათანადოდ გაფორმდა სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის საფუძველზე, იგი შეიძლება გაუქმდეს: თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ... თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. 2. მსგავსი დავა შესაძლებელია, თუ ჩუქება განხორციელდა ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ. ხოლო თუ ქონება გადაეცათ პრივატიზაციის საფუძველზე, იგი უკვე მათი საკუთრებაა და მათ ქონებას ვერ შეედავებით, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, ხოლო თუ ქონება გადაცემულია ანდერძით, ის ძალას იძენს მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ. ე.ი. სიცოცხლეშივე შეგიძლიათ ანდერძის გაუქმება. დაბოლოს, 3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1310, 1312 მუხლების მიხედვით, შეგიძლიათ სასამართლოს წესით იდავოთ თქვენი შვილების, როგორც უღირსი მემკვიდრეების სტატუსზე, რაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველს წარმოადგენს.

***იურიდიული ფირმის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი***

### ვის ეკუთვნის სამხედრო პენსია?

**— 1941-45 წლებში ვმუშაობდი ორპირის ჩაის ფაბრიკაში ელმმართველად, იმ დროს ელმმართველები ჯარში არ მიჰყავდათ. გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა სამხედრო პენსია.**

***გერონტი ბუხაიძე, ქუთაისი***

— გადიდებული პენსია ურიგდებათ უშუალოთ ომის მონაწილეებს ან მათთან გათანაბრებულ პირებს. მიეკუთვნებით თუ არა ზემოთ აღნიშნულ კატეგორიას, ამის გასარკვევად უნდა მიმართოთ თქვენი რაიონის სამხედრო კომისარიატს.

***ასმათ ძებისაშვილი, სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საპენსიო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი***

### რას ნიშნავს სიტყვა ბასტი-ბუბუ?

**— უმორჩილესად გთხოვთ, მიპასუხოთ კითხვაზე — რას ნიშნავს სიტყვა ბასტი-ბუბუ?**

**P.S. ძალიან გთხოვთ, არასერიოზულ კითხვად არ ჩათვალოთ, ბევრს გვაინტერესებს...**

***ლ.კ., საგარეჯო***

— მოდით, გადავფურცლოთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და ასეთ პასუხს მივიღებთ: ბასტიბუბუ (საუბ.) — დიდი ხმაურობა, ჟრიამული. „იყო ერთი წივილ-კივილი და ბასტიბუბუ“. თუ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულშიც“ ჩავიხედავთ, აქ განმარტებულია ბასტი — როკვაი (ცეკვა) არს ფერხის ცემითა (ე.ი. ხმაურითა).



ამრიგად, ბასტი ხმაურიანი ცეკვა გამოდის, ზედაც ბუბუ დავუმატოთ, რაც ბუბუნიდან — საბასეული განმარტებით „ყურის გამოხმიანობაი“-დან გამომდინარეობს და მივიღებთ დიდ ხმაურს, ჟივილ-ხივილს, რაც ასე უხდება სატელევიზიო საბავშვო გადაცემას, რომლისთვისაც მართლაც რომ შესაფერისი სახელი შეურჩევიათ.

სხვათა შორის, პარლამენტის სხდომებსაც რომ „დიდების ბასტიბუბუს“ ეძახიან, ესეც ზედგამოჭრილი მეტსახელია.

*„კვირის პალიტრა“*

### ქაღალდის პირველი ბანკნოტი

**— სად და როდის გაჩნდა ქაღალდის ბანკნოტები?**

***თემურ გოგოლაძე, თბილისი***

— პირველი ბანკნოტები თანამედროვე ჩინეთის ტერიტორიაზე ჩვენს ერამდე პირველ საუკუნეში გაჩნდა. ბანკნოტებს თეთრი ირმის ტყავისგან ამზადებდნენ, ჰქონდათ კვადრატის ფორმა და ჩინეთის იმპერატორთა ფერადი პორტრეტები ამშვენებდათ. ქაღალდის ბანკნოტები კი პირველად იმპერატორ იუნ ჩჟუს (ახ. წ-ის V ს.) მმართველობისას შემოიღეს. სულ მალე ქაღალდის ფულმა საგრძნობლად შეავიწროვა სპილენძის მონეტები.

*„დენგი“*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 23 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2400 |
| გერმანული მარკა | 0,9875 |
| ინგლ. ფუნტი | 3,1190 |
| ევრო | 1,9313 |
| რუსული რუბლი | 0,0719 |
| თურქული ლირა (10.000) | 0,0161 |

„ტოპსტრონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 34-49-40; 61-32-37 (საღამოს); 899-51-51-09; 899-902-091

საუკეთესო ასლგადამღები აპარატები
გარანტიით, ფასდაკლებით
შესაძლებელია: განვადება ლიზინგი (იჯარა)

საუკეთესო ქსეროასლები შავ-თეთრი
2 თეთრიდან 5 თეთრამდე
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი — 1 ლარი
ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

ნდობის ტელეფონი
822-009044
დღე-ღამის განმავლობაში (18 წლიდან)

ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

გრადირნიები



ყველა ტიპის
☎ 899 537778
810 375222281026

შპს „გეოკორი“



აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02




## თარაზულად:

5

სასაცილო მიმსგავსება

7

კმაყოფილების გრძნობა

10


11

ფულის ერთეული

12

„კარმენი“, „კოლომბა“, „ტამანგო“ (ფრანგი მწერალი)

16

აშშ-ის კონგრესის შენობა

18

საკვები პროდუქტი

19

(კუნძული)

20

ავტომატური იარაღი

21


მუსიკალური ინსტრუმენტი

25

მწყობრი ნაბიჯით სვლა

26

მხარე რუსეთში, სადაც ამჟამად ორჯერ მეტი ტანკია თავმოყრილი, ვიდრე ჰიტლერს ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ

27

ზეთის ლობიო, ტკიპა-ლობიო, გენაგერჩაგი, ჟულაბი, ანუ . . .

30

სპორტული იარაღი

33

სასიგნალო შუქის გამომცემი კოშკი

34

ძილში ნანახი

35

მსახიობთა დასის მესვეურობა კერძო პირის მიერ

36

დაწესებულების არამუდმივი თანამშრომელი

## შვეულად:

1


ნადირობით ნაშოვნი

2

გლადიატორთა სააასპარეზო მოედანი

3

ნახევრად პარაზიტი სამკურნალო მცენარე, რომელიც მუხის, მსხლის და ვაშლის ხეებზე ხარობს

4

სანახაობაზე გარკვეული დროით დასწრების უფლების დამადასტურებელი საბუთი

6

(ნაშიერი)

8

ფრანგი მომღერალი და კომპოზიტორი, ტურგენევის ახლო მეგობარი

9

სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მსახიობთა გამოსვლა

13

ასპირანტების მოსამზადებელი განყოფილება

14

ენამოსწრებული

15

ინსტრუმენტის ხმის გამომცემი ბერკეტის ბოლო

17

რბილი, ფერადი ფანქრები ფერწერისათვის

22

ფედერიკო ფელინის რჩეული მსახიობი

23

ვარვარების ძაფის მასალა

24

გამომთვლელი მანქანის წინამორბედი

28

(1720-1798)

29

სიტყვათა წარმოთქმის მანერა

31

ბგერის ნახევარი ტონით ასამაღლებელი ნიშანი

32


ორი ზღვის შემაერთებელი წყლის ვიწრო სივრცე

კროსვორდი შეადგინა **რამაზ ალანიამ**

**„კვირის პალიტრა“ №7 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. შახერეზადა; 7. კომერსანტი; 10. ამირანი; 11. ანტენა; 12. „ბაუნტი“; 16. კონტრაბანდა; 18. ფლორა; 19. „ბორდო“; 20. სპარტაკი; 21. ოხრახუში; 25. აპინა; 26. ორგია; 27. ილუზიონისტი; 30. მონაკო; 33. მაროკო; 34. ჯაგრისი; 35. გრიცაცუევა; 36. ენტომოლოგი.

**შვეულად:** 1. ქასრაშვილი; 2. ადამი; 3. იოანე; 4. სტრაიზანდი; 6. რაკეტა; 8. სიჩუმე; 9. ტროტუარი; 13. მანუფაქტურა; 14. კონფორმისტი; 15. პროპანი; 17. ტორშერი; 22. სპიდომეტრი; 23. პლომბირი; 24. გინეკოლოგი; 28. შტანგა; 29. ბაროკო; 31. ქარვა; 32. ასანა.

## მილოცვა



**გვანცა გამყრელიძეს!**

გილოცავთ, 4 წლის ქალბატონო, დაბადების დღეს. ჯანმრთელი, ბედნიერი, სასახელო ქალი გაიზარდე. გფარავდეს უფალი. ძალიან გვიყვარხარ!

*ლუიზა და ნესტანი*

**ჩვენო საყვარელო სალომე!**



გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ლაღ და უზრუნველ ბავშვობას. ბედნიერება და სიხარული შენი მეგზური ყოფილიყოს, სიყვარულით იყოს გაცისკროვნებული შენი ცხოვრების მომავალი. დაე, მარადიული შარავანდედით ბრწყინავდეს შენი ბავშვობა. გისურვებთ იმ უმაღლეს მწვერვალზე ავლას (ძამიკოსთან ერთად), სადაც ოქროს ასოებით აწერია „ბედნიერება".

*შენი ახალციხელები, ბაბუ, ბებო, ვერიკო და ბესო კაპანაძეები*

**ბიძინა აფრასიძეს** ვულოცავთ დაბადებიდან 75-ე წლისთავს!

ჩვენო უსაყვარლესო, უკეთილშობილესო და უძვირფასესო მამიკო! გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს – შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. დაე, დიდხანს დაემშვენებინოს შენს სულიერ და ფიზიკურ სილამაზეს ჩვენი საზოგადოება.

*სიყვარულით: ნანა, მანანა და ლია აფრასიძეები*



**თეონა ნოზაძეს!**

გილოცავთ დაბადებიდან ათი წლისთავს!

ათჯერ ათი სიხარული, ბედნიერი ღიმილი და სიხარულის ცრემლი გქონოდეს ყოველდღე.

*როზა და მარინა დეიდა*

**თეონა ნოზაძეს!**



გილოცავ დღესასწაულს. იყავი დღეგრძელი, მზეგრძელი. შენ ჩემი იმ დიდი სიყვარულის სიცოცხლის გაგრძელება ხარ, რომლითაც ყველამ უმდა ვიამაყოთ.

*დიტო*

## მადლობა

**„კვირის პალიტრის" მთავარ რედაქტორს!**

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოთ შსს ჰოსპიტლის გულისხმიერ და მაღალკვალიფიციურ კოლექტივს, ჩემთვის გაწეული მკურნალობისათვის (უანგაროდ). ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ჰოსპიტლის მთავარი ექიმის, ბატონ **გივი მამფორიას** ღვაწლი ავადმყოფების მიმართ; ჩემი მკურნალი ქირურგის, ბატონ **დავით ლაგაზიძის** სითბო და პროფესიონალიზმი. აგრეთვე, ქირურგიული განყოფილების დღის ექთანის – **ლამარა ლონდარიძის** დიდი მონდომება და პროფესიონალიზმი.

*მერი ვარამაშვილი*




## ბინები

3 ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ლოჯიით, ტელეფონით. მის: მე-3 მასივი, მე-6 კვარტალი, მე-12 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული, ბინა №45. ფასი $8.000 (შეთანხმებით). ტელ: 76-09-66

3 ოთახიანი, გარემონტებული ბინა, მე-2 სართულზე (დარჩენილის სამღებრო სამუშაოები) რკინის კარით, მუდმივი დენით, ბ/აირით, სარდაფით. ტელ: 32-72-16

ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურიანიდან (კოტორაანთკარზე გადაბმული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## ქირავდება

სტილისტების საყურადღებოდ! სილამაზის სალონი, ახალი რემონტით, ავეჯით, ტელეფონით, ბ/აირით. დენი და წყალი მუდმივად არის. მის: იოსებიძის №53-ში (№161 სკოლის წინ). ფასი $300. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168

1 და 3 ოთახიანი კომფორტული ბინები, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში – როგორც კერძო, საოჯახო სასტუმრო, რაიონიდან ჩამოსულებზე, უცხოელებზე და ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ფასი: 1 დღე-ღამე, 1 კაცი – $10, $15, $20 და $50 – ოთახების შესაბამისად. ტელ: 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86

2 ოთახიანი, მაღალჭერიანი, გარემონტებული ბინა 5(6), თავისუფლების მოედანზე (რუსთაველის №1), ავეჯით, მუდმივი დენით, ცხელი წყლით, ტელეფონით, დიქტოფონით, ლიფტით. ტელ: 93-51-09; 893 31-79-67

## გთავაზობთ სამუშაოს

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯები). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

კუს ტბაზე: კაფე-ბარ „უიკენდში" და ბუნგალო-ბარში გვესაჭიროება მაღალკვალიფიციური ადმინისტრატორ-მენეჯერები (ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსნები და ვაჟები), აუცილებლად უცხო ენის მცოდნე და მუშაობის გარკვეული გამოცდილებით. კასტინგის პრეტენდენტებს, ვთხოვთ, მოგვმართონ კუს ტბაზე, ოფისში, ყოველდღე, 16-20 სთ. კომერციული დირექტორი გია ხარძიანი. ტელ: 899 53-61-16

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

გაიხსნა ახალი ოფისი. არის სამი ვაკანსია. გვჭირდება 17-38 წლის თანამშრომლები – უმაღლესი განათლებით, ენერგიული, საღად მოაზროვნე. გამომუშავება 100-200 ლარი. მის: მ. „რუსთაველი", ჭოველიძის ქ. №2. IV სართ. №13. ტელ: 93-18-84; 67-95-46; 899 50-68-25. ქალბატონი ელისო

## მომსახურება

გეპატიჟებათ ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „ჩიპოლინო"!. საუკეთესო მენიუ, გართობა და დაბალი ფასები. მის: გამსახურდიას (ყოფ. პეკინის) გამზირი, №33ა. ყოველდღე, 10-19 სთ. ტელ: 38-00-03; 33-76-50; 96-88-82; 899 58-67-29; 877 49-44-35

დაგეხმარებით ვიზების მიღებაში, საზღვარგარეთ წამსვლელებს, მყარი გარანტიით. შესაძლებელია ბავშვებთან ერთად: ევროვიზები (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია, ნორვეგია, შვედეთი, ჰოლანდია, საბერძნეთი); ჩეხეთი, რუსეთი (თანხის გადახდა ვიზირების შემდეგ). ტელ: 35-49-61 (11-18 სთ); 877 71-06-71

ქრთობლივი, მრავალდარგოვანი ფირმა „O&G" (ო-ჯი) აწარმოებს ინდივიდუალური სახლების და კოტეჯების პროექტირებას და მშენებლობას, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. არქიტექტორები და დიზაინერები უზრუნველყოფენ თქვენი დაკვეთის უმაღლეს დონეზე შესრულებას, ნაკვეთის შერჩევიდან შენობის საექსპლუატაციოდ ჩაბარებამდე. ტელ: 23-55-79 (ოფისი); 899 90-50-44; 877 73-31-96

ვთარგმნით ნებისმიერი სირთულის ტექსტს ქართულიდან რუსულად და ინგლისურად და პირიქით – სწრაფად და რეალურ ფასად, კომპიუტერზე ტექსტის აკრეფით. ტელ: 52-44-47

ავიწყობთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, ბროშურებს, გაზეთებს; ყველა სირთულის მათემატიკურ ტექსტებს; ნოტებს – რეალურ ფასად. ტელ: 61-51-17

კომპიუტერული კომპანია „Pulsar"-ი გთავაზობთ: ქორწილებისა და სხვა სადღესასწაულო ვიდეოკასეტიდან ციფრულ ფორმატში კომპაქტდისკებზე (CD) ჩაწერას, გაფორმებას, გამოსახულების კომპიუტერულ დამუშავებას. გახსოვდეთ! ვიდეოკასეტისაგან განსხვავებით, კომპაქტდისკი მოგემსახურებათ გაცილებით დიდხანს და ხარისხიანად! მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი, №16. I სართ. ტელ: 33-08-71

KNAUF – შეკიდული ჭერის, ტიხრების დამონტაჟება გიპსოკარტონისაგან (თაბაშირ-მუყაო); აგრეთვე ჭერი – „AMF-Armstrong"; ნებისმიერი დიზაინის. ტელ: 96-71-53; 877 71-09-89

KNAUF – Монтаж подвесных потолков, перегородок из гипсокардона а также „AMF-Armstrong"; любой дизайн; Лучшие специалисты города. Тел: 96-71-53; 877 71-09-89; 877 71-47-43

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამჯულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვლებავ გერმანულ ტყავის სამჯულებს. ტელ. 94-08-10. ვალერი

„ცხრაკლიტული"! საკეტების დამატება, გამოცვლა, გარემონტება; კარზე ტყავის გადაკვრა; ხის კარის რკინებით ისე გამაგრება, რომ რკინისას არ ჩამოუვარდება. მომსახურება დაუყოვნებლივ! ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

სახურავების თუნუქით, კრამიტით გადახურვა, შეცვლა, შეკეთება, შეღებვა; მანსარდების მოწყობა, თავისი კარკასით, მასალების მომარაგებით, გარანტიით, იაფად. ზედმეტი ხარჯები და შემთხვევითობა გამორიცხულია. ტელ: 95-05-56; 39-44-61; 899 58-98-51

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ. VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ! არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი – პირველივე სეანსზე. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სილამაზის სალონი „სტილი" – ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით, სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა. თმის მოდელური შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 4-5 ლარი; დეკორატიული მელირება – 15-20 ლარი. აგრეთვე, არსებობს კოსმეტიკისა და პარიკმახერის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ზინა. მის: ალმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52

## მკურნალობა

სამედიცინო ცენტრი „დელფინი" გთავაზობთ: 1) დიაგნოსტიკა და მკურნალობა 0-დან 15 წლამდე; 2) ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშები წყალში, ცურვა, მასაჟები; 3) მოზრდილ ბავშვთა რეაბილიტაცია (მასაჟები, ვარჯიშები, სუნთქვითი ვარჯიშები), რეფლექსოთერაპია; 4) ჰომეოპათია; 5) ფსიქოლოგ-ლოგოპედი. აქვე იხსნება სამკურნალო ბაგა-ბაღი. მის: ცოტნე დადიანის ქ. №134, სპორტული კომპლექსის შენობა. III სართ. (მ. „ნაძალადევთან"). ტელ: 69-57-76 (დღისით); 36-40-65; 38-29-63 (საღამოს)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეში მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

სიახლე საქართველოში! მეჭეჭების, ხალების, სვირინგების, ნაწიბურების მოცილება კანზე, ლორწოვანზე და სასქესო ორგანოებზე; ეროზიის, ლეიკოპლაკიის, კონდილომების მკურნალობა $CO_2$ ლაზერით. საუკეთესო კოსმეტიკური ეფექტი მხოლოდ ერთი სეანსით! ცენტრი „ლაზერი". მის: ბაქტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05; 38-27-52

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები ზარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მკურნალების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიციური ექიმ-ლოგოპედი, მშობ[illegible]ბის ხანგრძლივი გამოცდილებით, უახლესი მეთოდით, ალ[illegible]სადგენი აპარატებითა და ჩინური ნემსებით, ყველა ასაკში, აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს, – ენაბორძიკობას, გონებრივ ჩამორჩენილობას; მოვაშორებთ ხვრინვას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ღამის[illegible] დამბლას. ტ: 899 55-05-75; 39-01-55

მაღალეფექტური მკურნალობა იაპონური აპარატ[illegible] „ობრონით": ბრონქული ასთმის, ბრონქიტის, ფილტვების დაავადებების, რესპირატორული დაავადების (გრიპი, [illegible]ლა, ყელის ხიმშრალე, ტკივილი). მის: წერეთლის გამზ. №10 (მ. „წერეთელი"), თერაპიის ინსტიტუტის პოლიკლინიკა. ექიმი დალი პაიჭაძე. ტელ: 34-47-24 (დღისით); 35-45-54 (საღამოს)

მეჭეჭებისა და სხვა ნორცმეტების (პაპილომების, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, [illegible]ბზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, სასქესო ორგანოებზე, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება [illegible] რუსულიან საყვარელიძესთან. ტელ: 95-83-54 (სამს); 39-00-70; 39-25-57 (ბინა); 899 56-96-61

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი ძალვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თაფლის მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართრიტს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

მუშაობას იწყებს არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი ევლინა ლოლაძე. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ევლინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ილ. ჭავჭავაძის (ყოფ. [illegible]ნინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. [illegible] 95-00-83

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

მოვამზადებ აბიტურიენტებს ისტორიასა და [illegible]ფიაში. ტელ: 22-78-56

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი" კომპი[illegible] წავვთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული [illegible] ტერის, პროგრამირების ენების და უცხო ენებ[illegible] შემსწავლელ კურსებზე. შესწავლის გარან[illegible] სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კო[illegible] ციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალური[illegible] მა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკ[illegible] სის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

პირველად საქართველოში. „Pulsar"-ი გთავაზობ[illegible] ლეს: კომპიუტერული ტექნიკის აწყობის, შ[illegible] და მოდერნიზაციის შემსწავლელ კურსებს. გა[illegible] ჩაბარების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი. სკოლის [illegible]წავლეებისათვის, რომლებიც მოვლენ ჯგუფურად (50-10 კაცი), გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი შეღავათები. მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი, №16. I სართ. ტელ: 33-08-71

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას. პროგრამები: Windows, Word, Excell, Page Maker, Photoshop, Internet, E-mail, Quarkx Press; კომპიუტერზე სწრაფი ბეჭდვა. ფასი 15 ლარი. გაიცემა სერტიფიკატი. გვაქვს მუდმივი დენის წყარო. მის: გაბაშვილის ქ. №7 (მ. „რუსთაველთან"). ტელ: 98-80-23.

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემსი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (ბინა.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

ინდივიდუალური სწავლების მსურველებს ვიწვევთ: 1) კომპიუტერთან მუშაობის სწრაფად და საფუძვლიანად შესასწავლად. საოფისე პროგრამები: ვინდოუსი, ვორდი 2000, ექსელი 2000, ელფოსტა, ინტერნეტი. გაიცემა სერტიფიკატი. 2) გიტარის შემსწავლელ კურსებზე: საესტრადო სიმღერები, კლასიკა, ესპანური, აკომპანიმენტი. სწავლების მაღალი ხარისხი გარანტირებულია. ტელ: 96-22-33 (საღამოს)

## იყიდება

საპაჭრო ჯიხური, 3X4, მოქმედი. ფასი $200. ტელ: 60-62-36; 877 40-40-42

წაბლის დიდი ხნის დახერხილი და ბუნებრ[illegible] გამომშრალი, საუკეთესო ხარისხის მასალა. [illegible] 41-49-41; 899 17-20-72

გერმანული კაბინეტის რბილი „გერმ-ნი[illegible]" ყავისფერი, უნაკლო მდგომარეობაში. ფასი [illegible] ტელ: 893 33-1[illegible]-00; 877 46-36-78

იყიდება ხის და სადილის კომპლექტი [illegible] ლურჯი, „რა[illegible]" – 6 კაცზე. ფასი შე[illegible] ტელ.: 96-09-35; 96-19-40 ლელა

ძველებური, გერმანული ვიტრინა, ხელით [illegible] – საშხრივი ბროლის მინით, 2 კარიანი. [illegible] 2 კარიანი. $200. ტელ: 23-07-65

## შევიძენ

ბინას – თემქაზე, გლდანში, ან მუხიანში. $3[illegible] ფარგლებში. ტელ: 877 71-47-43

Куплю квартиру – в ТЭВЗ, Глдани, Мухиани, в рамках $3.000. Тел: 877 71-47-43

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

სპორტულ მაღაზიებსა და კერძო პირებს ვთავაზობთ წამყვანი ევროფირმების მიერ გამოშვებულ, უმაღლესი სტანდარტების სამოყვარულო და პროფესიონალურ წყალქვეშა საცურაო აღჭურვილობას და სხვა. აგრეთვე ვიღებთ წინასწარ შეკვეთებს, სხვადასხვა სახის მაღალხარისხიანი პროდუქტის ევროპიდან ჩამოტანაზე (1 მარტამდე). შერჩევა შესაძლოა კატალოგების მიხედვით, ჩვენი ხარჯებით. ტელ: 98-73-31 (11-21 სთ)

სიახლე! თუ გსურთ, შექმნათ ოჯახი, გაიცნოთ გულითადი მეგობარი, თავი დააღწიოთ მარტოობას და ცხოვრება გაიხალისოთ, მობრძანდით „გაცნობისა და დაოჯახების კლუბში". მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. ანონიმურობა გარანტირებულია. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქუჩიდან); მიღება 10-18 სთ. ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

მეუღლე გოგი, შვილები კახა, თეა, რძალი და სულიაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნათელა სულიაშვილი**

პანაშვიდი: 24, 25 თებერვალს, 17 საათზე
მისამართი: თბილისი, საბ-ზონის დასახლება, მე-6 კორპუსი.
გასვენება: სამშაბათს, 26 თებერვალს, 15 საათზე
მისამართი: კასპის რ-ნი, სოფ. ქვემოჭალა.

**ვახტანგ ბაბუნაშვილის ხსოვნას!**



ისე უეცრად წახვედი, თითქოს ვერც გავაცნობიერეთ, რა მოხდა. ორმოცი დღე გავიდა და შენგან დატოვებულმა სიცარიელემ უფრო აგვატკივა, უფრო გვატკინა გული. ტკბილი ყოფილა, რომ ამბობენ, დრო მკურნალიაო. პირიქით, უშენოდ ჩავლილი დღე კიდევ მეტ ნაღველს გვმატებს. ვუყურებთ მხოლოდ შენს ფოტოსურათს, საიდანაც გვიღიმი. არადა, ისე გვენატრება შენი ხმის გაგონება, შენ დარიგება, სიმღერა თუ მოლხენა, როგორც არასდროს. ყოველი წუთი შენით სუნთქავს, შენით საზრდოობს. ოჯახის წევრები შენ შესახებ განვლილ ამბებს ვიხსენებთ ხოლმე. ამ დროს წუთიერი ხალისი გვავსებს, რადგან გვგონია, შენც ჩვენ გვერდით ხარ და გვისმენ. ამქვეყნიდან მოვლენებით სამყაროში გადაინაცვლებ და იმ სულიერ სივრცეში, რომელსაც საკუთრივ ჰქონდა. უსაზღვროდ გვენატრები და გვიყვარხარ. მშვიდად იძინე, შენ აქ კეთილი კაცის სახელი დატოვე, ხოლო რაც გასაკეთებელი დაგრჩა, ჩვენ გავაკეთებთ – შენი შვილები და შვილიშვილები.

*შენი ოჯახი*

**დალი ყურუას ხსოვნას**



ჩვენო ძვირფასო დალი! ორი წელი გავიდა უშენოდ. ძალიან ტკივილით, დარდით, მოგონებებით, შენი მონატრებით სავსე ორი წელი. ძნელი მისარჩენია შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი. უჭირთ დედას, ძმას, დებს.

შენ იყავი მოყვასის სიყვარული, ყოველთვის გულწრფელი და უღალატო იყავი.

ღირსეულად იბრძოდი სიცოცხლის ყოველი წუთისათვის და სიკვდილსაც ღირსეულად შეხვდი.

25 თებერვალს ორი წელი სრულდება, რაც მარადიულობაში გადასახლდი.

ძალიან გვაკლიხარ, გვჭირდები, გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*დედა ათინო, ძმა ველოდი, დები – მანანა, ნინო ყურუები*

**შურა (ალექსანდრა) ბუღაშვილი-ნიჟარაძის ხსოვნას!**



რძლის დას, ქალიშვილად მიღებდი და მეც ყოველთვის გულთბილად დედის დღეს. ახლა მაინც, სამი შვილი მოგილოცავს, აქ კი ერთმა ვიცვალა, უნუგეშო შვილება გვეწია – სიცოცხლეც გადაბარძლიება და მოცვალებულისაც, როგორც ერთგული ტრადიციების ერთგულ ქალბატონს გეკადრებოდათ, ისეთი პატივი მოგაგეთ. მალე ერთი წელი გახდება, რაც აღარ მესმის თქვენი შეძახილი „ჩემო, თამრიკო, სჯობი გოლუბუშკაო".

ყველას გვენატრები, ჩვენო საყვარელო, კეთილი მახაბელი...

*თამრიკო*

**ანზორ ფრუიძის ხსოვნას!**



ჩემო საყვარელო ბიძია ანზორ! რა მძიმეა, რომ იცოდე უთქმელი ცხოვრება! რა გაუსაძლისია ფიქრი იმაზე, რომ გვერდით აღარ მყოლებია კაცი, რომელიც თავზე ხელს გადამისვამს და, – ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდებაო, – მეტყვის. როგორ მენატრება, თქვენს გაცისკროვნებულ ხატებას და თვალებიდან სახეს ვუყურებ. ჩემო ძვირფასო ადამიანო, ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ კალამი არ მემორჩილება. მალე ორმოცი დღე შესრულდება, რაც ზეციურ ბილიკს გაუყევით. თქვენ ხომ ჩემს ცრემლებს ვერ იტანდით. ახლა?! – აღარ გაწუხებთ ჩემი ტკივილი? მე კი ისევ გულუბრყვილოდ ვცდილობ, რომ თმაზე ხელს გადამისვამთ და, – ნუ გეშინია, შვილო – თქვენებურად მომეფერებით.

მიუხედავად ამ აუტანელი ტკივილისა, მე უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ თქვენნაირ ადამიანთან ურთიერთობით დამიკვალულა გაზრდამ თქვენ მე, და არა მარტო მე, დიდი სიკეთის დაუვიწყარი გაკვეთილები ჩამიტარეთ.

გული მწყდება, რომ საკმარისად ვერ მოგეფერეთ, ვერ გაგიფრთხილდით. პირობას გაძლევთ, თქვენს წმინდა სახელს მოწიწებით გავუფრთხილდები, თქვენს ხსოვნას სანთელს აგუნთებ და თქვენი ლამაზი სულისთვის ვილოცებ.

*ქეთი თოდაძე*

**ეთერ ბრეგაძის ხსოვნას!**



25 თებერვალი თქვენი დაბადების დღეა. თქვენმა წასვლამ დიდი ტკივილი მოგვაყენა მთელ კოლექტივს. თითოეული ჩვენთაგანისათვის, სამაგალითო იყავით – როგორც ადამიანი, ასევე პროფესიონალი ექიმი. თქვენ ალამაზებდით ჩვენს ცხოვრებას, იგრძნობოდა უამრავ სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდით. ჩვენ მუდამ გვახსოვხართ.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა თქვენი სული და სიკეთე საუფლოდ მარადიულ დაუმკვიდროს იმქვეყნად.

*მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკის კოლექტივი*

**მამლიდ ოდიშარიას გახსენება**



3 მარტს 62 წელი შეგისრულდებოდა. ეს პირველი დაბადების დღეა, რომელსაც უშენოდ ვხვდებით. ორი თვეა, რაც მარადისობაში გადახვედი და მხოლოდ განუზომელი სევდა და მწუხარება დაგვიტოვე. ყველას ძალიან გვიყვარხარ, უზომოდ გვენატრები. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*ოჯახი*

**ვასიკო და ნიკუშა**



არდადეგებიდან თბილისს მობრუნებული მეგობრები მოგისაკლისებენ, ბიჭებო. ვასიკო ჩოჩია და ნიკუშა სამხარაძე არ ჩანანო, იტყვიან თანაკურსელები, ინსტიტუტის ნაცნობ-მეგობრები და თქვენი წილი ქვეყანა დაიქცევა მათთვის. დააკლდებით ტექნიკურ უნივერსიტეტს, ბიჭებო!

სად, სად მიგეჩქარებოდათ, ძვირფასებო! რა დროს თქვენი წასვლა იყო. შენ ხომ 28 თებერვალს 20 წელი შეგისრულდა, ვასკა. შენ ხომ ერთი წლით უმცროსი ხარ, ნიკუშა, გენაცვალე! რამდენი ლამაზი ოცნება გქონდათ, რამდენი რამის გაკეთება გინდოდათ. ნათელმირონით უნდა შეკრულიყავით. ამქვეყნად მშვიდობით მოსავლისებელი შვილის ნათლიობით იწონებდი თავს, ვასიკო.

ამ სურათზე შემორჩენილ თქვენს გარინდებას რა სახელი მოვუნახოთ? რაზე ბჭობდით, ბიჭებო?

თვითმხილველები ამბობენ, სწრაფად მიდიოდნენ, მაგრამ იმ დალოცვილს გზა რომ არ გადაეჭრა, იქნებ ასცდენოდით უსაშველობას...

ნიკუშა და ვასიკო! ცალ-ცალკე ამ ბოლო დროს არავის გიხმობდათ. თქვენი ერთიანი სამუდამო განსასვენებლით უახლოეს ნათესავებად იქცნენ სამხარაძეები და ჩოჩიები. თქვენმა ერთიანმა განსასვენებელმა გააერთიანა თქვენი მეგობრები.

– ნიკა მამა ჩემი, ვასიკო – ნათლია, – იტყვის პატარა ადამიანი ვერ დედიკოსთან ერთად მოსული, მერე თავის სამეგობროსთან. ჩამოგიჯდებით საფლავის კიდეზე და გკითხავთ, – თქვენ როგორ მოიქცეოდით ასეთ შემთხვევაში. პასუხს თქვენი მეგობრები გასცემენ, ბიჭებო. ამ ბიჭებმა ნაღდი ძმობა, მეგობრობა და სიყვარული იცოდნენ, ძმები იყვნენ და სიცოცხლე უყვარდათ...

*სამშაკალო*

**ვასიკო**



ვასიკო ჩოჩია ჰქვია იმ დიდ ტკივილს, რომელიც 23 იანვარს გაგვიჩნდა. 28 თებერვალს უკლებლივ შენთან ვიქნებით, ძმაო. ოცი წლის შესრულებას მოგილოცავთ და გეტყვით, რომ ძნელი ყოფილა უშენობა, რომ ველარ ვცნობთ შენს ლამაზ დედას, გაუჭირდა უშენობა შენს ძმაკაც-მამას, პატარა ლევანიკო უშენობამ ნაადრევად დააკაცა. გზააბნეულები დავდივართ, დავეძებთ და ხანდახან შემოგძახებთ კიდეც შენს სახლთან მისულები – ვასიკოოო!

28 თებერვალს შენი და ნიკუშას სტუმრები ვიქნებით, სხვა 28 თებერვალსაც. იცოდე, გვინდა, სანამ ვიქნებით, ეს დღე ყოველთვის აღინიშნება შენი სამეგობროსაგან.

*უბნელები*

**ლერი ჭამპურიძის გახსენება**

2000 წლის 5 სექტემბერს არაადამიანებმა გაგიტაცეს სახლიდან... იმედით ველოდით შენს დაბრუნებას, მაგრამ 2002 წლის 10 იანვარს დამთავრდა ის მოლოდინიც, როცა გვეგონა, რომ საიდანღაც მოხვიდოდი, ისევ გაგვაოცებდი შენი ჩვეული სითბოთი, გაგვიღიმებდი, როგორც ყოველთვის. ამ დღეს შენ მკვდარი გაპოვეს.

2001 წლის 16 დეკემბერს, 44 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო საყვარელო მეგობარო. საოცარია, როგორ ვუძლებთ უშენობას, შენ ხომ სიკეთისა და სიხარულისთვის იყავი დაბადებული.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ლერი.

*დიდი მწუხარებით, შენი მეგობრები*

**გიორგი (ჟორა) გვათუას გახსენება**



გვახსენდებით და ის დროც გვახსენდება, როცა ყველანი ერთად ვიყავით, როცა ჩვენს ინსტიტუტს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი ერქვა და თქვენი წვლილით მართლაც ინსტიტუტობდა – ბავშვის აღზრდა, მისი ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბება – აი, რა იყო მაშინ საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი და ამ საზრუნავს, ამ საქმეს, თქვენც თავკაცობდით. ყველაფერ ამასთან, ის სითბოც გვახსენდება, რომელსაც ჩვენ მიმართ, ძველი, გამოცდილი პედაგოგების თუ ახლობლების მიმართ აფრქვევდით; გვახსენდება, როგორ გვამხნევებდით, როცა რაიმეში ხელი მოგვეცარებოდა... უფალია ყოველთა შემწე და ვიმედოვნებთ, არ დაიკარგება ის მადლი, რაც აქ დატოვეთ. ინებოს ღმერთმა და სასუფევლის გზა გაგინათოს თქვენმა სიკეთემ.

*„კვირისპალიტრელები"*



მწუხარებითა და ტკივილით შესრულდა ორი თვე, რაც შენ წახვედი. 23 თებერვალს უშენოდ შეხვდება შენი მეუღლე თავის დაბადების დღეს. შენი ალალი გულით მიულოცე – იხარე შენს შვილებში-თქო. შენი ცხოვრების მანძილზე არასოდეს დაგვიწყებია, რომ მხოლოდ სიკეთე და სახელი რჩება ამქვეყნად ადამიანს. აკი ამიტომაც შეხედი მოღიმარი თვალებით სიკვდილს. რა ვქნა, ძნელია უშენობა, ჩემო მიმტევებელო და მოსიყვარულე შვილო. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

*შენი უბედური დედა ციცო*

**ჟორა ბალიაშვილის ხსოვნას!**



ჩემო ჟორა, დღეს 25 თებერვალია, შენი დაბადების დღე. 60 წელი შეგისრულდებოდა. ბედნიერი იქნებოდა შენი ოჯახი, ჩვენთან რომ ყოფილიყავი, მაგრამ დალოცვილმა ღმერთმა ეს არ ინება. ნაადრევად დაგვტოვე. შენი წასვლით გამოწვეულ დანაკლისს, ჩემო ჟორა, ვერავინ შეუვსებს შენს ოჯახს და თვალცრემლიან შენს შვილებს. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, გვიჭირს უშენობა. გულის ტკივილით გიხსენებენ შენი დები, ყველა ჩვენი ნათესავი, მეგობრები და მეზობლები.

უფალს ვევედრები, ნათელში მიმყოფოს შენი კეთილი სული და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*შენი ოჯახი*

**გურამ (ბიჭიკო) იაკოფოვის ხსოვნას!**



2 მარტი შენი დაბადების დღეა, რომელიც პირველად უნდა აღვნიშნოთ უშენოდ. დღეგრძელობის ნაცვლად, უნდა გისურვოთ, რომ მსუბუქი ყოფილიყოს შენი სამშობლოს მიწა, ჩვენო ძვირფასო ადამიანო. ვერასოდეს ვიფიქრებდით, თუ ასეთი ხასიათის წერილს დაგწერდით, თუ ოდესმე წარსულში მოგიხსენიებდით. უნიჭიერესი კაცი იყავი, გურამ. ეს შენ მიერ განვლილ ცხოვრების გზასაც ეტყობა. ზღვა სითბოს, სიკეთეს იტევდა შენი გული და ამ სითბოს უშურველად გასცემდი. შენთვის არაფერი იყო უცხო და არამისაწვდომი. უსაზღვრო სიყვარული და თანადგომა იცოდი მოყვასისათვის, მეგობრისათვის, სრულიად უცნობისთვისაც კი არაფერს იშურებდი. ზედმიწევნით ბუნებაში, არაერთგზის შერკინებიხარ დიდ საქმეებს. მუშაობდი დღე და ღამე, არ ზოგავდი საკუთარ თავს. სამწუხაროდ, შენი ფიზიკური შესაძლებლობები არ აღმოჩნდა უსაზღვრო. ბევრი სხვა ადამიანური თვისების გამოც შეგიყვარეს სხვადასხვა ერის წარმომადგენლებმა. შენმა უდროო გარდაცვალებამ გული დაგვიწყვიტა ყველას – ახლობლებს, ნათესავებს, მაგრამ ყველაზე მეტად ცრემლი შენმა მშობლიურმა სოფელმა გაიღო და ეს ცრემლი დაიმსახურე დიდი ადამიანური თვისებებით. რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთი შრომისმოყვარე, გულისხმიერი, ცოდნითა და ენერგიით სავსე კაცი, ასე მოულოდნელად წახვედი ჩვენი ცხოვრებიდან და ბევრი სასიკეთო მიზანი დატოვე განუხორციელებელი. ყველას, ვინც შენ გიცნობდა, უზომო სინანული იმიტომ გვეუფლება, რომ შენი შემოქმედებითი ცხოვრება აღმავლობის დროს შეწყდა მოულოდნელად...

ჩვენო საყვარელო გურამ, ყველამ უზომოდ განვიცადეთ შენი დაკარგვა, გვტკივა უშენობა, ვერ მოვერიეთ, ვერ ამოვავსეთ სიცარიელე, ვცდილობთ, ჩვენო დიდო სატკივარო, რომ შენი კეთილი გზა და ჩანაფიქრი კეთილადვე გავაგრძელოთ. მუდამ ჩვენ გვერდით ხარ და იქნები.

*შენი ოჯახი*

**დავით მეგრელიშვილის მონატრება**



*დღეს ჩვენს თვალებზე ცრემლები თუ წვიმს*
*შენი ბრალია,*
*გული რომ ტკივილის დაატარებს,*
*ეს შენ გეკუთვნის.*

მესამე წელია უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 23 თებერვალს, ჩემო საყვარელო ძმაო. შენ ჩვენი დაკარგული სიხარული და გაუსაძლისი ტკივილი ხარ. ძალიან გვენატრები, შენს სურათებს შევყურებთ და ვეფერებით.

მამა, შენს მერე გარდაიცვალა, ვერ აიტანა ტკივილი, შენი ამქვეყნიდან გარდასვლით დატოვებული. ნუ შეგაწუხებთ იმაზე ფიქრი, რომ ოდესმე დაგვავიწყდებით, გწამდეთ, რომ თქვენს სულებს სანთელს ყოველთვის ავუნთებთ.

ნეტავ, რა მხე სჭირს სიკვდილსა, ვერ მისწვდა ჩემი გონება,
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა, რომელიც მოეწონება.

*დედა სვეტა, შენი მონატრებული და ელზა, ძმა ჯაბო*

**ზაირა ორაგველიძის ხსოვნას!**



უკვე ერთი წელი გავიდა, ჩემო დაიკო, რაც შენ დაგვტოვე. არ დავინდო უმძიმესმა სენმა. ყველას დაგვეტყო შენი არყოფნა – შვილს, შვილიშვილებს, დისშვილებს. გაუსაძლისი გამოდგა ეს წელი ჩვენთვის.

ნეტავ, იცოდე, როგორ გვენატრები ყველას. გვიჭირს იმის დაჯერება, რომ შენ გვერდით არ ხარ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, შენს მშობლებსა და პატარა ნუციკოსთან ერთად.

*შენი და ნანული ორაგველიძე*

**დათო პატურაშვილს!**



ორმოცი დღე დაღამდა და გათენდა უშენოდ, დათო, ორმოცი ცივი და პირქუში დღე.

თან წაგყვა შვენი წილი სინათლე და სიხარული. სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა შენ თავად იყავი სინათლისა და ბედნიერების წყარო, უშრეტი და ულევი რომ გვეგონა. გამორჩეული ყველაფერში, უფალმა სიკვდილშიც გამოგარჩია. ოჰ, ღმერთო, რამხელა ტკივილი ხარ, შენი სპარტაკისა და ნატოსთვის, რომლებიც ყოველ წუთს გელიან.

ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ იმ ტკივილს, იმ სიცარიელეს, რაც შენი წასვლით დაგვიტოვე ოჯახს, ახლობლებს, და შენს თაიფნს, ვერაფერი შეავსებს.

უშფოთველად იძინე, დათო, შენს მარადიულ სასუფეველში. შენგან ამქვეყნად დათესილი დანატოვარი სიკეთე გაუნათებს გზასა და სავალს ყველას.

შენს სახელს არასოდეს უწერია დავიწყება, დათო. გვიყვარხარ, უსაშველოდ გვენატრები.

*შენი ოჯახი*

**ვასიკო კალაშვილის მონატრება**



ძალზე ადრე წახვედი ამ ქვეყნიდან, ჩვენო ძვირფასო ვასიკო! ავბედითი გამოდგა შენთვის 2000 წლის 16 აგვისტოს დღე – მოულოდნელად გასროლილი ტყვიის მსხვერპლი გახდი. შენ ამაყი იყავი და სიმღერით შეეგებე შენს საბედისწეროდ გასროლილ ტყვიას. ეს სიმღერა, იქნებ, გედის სიმღერას ჰგავდა, სიცოცხლის ბოლოს რომ მღერის. 15 წლისა გამოგასალმა დაუნდობელმა ტყვიამ. წახვედი და უსაშველო ტკივილი და სევდა დაგვიტოვე. 27 თებერვალს, 17 წლის გახდებოდი, მაგრამ, ვაი, რომ უშენოდ უკვე მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. სულის ტკივილამდე გვაკლიხარ და გვენატრები, ჩვენო საფიცარო ძმაო. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო სულით ნათელო და გულმართალო ვასიკო.

*უფალო, ლოცვით მოვალთ შენთან,*
*იმედის მიმცემო ღიდის.*
*სული უმანკო შეიფარე*
*უდანაშაულო ბიჭის.*

ჩვენი ვლოცვა და ვედრება შეძრავს შენი სამარის ლოდს და ყველა ერთად გილოცავთ დაბადების დღეს.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისათვის და უფალს შევთხოვოთ დაგამკვიდროს ადგილსა მწვანილოვანსა, სადაც მართალნი განისვენებენ.

*შენი დები მარინა და მანანა*

**ნელი ჩიტიშვილის ხსოვნას!**



გათავდა, მორჩა. ის არ არსებობს, ახლა ჩვენ შორის არ იმყოფება – მერამდენედ ვიმეორებ გულში ამ სიტყვებს და არ მინდა, მჯეროდეს მათი მწარე სიმართლე. უსაშველო მონატრებით აღვსილა შენგან მიტოვებულ ადამიანთა გულები. საოცარია, რა სწრაფად გასულა უშენობით გაჯერებული სამი წელიწადი... არც ერთი დღე, შენი ღიმილისა და შენზე მოგონების გარეშე. შვილების ბედნიერება ხომ შენი უმთავრესი საზრუნავი იყო ყოველთვის. ბედმა ამ მხრივაც გიმუხთლა, უშენოდ დგამენ შენი პატარები ცხოვრებაში უკვე საკმაოდ სერიოზულ ნაბიჯებს, რომლის სიხარულიც შენთან ერთად უნდა ეგრძნოთ. ახლა კი, უშენობას დაუჩრდილავს მათი ბედნიერება. ღრმად გვწამს, რომ შენი სიკეთე და სათნოება შენს შვილებს გზას გაუნათებს.

უფალს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*ახლობლები*

**აპოლონ გვაძაბიას ხსოვნას!**



უძლურნი აღმოჩნდით შენი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, შენგან ნასწავლი „ჭირთა თმენით" ვერ ვინუგეშებთ, ზეციური საქართველოდან მომავლის გზას გაგვინათებს შენი უანგარო სულის ხსოვნა.

*ნათესავები*

**ნოე ასანიძის ხსოვნას!**



24 თებერვალს 40 დღე შესრულდება, რაც წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი.

მამა, მუდამ მონატრებით და სიყვარულით მოვიხსენიებთ შენს ლამაზ სულს. შენ ხომ დავიწყება არ გიწერია! დიდი და კეთილი ადამიანი იყავი ყველასთვის და ასევე, დიდი და კეთილი ოჯახი – შვილები და შვილიშვილები დატოვე. მათთვის ხომ ძლიერი და საყვარელი მამა და ბაბუა იყავი. ნეტავ დაგენახა, როგორ გულმოკლულნი დაგტიროდნენ, შენ ხომ ტირილი არ გიყვარდა, მამა, ჩვენ რატომ აგვატირე? ყველა აატირე, ყველა ნაცნობმა გულით დაგიტირა.

შენ შენი ცხოვრება ლამაზად და კაცურად გაატარე, მაგრამ, შენი ამ ქვეყნიდან წასვლით, წაგვექცა ის ლამაზი და ძლიერი ბერმუხა, რომელსაც იმედით შევყურებდით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*შენი ოჯახი*

**თამთა ნადირაძის მონატრება**



ორმოცი გაუსაძლისი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წახვედი მოულოდნელად. შენ ხომ დედიკოს ერთადერთი სიხარული და მთელი ოჯახის სიამაყე იყავი. პატარა, 9 წლის ანგელოზი წაგიყვანა უფალმა, უზომოდ კეთილი და მიმტევებელი იყავი ყველას მიმართ. გაუნელებელია ის დარდი და ტკივილი, რაც შენ დაუტოვე ყველას გულში, ვინც კი შენ გიცნობდა. ცრემლი უნამავს თვალებს, შენს გახსენებაზე შენს პატარა კლასელებს და საყვარელ მასწავლებელს, ნათლიას, მეზობლებს და ნეთესავებს, შენს უსაყვარლეს ბებიკოს. გვაკლიხარ, გვენატრები, ვლოცულობთ შენთვის, ჩვენო პატარა თამთა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*დედა, ბებია*

**გიორგი გელაშვილის ხსოვნას!**



იმ აბედისწერო დღიდან, რაც შენი სახება დღის სინათლეზე, ეზოში სათამაშოდ ჩავიდა და შინ აღარ დაბრუნდა – 4 თვე გავიდა.

დღეს, 28 თებერვალს, პირველად აღვნიშნავთ უშენოდ შენს დაბადების დღეს, შვილო გიორგი! როცა რომ ამ დღეს ზეიმით აღვნიშნავდით, რადგან შენ ჩვენთვის სანატრელი შვილი იყავი. დედ-მამას გამორჩეულად უყვარდი. ამის მიზეზი სამი ასულის შემდეგ, სანატრელი ვაჟკაცის შეძენა იყო: გვარის გამგრძელებლად, ფუძის ანგელოზად, სამ დის კიდევ საფიცარ ძმიკოდ. გიო, დღეს 6 წელი შეგისრულდებოდა, სასკოლო ასაკის გახდებოდი. ჩვენც ამ დღეს როგორ შევხაროდით, შენს მომავალზე, შენს განათლებაზე ვფიქრობდით და დავაჟკაცებაზე ვოცნებობდით – მაგრამ ამაო აღმოჩნდა ეს ყველაფერი.

უშენობას ვერასოდეს შევეგუებით, გიო, ისღა დაგვრჩენია, შენი მონატრება შენი სურათებისა და შენი ნივთების მოფერებით დავძლიოთ.

ნეტავ, რამდენ ხანს მოგვიწევს შენი ლოდინი? ნეტავ, რამდენჯერ ჩამოგორდება ჩვენს თვალებზე, შენგან მოყენებული ჭრილობით ცრემლები? იწვის და იფერფლება, იფერფლება და იწვის, შენს ლოდინში წამები, საათები და დღეები; თითქოს ჯოჯოხეთი და კუპრი წლებიც შემოგვეცქერიან და მაინც გიცდით და გელოდებით, გიო, რადგან უსაზღვროება უყვარს მოლოდინს, მაგრამ ნუგეში ამით მაინც არსაიდან არ არის.

გიო, ძალიან, ძალიან გვენატრები. მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. გვჯეროდეს, სანატრელო შვილო – სანამ პირში სული გვიდგას, ისეთივე საფიცარი დარჩები შენი გულდათუთქული მშობლების გულში, როგორიც იყავი.

*შენი ოჯახი*

28 თებერვალს 6 წელი შეგისრულდებოდა, გიო! პირველ დაბადების დღეს ვხვდებით, უშენოდ, საშინელი მონატრების ცრემლებითა და გულისტკივილით, ჩემო პატარავ!

დღეს კი მხოლოდ სურათებიდან შემოგვყურებს შენი მოღიმარი სახე. დაე, ჩვენ მიერ ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში. შენი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

*გელა მეშვილდიშვილის ოჯახი*

**ხოსე სუარეს-ინაშვილს!**



112-ე საშუალო სკოლის კოლექტივს ძალიან, ძალიან ენატრებით, თქვენს მოსიყვარულე, თქვენგან ზარდაცემულ, დაზაფრულ კოლექტივს... საშობაო არდადეგები დამთავრდა და სკოლაში აღარ მოხვედით. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დაგვიბრუნდით უჩვეულოდ ცივი, პირქუში და დარდიანი... ჩვენც უჩვეულოდ დაგხვდით – ცრემლით, ყვავილებით, სანთლებით, სკოლის ფასადზე დაშვებული ფლასითა და თქვენი ბავშვობის იმ უსაზღვროდ ტკივილიანი სიმღერით, რომლითაც მთელმა საქართველომ გულში ჩაგიკრათ და გიდედობილათ... ერთი სიტყვაც არ გვითქვამს, ისე დაგემშვიდობეთ. ჩვენს დუმილში სხვა თუ არა, თქვენ ხომ მაინც ამოიცნობდით იმ დიდ სიყვარულს, რაც ერთმანეთთან გვაკავშირებდა.

დღესაც იქ გეგებებით, სადაც ყოველ დილით გხვდებოდით ზარის წკრიალთან ერთად: შავარშიაშემოვლებულ თქვენს სურათთან, პატარა ხელები სანთლებს უნთებენ თავიანთ ღიმილიან მასწავლებელსა და დირექტორს, რომელსაც უსაზღვროდ, უკიდეგანოდ უყვარდა სიცოცხლე და რომელიც თავის ოცდამეცხრამეტე გაზაფხულსაც კი ვერ მიეგება ჩვეული ხალისით. თქვენი კოლეგები კი ცრემლნარევი სიცილით იგონებენ დიდი ადამიანური სითბოთი და დახვეწილი იუმორით სავსე ხელმძღვანელს, უარს რომ არასდროს არავის ეტყოდა, დახმარებისა და თანადგომის ნებისმიერ თხოვნაზე...

ყელში ბურთგაჩრილები ვეფერებით თქვენს ლამაზ შვილებს, ნაადრევად დადინჯებულ ტურისა და დათის... გვჯეროდეთ, ამ სუსხიან ცხოვრებაში ობლის კვერს მაინც გამოვაცხობთ, ცალადდარჩენილ თქვენს სათაყვანებელ მეუღლესთან – მაიკოსთან ერთად!

მშვიდობით!

თქვენს 112-ე სკოლას ძალიან ენატრებით, თქვენგან თავზარდაცემულ, დაზაფრულ კოლეგებსა და მოსწავლეებს...

**სიკვდილის წელიწადი**

*ეძღვნება ლევან კვირტიას ნათელ ხსოვნას*



სიკვდილის წელიწადი დამდგარიყო. აღარ ვერხვები შრიალებდნენ და აღარ წვიმა წკაპუნობდა თავისი ჩვეული ონავრობით. დუმდა ყველა და ყველაფერი. ყველას ცხვირები წაეწია წინ და ღრმად სუნთქავდნენ. ღრმად სუნთქავდნენ, რადგანაც სიკვდილის წელიწადი დამდგარიყო და არამარტო სიკვდილის სუნად ყარდა. დიახაც რომ ყარდა, რადგანაც სიკვდილს არც ფერი აქვს და არც გემო. შემზარავი და „მძაფრი ძრწოლვის" სუნი იდგა. ყველას ცხვირები წაეწია წინ და უეცრად ერთ-ერთმა ჩაახველა.

– რა არის? იგრძენი რამე?

– არა, არაფერი. უბრალოდ მაგნოლიის ბუნდლა შემოვრინდა ცხვირში და სასულეში გადამცდა.

– რა წელი დაგვიდგა?.. რა წელი?

– აბა... აბა?! ვინ იფიქრებდა, რომ დღესდღეისობით... ეჰ...

თითქოს მზე მიმხვდარიყო ამ უბედურებას და გულდათუთქული მორცხვად, ათასში ერთხელ თუ წამოწევდა ხოლმე თავს ღრუბლიდან. გადმოიხედავდა პირქუშ დედამიწას, გამოჰკითხავდა ამქვეყნიურ ამბებს და შემდეგ კი ისევ გულშემოყრილი, მძიმედ დაუშვებდა თავს ბალიშად დაფენილ ღრუბელზე. პირქუში დედამიწის შემახილებზე კი გამოიხედე და გვერდით დაიდექი, მარტო ჩემი ხომ არ არის ამ ქვეყნის წუხილიო, მზე ხელის ჩაქნევით უპასუხებდა: „შენი მისაბარებია ეგ ხალხი და მე მაგდენის გაძლების თავი არა მაქვსო"-ო.

ხალხი კი ისევ გატრუნულიყო და ერთმანეთს შესცქეროდა თვალებში ეჭვნარევი მზერით, აქაოდა, „მიდი და გამოიცანი, ახლა ვიღასი ჯერი დგება"-ო.

– ბიჭი მომკვდარა.

– მომკვდარა?... ბიჭი?... ეჰ...

– ჰო... გარდაცვლილა... დიდი გულის პატრონი ყოფილა.

– საწყალი... ბრალი მის მშობლებს...

– თავი მოუკლავს.

– როგორ?.. თავი მოუკლავს?.. ვაიმე ჩემო თავო?! – ჰო... თავი მოუკლავს... არავინ იცის რატომ.

– ვაა... ეს რა წელი დაგვიდგა?.. ეს რა წელია, კაცო?.. არც ახალგაზრდას ინდობს და არც მოხუცს.

გადაღლილი მიქაელი კი მუხლმოუდრეკლად შრომობდა. არც მას ენახა როდესმე ასეთი წელიწადი. მომჩივრებსა და მოსაყვედურეებს კი ერთადერთ გაზეთხულ ფრაზას უმეორებდა: „ღმერთო, რჯული, მე ამ საქმეში არანაირი ბრალი არ მიმიძღვის". ხელში უზარმაზარი დავთარი ეჭირა და ხალხს ანაწილებდა „საიქიო-სააქაოობისობაში".

– გამარჯობათ! მე ის ბიჭი ვარ. აი... „ტაკიმაჭუნებიო"...

– ააა?.. შენ?.. შენ... გული დაეწვა და სავალე მოიხსნა, რათა ქუთუთოებზე მომდგარი სიმწრის ოფლი მოეწმინდა.

– მე... მე უბრალოდ... მინდოდა რომ...

– კარგი, დაწყნარდი. დაელოდე ცოტა ხანს და მერე დაგელაპარაკები.

აქ კი, ამქვეყნად, ხალხის გოდება აშრიალებდა ვერხვის ფოთლებს და წვიმის წვეთებზე უფრო მეტი ცრემლი ეცემოდა პირქუშსა და ხმადაბლა მობუტბუტე დედამიწას: „სადამდე? სადამდე შეიძლება ასე".

– სად?.. სად არის სამართალი?

– აბა, აბა?! ამნაირი ვაჟკაცი უნდა კვდებოდეს?

– დაუჯერებელია... დაუჯერებელია, რომ ის... ის აღარ არის... ის ხომ ასეთი კარგი იყო?.. თქვა ვიღაც უხეშ წვერიანმა რომელიც აქამდე მედგრად იდგა და ტირილი წასკდა.

მიქაელი კი ძალიან, ძალიან დიდხანს ემზადებოდა, რათა მასთან დასალაპარაკებლად ძალ-ღონე მოეკრიბა. ბევრი იფიქრა, ბევრი რჩევა-დარიგებაც მიიღო, მაგრამ კი დაუძლურებულმა და სასოწარკვეთილმა ამქვეყნიური უსამართლობით, ცივად გაგდო ხელიდან მსახვრალი ცელი და ჩაილაპარაკა: „არ შემიძლია... ვერ გავიმეტებ".

მზემ, მზემ კი ველარ გაუძლო ამდენ წუხილს და სუდარად გადაეფარა აობრებულ დედამიწას. გადაეფარა და ცხარე ცრემლით ატირდა. ატირდა და ხოტბი წვიმის წვეთები რუებად დაიქსაქსა დაგვალული დედამიწის ნაპრალებში.

– იმ... იმ ხალხმა რაღა ქნას, ვის გულებშიც ამდენი ტკივილი დატოვა ამ ბიჭმა?

– ილოცონ... ილოცონ მისი სულისათვის! – ჩაილაპარაკა ვიღაც შავოსანმა მანდილოსანმა და პირჯვარი გადაიწერა.

მიქაელი კი დინჯად მისეირნობდა ვიწრო ბილიკზე ბიჭთან ერთად, მეგობრულად უთათუნებდა ბეჭებზე ხელს და არხეინად ეჩუჩურებოდა.

– დაწყნარდი. დაწყნარდი, ყველაფერი კარგად იქნება.

– კი... კი... დიდი მადლობა! არასოდეს მინახავს ასეთი ლამაზი ადგილი...

*გიორგი შერვაშიძე თანაკურსელებთან ერთად*

# ზღვის ქალღმერთის დღესასწაული



ინდონეზიის კუნძულებზე არის ადგილები, სადაც ცივილიზაციას ჯერ არ შეუღწევია. აქ ბატონობს ძველი წესჩვეულებები. ამის კარგი მაგალითია კუნძულების — სუმბასა და იავას მცხოვრებთა ყოფა.

კუნძულ სუმბას მკვიდრნი ყოველწლიურად საგანგებოდ, დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავენ ზღვის ქალღმერთ ნიალეს დღესასწაულს.

ქალღმერთი ნიალე მთვარის ქალღმერთის ქალიშვილია. იგი საკმაოდ წუნია საპატარძლო იყო და ვერაფრით ამოირჩია საქმრო სილამაზითა და ვაჟკაცობით განთქმულ უამრავ თაყვანისმცემელს შორის. ლეგენდა ამბობს, ნიალემ ვერავის მიანიჭა უპირატესობა იმის შიშით, რომ დანარჩენები არ გაენაწყენებინა და ზღვას მისცა თავიო...

ამ დროიდან მოყოლებული, კუნძულელები დარწმუნებულნი არიან, რომ წელიწადში ერთხელ, სავსე მთვარისას, მანათობელ სილუეტად ქცეული ზღვის ქალღმერთი მოდის მათთან და არჩევინებს საქმროს, ეხმარება და ბედნიერებას ანიჭებს მას, ვინც უკეთ უმასპინძლებს. ამიტომ ცდილობენ, დიდი დღესასწაული მოუწყონ, გაართონ, ნაირფერი ყვავილები მიართვან...

სწორედ ამ დროს კუნძულელები აგროვებენ სამკითხაო ზღვის მატლებს და კალათებით გამოაქვთ ნაპირზე. ადგილობრივი მკითხავები ულოცავენ ნადავლს და შემდეგ იმის გარკვევას იწყებენ, რას უქადის მომავალი წელი აქაურებს, როგორი იქნება ბრინჯის მოსავალი, ხომ არ დაატყდებათ თავს ქარიშხალი, წყალდიდობა, გვალვა ან ჭირი.

კუნძულელებს არ სჯერათ მეცნიერებისა, რომლებიც ამტკიცებენ, მანათობელი სილუეტი არის სწორედ სარიტუალო ზღვის მატლების მიერ გამოცემული ფოსფორული ნათება. ეს ხდება მაშინ, როცა მატლები ზღვის ზედაპირზე ამოდიან და გასამრავლებლად ემზადებიან. ამ ურწმუნოებას ისიც განამტკიცებს, რომ მატლზე ნამკითხავები მისხალ-მისხალ სრულდება ხოლმე.

კუნძულ იავაზე მამაცი რაინდები თავს არ ზოგავენ, რომ ჭირვეული საპატარძლოსათვის სადღესასწაულოდ მერცხლის ბუდეები შეაგროვონ.

მერცხლების ბუდეები მიუვალ კლდეებშია. ლიანებისაგან მოწნული კიბით ეშვებიან სასიძოები კლდის ნაპრალებში, გამოქვაბულების შესასვლელები მხოლოდ ზღვის მხრიდან მოჩანს. კედლების სიმაღლე ას მეტრს აღწევს. კედლებზე პატარა თეთრი ლაქებია მიმოფანტული. სწორედ ეს არის მერცხლის ბუდეები. ბუდეების შეგროვების უფლება ყველას არა აქვს, საამისოდ საოჯახო ტრადიცია არსებობს და იგი თაობიდან თაობას გადაეცემა.

მერცხლის ბუდეები თეთრიც არის და შავიც. საუკეთესოდ ითვლება თეთრი. იგი სულ პაწაწინაა, ხელისგულზე თუ დაეტევა. შალის ნართს წააგავს, რბილია და ნაზი. ბუდეები მერცხლის ნერწყვით არის ნაშენი.

ზღვის ქალღმერთის დღესასწაულის მთავარი რიტუალი მაინც ბრძოლაა. ცხენზე ამხედრებული მეომრები საგანგებო ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი. ხელთ ბამბუკის ჯოხები უჭირავთ. ბრძოლისას აუცილებლად უნდა დაიღვაროს სისხლი, თორემ განაწყენდება ნიალე. ქალღმერთისთვის ბრძოლის ველზე დაცემა დიდი ბედნიერებაა რიტუალის მონაწილეთათვის.

*ნლო №11*

# სიკვდილის შემდეგაც ერთგულნი



**ბანდიტი და ძაღლი.** ქვრივი სოფლის განაპირას ცხოვრობდა მარტოდმარტო. ერთადერთი მეგობარი, ბებერი ბოქსიორი ჯემა, ცოტა ხნის წინ მოუკვდა და ბაღში დამარხა. ყოველდღე აკითხავდა მის საფლავს. ერთგული ძაღლის სიკვდილმა გზა გაუხსნა ქურდებს და ავაზაკებს, რომლებსაც გაეგონათ, ქალს ბლომად ქონება დაუტოვა ქმარმაო.

სახლის ახლოს, ბუჩქნარში მიმალული ერთი ავაზაკი მთელი დღე ელოდებოდა ქვრივის შინიდან გამოსვლას. როგორც იქნა, დიასახლისი გამოჩნდა. ბანდიტმა ისკუპა და ყელში სწვდა ქალს, მაგრამ უეცრად, გაავებული ყეფა-ღრენით ფეხებში ეცა უზარმაზარი ბოქსიორი. დამფრთხალმა მოძალადემ უკან დაიხია.

იგი მალე დააკავეს. მან აღიარა დანაშაული და დაუმატა, — ძაღლმა არ დამანება ქვრივის დახრჩობაო. როცა ქალს ჩვენება წააკითხეს, გაოგნდა, — ბანდიტი დაწვრილებით აღწერდა მის საყვარელ ჯემას...

**ფისო მონიკა.** მარტოხელა მოხუცი ქალი ორიოდ დღით ახლობლებს ესტუმრა. მეორე დილით მეზობელმა დაურეკა, — წუხელ შენს კარწინ ფისო მონიკა საცოდავად კნაოდა, მე კი მეგონა, კატა კარგა ხნის მკვდარი იყოო. მოხუცს გულმა რეჩხი უყო — ჩემი საყვარელი ფისოს მკვდრეთით აღდგომა კარგს არაფერს უნდა მოასწავებდესო და სასწრაფოდ დაემშვიდობა მასპინძლებს. შინ მშვიდობა დახვდა, მაგრამ მეორე დღეს ამბავი მიუტანეს — ღამით იმ ახლობლის სახლს ცეცხლი გასჩენოდა და დაფერფლილიყო...

**თაფლა.** თაფლა ბებერი იყო. გაცრეცილი და აბუზული. პეტრეს ეცოდებოდა ცხენი. იდგა ხოლმე შუა მინდორში და მიწას დასჩერებოდა. ერთ დილას ცოცხალი აღარ დახვდა პატრონს. ძალიან ერთგული იყო თაფლა, ამიტომ ეზოს ბოლოში დამარხა პეტრემ.

მეორე წელიწადს ბალახმა გადაუარა თაფლას სამარეს და მალე უცნაური ხეც ამოვიდა. არავინ იცის, რა ჯიშისა იყო ის ხე, მაგრამ ისეთი საოცარი წითელ-ყვითელი ყვავილი დაიხვია, თვალს ვერ მოსწყვეტდი. მისი საამო სურნელი ნიავს მთელ სოფელში დაჰქონდა. პეტრეს რაღაც ძალა ეწეოდა ხოლმე ამ ხისკენ. წამოწვებოდა და ფიქრობდა. ერთ დღეს იგრძნო, რომ მუხლებში შვება მიეცა — რევმატიზმი აღარ აწუხებდა. მიხვდა, ესეც თაფლას ერთგული სამსახური იყო...

*ტალისმანი №2*

# მადონას საშიშროება ელის?..



6 თვის წინ, ლონდონში, 18 ათასი მაყურებლის წინაშე მადონა დიდხანს გაჰყვიროდა სცენიდან — „ღმერთო, იხსენი დედოფალი!“ მაყურებლებმა მაშინ კარგად ვერ გაიაზრეს, ვის ხსნას ითხოვდა მომღერალი — ინგლისის დედოფლის — ელისაბედისა თუ საკუთარ — როგორც შოუბიზნესის დედოფლისას. მალე, ამ ამბის შემდეგ, ამერიკელმა მწერალმა-ეზოტერიკოსმა მაიკლ მაკ-კლელანმა (ავტორი წიგნისა „ნოსტრადამუსი და ბოლო ჟამი“) განაცხადა, — ღვთის წყალობა მადონას არ აწყენდა, რამდენადაც იგი მალე დატოვებს ამ ქვეყანას, 45 წლამდეც ვერ მიაღწევსო. როგორც საშიშრად გამჭრიახი ამერიკელი ირწმუნება, მადონა თავისი სიკვდილით კი არ დაიღუპება, არამედ მხეცურად მოკლავენ...

ასეთი საშინელი წინასწარმეტყველება ლუიზა ვერონიკა ჩიკონეს, რომელსაც მილიონობით თაყვანისმცემელი მადონას სახელით იცნობს, თავისი დაბადების 43-ე წლისთავზე მოახსენეს.

მაიკლ მაკ-კლელანმა ნოსტრადამუსის ჩანაწერებში აღმოაჩინა სტრიქონები, რომელშიც ნათქვამია, რომ ვიღაც, სახელად მოდენა, 2002 წლის მანძილზე დაიღუპება ძალადობრივი სიკვდილით. ეს იქნება ორი მამაკაცის შეთქმულება, რომელთაგან ერთ-ერთი შესაძლოა, რომელიღაც რელიგიური კულტის მიმდევარი იყოს.

ვინ შეიძლება მოკლას მადონა? წინასწარმეტყველი ასახელებს რობერტ ჰოსკინსს, ადამიანს, რომელიც სასჯელს იმისთვის იხდის, რომ თავის დროზე მომღერალს ყელის გამოჭრით ემუქრებოდა. მას 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ, ამას წინათ სანიმუშო ქცევისათვის ეს ვადა 8 წლამდე შეუმცირეს. მარტივი გამოთვლით, მადონასთვის საშიში პატიმარი ციხიდან სწორედ 2002 წელს თავისუფლდება.

*ინტერპოლ-ექსპრესი №4*

ჩვენ გვწერენ

# ტატამ თავისი მკვლელის ვინაობა დას სიკვდილის შემდეგ გაუმხილა...



საღამოს 7 საათი იქნებოდა. ნელის დის მეზობელმა დაურეკა — ტატა მოკლესო. თავზარდაცემული გაიქცა...

ცხედარი შუა ოთახში ესვენა. ირგვლივ მილიციელები დაფაცურობდნენ. მეორე ოთახიდან ორი წლის ბექას ტირილი ისმოდა.

შინ რომ დავბრუნდი, ეს ამბავი დამხვდა. კიდევ კარგი, ბავშვი ბაღში იყო. ვერ გამიგია, თავი რატომ უნდა მოეკლაო, — მოთქვამდა ბესო და ცოლისდას ტატას უკანასკნელ ბარათს უჩვენებდა, — დეპრესიას ველარ გავუძელი და თავს ვიკლავ. მაპატიეთ. ბექას ჩემს მშობლებს ვაბარებო, — წერდა.

ტატა ბესოს სანადირო თოფით იყო მოკლული.

ნელი კინაღამ გაგიჟდა — გუშინ არაფერი ეტყობოდა დეპრესიისაო და რატომღაც გულში გაჰკრა — ეს საქმე უთუოდ ბესოს ხელიდან მოდისო.

ტატას დაკრძალვის შემდეგ საქმე დაიხურა. ბექა ნელის მშობლებმა წაიყვანეს აღსაზრდელად.

ნელი ვერ ისვენებდა, ეჭვი ღრღნიდა. ერთ საღამოს ინსტიტუტიდან მომავალს ნაცნობი შეხვდა. ლიამ გაოცებულმა შეხედა ნელის — ეს ქალი ვინ არის, მხარზე ხელმოხვეული რომ მოგყვება. ისეთი სევდიანია, თითქოს რაღაცის თქმა უნდა და ვერ ამბობსო და დაწვრილებით აუწერა უცნობი. განცვიფრდა ნელი — ეს ხომ ჩემი დაა, საცოდავი ტატა. შენ საიდან იცი, არასოდეს გინახავსო. მე ხომ მედიუმი ვარ, — გაეღიმა ლიას და შესთავაზა, — წამოდი ჩემთან. უნდა გავიგო, რატომ არის სევდიანი შენი დაო.

ლიას მედიტაციაში მამამისი, ცნობილი ფსიქოლოგი ეხმარებოდა. უცებ ნელის ნაცნობი ხმა ჩაესმა, — ჩემო დაიკო, როგორ იფიქრე, რომ თავი მოვიკალი, მე მომკლეს... მკვლელი ტანდაბალია, გამხდარი. მკერდზე სახრჩობელა აქვს ამოსვირინგებული, მარჯვენა მკლავზე — ხანჯალზე დახვეული გველიო.

მეორე სეანსის დროს ტატამ მკვლელის სახელი და გვარიც გაამხილა — ვენიკო ჭუაძეაო.

ნელიმ იმ დღესვე უამბო ყველაფერი ნაცნობ გამომძიებელს. ნუგზარმა გულთან მიიტანა მისი სატკივარი. მალე გაიგეს, რომ ვენიკო ჭუაძე ქურდი და ავაზაკი ყოფილა, ნაპატიმრალი და ნაოხრალი. ჩივილი შეუძლებელი იყო — მოტივად იმას ვერ მოიტანდნენ — მიცვალებულის სული ამხელს მკვლელსო.

წლისთავმაც ჩაიარა.

ნელის ამბავი მიუტანეს — ბესო ვიღაც გოგოსთან დადისო. გული ეტკინა. ის გოგო ბექას ყოფილი ძიძა, მაცაცო გამოდგა...

მალე ნუგზარმა დაადგინა — ის ჭუაძე მაცაცოს ბიძაშვილი ყოფილა.

ნათქვამია, კოკა წყალზე გატყდებაო და ვენიკო ჭუაძეს ავ საქმეზე წაასწრეს — უწლოვანის გაუპატიურებისთვის ჩავარდა. საქმე ნუგზარს გადასცეს.

ჭუაძემ აღიარა დანაშაული.

ბესოს და მაცაცოსაც არ ასცდათ სასჯელი.

*დუდანა ქვიშორია*

პლასტიკური ქირურგია სამედიცინო ცენტრში
„მედი“
ნაოჭების გასწორება ოქროს ძაფებით

ფიგურის კორექცია ლიპოსაქციით

უკომენტაროდ
MEDI
25-02-02 37-88-02
ალ. ყაზბეგის გამზ. №1
ოპერატორი გია გვარამია
ტუჩების კორექცია ბიოთავსებადი გელით

ნაოჭების გასწორება ბოტოქსის ინიექციებით


## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. **რებუსი**
ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო;

II. მარტი.

III. დ.

# ომი და მშვიდობა

## ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშების 16 შეხვედრიდან 11 ფრედ დასრულდა

*გასულ კვირაში ევროპას დიდი ფეხბურთი დაუბრუნდა. სამშაბათს და ოთხშაბათს „ძველი კონტინენტის" რჩეულმა კლუბებმა ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპის მეოთხე ტურის მატჩები გამართეს. „საომრად" მომზადებულ გუნდთა უმრავლესობა ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდა. რვა შეხვედრიდან ექვსი ფრედ დასრულდა, ასე რომ, მეოთხე ტურს ბევრი არაფერი გაურკვევია, მხოლოდ „პანათინაიკოსმა" მოიპოვა უმნიშვნელოვანესი სამი ქულა, რაც შეეხება მეორე გამარჯვებულს — მადრიდის „რეალს" — მას ფაქტობრივად განაღდებული ჰქონდა მეოთხედფინალში გასვლა და ფრედაც რომ ეთამაშა, ბევრს არაფერს დაკარგავდა.*

### A ჯგუფი

### ნანტი-მანჩესტერი 1:1
### ბოავიშტა-ბაიერნი 0:0

ჯგუფის უპირობო ფავორიტებმა სტუმრად თითო ქულა მოიპოვეს და ერთი ნაბიჯიც გადადგეს მეოთხედფინალისაკენ. ამ ჯგუფს იმდენად გამოკვეთილი ლიდერები ჰყავს, რომ ძნელად წარმოსადგენია ლიგის ორი წლის წინანდელ ფინალისტებს ან „ნანტმა" გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა, ან „ბოავიშტამ". ალექს ფერ-



გიუსონის გუნდი ორი ტაიმის მანძილზე აგებდა „ნანტთან" და ქულა მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე იხსნა ვან ნისტელროის გატანილი პენალტით.

თითქმის წელიწადია, რაც „ბაიერნს" ლიგაში თამაში არ წაუგია. გერმანელებმა ნავსი არც პორტუგალიაში გატეხეს, გუნდებმა 90 წუთში თითზე ჩამოსათვლელი მომენტები შექმნეს. ორი ურთულესი დარტყმა მოიგერია ოლივერ კანმა, მიუნხენელთაგან როკი სანტა კრუზმა და სამუელ კუფურმა ვერ გამოიყენეს საგოლე მომენტები. მომავალ ტურში „ბაიერნი" და „მანჩესტერი" იგივე მეტოქეებს შინ შეხვდებიან და ალბათ მომავალ ეტაპზე გასვლასაც გაინაღდებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბოავიშტა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| ნანტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |

### B ჯგუფი

### ბარსელონა-რომა 1:1
### ლივერპული-გალათასარაი 0:0

„ნოუ კამპზე" 80.000 მაყურებელი საკუთარი გუნდის გამარჯვების სანახავად მივიდა, თამაშის მიწურულს კი კატალონიელ ქომაგებს ფრეც სანატრელი ჰქონდათ. „ბარსა" პატრიკ კლიუვერტმა იხსნა — 82-ე წუთზე პუიოლის დიდებულ გადაცემას დაუხვდა და ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა „რომას" კარში. მანამდე კი კატალონიელ მცველთა უყურადღებობით კრისტიან პანუჩიმ ისარგებლა და ისტორიული გოლი გაიტანა — რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ევროპული ფეხბურთის ორი გრანდი პირველად შეხვდა ერთმანეთს — პანუჩიმ „ბარსასა" და „რომას" ურთიერთშეხვედრებში ანგარიში გახსნა.

მეტად გააწბილა „ენფილდ როუდის" პუბლიკა ინგლისურმა „ლივერპულმა" — გუნდი, რომელიც ზედიზედ ოთხჯერ უგებს „მანჩესტერ იუნაიტედს", „არსენალისა" და „ლიდსის" ძლევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შინ „გალათასარაისთან" ქულებს არ უნდა კარგავდეს. მიუხედავად იმისა, რომ ფილ ტომპსონის შეგირდებმა „გალას" კართან მრავალი მომენტი შექმნეს, გოლი ვერ გაიტანეს და თუ მეოთხედფინალში თამაში სურთ, მომავალ კვირას სტამბოლში უნდა მოიგონ და „ბარსას" და „რომას" გადასწრებაზე მერე უნდა იფიქრონ. თავის მხრივ უმნიშვნელოვანესი ქულა მოიპოვა თურქეთის ჩემ-



პიონმა. „გალათასარაიმ" დარჩენილი სამი შეხვედრიდან ორი შინ უნდა გამართოს და თუ ორივე მოიგო, „ლივერპულს" ხომ აღარაფერი ეშველება და ალბათ „რომასა" და „ბარსელონადან" ერთ-ერთსაც მოუწევს ჩემპიონთა ლიგასთან გამომშვიდობება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| გალათასარაი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| რომა | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ლივერპული | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |

### C ჯგუფი

### რეალი-პორტუ 1:0
### სპარტა-პანათინაიკოსი 0:2

მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე" „სამეფო კლუბის" გამარჯვებაზე უფრო მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ თამაშის მე-17 წუთზე ლუიშ ფიგუ დაშავდა და ორკვირიანი „შვებულებაც" გაინაღდა. გამარჯვების გოლი თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე „რეალის" არგენტინელმა ლეგიონერმა სანტიაგო სოლარიმ გაუტანა სტუმართა მეკარეს ვიტორ ბაიას და პორტუგალიური კლუბი, რომელიც მანამდე ვაჟკაცურად უძალიანდებოდა მასპინძელთა შეტევებს, ერთობ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

იღბლიანი გამოდგა სერხიო მარქარიანის დებიუტი ჩემპიონთა ლიგაში. ამ კაცმა პარაგვაის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე გაიყვანა და... უმუშევარი დარჩა, თუმცა დროებით. მარქარიანი „პანათინაიკოსმა" მიიწვია და როგორც ჩანს, არც შემცდარა. ბერძნები მისივე მოედანზე გაუსწორდნენ ჩეხურ „სპარტას" და პრაღაში მოპოვებული ქულებით უდიდესი ნაბიჯი გადადგეს მეოთხედფინალისაკენ. გოლები კარაგუნისმა და კონსტანტინუმ გაიტანეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| სპარტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| პორტუ | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |

### D ჯგუფი

### ლევერკუზენი-არსენალი 1:1
### იუვენტუსი-დეპორტივო 0:0

ლევერკუზენის „ბაიერ არენაზე" გამართული მატჩის დასრულებას რამდენიმე წამი აკლდა, როცა მასპინძელმა ულფ კირსტენმა ანგარიში გაათანაბრა და ლონდონელებს „ოქროს ქულა" წაჰგლიჯა. უაღრესად საინტერესო მატჩიც ლოგიკურად დასრულდა. ლონდონელები ბოლო ნახევარ საათს ათნი თამაშობდნენ — 68-ე წუთზე „მეთოფეებს" პარლოუ გაუძევეს. მატჩის შედეგით კლაუს ტოპმიოლერმაც კმაყოფილება გამოთქვა და არსენ ვენგერმაც. აღსანიშნავია, რომ „არსენალს" დაუბრუნდა ვეტერანი მეკარე დევიდ სიმენი, რომელიც დაშავებულ მხარს მკურნალობდა.

უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს ტურინის „დელე ალპიზე", იქაური „იუვენტუსი" და ლა კორუნიას „დეპორტივო". საგოლე მომენტები ორივე გუნდის კართან შეიქმნა. ყველაზე რეალური შანსი იმ დღეს ბრწყინვალედ მოთამაშე დელ პიერომ გაუშვა ხელიდან — 73-ე წუთზე სტუმართა მეკარეს, მოლინას პენალტი ვერ გაუტანა. ამ ჯგუფში სამი ტურის შემდეგ ისეთი სიტუაციაა შექმნილი, როგორიც მეორე ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე იყო, რაშიც D ჯგუფის ცხრილიც დაგარწმუნებთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| არსენალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ლევერკუზენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| დეპორტივო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |

# თეთრი ოლიმპიადა სკანდალით დაიწყო და სკანდალებით დასრულდა



დასრულდა სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომელიც უთუოდ გრანდიოზული სკანდალების ოლიმპიადის სახელით შევა ისტორიაში. მას შემდეგ, რაც 1980 წლის ოლიმპიადაზე მოსკოვში ამერიკელი სპორტსმენები არ ჩავიდნენ და ოთხი წლის შემდეგ საბჭოელებმაც „ხურდა დაუბრუნეს", ასეთი სკანდალები, რაც სოლტ ლეიკ სიტიში მოხდა, არც ერთ ოლიმპიადაზე არ დაფიქსირებულა. თავად ოლიმპიადა მშვიდობის, ერთა შორის მეგობრობისა და სამართლიანობის თავიდათავია, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო, მორმონთა დედაქალაქში კი ოლიმპიზმის წმინდა პრინციპები შეიბღალა, და ეს კიდევ, რბილად ნათქვამია. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რუს მოციგურავეთა წყვილს სიხარულიძესა და ბერეჟნაიას ჯერ მოპოვებული ოქროს მედლების ჩამორთმევა დაუპირეს, აქაოდა ჟიური შეფასებისას არაობიექტური იყო და კანადურმა წყვილმა უკეთ ისრიალაო, შემდეგ ოლიმპიადების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სულელური გადაწყვეტილება მიიღეს — სიხარულიძე და ბერეჟნაია ჩემპიონებად მაინც აღიარეს, ხოლო კანადური წყვილიც „ოქროს წილში გაიყვანეს". ასეთი რამ ოლიმპიადის ისტორიას არ ახსოვს, ეს დაახლოებით იგივეა, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი ერთდროულად ორმა გუნდმა რომ მოიგოს (!). ეს კიდევ არაფერი — ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ რუსი მოთხილამურე ქალი ლარისა ლაზუტინა, რომლისგანაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები უცილობელ ოქროს მედალს მოელოდნენ, სტარტიდან მოხსნეს დოპინგის მიღებაში მხილების ბრალდებით. ლაზუტინას დასაცავად სრულიად რუსეთი აღდგა. ოლიმპიადის ორგანიზატორები არცთუ თბილად მოიხსენია თავად ვლადიმირ პუტინმა. რუსული საინფორმაციო საშუალებები ოლიმპიადის ორგანიზატორებთან აშკარა ომში ჩაებნენ. რუსეთის დელეგაციას მოუწოდეს პროტესტის ნიშნად ვადაზე ადრე დაეტოვებინათ სოლტ ლეიკ სიტი. ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა ერთეულთა ფიგურულ სრიალში, 16 წლის ამერიკელის სარა ჰიუზისათვის მინიჭებული ოქროს მედალი — მაშინ როდესაც რუსი ტელეკომენტატორები თავიანთ თანამემამულე ირინა სლუცკაიას ნაადრევად ულოცავდნენ ჩემპიონობას, ჟიურიმ ზემოთ ნახსენები ამერიკელი სცნო უძლიერესად. ამაზე რუსები სულ გადაირივნენ. უსა-



მართლოდ დაჩაგრულად მიიჩნევენ თავს რუსი ჰოკეისტებიც, რომლებიც ნახევარფინალში აშშ-ის ნაკრებთან დამარცხდნენ — 3:2. რუსთა მეკარეს ნიკოლაი ხაბიბულინს თამაშამდე დოპინგის მიღება დასწამეს. არადა, ჰოკეიში დოპინგტესტი მხოლოდ მატჩის დამთავრების შემდეგ ტარდება და არა მატჩის წინ. პირველ ორ პერიოდში რუსები აშკარად დათრგუნულნი ჩანდნენ. მათი თავკაცი ვიაჩესლავ ფეტისოვი კი ხმამაღლა აცხადებს, რომ უაღრესად პრინციპული მატჩი (არა მარტო სპორტული თვალსაზრისით) მისმა ნაკრებმა მიკერძოებული მსაჯობის გამო დათმო. ამერიკელებმა სამივე გოლი რიცხობრივ უმეტესობაში გაიტანეს, რუსები კი მიიჩნევენ, რომ სამივეჯერ დაუმსახურებლად გაუძევეს მოთამაშე.

ისე არ გამოვიდეს, თითქოს ოლიმპიადის ორგანიზატორებს მხოლოდ რუსები უჩიოდნენ — სოკ-ს პრეტენზიებით მიმართეს უკრაინის, ჩინეთისა და სამხრეთ კორეის დელეგაციებმაც. სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი, რომელმაც წინამორბედი ხუან ანტონიო სამარანჩი რამდენიმე თვის წინ შეცვალა, საყოველთაო კრიტიკის ობიექტად იქცა, ყოველ შემთხვევაში მისი თავკაცობით გამართული პირველი თამაშები აშკარად არ გამოდგა ისეთი, როგორიც სიტყვა „ოლიამპიადას" შეეფერება.

## უეფას თასი. მერვედფინალი

რეინჯერსი (შოტლანდ.) - ფეინოორდი (ჰოლანდ.) 1:1
ვალენსია (ესპანეთი) - სერვეტი (შვეიცარია) 3:0
ჰაპოელი (ისრაელი) - პარმა (იტალია) 0:0
ეინდჰოვენი (ჰოლანდ.) - ლიდსი (ინგლისი) 0:0
ლიონი (საფრანგეთი)- ლიბერეცი (ჩეხეთი) 1:1
ინტერი (იტალია) - აეკი (საბერძნეთი) 3:1



ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე გუნდებს უეფას თასისათვის მებრძოლმა კლუბებმაც აუბეს მხარი და 8 შეხვედრიდან 5 ფრედ დაასრულეს. ყველაზე მოულოდნელი შედეგი საფრანგეთში დაფიქსირდა, სადაც იქაურმა „ლიონმა" ჩეხურ „ლიბერეცს" ვერ მოუგო. ამ ტურნირში ფავორიტებად კვლავ „მილანი", ინტერი" და „ვალენსია" რჩებიან, რომელთაც ფაქტობრივად გაინაღდეს მეოთხედფინალში თამაში. სხვა წყვილებში ყველაფერი საპასუხო შეხვედრებში უნდა გაირკვეს.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მh2-f1!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **ხუთ** სვლაში.




English with computer

გთავაზობთ
ყველას, ვინც სერიოზულად ფიქრობს კარიერაზე

ინგლისური ენის საფუძვლიანი შესწავლის უმოკლეს გზასა და სრულიად ახალ ფორმას უნიკალური კომპიუტერული ინტერაქტიული პროგრამების მეშვეობით

- ყველა მსურველისათვის 14 წლის ასაკიდან;
- ინგლისური ენის პროფესიულ დონეზე შესწავლა;
- Elementary, pre-intermediate, intermediate, upper-intermediate;
- ინგლისური ბიზნესისათვის BUSINESS ENGLISH;
- აუდიო და ვიდეო გაკვეთილები, კომპიუტერული ენობრივი თამაშები off/on line რეჟიმებში;
- ყოველდღიური ტესტირება;
- უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებლები;
- დამატებითი მეცადინეობა;
- სწავლების კომფორტული გარემო;
- სწავლის დაწყება ნებისმიერ დღეს და საათს;
- ინტერნეტით სარგებლობა;
- დიაგნოსტიკა-ტესტირება უფასო
- გაცდენილი გაკვეთილების აღდგენა უფასო
- მინიმალური კომპიუტერული მომზადება უფასო
- თითოეული კურსის ხანგრძლივობა 1-დან 5 თვემდე

გახსოვდეთ, თქვენ ჩვენთან იხდით მხოლოდ ცოდნისთვის
თბილისი, გიორგი წერეთლის 3, VIII სართული
ტელ/ფაქსი: 23 38 75 e-mail: megasoft@gol.ge

# „ბიჩოკი“ პირდაპირ გამოჭიმულ ინსპექტორს გაარტყა სახეში



*(დასაწყისი იხ. გვ. 13)*

მანქანით გამოვედევნე, გავაჩერე და აღშფოთებული ვეკითხები — შვილო, ან მამა არა გყავს, ან დედა, ზრდილობას არსად გასწავლიდნენ-მეთქი? — შენ ვინ ხარო, უტიფრად მეკითხება. ქალაქის საგზაო პოლიციის უფროსი ვარ-მეთქი. — მერე, ჭკუას რომ მასწავლი, იცი მე ვისი საყვარელი ვარო?! და ერთი საკმაოდ ცნობილი ჩინოვნიკის სახელი მითხრა. გადავირიე კაცი... თავი ველარ შევიკავე — შენი დედაც და შენი საყვარლისაც-მეთქი... მოგვიანებით იმ კაცს თავხედობა ეყო, სამსახურში დამირეკა და მისაყვედურა, რა არის, ქალებსაც დაუწყეთ დევნაო?

*საუბარში ავტოსაგზაო შემთხვევებზე გამსვლელი ჯგუფის უფროსი,* **გია უჯმაჯურიძე** *შემოგვესწრო:*

— ადამიანი როგორც საჭესთან იქცევა, ზუსტად ისეთივეა სამსახურშიც და ოჯახშიც. მე სპეცმანქანით ვმოძრაობ. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ შუქნიშნის წითელ ფერზე გაჩერებულს უტიფრად ჩამიქროლებენ ხოლმე — თითქოს, შუქნიშანი იქ არც არსებულა... ჩვენი მძღოლები ზედმეტად თავდაჯერებულები არიან — ჩვენ ამ მოვლენას „თვითიმედოვნებას“ ვუწოდებთ. რატომღაც ჰგონიათ, რომ უბედურება მხოლოდ სხვას შეიძლება შეემთხვეს და არა უჭირს, თუ საჭეს „ოდნავ“ მთვრალი მიუჯდებიან...

— **თქვენი პრაქტიკის მანძილზე, ავტოკატასტროფების მიზეზი ყველაზე ხშირად რა არის?**

— სხვათა შორის, ამის გასარკვევად სპეციალურად გადავხედე განვლილი 30 წლის სტატისტიკას. აღმოჩნდა, რომ კატასტროფების უბრალო მატება კი არა, მთელი ტალღა წარმოიქმნებოდა ახალი მოდელების გამოჩენისას. ასე იყო, როდესაც „მოსკვიჩის“ შემდეგ „ფიატი“, იგივე „ვაზ 2101“ გამოვიდა, შემდგომი ტალღა „ვაზ2106“-მა გამოიწვია, ამის შემდგომი კი „ვაზ2109“-მ. ავტოკატასტროფების მხრივ დღესაც არნახული მატებაა — თავად მოგეხსენებათ, რამდენი უცხოური ავტომობილი შემოდის...

— **ავტოკატასტროფაში ყველაზე ხშირად რომელი მარკა ხვდება?**

— ამ მხრივ BMW პირველ ადგილზეა. მისი სისწრაფე და ძრავის სიმძლავრე ყველასთვის ცნობილია. ისიც მოგეხსენებათ, რომ არც ჩვენი მძღოლები არიან პროფესიონალი მრბოლელები და არც თბილისშია მაინცდამაინც სარბოლოდ გამზადებული ტრასები. მაგრამ ეს ძალიან ცოტას თუ ესმის... საერთოდ, კატასტროფა მარკაზე და მოდელზე ნაკლებად არის დამოკიდებული. მთავარი მიზეზი მაინც ზემოთ ნახსენები თვითიმედოვნება, უპასუხისმგებლობა და უყურადღებობაა. ორიოდე წლის წინ, თბილისში შემზარავი ფაქტი მოხდა — შედარებით უმნიშვნელო ავტოკატასტროფაზე ჩვენი მორიგე ინსპექტორი იყო გასული და ადგილზე ადგენდა საბუთებს. როგორც ხდება ხოლმე, მის გარშემო ცნობისმოყვარეებიც იყვნენ შემოჯარული. ამ ხალხის მასაში მოულოდნელად, მაღალი სიჩქარით შევარდა „ჟიგული“, რომელსაც უგონოდ მთვრალი მძღოლი მართავდა. მანქანა ფაქტობრივად, ადამიანთა სხეულებმა გააჩერა... დაიღუპა პოლიციელიც და მასთან მყოფი ხალხიც...

# „კრაისლერი“ — კვლავ პრობლემების წინაშე...

ის-ის იყო, „დაიმლერ-კრაისლერის“ გარშემო ატეხილი ფინანსური სკანდალი ჩაცხრა, რომ კომპანიის წინაშე ახალმა პრობლემებმა იჩინა თავი — საქმე „კრაისლერის“ კორპორაციის წევრ ფირმას, „ჯიპს“ ეხება. ამჯერად საუბარია მის ერთ-ერთ ფართოდ რეკლამირებულ მოდელზე, „გრანდ-ჩეროკიზე“. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალი გაზეთის, LOS ANGELES TIMES-ის ცნობით, ამერიკის ფედერალური გამოძიების ბიურომ მრავალგზის შესული საჩივრების საფუძველზე უკვე აღძრა საქმე კორპორაცია „კრაისლერის“ წინააღმდეგ. როგორც ცნობილი ორგანიზაციის, NHTSA-ს ექსპერტები აღნიშნავენ, „გრანდ ჩეროკის“ გადაცემათა კოლოფს საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს. კერძოდ, როდესაც მანქანა გაჩერებულია, მაგრამ ძრავა არ არის გამორთული, სიჩქარეების ავტომატურ გადაცემათა ბერკეტი მოულოდნელად ვარდება უკუსვლის სიჩქარეში. ანალოგიურ დეფექტს რამდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი ავტობანზე მოძრაობის დროსაც, რის შედეგადაც ოფიციალური სტატისტიკით, 5 ადამიანია დაღუპული, ხოლო 150 კი დაშავებული. გამოძიების ფედერალური ბიუროს ცნობით, ამ საკითხზე მათთან 700-მდე საჩივრის წერილია შემოსული. „კრაისლერი“ გამოძიების შედეგებს არ დაელოდა და უკვე განაცხადა 1,6 მილიონი ავტომობილის უკან გაწვევის შესახებ. რაც იმას ნიშნავს, რომ, 1993-1998 წლებში გამოშვებულ „გრანდ ჩეროკის“ მოდელებზე „კრაისლერის“ ადგილობრივი დილერები უფასოდ დაამონტაჟებენ დამატებით მოწყობილობას, რომელიც ზემოაღნიშნულ გაუმართაობას აღმოფხვრის. ახლახან „კრაისლერმა“ Grand Cherokee-ს კიდევ 76 143 მოდელი გაიწვია უკან. საქმე ამჯერად საწვავის ავზს ეხება. ყველგანმავალის ტესტირებამ გამოავლინა, რომ უკნიდან დაჯახების შემთხვევაში შესაძლებელია ავზის „კლაპანი“ გამოვარდეს, რაც საწვავის დაღვრას და ხანძარს გამოიწვევს. თუმცა, ჯერჯერობით ამ მიზეზით კორპორაციის წინააღმდეგ არანაირი საჩივარი არ აღძრულა.




# „ჰიუნდაი“ გავარიელებს მჯობრება...



— ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება რჩება კორეელთა განცხადების შემდეგ, რომელიც ახალი მოდელის, HYUNDAI HCD-7-ის პრეზენტაციაზე გაკეთდა. განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული მოდელი არაფრით ჩამოუვარდება ფუფუნებითა და სოლიდურობით განთქმულ BMW-ს მე-7 სერიას, თუმცა მასზე ორჯერ უფრო იაფი — დაახლოებით 40 ათასი დოლარი ეღირება. ახალი „ჰიუნდაი“ მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება, თუ მხედველობაში მივიღებთ მის სალონს, კომპიუტერულ მოწყობილობებს, ვიდეომონიტორებს, ინტერნეტს და ა.შ.

თუმცა, მიუხედავად კორეელთა მონდომებისა, საეჭვოა, „ჰიუნდაიმ“ BMW-ს ძრავისა და სავალი ნაწილის სფეროში ღირსეული კონკურენცია გაუწიოს...

# ავტოკატასტროფა ვიდეოკამერით დაფიქსირდება...



საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ მტყუან-მართლის გარჩევა რთული საქმეა, რადგან ხშირად ორივე მხარე თავის სიმართლეშია დარწმუნებული. საქართველოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან მალე მძღოლსაც და პოლიციელსაც ამ მხრივ ყველანაირი პრობლემა მოეხსნებათ. სან-დიეგოში მდებარე ელექტრონული ტექნოლოგიების კომპანია Drive Cam Video Systems-ი შემთხვევის მონაწილეებს ობიექტური და მოუსყიდავი მოწმის ჩვენებას სთავაზობს. მინიატურული მოწყობილობა, რომელიც სენსორისა და ციფრული კამერისგან შედგება, ავტომობილის სალონში, უკანა ხედვის სარკეზე მაგრდება. კამერას ორი ობიექტივი გააჩნია, რომელიც წინ და უკან 180 გრადუსით განუწყვეტლივ აფიქსირებს სიტუაციას როგორც მანქანის გარშემო, ისე სალონში. ჩანაწერი ერთი საათის განმავლობაში ციფრულად ინახება. შეჯახებიდან 30 წამის შემდეგ კამერა სენსორის მეშვეობით მუშაობას წყვეტს და შემთხვევის ადგილზე მისულ ავტოექსპერტებს იქვე, სპეცმანქანაში დამონტაჟებულ მონიტორზე შეუძლიათ ნახონ, თუ რა ხდებოდა ავტოკატასტროფის წინ და მის შემდეგ — სწორი თუ იყო მძღოლის რეაქცია კრიტიკულ ვითარებაში, ან მიატოვა თუ არა დამნაშავე მხარემ დაზარალებული შემთხვევის ადგილზე (შეერთებული შტატების კანონმდებლობით ეს ძალიან მკაცრად ისჯება).

# FERRARI F60 გამოცდის ბოლო ეტაპზეა...



მიმდინარე წლის შემოდგომაზე ახალი „ფერარის“ პრეზენტაცია გაიმართება. აღნიშნული მოდელი ყველაზე მძლავრი იქნება სერიული წარმოების მოდელებს შორის, რაც კი ოდესმე „ფერარის“ გამოუშვია. F60 ფორსირებული, 12-ცილინდრიანი ძრავით იქნება აღჭურვილი, რომელიც 650 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს და ავტომობილს საშუალებას მისცემს, 330კმ/სთ სისწრაფე განავითაროს. აღსანიშნავია, რომ 0-დან 100კმ/სთ ნიშნულამდე ასვლას F60 მხოლოდ 3,2 წამს მოანდომებს. რაც შეეხება ტექნიკურ მოწყობილობას, ამ მხრივ ახალი „ფერარი“ ძალიან ჰგავს „ფორმულა-1“-ის ბოლიდს. ავტოექსპერტები ხუმრობენ კიდეც, რომ „ფერარიმ“ სერიულ წარმოებაში პირდაპირ „ფორმულა-1“-ის მოდელი გადმოიტანა, რომელსაც მხოლოდ დიზაინი შეუცვალეს. ახალი „ფერარის“ ფასი ჯერ დაზუსტებული არ არის — ის 500 ათასიდან 1 მლნ დოლარამდე მერყეობს. ამის მიუხედავად, იტალიელი ავტომშენებლების განცხადებით, ახალ ავტომობილზე უკვე ასზე მეტი დაკვეთა აქვთ მიღებული.

## ახალი ჩუბჩიკა

### ღიმილიანი რჩევები ავტომოყვარულებს



გაიგე ახლა, რომელია ცხოველი...

# «პორშეს» ყველგანმავალი

„ავტოსალონის“ ერთ-ერთ ნომერში საავტომობილო სფეროში არსებული მძაფრი კონკურენციის შესახებ მოგითხრობდით. როგორც ჩანს, ეს ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის — დღემდე სპორტული ავტომობილების წარმოებით სახელგანთქმულმა „პორშემ“ განაცხადა, რომ მისმა კონსტრუქტორებმა უკვე დაასრულეს მუშაობა ახალი თაობის ჯიპზე, რომელსაც სერიულ წარმოებაში ორი წლის შემდეგ ჩაუშვებენ.

ანალოგიური კლასის ავტომობილი გამოვა „ფოლკსვაგენის“ მარკითაც, რომელსაც „კოლორადო“ ერქმევა. აღსანიშნავია, რომ ეს მოდელიც „პორშეს“ საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ იქნა შემუშავებული. დიზაინერთა განცხადებით, მათ ტექნიკური მახასიათებლები საერთო ექნებათ, თუმცა ერთმანეთს არც მთლად „ტყუპისცალებივით“ ემსგავსებიან. აღნიშნული ავტომობილები დიზაინითაც განსხვავებული იქნება. როგორც ჩანს, გერმანელმა ავტომშენებლებმა უკვე გაკვალულ გზაზე გადაწყვიტეს სიარული, რადგან მისი ჯიპი უკვე სახელმოხვეჭილი „პასატის“ პროტოტიპი იქნება, „პორშეს“ მიერ წარმოდგენილი ჯიპი კი — ლეგენდარული „911“-ის ყველგანმავალი ვერსია. ორივე ავტომობილი ტექნიკური სიახლეებით გამოირჩევა. „ყველგანმავალის აღნიშნულ კლასში ჩვენი მოდელები ყველაზე ბოლოს გამოვუშვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენამდე გამოსული ყველა მარკის შეცდომა და ხარვეზი გათვალისწინებული გვექნება. გარდა ამისა, ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებსაც უხვად გამოვიყენებთ...“ — განაცხადა „პორშეს“ ხელმძღვანელმა ვენდელინ ვაიდეკინგმა. „პორშეს“ ჯიპის დაპროექტებისას ეტალონად BMW X5 იქნა აღებული. სხვათა შორის, მეორე ჯიპის, „კოლორადოს“ შემთხვევაშიც იგივე ხდებოდა. თუმცა მაშინ კონსტრუქტორები BMW-ს პროდუქციიდან მიზნად სალონის ტევადობისა და კომფორტის გაუმჯობესებას ისახავდნენ. „პორშემ“ ტევადობასთან დაკავშირებული ნოვაციები უცვლელად გადმოიღო „კოლორადოსგან“, თავისი ენერგია და ფინანსები კი ტექნიკური მახასიათებლების, ძრავისა და სავალი ნაწილის გაუმჯობესებას მოანდომა. აღსანიშნავია, რომ „პორშეს“ ჯიპის კონსტრუქტორებმა ეტალონად არა X5-ის ჩვეულებრივი, სერიული ვერსია აირჩიეს, არამედ მისი გაუმჯობესებული და ბევრად უფრო სოლიდური ვარიანტი ALPINA X5, რომელსაც ფირმა შეზღუდული რაოდენობით, ექსკლუზიური დაკვეთების ხარჯზე ამზადებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, რბოლისთვის განკუთვნილ გზებზე სახელმოხვეჭილი „პორშე“ კონკურენტებს უგზოობაშიც შეავიწროებს. ფაქტობრივად, ამ სფეროში არ დარჩენილა ნოვაცია, რომელიც PORSCHE CAYENNE-ის დაპროექტებისას არ გამოეყენებინათ. მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პნევმატური საკიდარი, რომელიც ავტომატურ რეჟიმში მუშაობს. აღნიშნულ სისტემაზე „ავტოსალონში“ ადრეც გვქონდა საუბარი, როდესაც „აუდი ოლროადს“ განვიხილავდით. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სისტემა ავტომობილის კლირენსს, ანუ მიწასთან დაშორებას ცვლის მისი ზედაპირის შესაბამისად. მაგრამ „აუდის“ შემთხვევაში ეს მექანიკურად, ღილაკის საშუალებით ხდებოდა, „პორშეს“ ჯიპის კომპიუტერული სისტემა კი თვითონ ამოწმებს მიწის ზედაპირს და მასთან დაშორებასაც თვითონვე არჩევს. რაც შეეხება ძრავას — აქ მთელი გამა არსებობს, რომელიც ახალი, V6 3,0 ლ. მოცულობის და 240 ცხ.ძ სიმძლავრით იწყება და W12 6,0 ლ მოცულობის, 450 ცხ.ძ სიმძლავრით მთავრდება. წინასწარი მონაცემებით, „პორშეს“ ჯიპი მინიმუმ, 55 ათასი აშშ დოლარი ეღირება (საუბარია ძრავის ყველაზე სუსტ მოდიფიკაციაზე).




CMYK

## ნამდვილი „ოქროს ქოში“ 500 ათასი დოლარი ღირს



ფეხსაცმლის ცნობილმა დიზაინერმა სტუ-არტ ვაიტცმანმა, რომლის კლიენტები ცნობილი ვარსკვლავები არიან, ფართო საზოგადოების წინაშე წარადგინა ახალი შედევრი, ფეხსაცმელი, რომლის ფასი — 1 მლნ დოლარია. ფეხსაცმელს „ოსკარის“ გადაცემის ცერემონიაზე ჩაიცვამს რომელიმე მონაწილე. საწყალ კონკიას ასეთი „ოქროს ქოში“ რომ დაეკარგა, ალბათ გული გაუსკდებოდა.

სუპერფეხსამოსი შეკერილია ნამდვილი პლატინის ძაფებით მოქსოვილი ნაჭრისგან და ბრილიანტებითაა შემკული. ამ შედევრის ავტორი ამტკიცებს, რომ ფეხსაცმელი უნივერსალურია: ნეიტრალური ფერი ყველანაირ ტანსაცმელს შეეფარდება, ხოლო ბრილიანტები საიუველირო სამშვენისებად გამოიყენება.

ერთ დროს ქეით ბლანშეტი ერთ-ერთ წვეულებაზე გამოცხადდა — Jimmy shoo-ს უქუსლო ფეხსაცმლით, რომელიც თეთრი, ოქროს ჩარჩოში ჩასმული 40-კარატიანი ბრილიანტით იყო შემკული, მაგრამ იგი გაცილებით ნაკლები ღირდა — სულ „რაღაც“ 220 ათასი დოლარი.

*ლიზა №7*

## დეპუტატს ქმრის 30 დარტყმით დასჯიან...

კოლუმბიელი ლუის ედუარდო დიასი, რომელიც წლეულს დედაქალაქის საბჭოს წევრად აირჩიეს, ამომრჩეველთა აზრით, ნამდვილი „პოლიტიკური ფენომენი“ გახდა.

მოულოდნელმა პოპულარობამ და მატერიალურმა პრივილეგიამ დიასს თავგზა აუბნია. როგორც კი საბჭოში მოკალათდა, მაშინვე რამდენიმე დებოში მოაწყო გალეშილმა. მერე „დაირცხვინა“ და ამომრჩევლებს შეჰპირდა, ალკოჰოლიზმზე ვიმკურნალებო და შვებულებაში გავიდა, თუმცა ამაოდ — მეგობრებთან ერთად თურმე საფუძვლიანად „უმკურნალია“ ვისკით. მერე ავარიაც მოუხდენია — გასაკვირი არც არის, ყოფილმა მეწაღემ თურმე მანქანის მართვა ხეირიანადაც არ იცის.

მოძრაობამ, რომელმაც ლუის ედუარდო დიასი დეპუტატად წარადგინა, გადაწყვიტა ლოთობისთვის დასაჯოს — მას ქმრის 30 დარტყმა „მიუსაჯეს“. ამ პროცედურას დიასის მოტყუებული ამომრჩევლებიც დაესწრებიან.

*ეხო პლენეტი №48*

## მეფე არტური... რუსი ყოფილა!



ლეგენდარული მეფე არტური, რომელიც დასავლეთევროპული რაინდობის ეტალონად ითვლება, რუსი თავადი გამოდგა(!). — ასე დაასკვნა ბრიტანელმა ისტორიკოსმა ჰოვარდ რიდმა.

მკვლევარის აზრით, მეფე არტური შავი ზღვისპირეთის სარმატის სტეპების ერთ-ერთი ტომის ბელადი ყოფილა. ამ ტომის მამაკაცები, ქერათმიანები და ახოვანები, არტურის მეთაურობით დუნაიზე რომაელთა ლეგიონებს შეხვედრიან. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ „ბარბაროსთა“ არმია იმპერატორის სამსახურში ჩამდგარა.

რომაელ იმპერატორთან, მარკუს ავრელიუსთან შეთანხმებისამებრ რუსი თავადი ინგლისში თავის რაზმთან ერთად ჩასულა — ამის დასტურია რუსეთის ტერიტორიაზე გათხრებისას ნაპოვნი მათი საბრძოლო იარაღები. მათი სიმბოლიკა ემთხვევა ლეგენდარული მეფის არმიის ბაირაღებისას.

*ორაკული №3*

## შვარცნეგერმა ტანკი იყიდა



სახელგანთქმულმა ტერმინატორმა ავსტრიის მთავრობისაგან 1,4 მლნ დოლარად ამერიკული წარმოების ტანკი — M-47 იყიდა.

ამასთან, სწორედ ის ტანკი იყიდა, რომელშიც 1965 წელს ავსტრიის არმიაში სამსახურისას იჯდა. თუმცა მსახიობმა შენაძენი თავის დიდებული ვილის ეზოში ვერ შეაგრიალა — ეტყობა ცოლმა, მარია შრაივერმა დაუშალა. ამბობენ, თავდაპირველად არნის რეკლამის მიზნით ტანკის დაყენება „პლანეტა ჰოლივუდის“ ერთ-ერთ რესტორანთან უნდოდაო, მაგრამ მას შემდეგ, რაც 2002 წელს თავისი აქციები გაყიდა, განზრახვა უკუაგდო. ვეღარც ტანკზე ამბობდა უარს — მასში ხომ უზარმაზარი თანხა გადაიხადა. ბოლოს და ბოლოს, მანქანა ოჰაიოს მუზეუმში დააბინავა. „როცა მომენატრება და ჩემს ტანკს მივაკითხავ, იქაურ გზებზე ნამდვილ რბოლას ვაწყობ ხოლმე“, — ამბობს ტერმინატორი.

*ეხო პლანეტი №6*

## შავმა ავაზამ პირად ცხოვრებას ვერ მიხედა



მილანში, სამოდელო სახლ „დოლჩე და გაბანას“ მოდელების ჩვენებისას მოდის სამყაროსთვის უჩვეულო რამ მოხდა — პოდიუმზე ნაომი ქემფბელი დაბრუნდა. მოდელი საუცხოოდ გამოიყურებოდა: კატისებური მოქნილობა, გრძელი შავი თმა და დიდრონი შავი თვალები. „ეტყობა, ისევ შეყვარებულია“, — დაასკვნეს ექსპერტებმა.

ნაომიმ არაერთგზის განაცხადა, მოდის სამყაროს ვტოვებ და პირად ცხოვრებას უნდა მივხედოო... ამჯერად კი ისევ დაბრუნდა, ალბათ, ისევ უკანასკნელად(!).

*სპიდ-ინფო №5*

## არა შეჯდა მწყერი...

ნორვეგიის სამეფო ტახტის მემკვიდრე პრინცმა ჰოკონმა თავისი ახალშერთული მეუღლისგან, მეტა-მარიტისგან ერთი მაგარი სილაქი მიიღო.

ევროპის მაღალ წრეებში მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ნორვეგიელი პრინცესას არაორდინარული საქციელი.

აეროპორტში ბევრმა ნორვეგიელმა საკუთარი თვალით იხილა, რა გაანჩხლებული ეჩხუბებოდა მეტა-მარიტი პირად მდივანს ჰილდა ჰარალდ-შტადს.

პრინცს მისი დამშვიდება როგორც კი უცდია — პრინცესამ შეძახილით, „თავი გამანებეო“, გვარიანი სილაქი უთავაზა თურმე ქმარს.

*ეხო პლანეტი №6*



*ისე იღიმება, ვითომ არაფერი...*

## „დოლი“ ინვალიდობის ზღვარზეა



კლონირებით მიღებული მსოფლიოში სახელგანთქმული ცხვარი დოლი, ინვალიდობის ზღვარზეა. თითქოს არ კმაროდა ის, რომ მას სწრაფად დაეწყო სიბერე, ახლა ართრიტმაც შეუტია. 2001 წლის აპრილში თურქულის ეპიდემიით შეშინებულმა ექიმებმა დოლი კინაღამ მოკლეს. იგი მხოლოდ მეცნიერთა დაცვამ იხსნა. ართრიტმაც ძალზე შეაწუხა, ძლივს დადის სახსრების ძლიერი ტკივილის გამო. დოლი ამჟამად ხუთ-ნახევარი წლისაა, ართრიტით კი ასაკოვანი ცხვრები ავადდებიან. არის ერთი საყურადღებო ფაქტი — დოლის მისაღებად გამოყენებული უჯრედი 6 წლის ცხვრისაგან არის აღებული. მეცნიერთა აზრით, იგი ახლა 11 წლისაა. თუ ეს ასეა, მაშინ დოლის დიდი დღე არ უწერია. მისმა ავადმყოფობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია ინგლისურ პრესაში. ბევრი კლონირების აკრძალვას მოითხოვს, მაგრამ დოლის შემქმნელი იელ-ვილმუტი ამის წინააღმდეგია. მას ღრმად სწამს, რომ საჭიროა ექსპერიმენტების გაგრძელება და შესაძლოა მალე არა, მაგრამ იგი კაცობრიობას სარგებლობას აუცილებლად მოუტანს.

*მირ ნოვოსტეი №6*

## ჩიტის მოტანილი ამბები

**თურმე გორილები მღერიან.** კონგოს ნაციონალურ პარკში ბინადრობენ ადამიანის მსგავს მაიმუნთა ოჯახები. გორილები მეტად მშვიდობიანი ცხოველები არიან. ეს არის პრიმატთა ერთადერთი სახეობა, რომელიც აფასებს ოჯახის ინსტიტუტს. შვილები, დაქორწინების შემდეგ, არ ტოვებენ მშობლებს. ბებია-ბაბუები რამდენიმე წელი ეხმარებიან ახალგაზრდა მშობლებს პატარების გაზრდაში.

უფროსი თაობის პატივისცემას ჩვილობიდან უნერგავენ მაიმუნებს. ღმერთმა დაიფაროს, პატარამ არ დაუჯეროს ბებიას, უმალ მოხვდება გაჯავრებული მამისაგან. მაიმუნებს წუთობით აქვს განაწილებული მთელი დღე. მზის ჩასვლისას, ბინდბუნდში ხშირად ისმის გორილების შეწყობილი ხმები — მღერიან გორილები...

**თუთიყუში — მთავარი მოწმე.** ერთმა ვერონელმა (იტალია) ქალმა ბრალი დასდო ჩიტების გამყიდველს, თუთიყუში მომპარაო. დიდი ფიქრის შემდეგ მოსამართლემ გალიიდან გამოუშვა თუთიყუში. ჩიტმა შემოუფრინა დარბაზს, დააჯდა პატრონს მხარზე და დაუწყო მოფერება.

ჩიტებით მოვაჭრე დამნაშავედ ცნეს.

**პინგვინების გასაჭირი.** მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ანტარქტიკაში სწრაფად მცირდება პინგვინების რაოდენობა. სწორედ ანტარქტიკაზე აისახა ყველაზე მძაფრად გლობალური დათბობა. ტემპერატურა იქ საშუალოდ ხუთჯერ მეტად მატულობს, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. გარდა ამისა, პინგვინებს შემოაკლდათ საკვები. მკვლევარები შიშობენ, რომ მალე ეს მშვენიერი არსებანი ანტარქტიკაში საერთოდ აღარ იარსებებენ.



*უცხოური პრესის მიხედვით*

## ელვის პრესლი ცოცხალია?



ფსიქიატრმა დონალდ ჰინტონმა (კანზასის შტატი) ტელეკომპანია სი-ენ-ენ-ში სენსაციური განცხადება გააკეთა — ჩემი ერთ-ერთი პაციენტი ელვის პრესლი გახლავთო!

ექიმს ეს დაუდგენია დნმ-ის ანალიზით. როკ-ენ-როლის მეფე თურმე 67 წლისაა, სრულიად ჭაღარაა, დაავადებულია ართრიტით, მაგრამ დღემდე მღერის. მთელი ამ ხნის განმავლობაში პრესლი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმალებოდა ტყუპისცალი ძმის, ჯესის სახელით (თუმცა ჯესი დაბადებისთანავე გარდაიცვალა).

ექიმი ამბობს, — მე და ჩემი პაციენტი ხშირად ვსაუბრობთ. მან რამდენიმე ისეთი ნივთი მაჩუქა, დავრწმუნდი, ნამდვილად ელვის პრესლია. 1977 წელს სიკვდილის სცენა იმიტომ გაითამაშა, რომ თავიდან მოეშორებინა შეშლილი თაყვანისმცემლები.

*ნოვიე იზვესტია №29*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში კონსტანტინე გამსახურდიას ფრაზას ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | ს | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| შ | დ | დ | ი | ლ | ა | ა | ა | ნ | ი | ნ | ი | ა | ე | ლ | ნ | ე | ა | ა | ი | ტ | ს | ი | ი | ა | კ | ი | ი | ს | ო |

**დ.** ქალაქი გერმანიაში, სადაც აშენდა პირველი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკი; **ა.** იჯარა; **ი.** საზაფხულო საძოვარი მთაში; **ს.** ინგლისელი მწერალი; **ვ.** იტალიელი კომპოზიტორი; **ე.** საბერძნეთის მეორენაირი სახელი; **ნ.** ნიკოლოზის როლის შემსრულებელი მხატვრულ ფილმში „უდიპლომო სასიძო“; **ე.** გემის მომსახურე პერსონალი; **კ.** ცის ქვეშ დანთებული დიდი ცეცხლი; **ვ.** მორიგეობა გემზე; **ი.** მოსკოვის „დინამოს“ ლეგენდარული მეკარე; **რ.** გზა, საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე, რომელსაც გადის გემი; **ი.** ქალაქი ლატვიაში, სადაც ხშირად ტარდება მუსიკის ფესტივალები; **ს.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **პ.** ძაღლის ჯიში; **ა.** შტატ ჯორჯიას დედაქალაქი; **ლ.** ქალაქი გერმანიაში; **ი.** რუსული რევოლუციური გაზეთი; **ტ.** მდინარე ლონდონში; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ა.** შხამიანი გველი; **ს.** ცხოველი, რომელიც საფრთხის მოახლოების დროს საშინელ სუნს აყენებს; **თ.** მდინარე საქართველოში; **ა.** ღვთაებრივი ხარი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ძველ ეგვიპტეში; **ნ.** ყავის ცნობილი ფირმა; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **რ.** რა მდინარე ჩამოედინება ონსა და ამბროლაურში; **თ.** სპილენძის ჭურჭელი; **ა.** მისაღები თანხის ნაწილი, რომელსაც შესასრულებელი სამუშაოს ანგარიშში წინასწარ უხდიან ვინმეს; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**კ.** კოჩია; **ვ.** ვივალდი; **ი.** იკებანა; **რ.** რანგუნი; **ი.** ირისი; **ს.** საგემი; **პ.** პიონერი; **ა.** აპნისი; **ლ.** ლიეჟი; **ი.** ირბისი; **ტ.** ტრამალი; **რ.** რეალი; **ა.** აგრესია; **შ.** შოსე; **ე.** ელჩიბეი; **ნ.** ნავარა; **ი.** იმერეთი; **მ.** მონტეგი; **ე.** ეპილოგი; **გ.** გაღმა; **ზ.** ზამბეზი; **უ.** ურემი; **რ.** რერო; **ი.** ისთვუდი; **ა.** აკიდო.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი.**

CMYK

## №7 (281) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 696 მკითხველი გამოეხმაურა. 12 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 221-მა ქალმა და 463-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად რომელი პიროვნების იმედი გაქვთ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში?“**

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ 12 არასწორად შევსებული ბარათიდან 9-ში ყველა გრაფა ნულით ან 1 ქულითაა შეფასებული, ე.ი. ამ რესპონდენტებს არც ერთი აქ ჩამოთვლილი პიროვნების იმედი არ აქვთ.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობის აზრით, აფხაზეთს ვლადიმირ პუტინი თუ დაგვიბრუნებს. რესპონდენტთა 39-მა შეაფასა რუსეთის პრეზიდენტი მაქსიმალური — 8 ქულით, თუმცა, მინიმალური — 1 ქულა მას მკითხველთა 8-მა დაუწერა. **6,03** საშუალო ქულით პუტინი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ასლან აბაშიძეა, საშუალო ქულაა 5,96. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ლიდერი ყველაზე ნაკლები რაოდენობის მინიმალური ქულების მფლობელია — მკითხველთა მხოლოდ 1-მა დაუწერა მას 1 ქულა.

როგორც ჩანს, კონფლიქტის მოგვარებაში მკითხველი ნდობას უცხადებს აშშ-ის პრეზიდენტსაც — რესპონდენტთა 17-ს ყველაზე მეტად მისი იმედი აქვს. 5,35 საშუალო ქულით ჯორჯ ბუში მესამე ადგილზეა.

მკითხველს ეეჭვება, რომ კონფლიქტი კოფი ანანის, დიტერ ბოდენისა და ბორის კაკუბავას ძალისხმევით მოგვარდება. ყველაზე ნაკლებად კი, როგორც აღმოჩნდა, ბორის კაკუბავას იმედი აქვთ — რესპონდენტთა 34-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით, თუმცა მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით (2,63), კაკუბავა წინ უსწრებს კოფი ანანსა (1,32) და დიტერ ბოდენს (0,88).




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი კი 14 წლის გორელი **გიორგი ტეტუნაშვილია.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, დიტერ ბოდენს ორის ნაცვლად სამი ქულა (მეექვსე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო კოფი ანანს — სამის ნაცვლად — ორი (მეშვიდე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 27 თებერვალს, 17 საათზე.

## №8 (282) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№8 (282) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 27 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 28 თებერვლის 13 საათამდე.** © თბილისი

თემა №8 (282) — ინტელექტუალი პოლიტიკოსი

**თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ინტელექტუალური პოლიტიკოსი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№8(282) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პოლიტიკოსი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნინო ბურჯანაძე | |
| 2 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 3 | ზურაბ ჟვანია | |
| 4 | გიორგი თარგამაძე | |
| 5 | აკაკი ასათიანი | |
| 6 | ასლან აბაშიძე | |
| 7 | ირაკლი მენაღარიშვილი | |
| 8 | მიხეილ სააკაშვილი | |

*მკითხველის რეიტინგი*

**რომელი მოვლენა მიგაჩნიათ ყველაზე სკანდალურად თებერვლის თვეში?**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________

ასაკი ____________ ტელეფონი ____________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

### *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

*საყვარელი თანამედროვე ქართული ესტრადის მომღერალი*







| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | მერაბ სეფაშვილი | 25,8% | 6. | დათო ხუჯაძე | 4,5% |
| 2. | ნანი ბრეგვაძე | 16,0% | 7. | ვახტანგ კიკაბიძე | 3,2% |
| 3. | ლელა წურწუმია | 10,2% | 8. | სოსო პავლიაშვილი | 2,9% |
| 4. | უცნობი | 7,3% | 9. | თემურ თათარაშვილი | 2,7% |
| 5. | თემურ წიკლაური | 6,1% | 10. | თამრიკო ჭოხონელიძე | 1,8% |

სულ 54 ქართველი შემსრულებელი დასახელდა. მხოლოდ ორ მკითხველს (0,3) გაუჭირდა საყვარელი ვარსკვლავის დასახელება, შვიდმა რესპონდენტმა (1,1) კი არც ერთი მომღერალი არ დაასახელა.

*მკითხველის რეიტინგში 619-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ვალერი ხაბურძანია, ლევან ძნელაძე, კობა ნარჩემაშვილი



ბორის კაკუბავა, ასლან აბაშიძე

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 156 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

ასლან აბაშიძე და ბორის კამიკაძე.

***ნ. ტუაევი, თბილისი***

**ბ.კ.** — ოსეთი და აფხაზეთი მესმის, მარა, აჭარას რაღად უნდა ავტონომია, აჭარლები ხომ ქართველები არიან?

**ა.ა.** — აჭარლების არ ვიცი, მაგრამ მე მჭირდება.

***გ. ინწკირველი, თბილისი***

**ბ.კ.** — გილოცავ ჩამობრძანებას, აჭარის ლომო, ფრთამალო, რა გიპასუხა პუტინმა, გვითხარი, არ დაგვიმალო.

***ენგული იობაძე, ფოთი***

**ბ.კ.** — დიდო სარდალო, მალე შენ წინ იოსელიანის და საჯაიას თავებს გავაგორებ, შენ არძინბას თავი მიფეშქაშე.

**ა.ა.** — მოსულა!

***გ. გელენიძე, ხონი***

ერთს რუსული სახელი აქვს, მეორეს — თურქული, თუმცა, ხელი ხელს მისცეს საქართველოსთვის აფხაზეთის დასაბრუნებლად. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

***ვახტანგ თოდრია, თბილისი***

**ა.ა.** — ბორია, ირაკლი წერეთელს რაში აინტერესებს, თუ რამდენს გიხდი?

**ბ.კ.** — ფიქრობს, შევარდნაძესთან დარჩეს, თუ თქვენთან „იმუშაოს“.

***სვანი, თბილისი***

**ბ.კ.** — ბატონო ასლან, გილოცავთ პრეზიდენტის წარმომადგენლად დამტკიცებას აფხაზეთის კონფლიქტში.

**ა.ა.** — შენ კი გნიშნავ ჩემს წარმომადგენლად საქართველოსთან კონფლიქტში.

***რეზო სვანიძე, თბილისი***

**ბ.კ.** — რა არის ეს? რა ჩამიდეთ ხელში, ბატონო ასლან?

**ა.ა.** — არაფერი ბიჭო, რაცხა ხუთი ლარია, წადი, წვერი გეიპარსე!

***სანდო, თბილისი***

სოხუმი: 2005 წ.

საქართველოს პრეზიდენტისა (ასლან აბაშიძის) და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (ბორის კაკუბავას) გულთბილი შეხვედრა.

***დალი დავითაშვილი, გარდაბანი***

**ბ.კ.** — გამარჯობათ, ბ-ნო ასლან, დევნილთა ნდობის მანდატი მოგართვით.

**ა.ა.** — გაუმარჯოს ბორიას, დალევ რამეს?

**ბ.კ.** — აბა რას ვიზამ, მაგრამ ჯერ მისალები მივიღოთ.

**ა.ა.** რაზეა ლაპარაკი, ხუთ ლარს ახლავე მოგართმევთ სინით.

**ბ.კ.** — (ფიქრობს) ხუთი ლარიო, ზნაჩიტ, გოგიტიძემ მაყლაპა!

***ზურა ქართველიშვილი, თბილისი***

**ბ.კ.** — ასლან, შეძლებ ჩემს დაბრუნებას აფხაზეთში?

**ა.ა.** — აფხაზეთის რა გითხრა, და შენ თუ ასე გააგრძელებ, ისევ აჭარაში მომიწევს შენი დამალვა.

***მურმან გიგანი, ზესხო***

## ფოტო განწყობისთვის



—დედი! შუაში მე ვარ... ქნი მოჯო

27/II სავსე მთვარე

მაგნიტური დღეებია: 27/II და 1/III თებერვალი

## წინა სკანვორდის პასუხები





## ქართულ წამალ „სალხინოს" გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მისამის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიღ [illegible] ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დაჟინ აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. [illegible] წინ, გაჩერებასთან; ჩაჟობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კი „საქართველოსთან"; წერეთლის გამზ. [illegible] წინ, გაჩერებასთან, „[illegible]" და სტადიონთან; დიღუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მევლორიძის გამზ. [illegible], უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - [illegible] ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; [illegible] გამზ. - [illegible] დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; წყლეთის ქუჩაზე; II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

*ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუ[illegible] [illegible]ტუზო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, [illegible]ში, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაა[illegible], სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე — არისებ[illegible] სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმ[illegible] და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ-დან. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. შინვალსა და დუშეთში — თვის III კვირის ოთშაბათს.*

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### (8) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№8 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 28 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

### „შანტაჟი"

„შანტე" ფრანგულად ნიშნავს გალობას, სიმღერას. ფრანგმა ჩიტის დამჭერებმა იციან ერთგვარი სიმღერა, რომელიც ჩიტის გალობას წააგავს. ამ სიმღერით მოიტყუებენ ხოლმე ჩიტებს და იჭერენ. ასე წარმოიშვა ეს გამოთქმა, რომელიც საფუძვლად დაედო მოტყუებითი საქმის კეთებას — შანტაჟს.

* * *



მიხომ სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ზედ წარწერას კითხულობს:

„ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ..."

მოუკიდა სიგარეტს, ნაფაზი დაარტყა და ოცნებით გაიხედა შორეთისკენ:

— ამათი დედა ვატირე, ბარს და „ლაფატკას" რატომ არ აწერენ ასეთ რამესა, ჰა!

* * *

მამაკაცი მეზობლის ღობესთან მივიდა და აბრახუნებს. არავინ პასუხობს. ისევ აბრახუნებს... არავინაა... უეცრად ღობეს მეორე მხრიდან ძაღლი მოადგა:

— რას აკაკუნებ? ვერ ხედავ, შინ არავინ არის!

მამაკაცს გული მისდის... გონს მოსულს ისევ ის ძაღლი წამოსდგომია თავზე...



— შენ რა, ყეფა არ იცი? — ეკითხება მისავათებული კაცი.

— ვიცი! აბა არა? უბრალოდ, შენი შეშინება არ მინდოდა...


ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუხთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა"©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".